საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ცირა ჯანაშია

თავადური მენტალობის საკითხი XVII საუკუნის საქართველოში იოსებ თბილელის ,,დიდმოურავიანის“ მიხედვით

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
,,საქართველოს ისტორია“
სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები
ვახტანგ გურული,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ამირან არაბული,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2021

შინაარსი

ანოტაცია.....3

Annotation.....4

შესავალი.....5

თავი.I.საკვლევი პრობლემის-მენტალობის საკითხის წყაროები და ისტორიოგრაფია.....9

§.1.წყაროების მიმოხილვა.....9

§.2.მენტალობის საკითხი თანამედროვე ისტორიოგრაფიაში.....23

თავი.II საგვარეულოების კვლევის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში..... 31

§.1.ნიკოლოზ ბერძენიშვილი-სათავადოს მკვლევარი..... 31

§.2.ცალკეული სათავადოების შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში (ორი თვალსაზრისი ამ საკითხის შესახებ).....38

§.3.არაგვის საერისთაო XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე.....98

თავი III. თავადური მენტალობის საკითხი XVII საუკუნის საქართველოში იოსებ თბილელის „ დიდმოურავიანის“ მიხედვით 104

§.1.იოსებ თბილელის ბიოგრაფიის ერთი დეტალის დაზუსტებისათვის.....104

§.2.იოსებ თბილელის მენტალური შეხედულებები.....115

§.3.რელიგიის საკითხი თავადურ მენტალობაში.....125

§.4. აღზრდის ზოგიერთი საკითხი XVII საუკუნის საქართველოსში (ი.თბილელის ,,დიდმოურავიანის“) მიხედვით.....134

დასკვნა.....141

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.....152

ანოტაცია

მენტალობის ანუ ერის ფსიქოლოგიის, ცალკეულ ადამიანთა თუ საზოგადოებრივი ჯგუფების გონებრივი ჩვევების, ტრადიციების, აზროვნების და სულიერი განწყობების შესწავლა უაღრესად აქტუალურია თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური თუ კულტურული საკითხი საკმაოდ კარგად არის გასულ და, თუნდაც თანამედროვე საუკუნეში ნაკვლევი, მაგრამ დასავლეთის მედიევისტური სკოლისგან განსხვავებით მენტალობის საკითხი ნაკლებად არის შესწავლილი.

სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი„თავადური მენტალობის საკითხი XVII საუკუნის საქართველოში იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ მიხედვით“, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გვიანი შუა საუკუნეების ხანის თავადური მენტალობის კვლევის პირველ ცდას წარმოადგენს.

სადოქტორო თემის სათაურიდან გამომდინარე აღორძინების ხანის პოეტის და საზოგადო მოღვაწის, თბილისის მიტროპოლიტ იოსებ თბილელის ისტორიული პოემის „დიდმოურავიანის“ და სხვა ქართული წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე, მოცემული მაქვს იოსებ თბილელის ბიოგრაფიის ერთი დეტალის დაზუსტება და მისი როგორც სასულიერო პირის მენტალური შეხედულებები. სადისერტაციო თემაში ასევე განხილული მაქვს სათავადოს რაობისა და ამასთანავე, საგვარეულოების კვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

წარმოდგენილ ნაშრომში გამოკვლეული მაქვს ქართული თავადური მენტალობის სხვადასხვა საკითხები: როგორიცაა სამშობლოსადმი სიყვარული, მეფის ხელისუფლების უზენაესობის აღიარება და მისდამი ერთგულება, პირადი ინტერესების პრიორიტეტულობა, რელიგიის, სწავლა-განათლების და აღზრდის როლის გავლენა ინდივიდის ჩამოყალიბებაში.

Annotation

The study of the mentality or psychology of a nation, the intellectual habits, traditions, thinking and spiritual attitudes of individuals or groups of people is highly relevant in the modern humanitarian and social sciences.

In Georgian historiography, the socio-economic, political or cultural issue of Georgia is quite well researched in the past and, even in the modern century, but unlike the Western Mediaevalist school, the issue of mentality is less studied.

Doctoral dissertation "The issue of Tavaduri/Noblemen mentality in the XVII century Georgia according to Ioseb Tbileli's "Didmouraviani" is the first attempt to study the Nobleman mentality of the late Middle Ages in Georgian scientific literature.

According to the title of the doctoral dissertation, based on the analysis of the historical poem "Didmouraviani" by the poet of the Renaissance, the Metropolitan of Tbilisi Ioseb Tbileli and other Georgian written sources, I have given one detail of the biography of Ioseb Tbileli and his, as a clergyman mental standpoints. In the dissertation, I also have a research of essence of nobility and genealogies in Georgian historiography.

In this work, I have studied various issues of the Georgian Noblemen mentality: such as love for the homeland, recognition and devotion to the supremacy of the king, the priority of personal interests, the role of religion, education and upbringing in the formation of a person.

შესავალი

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მენტალობის კვლევა აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ზოგადად ჯგუფებში თუ ინდივიდებში ყალიბდება სულიერი ფასეულობები, რწმენა და ტრადიციები, რაც საბოლოო ჯამში ქმნის საზოგადოების მენტალიტეტს. აქ კარგად ჩანს საზოგადოების ტრადიციები, ჩვევები, რომელიც ამა თუ იმ ერის სულიერ და კულტურულ თვითშეგნებაში აისახება.

მენტალობა იდენტობის შემცველიცაა და გარკვეული ხაზია ერის ნიშან-თვისებისა. საკუთრივ ქართული ფეოდალური ურთიერთობის შესწავლა მენტალობის გარეშე წარმოუდგენელია და არც შეიძლება. ქართული ფეოდალური ურთიერთობები საკმაოდ კარგად არის შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში, სოციალურ ჭრილში, მაგრამ მას აკლია ის შარმი, რომელიც შემოგვთვაზა დასავლეთის მედეავისტურმა სკოლამ.

თავის დროზე აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: "თავდაპირველად საჭიროა მოკლედ მაინც მოვიხსენიოთ, თუ რა ფილოსოფიური შეხედულება სუფევდა მაშინდელის ქართულის განათლებულის საზოგადოებაში, მსოფლიოსა და ადამიანის-ბუნებისა და თვისებების შესახებ. საშუალო საუკუნეებში ქართველების წარმოდგენით მსოფლიო ორ ნაწილად იყო გაყოფილი „ხილულ და უხილავ სოფლად," პირველს ეკუთვნოდა ყველაფერი, რაც კი „საცნაურთა გრძნობადითა და ბუნებათა" მფლობელი იყო. მეორე, რაც-კი „ზესთა ძალთა ბუნებაჲ" ჰქონდა. ამ ორსავე სოფლის ყოველსავე აგებულებისა ბუნებისა შემაერთებელი მას ჰქონდა საცნაური ბუნების მქონე სხეული, უხილავი ზესთასოფლის ძალთა ბუნებრივი სული. ამგვარად, იგი იყო ვითარცა პატარა მსოფლიო"(ჯავახიშვილი 1928:131).

ჩვენი სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის თემა „თავადური მენტალობის საკითხი XVII საუკუნის საქართველოში იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის" მიხედვით" აქტუალურია მენტალიტეტის ხაზის შესწავლის მიმართულებით.

გიორგის სააკაძის ფენომენით ჩვენი დაინტერესება ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდს უკავშირდება. იოსებ თბილელის პოემის „დიდმოურავიანის" გმირის გიორგი სააკაძის შეფასება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგვაროვანია, რომელსაც ჯერ კიდევ თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში გავეცანი. ამანაც განაპირობა ჩვენი შემდგომი სამეცნიერო კვლევა-ძიება იმ ეპოქის თავადური მენტალიტეტის შესწავლის მიმართულებით წარმემართა.

ნაშრომი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გვიანი შუა საუკუნეების ხანის შეუსწავლელი პრობლემის თავადური მენტალიტეტის კვლევის ცდას წარმოადგენს.

სადოქტორო სადისერტაციო თემის დასათაურებიდან გამომდინარე ვერ შევეხებით შუა საუკუნეების საზოგადოების მენტალიტეტის მთლიან საკითხებს, მაგრამ გვერდიც ვერ ავუარეთ ქართულ წერილობით წყაროებში მოცემული მასალის განხილვა-გაანალიზებას, რადგანაც მოცემული მასალის ანალიზიდან გამომდინარე, სააზროვნო სისტემა

(მენტალობა) შუა საუკუნეების ყველა ეტაპზე (ე.ი.ეპოქის) მცხოვრები ადამიანთა თითქმის ერთნაირ ასპექტში გვხვდება მეტ-ნაკლები რაოდენობით და ხარისხით.

საკვლევი საკითხის შესახებ, რადგან სამეცნიერო ნაშრომები არ არსებობდა ამდენად, შესასწავლი საკითხი რთული, მაგრამ მეტად საინტერესო გახლდათ. მიუხედავად ამისა, კვლევის პროცესში უმნიშვნელოვანესი გამოდგა ქართული წერილობითი წყაროები. პირველ თავში, საკვლევი-პრობლემის მენტალობის საკითხის წყაროები და ისტორიოგრაფია, წარმოდგენილი გვაქვს წერილობითი წყაროების და ისტორიოგრაფიის ანალიზი. ეს ძირითადი წერილობითი წყაროებია:

1 XVII საუკუნის ისტორიკოსის(ფარსადან გორგიჯანისძის ისტორია 1926) .

2.სადისერტაციო თემის კვლევისას ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა მეფე პოეტი-არჩილის (XVIIს). საქართველოს ზნეობანი (არჩილი1936), გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა (არჩილი 1937).

მენტალობის კვლევის პრობლემას შემდგომშიც გავაგრძელებ და მის შეხედულებებს ამ მიმართულებით აუცილებლად გავითვალისწინებთ.

3. XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსების ნაშრომები ა) „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ბერი ეგნატაშვილი 1959), ბ) „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973).

გარდა ამისა, საკვლევ თემასთან დაკავშირებით მთლიან ნაშრომში განხილული გვაქვს წერილობითი წყაროები:

1.)-„ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა”(ჯუანშერი1955).

2. „ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა.“ (სუმბატ დავითის ძე1990).

3. თამარის ორი ისტორიკოსი (XII ს.)-ა).-,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი “,(ისტორიანი...1959). ბ). „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი ”(ბასილი ეზოსმოძღვარი 1959).

4. (ჟამთააღმწერელი 1959).

5.(გიორგი მერჩულე 1986).

6. „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ (თამარაშვილი1902).

7. „საქართველოს სიძველენი“(თაყაიშვილი 1909).

8. ,, ქართული ისტორიული საბუთები“ IX-XIII სს.(შოშიაშვილი 1984).

9. „ გუჯრები“ (ხახანაშვილი 1891).

10 .იურიდიული სამრთლის ძეგლები: ა) ,,ქართული სამართლის ძეგლები“ (დოლიძე 1970) ბ) „ქართული სამართლის ძეგლები“ (დოლიძე 1972). გ) ,, ხელმწიფის კარის გარიგება“(გამოვიყენეთ ორი გამოცემა; ა) (თაყაიშვილი1920)) ბ) (სურგულაძე 1970).

11. (ახალი აღთქმაჲ 1963).

12. (ფსალმუნი და ლოცვანი(თბ.2016).

13.(იოანე ბატონიშვილი 1948).

უცხოური წერილობითი წყარო:

1.XVI-XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსი (იბრაჰიმ ფეჩევი 1964).

2. „Сношеня России с Кавкзом“ (Белокуров 1889).

3.XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზელის „ისტორიათა წიგნი“ გამოყენებული გვაქვს ორი გამოცემა: ა) (თავრიზელი 1974), ბ) (Даврижец 1973) (სომხურიდან რუსულად ნათარგმნი ხალრარიანის მიერ).

არაქელ თავრიზელის „ისტორიათა წიგნი“ ერთ-ერთ სანდო წყაროდ არის მიჩნეული, რასაც არ ვიზიარებ. წყაროზე დაკვირვებამ და ანალიზმა ეს უდავოდ დაგვანახა, რაც პირველ თავში დასაბუთებულად გვაქვს წარმოდგენილი

სადოქტორო სადისერტაციო თემის „თავადური მენტალობის საკითხი XVII საუკუნის საქართველოში იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“მიხედვით“ მონოგრაფიული ნაშრომი არ არსებობს, არც თემასთან კავშირში ცალკეული საკითხები იყო სადმე მოცემული. ჩვენი ამოცანის გადაჭრა განაპირობა დასავლეთის მედიავისტური სკოლის წარმომადგენლის და ანალების დამაარსებლის მარკ ბლოკის „ისტორიის აპოლოგიის“ გაცნობამ (ბლოკი 2014).

დასავლეთის მედიევისტური სკოლის კვლევები შესანიშნავადაა წარმოდგენილი აკად. რ.მეტრეველის შრომებში: 1.“კლიოს მფარველობის ქვეშ“(მეტრეველი 1990), 2. „მცირე განსჯა ჟაკ ლე გოფის წიგნის „წარმოსახვითის“ შუასაუკუნეობრივი სამყაროს წაკითხვის შემდეგ“(მეტრეველი 2009), რომელიც ჩვენი ნაშრომის გზამკვლევი გახდა.

ასევე, საკმაოდ საინტერესო კვლევაა ამ ხაზით მოცემული ნ.ვაჩნაძეს მონოგრაფიაში „სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი (V-XIსს.)“ (ვაჩნაძე 1998), რ.ლაბაძის ნაშრომში „ცოდვა და შიში შუა საუკუნეებში ქართული მენტალური მოდელის ორი ასპექტი“ (ლაბაძე 2006). მენტალობის კვლევის მიმართულებით საკმაოდ საინტერესო შეიქნა ჩვენთვის ა.მარუაშვილის ნაშრომი „მარუშიანთა ფეოდალური სახლის ისტორია“(მარუაშვილი 2006). ამ მხრივ მის კვლევაში მოცემულია არა ერთი საყურადღებო საკითხი.

აღნიშნულმა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია თემაზე მუშაობის პროცესში.

საგვარეულოების კვლევის საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი სპეციალური ნაშრომი მიეძღვნა. საერთოდ, სათავადოების კვლევის საკითხებს აკად ნ.ბერძენიშვილმა ჩაუყარა მეცნიერული საფუძველი, ეს ხაზი გააგრძელა მისმა არაერთმა მოწაფემ. დაგროვილია საკმაოდ სოლიდური მასალა, სადაც წარმოდგენილია თითოეული საგვარეულოს წარმოშობის წინაპირობა, განვითარებისა და დამცრობის ისტორია.

როგორც ცნობილია იოსებ თბილელი, ისევე როგორც მისი პოემის მთავარი გმირი „დიდი მოურავი“ გიორგი, სააკაძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ. ამან განაპირობა, განგვეხილა სათავადოს წარმოშობის მიზეზები, განსხვავებული თვალსაზრისები ქართულ ისტორიოგრაფიაში დაფიქსირებული ფეოდალური საგვარეულოების კვლევის მიმართულებით და გამოგვეკვეთა ქართული ისტორიოგრაფიის კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო.

ამ მასალის საფუძველზე შევისწავლეთ არაგვის საერისთაოს და ერისთავთა ერთი ისტორიული მონაკვეთი, რომელსაც მივუძღვენით სპეციალური ნაშრომი „არაგვის

საერისთავო XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე.“(ჯანაშია 2002).

ნაშრომი შეეხება ქართლის ერთერთი უძლიერესი სათავადოს, არაგვის საერისთაოს, ქართლისა და კახეთის სამეფოებთან დამოკიდებულების საკითხს XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში კახეთში ჩამოსული რუსი ელჩები არაგვის ერისთავს მოიხსენიებენ როგორც კახეთის მეფის ყმას, მას თავისებური დამოკიდებულება აქვს კახეთის სამეფო კართან, ამ ნაშრომში ვცდილობთ, დავადგინოთ, თუ როდის მოხდა არაგვის საერისთაოს გამოსვლა ქართლის მეფის ქვეშევრდომობიდან და გადასვლა კახეთის მეფის ყმობაში. კვლევა წარმოდგენილი გვაქვს ნაშრომის მეორე თავში.მესამე თავი ეძღვნება პოემაში დასმული ქართული თავადური მენტალობის კვლევის სხვადასხვა საკითხებს, როგორიცაა სამშობლოსადმი სიყვარული, მეფის ხელისუფლების უზენაესობის აღიარება და მისდამი ერთგულება, პირადი ინტერესების პრიორიტეტულობა, რელიგიის, სწავლა-განათლების და აღზრდის როლის გავლენა ინდივიდის ჩამოყალიბებაში. ამ საკითხის ანალიზი წარმოდგენილი გვაქვს სადოქტორო თემის სათაურიდან გამომდინარე აღორძინების ხანის პოეტის და საზოგადო მოღვაწის, თბილისის მიტროპოლიტ იოსებ თბილელის ისტორიული პოემის „დიდმოურავიანის“ და სხვა ქართული წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე, ამავე თავში არის მცდელობა იოსებ თბილელის ბიოგრაფიის ერთი დეტალის დაზუსტების და მისი როგორც სასულიერო პირის მენტალური შეხედულებების წარმოდგენა.

.

თავი პირველი
საკვლევი პრობლემის-მენტალობის საკითხის წყაროები და ისტორიოგრაფია

§.1.წყაროების მიმოხილვა

სადისერტაციო თემაზე მუშაობისას გამოვიყენეთ ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები, რომელთა ანალიზს და ჩვენს თვალსაზრისს წარმოვადგენთ ქვემოთ. ბერი ეგნატაშვილი იყო ვახტანგ VI (1703-1724). „სწავლულ კაცთა კომისიის“ ხელმძღვანელი, რომელთაც შეადგინეს XIV-XVII საუკუნეების ისტორია, XIV საუკუნიდან საქართველოს ისტორია აღუწერელი იყო, რომლის შევსება და შედგენა იტვირთა ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა კომისიამ“, მაგრამ მათ მუშაობას გარკვეული ხარვეზები გააჩნდა, რასაც პირველი XVIII საუკუნის ისტორიკოს–გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს.

XVIII საუკუნის ფეოდალიზმის ხანის ქართული ისტორიოგრაფიის უდიდესი წარმომადგენელი ბატონიშვილი ვახუშტი არის ავტორი ერთერთი უბადლო შრომისა, რომელსაც „ აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ უწოდა. ეს შრომა ვახუშტის დაუწყია 1742 წელს და 1745 წელს დაუსრულებია(ჯავახიშვილი 1977 **გ:**325).

ნაშრომი შეიცავს ისტორიას საქართველოსას, დასაბამიდან XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე. მისი საისტორიო შრომა ორი ნაწილისაგან შედგება, პირველი ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ დამუშავება და შევსებაა, ხოლო მეორე ნაწილი კი საქართველოს ისტორიის იმავე ხანას ეხება, რომლის ისტორია ვახტანგ VI-ის მიერ შეყრილმა სწავლულმა კაცებმა შეადგინეს(ჯავახიშვილი 1977 **გ**: 328).

ვახუშტის შრომის მეორე ნაწილი არის, ამასთანავე, მისი თხზულების საუკეთესო ნაწილიც. იგიც იმავე მიზანს ემსახურება, რა მიზნითაც ვახტანგ მეფემ „ სწავლულნი კაცნი“ შეკრიბა,-საქართველოს ისტორიის გამორკვევა და აღწერა გიორგი ბრწყინვალის შემდგომ დროითგან მიყოლებული. მან კარგად იცოდა, რომ ამავე საგანზე არსებობდა განსაკუთრებული თხზულება, რომელიც დაწერილი იყო სახელითა ლევანის ძისა მეფისა მეფისა ვახტანგისათა“, მაგრამ მეცნიერი ბატონიშვილი ნათლად ხედავდა მის მრავალგვარს ნაკლულევანებას (ჯავახიშვილი 1977 **გ:**331).

ბერი ეგნატაშვილს (XVIII), ასევე ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII) ტენდენციური დამოკიდებულება აქვთ გიორგი სააკაძის პიროვნების მიმართ, რომლის მიზეზის ახსნას ქვემოთ შევეცდებით.

თავის დროზე აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: ,,სამწუხაროა, რომ ჩვენში სრულებით შეგნებული არა აქვთ, არცა ჰქონდათ, რომ თვითეული ძველი საისტორიო

თხზულების განხილვის დროს მკვლევარს მარტო ავტორის თანამედროვეობა კი არ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, არამედ მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნობა და მედასეობა მისი წყაროების თვისება, ჟამთააღმწერლის წერის წესი და მეთოდები. საისტორიო ნაწარმოების ქრონოლოგიური განხილვა მხოლოდ თანამედროვეობის მხრივ მეტად მარტივი საშუალებაა იმიტომ, რომ მატიანე და ჟამთააღმწერელი შეიძლება თანამედროვეც იყოს, მაგრამ თუ ამასთანავე მოთხრობილის თანადამხუდარი არ არის, ან თუ მისი მოამბე სარწმუნო თანადამხვდუარი და თვითმხილველი არ იყო, მის მოთხრობას დიდი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს“(ჯავახიშვილი1977 ა: 26).

აკად. ივ.ჯავახიშვილის შეფასებით საისტორიო თხზულების სანდოობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ,,თვითმხილველი“ და ,,თვითმხილველთაგან“ მოსმენილი ამბავი: ,,ყოველი განათლებული ისტორიკოსი მოვალე იყო, რომ მოთხრობის უეჭველობაზე უნდა ეზრუნა და სანდო წყაროებით ესარგებლა, შესაფერისადაც ჰქონოდა დასაბუთებული..ქართულ საისტორიო მწერლობაში განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული და ნათლად ჰქონდათ გათვალისწინებული, თუ რა მნიშვნელობა აქვს საისტორიო მოთხრობას უეჭველობისთვის, როდესაც მთხრობელი თვით აღმწერლის ,,თუალთახილული“ ან ,,თვალთხილული“, ,,ხილული“, იყო როცა ისტორიკოსი ან მისი მოამბე ნაამბობის ,,თვალით მხილველი“, თვალთა მხილველნი“, ,,თვთმხილველნი“ანუ,,მნახავი“ და სწორედ იმ აღწერილი შემთხვევის ,,თანადახთომილი“ანუ ,,თანადამხუდარი“ გამოდგებოდა (ჯავახიშვილი 1977ა:31–32).

ქართულ ისტორიოგრაფიაში არაქელ თავრიზელის ნაშრომი ,,ისტორიათა წიგნი“ სანდო წყაროდ არის მიჩნეული. არაქელ თავრიზელი დაიბადა XVI საუკუნის დამლევს აზერბაიჯანის სატახტო ქალაქ თავრიზში, სომხები ამ ქალაქს ,,დავრიჟს“ უწოდებდნენ. აქედან წარმოდგა არაქელას ზედსახელი ,,დავრიჟეცი“ (თავრიზელი 1974: 6).

როგორც სომეხ ისტორიკოსთა უმრავლესობა, არაქელ თავრიზელიც სასულიერო პირი იყო. ცხოვრების დიდი ნაწილი მან ეჩმიაძინის საძმოში გაატარა, სადაც სწავლობდა კათალიკოს ფილიპოს აღბკეცთან (1633-1655). მან მიიღო ,,ვარდაპეტის“ ანუ ,,მოძღვრის“ წოდება. სიცოცხლეშივე უწოდებდნენ მას ,,არაქელ ისტორიკოსს“ (Даврижец: 1973:16).

არაქელ თავრიზელი კათალიკოსის დავალებით ხშირად მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყნებში და ქალაქებში, ძირითადად სომხებით დასახლებულ ადგილებში. გარდა იმისა, რაც კათალიკოსისგან ჰქონდა დავალებული, ის ერთდროულად თავისი ,,ისტორიათა წიგნისთვის“აგროვებდა მასალებს, ხელნაწერებს, ისმენდა და იწერდა ნაამბობს, მან იმოგზაურა როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში, საბერძნეთში, ისპაჰანში, ამასიაში და მრავალ ქალაქში. შრომის სირთულის გამო თავდაპირველად უარი უთქვამს არაქელს პატრიარქისთვის, მაგრამ პატრიარქის მკაცრი გაფრთხილების შემდეგ არაქელმა 1651 წელს

დაიწყო მუშაობა ამ წიგნზე. კათალიკოს ფილიპოსის გარდაცვალების გამო [1655 წლის 25 მარტი] არაქელმა შეწყვიტა შრომაზე მუშაობა და მხოლოდ 3 წლის შემდეგ ახალი კათალიკოსის ჰაკოფ ჯუგაეცის დავალებით 1658 წელს გააგრძელა თავის ,,ისტორიათა წიგნზე" მუშაობა, დაამთავრა 1662 წელს. ცხრა წლის განმავლობაში მუშაობდა არაქელი ამ წიგნზე, სადაც გადმოსცა იმდროინდელი მდგომარეობა, მაგრამ არ დაუსრულებია. მისი დავალებით გადამწერები ხელნაწერებს ამზადებდნენ და ასე ავრცელებდნენ(Даврижец 1973:18).

არაქელ თავრიზელი გარდაიცვალა 1670 წელს. მისი სურვილისამებრ დაკრძალულია ეჩმიაძინის მონასტრის საძმო აკლდამაში. ის იყო პირველი სომეხი ისტორიკოსი, რომელმაც თავის სიცოცხლეში იხილა ბეჭდური სახით გამოცემული საკუთარი ნაშრომი. 1669 წელს არაქელ თავრიზელის ,,ისტორიათა წიგნი" გამოიცა ამსტერდამში(Даржец 1973: 18).

,,ისტორიათა წიგნში" არაქელი განიხილავს როგორც თავისი ქვეყნის ასევე, მეზობელი ქვეყნების-თურქეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობასაც(Даврижец 1973:23).

არაქელ დავრიჟეცის ისტორიაში უხვადაა მოტანილი ცნობები საქართველოს, კონკრეტულად, ქართლისა და კახეთის სამეფოების შესახებ. თავისი ნაშრომის მე-9-12 თავებს ის საგანგებოდ უთმობს საქართველოს და ვრცლად აღწერს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ქართლ-კახეთში შაჰ-აბას I (1587-1629) დაპყრობითი ომების შედეგად. ისტორიკოსი უმთავრესად ეყრდნობა თავისი თვალით ნანახს, ყურით მოსმენილს. არაქელის ინფორმატორებს შორის იყვნენ, როგორც ქრისტიანები, ისე სხვა რელიგიის მიმდევრები. XVI საუკუნის დამლევის და XVII საუკუნის დამდეგის მოვლენების გადმოცემისას არაქელი, ჩანს, სარგებლობდა წინარე ხანის ისტორიკოსთა თხზულებებითაც: „ კერძოდ, ამაზე, უნდა მიუთითებდეს ის გარემოებაც, რომ არაქელ დავრიჟეცს მიუკვლევია და თავის საისტორიო ნაწარმოებში (54-ე თავი) შეუტანია XVI საუკუნის მეორე ნახევრის სომეხი ავტორის ჰოვანეს წარეცის მცირე საისტორიო ნაწარმოებები „ავღანთა ქვეყნის ისტორია", რომელიც 1590 წელს იქნა დასრულებული" (თავრიზელი1974: 6–7).

,,სპარსეთის ხელმწიფედ ყოფნის დროს გაძლიერდა შაჰ-თამაზი და თავისი ძალაუფლება განავრცო სხვა ხალხებზეც, რომლებიც მისი ქვეყნის მეზობლად ცხოვრობდნენ. გაძლიერდა აგრეთვე ქართველებზეც და მათ მეფეებს მძევლები გამოართვა: თბილისის მეფეს დიდ სიმონ ხანს ასული და ძმა"(თავრიზელი 1974: 12).

ცნობილი ფაქტია, რომ დავითი, შემდეგში დაუდ-ხანად წოდებული, თვითონ ეახლა შაჰ-თამაზ I ყაზვინში, 1561 წლის 25 დეკემბერს და თავისი სამსახური შესთავაზა. ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: ,,ხოლო იხილა რა, ძმამან მეფის სვიმონისამ, დავით,

სპარსთაგან ძლევა ესე, წარვიდა სპარსეთად, რამეთუ იყო კაცი ხორცთმოყვარე, მეძავ-განმცხრომელ და იქმნა გამცემელ ქვეყნისა და მივიდა წინაშე ყეენისა. ამას პატივსცა შას-თამაზ და ჰყო მაჰმადიანად, უწოდა დაუთხან და ძედ თვისად უხმობდა, მისცა ჯილდო ⅿ̃ თუმანი, (2000) ხალათა, კაბა, სარტყელი და ტყავი სამურითა, ოქროქსოვილნი, თაჯი(გვირგვინი) ხრმალი, საბუხარი მარგალიტისა, ცხენი აღკაზმული ოქროთი, ყოველნი მოოჭვილნი თვლებითა, სურა და თაჯი ოქროსი (რომელი შემდგომად დაიდვა და მოსცემდნენ მეფეთა ქართლისათა), წარმოავლინა მეფედ ქართლისად სპითა დიდითა შემოვიდა ტფილისს და აქუნდა შემწედ განჯის ხანიცა... ხოლო დაუთხან დაიპყრა ქართლი. არამედ ვიეთნიმე მთავარნი განდგნენ და არა მორჩილებდნენ. და დაჯდა დაუთხან ქვეშის ციხესა (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 407–409).

დაახლოებით იგივეს გვიმეორებს ბერი ეგნატაშვილიც (ბერი ეგნატაშვილი 1959: 337).

რაც შეეხება ასულის მძევლად მიცემას, ცნობილია მხოლოდ არაქელთან. ქართველი ისტორიკოსები არ მალავენ სხვა შემთხვევაში მძევლად მიცემის ფაქტს, ამიტომ მათი ცნობა უფრო სარწმუნო უნდა იყოს, ვიდრე არაქელ დავრიჟეცის.

არაქელ დავრიჟეცი კახეთის სამეფო კარზე მომხდარი ამბების გადმოცემისას არსებულ ვითარებას ზუსტად ვერ აღწერს: ,,ზემოთხსენებულმა კახეთის მეფე ალექსანდრემ თავისი სურვილით მისცა მეფობა თავის ძეს დავითს და დავითი განაგებდა სამეფოს. ალექსანდრეს მეორე ვაჟი გიორგი ამის გამო შურით აღივსო და მოკლა თავისი ძმა დავითი, რათა თვითონ გამხდარიყო მეფე. მათი მამა ალექსანდრე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მან არ დაანება მეფობა გიორგის, თვითონ დაიჭირა ტახტი და თვითონვე მეფობდა(თავრიზელი1974:14).

სინამდვილეში ალექსანდრემ თავისი ნებით კი არ გადასცა ტახტი დავითს, არამედ ამ უკანასკნელმა წაართვა მამას მეფობა. მართალია, რომ გიორგი ბატონიშვილი ძმას ტახტს ეცილებოდა, მაგრამ მას არ მოუკლავს ბატონიშვილი დავითი. ის ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. არაქელ თავრიზელმა არ იცის, რომ ალექსანდრე II-ს (1574-1605) დავითის, გიორგის, კონსტანტინეს გარდა ჰყავდა სხვა შვილებიც, ბერი ეგნატაშვილის მიხედვით: ,,ხოლო კახსა ბატონსა ალექსანდრეს ესუა ასული ამილახორისა და ესხნეს ხუთ ძე დავით, ერეკლე, გიორგი, კონსტანტინე, როსტომ, ასული ესე ნესტან-დარეჯან მიათხოვა დადიანსა მანუჩარს, ძესა მამიასასა, ზითვითა დიდითა. ხოლო ძე მისი ერეკლე გაუარშივდა ალექსანდრეს და წარვიდა სტამბოლს” (ბერი ეგნატაშვილი 1959: 370).

არაქელს არანაირი ინფორმაცია არა აქვს ისეთ მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ, როგორიც იყო შირვანის საკითხი. როგორც ცნობილია, 1578 წელს ოსმალეთმა დაარღვია ამასიის ზავი და დაიწყო ირანის წინააღმდეგ შეტევა. ოსმალეთმა ისარგებლა რა შაჰ-თამაზ-I-ს მემკვიდრეებს შორის ატეხილი ბრძოლებით, კავკასიის მიმართულებით დაძრა ჯარები

მუსტაფა ლალა-ფაშას სარდლობით. ოსმალეთი მიზნად ისახავდა დაეკავებინა მთელი ამიერკავკასია. სამცხის დაპყრობის შემდეგ მუსტაფა ლალა-ფაშა იმერეთში გადავიდა, სადაც იგი იმერლებმა დაამარცხეს. ფაშამ აქ გაჩერება მიზანშეუწონლად ჩათვალა და შირვანისკენ დაიძრა. კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605) მას სართიჭალასთან შეეგება, გაიმართა მოლაპარაკება, რომლის დროსაც გამოჩნდა ალექსანდრეს დიდი დიპლომატიური ნიჭი. ალექსანდრემ, მართალია, თავი ოსმალეთის მორჩილად სცნო, მაგრამ ქრისტიანობა შეინარჩუნა. ოსმალებმა მასვე მიანდეს შაქის დაპყრობა, სადაც მმართველად შაჰის ნდობით აღჭურვილი მისი მეტოქე ძმა გამაჰმადიანებული იესე (ისა-ხანი) იჯდა, როგორც, სიმონ მეფის ძმა დავითი (დაუდ-ხანი) ეახლა შაჰს, ისე ალექსანდრეს ძმა იესეც(ისა-ხანი) ეახლა შაჰს და თავისი ერთგულება გამოუცხადა (მას ისა-ხანი უწოდეს). ალექსანდრე თვითონ იყო დაინტერესებული იესეს თავიდან მოშორებით, რომელიც კახეთის ტახტზე თავის მეტოქედ მიაჩნდა. ალექსანდრემ შაქი დაიკავა, ისა-ხანი გააძევა და შაქის მმართველად თავისი შვილი ერეკლე ბატონიშვილი დასვა. კახეთის მეფეთა ტრადიციულმა პოლიტიკამ თავისი სასურველი შედეგი გამოიღო (ოღონდ ძალიან მცირე ხნით), ქვეყანა არა თუ გადაურჩა ოსმალთაგან დაპყრობას და დარბევას, არამედ ფორმალური ყმობის აღიარებით იგი გაძლიერდა და მისი გავლენა მეზობელ შაქზეც გავრცელდა (ასათიანი, ჯამბურია 2008:163–165).

წმინდა დიდმოწამე ქეთევან დედოფალთან მიმართებაშიც უზუსტობაა არაქელ დავრიჟეცის – ,,ისტორიათა წიგნში“: ,,თეიმურაზის დედა შაჰ-აბასმა სპარსეთის შუაგულში, შირაზში გაგზავნა იმამ-ყული-ხანთან და იქ ჰყავდათ საპყრობილეში. ამგვარად, შაჰ-აბასის ბრძანებით შეიპყრეს თეიმურაზის დედა, რომელსაც მარიამი ერქვა“ (თავრიზელი 1974: 41).

თავის დროზე კ. კუციამ აღნიშნა, რომ საუბარი იყო ქეთევან დედოფალზე(თავრიზელი 1974:71).

ჩვენის მხრივ დავამატებთ იმას, რომ სახელი ,,მარიამი“ – ქეთევანის ნაცვლად მას ალბათ სხვისგან აქვს გაგონილი, იმ პირისგან, რომელიც სრულებით არ იცნობდა წმინდა მოწამე ქეთევან ქართველს–ქეთევან დედოფალს, თორემ სხვა ახსნა არ შეიძლება მოეძებნოს ამ ფაქტს, რადგან საქართველოსთვის, ქრისტიანობისთვის თავდადებული ქართველი დედოფლის წამება არა მარტო ქრისტიანულმა სამყარომ შეიტყო, არამედ იმდროინდელმა მსოფლიომ.

არაქელ თავრიზელს აქვს დაუზუსტებელი ინფორმაცია გიორგი სააკაძის პიროვნების შესახებაც. არაქელი ბრალს სდებს სააკაძეს იმაში, რომ მან შემოიყვანა შაჰ-აბას-I (1587-1629) საქართველოში და ურჩია მას, რომ საქართველოს დაპყრობა ზამთარში უფრო გაადვილდებაო. ,,შაჰმა ჰკითხა მოურავს: ,,აი, უკვე განვლო დიდმა დრომ, როდისღა წაგვიყვან საქართველოში? მოურავმა უპასუხა: ცოტა კიდე მოითმინე, რადგანაც ჯერ დრო

არაა. მე თვითონ გაგახსენებ იქ წასვლას.“ მოურავი იმიტომ ამბობდა, ჯერ დრო არ არისო, რომ ზაფხული გასულიყო, ზამთარი დამდგარიყო, ტყეში ხეებს ფოთლები გასცვენოდა, რომ სპარსელთა ჯარს გაადვილებოდა ცხენებით სიარული და შესვლა ქართველთა ქვეყანაში“ (თავრიზელი1974:22).

,,შაჰმა უთხრა გიორგი სააკაძეს ,,ყველა ჩემს მეინახეთ უპირველეს დიდებულთა შორის შენ იქნები“, მოურავის რჩევით მოიცადეს დეკემბრის თვემდე, დიდ დღესასწაულემდე, როდესაც დადგა ზამთარი, სიცივეები გაძლიერდა, მოსულმა თოვლმა დაფარა მთის მწვერვალები და გასაქცევი გზები. სიმაგრეებში მყოფი ხალხი სიცივისაგან შეწუხდა. ხეებს ფოთლები გასცვივდა და ყველა ადგილი ხელისგულივით გამოჩნდა. მაშინ მოურავმა უთხრა შაჰს: ,,აი ახლა გავემართოთ ქართველთა ქვეყნისაკენ, რადგან დადგა ჟამი [წასვლისა] წამოვიდნენ ქალაქ განძაკიდან და მიაღწიეს კახეთის საზღვრებს, რომელიც არის თეიმურაზის ქვეყანა. კახეთის გზა ხეობებში გადიოდა“ (თავრიზელი 1974: 25).

„სპარსელთა ლაშქარი კი განლაგდა ხევის წინ გაშლილ ადგილზე, სპარსელებმა, რომელთაც დაინახეს, რომ ხევის გასასვლელი ქართველებმა დაიკავეს, დაიბნენ. შაჰმა კვლავ მოიხმო მოურავი და სიკვდილით დაემუქრა, მაგრამ მოურავმა თვითონ არ იცოდა, რა ექნა, ორი დღის შემდეგ მან უთხრა შაჰს, მე ვიცი აქედან ორი დღის სავალზე ერთ ადგილას გზა, მაგრამ გაუვალი ტყე რომ ადვილად გასასვლელი გახდეს, საჭიროა ნაჯახები და სხვადასხვა იარაღი, რომ ტყე გავკაფოთ. შაჰმა უბრძანა თავის მებრძოლებს, აეღოთ საჭირო იარაღები და წასულიყვნ გზის გასაკაფად. მათ გაკაფეს ძნელად გასასვლელი გზა. შაჰმა ბრძანება გასცა, არ დაეშალათ კარვები, აქლემების სადგომები,რათა ეჭვი არ აეღოთ, მხოლოდ ჯარის ნაწილი საბრძოლო მასალებით და ცხენებით უჩუმრად მისულიყვნენ კახეთში. ახალგაჭრილი გზით შემოვიდნენ თეიმურაზის ქვეყანაში, გადაწვეს სოფლები, დასახლებული ადგილები და სასტიკად გაუსწორდნენ მოსახლეობას. ,,ლუარსაბმა და თეიმურაზმა არ იცოდნენ მომხდარის შესახებ, რადგან ხევის გადმოსასვლელს იცავდნენ“ (Даврижец 1973: 116–117).

ამ ცნობაში ლაპარაკია, არა იმაზე, როდის აჯობებდა ლაშქრობა, ამას ურჩევს თითქოს გ. სააკაძე და არა იმას, რომ საერთოდ უნდა ელაშქრა თუ არა შაჰს საქართველოში. ასეთი ხერხი (ზამთარში ლაშქრობა) სხვა დამპყრობლებსაც აქვთ გამოყენებული, მაგალითად, თემურ-ლენგს. 1399 წლის ბოლოს თეიმური ამიერკავკასიაში შემოვიდა და საქართველოსკენ დაიძრა. თემურ-ლენგის ლაშქარი ტყიანი გზით ჰერეთში შეიჭრა. ჯარისკაცები ცულებით იკაფავდნენ გზას. 20 დღის განმავლობაში განუწყვეტლივ თოვდა. თემურის მოლაშქრეები ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს. ჩეხავდნენ ხეხილს, ვენახებს, კაკლის ხეებს. ბოლოს დიდთოვლობაში, საქონლის საკვების სიმცირის გამო, იძულებულნი გახდნენ შეეწყვიტათ ლაშქრობა და უკან დაბრუნებულიყვნენ (ასათიანი,

ჯამბურია 2008:92–93).

ასე რომ შაჰ-აბასს წესით ეს უნდა სცოდნოდა, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ამ საკითხში სააკაძის რჩევა მას არ დასჭირდებოდა.

ამ ცნობამ ასახვა მოგვიანებით ჰპოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში: ა) ბერი ეგნატაშვილის მიხედვით: ,,პირველად თურმე ერჩივა მოურავს შააბაზ ყაენისათვის ესრეთ, ვითარმედ: ქართლში ზამთარ მიდიო, ხიზანი მთაში ვერ შევაო და რაც გინდა იქო, თუმცა მთაში შევიდენო, თოვლი და სიცივე ამოსწყვეტსო. და ესმინა შააბაზ სიტყვა მოურავისა და მოვიდა თუესა იანვარსა ხუთსა ქრისტეს აქეთ ჩ~ქკდ (1624) და აღიღო ციხე თორღისა. შააბაზ გამოიღო ყოველივე საგანძური კახეთისა“ (ბერი ეგნატაშვილი 1959: 392–393).

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: „არამედ შემდგომად მოვიდა განჯას ამისა უგრძნეულად შააბაზ შესვლად კახეთს, რამეთუ ეახლა მოურავი და ეუწყა ყეენისთვს შესვლა ქართლს უმჯობეს არს ზამთარს, ვინაითაგან ვერ წავლენ ხიზანნი მთათა შინა და ხელთ იგდებ ყოვეელთა“(ვახუშტი ბატონიშვილი1973:425)

დასახელებულ ისტორიკოსთა მოსაზრებები ტენდენციურია, იმიტომ, რომ საქართველოს მიმართ შაჰ-აბასს (1587-16029) გარკვეული ანგარიშები ამოძრავებდა, კერძოდ, კახეთის დამორჩილებით, ამოგდებით იგი მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ირანის სახანოდ გადაქცევას ფიქრობდა, ჯერ ერთი, შაჰ-აბასი არ იყო ის პოლიტიკოსი, რომელიც სხვისი ჭკუით ივლიდა, მეორეც, კარგად ესმოდა, თუ რუსეთი ფეხს მოიკიდებდა საქართველოში, მაშინ ირანი მთელს ამიერკავკასიას დაკარგავდა. ხოლო თეიმურაზ I (1606-1648) იმ პოლიტიკას ადგა, რასაც თავის დროზე მისი პაპა ალექსანდრე II (1574-1605) ატარებდა.

იმ ძნელბედობის ჟამს, 1616 წლის თებერვალში, თეიმურაზ I-მა რუსეთში წერილები გაგზავნა. ,,ის მოსკოვის წინაშე აყენებდა საკითხს, კვლავ აღდგენილიყო ძველი მფარველობითი კავშირი კახეთსა და რუსეთს შორის, რომელიც გაფორმებულ იქნა მისი პაპის ალექსანდე II-ის დროს. თეიმურაზი სთხოვდა რუსეთის მეფეს, თავისი მეგობრული ურთიერთობა გამოეყენებინა ირანთან და მოეთხოვა შაჰისგან, რომ ამ უკანასკნელს ხელი აეღო კახეთის განადგურების განზრახვაზე, ხოლო თეიმურაზი კვლავ მეფედ დაეტოვებინა. 1619 წლის მარტში მოსკოვში ჩავიდა თეიმურაზ I-ის (1606-1648) ელჩი ხარიტონ კუმურდოელი, რომელმაც მეფე მიხეილ თევდორეს ძეს გადასცა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა და თეიმურაზ I-ის წერილები. მეფე თეიმურაზი აუწყებდა კახეთში დატრიალებულ საშინელებას, სთხოვდა შაჰ-აბასის მიერ დატყვევებული დედის, ქეთევანის და შვილების, ლევანის და ალექსანდრეს ბედ-იღბალში ჩარევას. 1621 წლის გაზაფხულზე მოსკოვში ჩასულ ირანის ელჩ ბულატ-ბეგს პრინციპულად დაუსვეს საქართველოს საკითხი(ასათიანი 1983:65–67).

ამრიგად, კახეთის რუსეთთან დაკავშირება აღიზიანებდა ირანის შაჰს და მისი მოქმედებაც ამით იყო განპირობებული ქართული სამეფო-სამთავროების მიმართ და არა გ.სააკაძის რჩევითა და თხოვნით. ,,მოურავი ყოველთვის ცდილობდა ლუარსაბისთვის სამაგიერო გადაეხადა, ამიტომ საბაბად მისი ჩასვლის მიზეზზე დაუწყო ლაპარაკი შაჰ-აბასს(Даврижец 1973:110).

ბრალდება სააკაძეზე იმის შესახებ, რომ მან დაასმინა ლუარსაბ მეფე შაჰ-აბასთან, წერილობით პირველად XVII საუკუნის ისტორიკოსთან არაქელ თავრიზელთან არის დაფიქსირებული(საქართველოს რესპუბლიკა: 1998).

რაში გამოიხატა „დასმენა“, არცერთი ისტორიკოსი არ განმარტავს ამას, შაჰ-აბასის პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე იგი თავად იყო ბოროტების სათავე და ინსპირატორიც.

მისი შეფასება შესანიშნავად აქვს მოცემული აკად.ივ.ჯავახიშვილს: „ოსმალთა ძლევამოსილობას და საქართველოში ნავარდობას, სპარსეთის შაჰმა აბას I-მა მოუღო ბოლო. ის დაუძინებელი იყო ოსმალეთის. თავისი მამაცობით სახელმწიფოებრივი ნიჭით მან სპარსეთი იმდენად გააძლიერა და მის კულტურულ აყვავებას ისე შეუწყო ხელი, რომ სპარსეთის ოდინდელი ძლიერებას და ბრწყინვალების სახელი კვლავ გამოაცოცხლა. დიდი სახელმწიფოს მოღვაწის უტყუარ ნიჭთან ერთად, მას თანდაყოლილი ჰქონდა პირადი ხასიათის ისეთი თვისებები, რომლებიც მას ხშირად ადამიანურ სახეს უკარგავდნენ და კაცურ ქცევას ავიწყებდნენ, შაჰ-აბასი მცირე რამის გამოც ისეთ თავშეუკავებელ მრისხანებას იჩენდა ხოლმე, ისეთი, ხშირად უაზრო სისხლისღვრა, შემაძრწუნებელი ვერაგობა და შურისძიება იცოდა თავის მახლობელთა წრეშიც, რომ უნებლიეთ მისი გონებრივი ნორმალურობის შესახებ ეჭვი იბადება.

საშინელი იყო შაჰ-აბასის მეფობა საქართველოსთვის და ქართველი ერისთვისაც, მისი მთელი პოლიტიკა ვერაგობითა და გაუმაძღრობით იყო აღსავსე, ჭორაობისა და ჯაშუშობის ქსელის მოტრფიალე ის თავის გარშემო ისეთ ჯოჯოხეთურ მუხანათობისა, ინტრიგებისა და ეჭვიანობის ბუდეს ქმნიდა, რომ მას ხშირად თვითონაც საშუალება აღარ ჰქონდა სიმართლე შეეტყო და დაგებული მახიდან თავი დაეღწია. შაჰ-აბასი საქართველოს იმიტომ გადაემტერა, რომ ქართველებმა მაჰმადიან სახელმწიფოების მძლავრობის გამო თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობა ვითარცა ერთმორწმუნე სახელმწიფოს, რუსეთის სამეფოს აცნობეს. დახმარებაც სთხოვეს, მაგრამ ამის გარდა შინაური მტრებისა და შინაგამცემელთა სისინსაც დიდ ყურადღებას აქცევდა ამბების მოყვარული შაჰი.“(ჯავახიშვილი 1953:1-2)

ვახტანგVI და მისი ,,სწავლულნი კაცნი“ ნაშრომს ოთხ ნაწილად ანუ ხანად ყოფენ. პირველი ხანა ეხება იმ დროს, როცა ცხოვრებანი ქართველთანი აღარა წერებულიყო ანუ

ძისა მეფისა გიორგის ძისა ბაგრატისა, ვიდრე მეფისა გიორგისა ძისა ბაგრატისამდეო“. ამ დროის განმავლობაში ესე ამბავი გუჯართა და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებებიდან გამოვიღეთ და აღვწერეთო. მეორე ნაწილად უნდა „ჩაითვალოს ,,ცხოვრებანი ბაგრატისა და ძისა მისისა კონსტანტინესი“. ესე თხზულებები .,,ვპოვეთ ძველსა წიგნსა შინა და ქვემორე რიგსა მისსა ზედა დაგვიწერიაო.“ მესამე ნაწილს შეადგენს: ,,ცხოვრებანი მეფისა ალექსანდრესი და ძისა მისისა, მეფისა კონსტანტინესი და შემდგომი ...ვიდრე მეფისა როსტომამდე“. მთელი ეს ხანა შემდგომი კაცთა სპარსთა ცხოვრებისა და ქორონიკონთა და გუჯართაგან აღგვიწერიაო.“ მეოთხე ნაწილს შეადგენს ამბავი როსტომის აქეთი“ თვით თვალითა მნახველთა, მისთა ომებითა შინა მყოფთა კაცთაგან აღგვიწერიაო“. საქართველოს ხანგრძლივი ცხოვრება XIV-XVII საუკუნის დასასრულამდე აღუწერელი იყო და ეს დიდი თვალსაჩინო ნაკლი მათ უნდა შეევსოთ. როგორ? ამ შემთხვევაში ,,სწავლულნი კაცნი“ იმნაირსავე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ, რა მდგომარეობაშიც იყო ფარსადან გორგისჯანისძე, როცა იგი თავის თხზულებების წერას შეუდგა. შორეული წარსულის ცხოვრების აღდგენა და დასაბუთება ძნელი საქმეა, მეტადრე როცა მკვლევარს იმ დროინდელი საისტორიო თხზულებები არ მოეპოვება.“

,,სწავლულ კაცებს“ თავიანთი შრომის მესამე ნაწილშიც რაღაც სპარსული საის-ტორიო თხზულებებით (,,სპარსთა ცსოვრება“) უსარგებლიათ. ეს ნაწილი ალექსანდრეს მეფობით იწყება და ვიდრე როსტომამდე აღწევს, მაგრამ რა თხზულება იყო ეს თხზულება, იგივე ისკანდერ მუნშის ისტორია, თუ რამე სხვა წყარო, ამის გამორკვევა ეხლა არ შეიძლება იმიტომ, რომ ხელნაწერს სწორედ ამ ნაწილში ბევრი აკლია. მხოლოდ ცხადია, რომ ამ სპარსული თხუზულებების გარდა (თუ მუნშის თხზულებებით მართალა უსარგებლიათ) მათ სხვა სპარსული წყაროც უნდა ჰქონოდათ“ (ჯავახიშვილი1977 **ა** :26).

ჩვენთვის საინტერესოა, ბერი ეგნატაშვილის – ,,ახალი ქართლის ცხოვრების“ სწორედ ის მესამე ნაწილი: ,,ცხოვრებანი მეფისა ალექსანდრესი და ძისა მისისა მეფისა კონსტანტინესი და შემდგომი...ვიდრე მეფისა როსტომისამდე.“ ეს ხანა, როგორც წერენ, ძველთა კაცთა სპარსთა ცხოვრების და ქორონიკონთა გუჯართაგან არის გადმოცემული. ვფიქრობთ, არც ის არის გამორიცხული, რომ მათ გამოყენებული ჰქონოდათ სომეხი ისტორიკოსის არაქელ დავრიჟეცის, ისტორიათა წიგნი“, სადაც დაშვებული უზუსტობის გამომწვევ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ისიც, რომ ნაშრომის შექმნა მოხდა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ (საქართველოს შესახებ ამბების თხრობა 1622 წლით სრულდება). რაც შეეხება ცნობებს გიორგი სააკაძის შესახებ, არაქელი ეყრდნობა მოსმენილ ამბებს, რომლებიც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ზოგ შემთხვევაში სიზუსტით არ გამოირჩევა. ეს შემდგომ დაფიქსირდა ქართულ წერილობით წყაროებში. პირველად ბერი ეგნატაშვილთან (XVIII სს), მოგვიანებით ვახუშტი ბატონიშვილთან (XVIIIსს).

სავარაუდოდ მიგვაჩნია ისიც, რომ არაქელ თავრიზელის ცნობები იმ წყაროებიდან მომდინარეობდეს, ვისაც ეყრდნობა ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი. შესაძლებელია, რომ სამივეს ერთი წყარო ჰქონოდა.

ვფიქრობთ, რომ არაქელ დავრიჟეცის შრომაში დაფიქსირებული უზუსტობანი არაკვალიფიციურ ანუ საქმეში ნაკლებად ჩახედულ, იმ მოვლენების ზერელედ მცოდნე ინფორმატორთა მიერ მიწოდებული ცნობების შედეგია. ეს უნდა აიხსნას რამდენიმე მიზეზით: ა) მისი პირველწყარო ანუ ,,მოამბეები" თვითონ არიან ამ საქმის ნაკლებად მცოდნე. ბ) ადვილი შესაძლებელია ისიც, რომ ეს ,,მოამბეები" აღნიშნული მოვლენის ,,მხილველნი" და ,,თანამედროვენი" ნაკლებად იყვნენ.

ფარსადან გორგისჯანისძის „ისტორია" ეხება XVII საუკუნეს. ფარსადანი გვარად გორგისჯანისძე, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო გორელი ვაჭრის ოჯახიდან. ვფიქრობთ, რომ მასაც გარკვეულწილად ტენდენციური ცნობები აქვს გ.სააკაძის პიროვნების მიმართ. საქმე შემდგომში უნდა მდგომარეობდეს. თბილისის ციხის ალყის დროს ღალატში შემჩნეულ იქნა გორელი ვაჭარი გიორგი გორგისჯანაშვილი, რომელიც შეიპყრეს და მიჰგვარეს გიორგი სააკაძეს, რომ არა ქუთათელი ეპისკოპოსი, რომლის თხოვნით გაანთავისუფლა მოღალატე სააკაძემ, ის ალბათ სასჯელს ვერ ასცდებოდა.

ვფიქრობთ, ამ მდგომარეობიდან უნდა მომდინარეობდეს ფარსადან გორგისჯანიძის ტენდენციური დამოკიდებულება გ. სააკაძის მიმართ. ჩვენთვის მისაღებია ს. კაკაბაძის თვალსაზრისი, ის გამოთქვამს ვარაუდს, რომ ფარსადან გორგისჯანისძეს ნათესაური კავშირი აქვს ამ ხსენებულ გორგისჯანისძესთან ვფიქრობთ, იმასაც, რომ ს.კაკაბაძე ბუნდოვნად აყალიბებს თავის მოსაზრებას: „შესაძლებელია ,რომ გიორგი გორგისჯანისძე იყოს ფარსადანის მამა," მაგრამ აქედან წარმოდგება ფარსადანის წოდება „გორგისჯანისძე." ეს წინადადება გაუგებარია, რას ნიშნავს, თუ ფარსადანს მამა გორგისჯანისძე ჰყავდა, ბუნებრივია, თვითონაც ამ გვარისაა; რა შუაშია აქ „წოდება", ეს წოდება არაა, თუ გვარს გულისხმობს ს.კაკაბაძე, ამას ახსნა განმარტება არ სჭირდება(ფარსადან გორგისჯანისძის ისტორია 1926: 9).

აკად.ივ.ჯავახიშვილი შემდეგ შეფასებებს აძლევს ფარსადან გორგისჯანიძეს და მის ნაშრომს: „ფარსადან გორგისჯანისძის შრომა დაწერილია სპარსეთში, იმ დროს, როგორცა ჩანს, როცა ვახტანგის მიერ შეკრებილ „სწავლულ კაცთა"კომისიას ქ˜ცის შევსება და გაგრძელება არამც თუ დამთავრებული არა ჰქონდა, ვგონებ დაწყებულიც არა ჰქონდა. მით უფრო საყურადღებოა ამ მხრივ ფარსადან გორგისჯანისძის ნაწარმოები, რათგან იგი საქართველოს საზოგადო ისტორიასა სწერს უძველესი დროიდან მოყოლებული თავის დრომდე-1695 წლამდე. ჩვენი ისტორიკოსი თავისით მოქმედებდა და არავისთვის არ მიუბაძნია ეს შეადგენს მის ნაკლსაც და ღირსებასაც." იმის მიხედვით თუ რა წყაროს იყენებს

ფარსადან გორგისჯანისძე, ივანე ჯავახიშვილი ოთხ ნაწილად ჰყოფს ნაშრომს (ჯავახიშვილი1977 ბ: 287).

ივ.ჯავახიშვილის აზრით, ფარსადანის შრომის პირველი ნაწილი ზეპირ გადმოცემებზეა დამყარებული: „პირველი ნაწილი, როგორც ავღნიშნეთ, განსაკუთრებით ზეპირსა და გაგონილს ამბებზეა დამყარებული და ამის გამო მას ზღაპრული ხასიათი აქვს, რაკი მისი ორიოდე წერილობითი წყაროც, როგორიც მაგ, სომეხთა ცხოვრება და ხოსროვ შირანის არაკია, თქმულებებზეა დამყარებული, რათგან ფარსადან გორგისჯანისძეზე უწინარეს ამ ხანის შესახებ უკვე არსებობდა ყოველ შემთხვევაში ბევრად უკეთესი, ხოლო VIII-XII სს შესახებ საუცხოვო საისტორიო თხზულებები, ამიტომ გორგისჯანისძის ნაწარმოების პირველ ნაწილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და არც თანამედროვეებსათვის ჰქონია. მტკნარ, განმაცვიფრებელ უვიცობით სავსეს-ამ ნაწილს მკითხველთათვის ვნების მეტი არფერი სარგებლობის მოტანა შეეძლოო იგი მხოლოდ ერთის მხრით არის საყურადღებო: თუ ასეთს მაღალხარისხოვანს და მეფის მახლობელ მოხელეს ისტორიკოსს, როგორიც იყო ფარსადან გორგისჯანისძე, ასე დომხალივითა ჰქონდა არეული სამშობლო ქვეყნის წარსული და თავგადასავალი, ასე ზღაპრულად ჰქონდა წარმოდგენილი და ქართული საუკეთესო საისტორიო წყაროები არამც თუ წაკითხული, თვალითაც-კი ნანახი არა ჰქონია,-მაშინ დანარჩენს ხალხს, ჩვეულებრივს, შუათანა შეძლებისა და ცოდნის პატრონს, რაღა წარმოდგენა უნდა ჰქონოდა? რასაკვირველია, არავითარი!...ამას ნათლად ამტკიცებს ფარსადან გორგისჯანისძის შრომის პირველი ნაწილი“(ჯავახიშვილი 1977 ბ:289-290).

ივ.ჯავახიშვილის თვალსაზრისით, ფარსადან გორგისჯანისძის შრომის მეორე ნაწილს ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არც აქვს და არა ჰქონია: „რადგან მის თვით მის წყაროს დედანმა, საუცხოვო ღირსებისამ ჩვენამდის მოაღწია“(ჯავახიშვილი 1977 ბ:291).

ფარსადან გორგისჯანისძის ისტორიის მესამე ნაწილი XIV-XVII საუკუნეებს შეეხება, სწორედ იმ ხანას, რომელიც აღუწერელი იყო ვახტანგ VI-მდე, მაშასადამე, ფარსადან გორგისჯანისძეს და ვახტანგ VI „სწავლულ კაცთა“ კომისიას ამ მხრივ ერთი და იგივე მიზანი ჰქონიათ საქართველოს ისტორია აღედგინათ:„ არავითარი ქართული წყაროები და საბუთები, რომელთა შოვნა ადილად შეეძლოთ ვახტანგის სწავლულ კაცებს და მართლაც ხელთა ჰქონდათ, მას ისპაჰანში არ მოეპოვებოდა. ამიტომ გორგისჯანისძეს ეს ხანაც ზეპირი გადმოცემით უნდა დაეწერა,-ან არა და სპარსულ საისტორიო წყაროთაგან ამოეკრიბა ყველა ცნობები, რაც-კი იქ საქართველოს შესახებ მოიპოვებოდა. საბედნიეროდ, გორგისჯანისძეს მეორე გზით სიარული უმჯობინებია. მისი ცნობები ამოღებულია განსაკუთრებით მირონ ჰუსეინისა და ისკანდერ მუნშის თხზულუბებითგან. ამასთანავე იგი ხშირად სიტყვა-სიტყვით სთარგმნის დედანს. მისი შეკრებილი ცნობები ვრცელსა და ახალ მასალებს გვაძლევს საქართველოს ისტორიის ასეთის წყვდიადის მოცული ხანის შესახებ, როგორიცაა XIV-XVII

საუკუნეები. ფარსადან გორგისჯანისძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული საისტორიო მწერლობის წინაშე. მან თითქმის ორი საუკუნის წინათ შეასრულა ის შრომა, რომელიც ხელმეორედ აკადემიკოსებმა ბროსემ და დორნმა გასწიეს სპარსელ ისტორიკოსთა ცნობების შეკრებით საქართველოს შესახებ. ყურადღების ღირსია, რომ ამ ორმა მეცნიერმაც იმავე ისტორიკოსების თხზულებებს მიმართეს, საითგანაც გორგისჯანისძემ ამოკრიფა თავისი ცნობები შერიფ ედდინ ალი იეზიდისა და ისკანდერ მუნშისას. მხოლოდ გორგისჯანისძეს, როგორც ეტყობა, საუცხოო ხელნაწერი ჰქონია ხელთა, განსაკუთრებით უკანასკნელი ისტორიკოსისა, და საკუთარ საგეოგრაფიო სახელებიც რასაკვირველია აკადემიკოსებზე უკეთესად აქვს წაკითხულ -გადმოთაგმნილი (ჯავახიშვილი 1977 **ბ:**295).

ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, „ერანის ხელმწიფეების ამბავში ფარსადანი ნამდვილად ისქანდერ მუნშის თხზულებით სარგებლობდა: „ერანის ჴელმწიფეთა ამბავი“,როგორც აღნიშნული იყო გორგისჯანისძეს განსაკუთრებით ისქანდერ მუნშის თქმულებაზე აქვს დამყარებული“-ო. ივ ჯავახიშვილის აზრით: „ამაზე უკეთეს წყაროს ფარსადან გორგისჯანისძე თავისი ისტორიისთვის ვერ იშოვიდა. 1696 წელს, როცა მან თავისი შრომა დაამთავრა, მას შესაძლოა ხელთ ჰქონოდა თუ ისქანდერ მუნშის საკუთარი ხელით ნაწერი წიგნი არა, სულ ახლად გადმოწერილი ხელნაწერი მაინც. რაკი ფარსასადან გორგისჯანისძეს თავისი თხზულების მესამე ნაწილისთვის ასეთი საუცხოვო წყაროები ჰქონია დედნად, რასაკვირველია, ამ ნაწილს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, განსაკუთრებით მაშინ და ეხლაც-კი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. გორგისჯანისძემ თავისი მოვალეობა პირნათლად და ღირსეულად აასრულა: სამშობლო ქვეყნის ისტორიის ცარიელი ფურცლები მეტად ვრცელისა და შინაარსიანის ცნობებით აავსო“(ჯავახიშვილი 1977 **ბ**:296).

რაც შეეხება სპარსული წყაროების გამოყენებას ფარსადან გორგისჯანისძის თხზულებაში, ამის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად აზრთა ერთიანობა არსებობს. ივ.ჯავახიშვილის თვალსაზრისს იზიარებს ვლ.ფუთურიძეც. მისი გამოკვლევიდან ჩანს, რომ ფარსადან გორგისჯანისძეს ისქანდერ მუნშის გარდა, მოჰამედ თაჰერის ცნობებითაც უსარგებლია: „ფარსადან გორგისჯანისძე მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მსახურობდა ირანში, ვლ.ფუთურიძის აზრით, ის შესაძლოა, პირადადაც იცნობდა მოჰამედ თაჰერს. მკვლევარის თვალსაზრისით, ამაზე უნდა მიუთითებდეს მოჰამედ თაჰერის ზნეობრივი ხასიათის ცოცხალი აღწერა, რომელიც ფარსადან გორგისჯანისძის ისტორიაშია მოცემული. სპარსული ენის კარგი მცოდნე ქართველი ისტორიკოსი, რომელიც უხვად სარგებლობდა თავისი ისტორიისათვის ისკანდერ მუნშის ცნობილი საისტორიო ნაშრომით „თარიხე ალემ-არჯე აბბასი“-თ, რასაკვირველია, იცნობდა მირზა თაჰერის „ისტორიას“-აც. შესაძლებელია, კიდეც სარგებლობდა მით, მაგრამ გამორიცხული არ არის ისიც, რომ ორივე ისტორიკოსს ერთი და იგივე წყარო ჰქონოდა და ერთმანეთისაგან

დამოუკიდებლად მოგვითხრობს ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის შესახებ“(მოჰამედ თაჰერი 1954: 378).

ვ.გაბაშვილის აზრითაც, ფარსადანი სარგებლობდა ისქანდერ მუნშისა და მოჰამედ თაჰერის თხზულებებით: „ფარსადან გორგისჯანისძეს, როგორც ცნობილია, თავის ისტორიაში თითქმის სიტყვა-სიტყვით შეუტანია ვრცელი ცნობები ისკანდერ მუნშის თხზულებიდან. საზოგადოდ ჯერ კიდევ გამოსარკვევია ფარსადან გორგისჯანისძის როგორც ადრინდელი (XV ს-ის) ისე გვიანდელი(XVII ს-ის პირველი ნახევრის) სპარსული წყაროები. ჯერჯერობით საფუძველი გვაქვს XV საუკუნისთვის დავასახელოთ თემურ-ლენგის ერთერთი ისტორიკოსი შერიფ ედ-დინ ალ-იეზიდი, ხოლო XVII ს-ის მეორე მეოთხედისთვის, წინასწარი ვარაუდით, ისკანდერ მუნშის თხზულებების გაგრძელება და მირზა მოჰამედ თაჰერი“(გაბაშვილი 1959: 27).

დ.კაციტაძის თვალსაზრისით: ფარსადან გორგისჯანისძე იყენებდა ისქანდერის თხზულებების „გაგრძელებას“, რომელშიც შესანიშნავადაა აღწერილი XVII საუკუნის 30–იანი წლები. იგივე ამბებს მოგვითხრობს ფარსადანიც, ოღონდ უფრო მოკლედ ,ზოჯერ ისეთ რამეს უმატებს, რაც სპარსულ წყაროში არ არის. მიუხედავად ამ განსხვავებისა, გორგისჯანისძეს სწორედ ამ წყაროთი უნდა ესარგებლა: „ისკანდერ მუნშის შესანიშნავი ცნობები მოეპოვება XVI-XVII საუკუნის საქართველოს შესახებ, საქართველოში შაჰ-თამაზის ლაშქრობების აღწერის შემცველი ადგილები ყველაზე უფრო მეტად ემთხვევა ფარსადან გორგისჯანისძის თხზულების სანდო ადგილებს. ამ გარემოებამ მისცა საფუძველი აკად.ივ.ჯავახიშვილს და სხვა მკვლევარებს, ფარსადან გორგისჯანისძის თხზულების ამ პერიოდის სპარსულ წყაროდ ისკანდერ მუნშის „თარიხი არაჯ აბასი“ გამოეცხადებინათ. ეს მართლაც ასეა, მაგრამ შაჰ-თამაზის საქართველოში ლაშქრობის შესახებ ცნობები (საერთოდ XVI ს-ის მთელი რიგი მოვლენების აღწერა) მოეპოვება ისქანდერ მუნშის წინამორბედ ჰასან რუმლუსაც და თან იმ სახით, რომ თითქმის არ განსხვავდება ისქანდერ მუნშის თხრობისაგან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ისქანდერ მუნშის თხზულების ერთერთ წყაროს ჰასან-რუმლუს ჰასან ათ თავრიხ“ წარმოადგენს, რაზედაც თვით ავტორი ისქანდერ მუნში მიუთითებს.

დ.კაციტაძეს მიაჩნდა, რომ: „ფარსადან გორგისჯანისძის პირველწყარო მაინც ისქანდერ მუნშის ნაწარმოებები იყო, მას ამის საფუძველს აძლევს შაჰ-თამაზის შემოსევების აღწერა, იმ დროს, როცა ჰასან რუმლუ შაჰ-თამაზის ლაშქრობების შესახებ გაბნეულად მოგვითხრობს, ხოლო ისქანდერ მუნშის ეს ოთხივე ლაშქრობა თანამიმდევრობით აქვს აღწერილი. ასეთივე თანამიმდევრობით დაულაგებია ამ ლაშქრობების შესახებ თხრობა ფარსადან გორგიჯანისძეს. ეს ფაქტი, კი დ.კაციტაძის აზრით, ქართული საისტორიო ნაწარმოებების „თარიხ ალემ არაჯ აბასი“-ზე დამოკიდებულებაზე უნდა მიგვითითებდეს“-

ო(კაციტაძე 1960:124-125).

XVII საუკუნის 30-იანი წლების ამბები ფარსადან გორგისჯანისძეს „თარიხ-ი ალემ არაჯ აბასი-ს გაგრძელებაზეა შეთხზული(კაციტაძე 1960: 129).

დ.კაციტაძე იზიარებდა ვლ.ფუთურიძის ზემოთ მოყვანილ თვალსაზრისს: მოჰამედ თაჰერისა და ფარსადან გორგისჯანისძის თხრობა ძირითადად ერთნაირია, რაც იმაზე მიუთითებს,რომ ფარსადანს ამ სპარსული თხზულებით ნაწილობრივ მაინც უნდა ესარგებლა. ფარსადან გორგისჯანისძე აგრეთვე სარგებლობდა ისქანდერ მუნშის „თარიხ-ი ალემ არაჯ“-თ და ზელი თარიხ-ი ალემ არაჯ“-თ(გაგრძელება) ხოლო XVII ს-ის შუა ხანების (50-60 წწ.) მოვლენებს აღწერისთვის მოჰამედ თაჰერის „თარიხ-ი შაჰი აბბას-ი სანის“ ნაწილობრივ მაინც იყენებდა(კაციტაძე, 1960: 130-131).

ნ.გელაშვილის თვალსაზრისით კი „ფარსადან გორგისჯანისძის მიერ „ზელ–ე „თარიხ–ე ალმარი–ე აბასის“ გამოყენებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ორივე თხზულებაში მოვლენათა თანამიმდევრობა ერთნაირადაა დაცული (თეიმურაზისა და დაუდ–ხანის მიერ განჯა–ყარაბაღის დარბევა, ალავერდი–ხანის საგვარეულოს ამოწყვეტა, როსტომ–ხან სააკაძისა და ხოსრო–მირზას გამოგზავნა საქართველოში, თეიმურაზის იმერეთში გაქცევა და სხვა) (ისქანდერ მუნში1981: 17).

საკვალიფიკაციო თემის და ეპოქის წარმოდგენა შეუძლებელია მეფე პოეტის არჩილის მხატვრული შემოქმედების გარეშე.არჩილი იყო ქართლის მეფის ვახტანგ V შაჰნავაზის (1658–1676) ძე. ვახტანგV-ის მეფობით იწყება ქართლში ბაგრატიონ-მუხრანბატონთა ნაყოფიერი მმართველობა. ვახტანგ V-მ წარმატებით დაიწყო მოღვაწეობა, მან ისარგებლა იმერეთში მეფე ალექსანდრეს III (1639-1660) გარდაცვალებით და ქუთაისის ტახტზე თავისი 14 წლის შვილი არჩილი დასვა. მალე ოსმალეთის მოთხოვნით და ირანის შაჰის ბრძანებით ვახტანგმა 1663 არჩილი იმერეთიდან წამოიყვანა. შაჰმა არჩილი გამაჰმადიანების შემდეგ კახეთის მეფედ დანიშნა. ვახტანგისა და არჩილის პოლიტიკა არაფრით არ მოსწონდა ირანის ახალ შაჰს სულეიმანს (1666–1694). ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა მათთვის დაეპირისპირებინა მოსკოვის მეფის კარზე მყოფი თეიმურაზ I-ის(1606-1648) შვილიშვილი ერეკლე, რომელსაც სათანადო სიგელებითა და წერილებით აღუთქვა საქართველოში მეფობა. 1675 წელს ერეკლე ირანში ჩავიდა. იმავე წელს ირანში დაიბარეს ვახტანგ V , მაგრამ იგი გზაში გარდაიცვალა. ამაზე ადრე არჩილი გაეცალა კახეთს და იმერეთში გადავიდა (ასათიანი 1999:303–304).

არჩილს მიუღია საკმაოდ კარგი განათლება, როგორც საერო , ისე სასულიერო. ამზადებდნენ სამეფოდ. სამხედრო ფეოდალური სწავლა-აღზრდის საფუძვლად სარაინდო ზნეობა ითვლებოდა, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოზარდის გაწაფვას სამხედრო ჩვევებში. ასე იზრდებოდნენ შაჰნავაზის შვილები, მათ შორის, არჩილიც

(არჩილი1937: 5).

არჩილ მეფემ თავის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ გადმოგვცა თეიმურაზ I-ის თავგადასავალი. XVII ს-ის ისტორიული მოვლენების ფონზე ახალი თვალთახედვით გასაანალიზებელია ქართული საზოგადოებისთვის მისი კონცეფციები, რაც მოცემული აქვს გაბაასება „თეიმურაზისა და რუსთველისა“-ში და „საქართველოს ზნეობანში“ (მაგ.ზნეობრივი აღზრდის და სხვა საკითხები). საკუთრივ ქართული მენტალობის ზოგიერთი ასპექტის კვლევისას სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გვერდი ვერ ავუარეთ მის შემოქმედებას.

XVI-XVII სს. ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი (1574-1650). ი.ფეჩევი ახალგაზრდობიდანვე იჩენდა ინტერესს ისტორიისადმი. მან სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერა თავისი ორტომიანი „ისტორია“, რომელიც მოიცავს 1520-1640 წწ პერიოდს(ე.ი სულთან სულეიმან I პირველის ტახტზე ასვლიდან სულთან მურად IV გარდაცვალებამდე.) ფეჩევი უშუალო მონაწილეობას იღებდა ოსმალთა მიერ წარმოებულ სხვადასხვა ლაშქრობებში. ფეჩევი აღგვიწერს გ.სააკაძის ოსმალთა ბანაკში გამოცხადებას და ჰაზიფ ახმედ ფაშასთან მის შეხვედრას. ფეჩევი ამ დროსათვის ჰაზიფ ფაშას ამალაში იყო და პირადად ესწრებოდა საქართველოდან გადმოსულების შეხვედრას მთავარსარდალთან და მონაწილეობას ღებულობდა მათ შორის წარმოებულ მოლაპარაკებებში. ფეჩევი გამოხატავს თავის სიმპატიებს დიდი მოურავისადმი (იბრაჰიმ ფეჩევი 1964:15).

§. 2. მენტალობის საკითხი თანამედროვე ისტორიოგრაფიაში

„საზოგადოებისა და მისი შემადგენელი ჯგუფების სოციალურ-ფსიქოლოგიური განწყობის, მენტალობის კვლევა თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერების უპირველესი ამოცანაა. სწორედ აქ ფიქსირდება ტრადიციების, რწმენის, სულიერი ფასეულობების ის მდიდარი ფენა, რომელზეც შემდგომში რაციონალური სისტემები ამოიზრდება. ამ ფენის გაუთვალისწინებლად წარმოუდგენელია საზოგადოებისა თუ ინდივიდების სრულყოფილად შეცნობა. ამ თვალსაზრისით ისტორიული მეცნიერების არცერთი დარგი არ ამჟღავნებს ახალი მიდგომების ისეთ დაუოკებელ ძიებას წარსულის შესაცნობად, როგორც მედიევისტიკა. შუა საუკუნეების ისტორიის მასალაზე ისინჯება კვლევის არატრადიციული მეთოდები, ისახება დისციპლინათშორისი დაახლოების და ურთიერთქმედების გზები. მედიავისტების მიერ იდეალად დასახულმა „ტოტალურმა ისტორიამ“ თავისი ინტერესების ცენტრში მოაქცია ადამიანი და მისი ყოველმხრივი შესწავლა. ტოტალური ისტორიისადმი ახსნის მისწრაფება განსაკუთრებით „ანალების სკოლისათვის“ არის დამახასიათებელი.

მ.ბლოკისა და ლ. ფევრის პირველი „ანალების“ ისტორიიზმის ძირითად პრინციპებად ქცეულმა „ტოტალურობამ“ და „პრობლემურობამ“ განვითარება ჰპოვა ახალი საერთო კონცეფციის ფარგლებში. „ანალების“ ფუძემდებელთა ტრადიციების საუკეთესო გამგრძელებელმა ფ.ბროდელმა უარი თქვა მოვლენათა ისტორიაზე და ახალ ისტორიულ სინთეზზე აიღო ორიენტაცია. როგორი იყო შუა საუკუნეების ადამიანის სამყაროს სურათი, ანუ როგორ აღიქვამდა იგი დროსა და სივრცეს, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა სიცოცხლისა და სიკვდილისადმი, რა ახარებდა და რისი ეშინოდა – ამ კითხვაზე პასუხის გაცემით სცადა ისტორიული კვლევის გამდიდრება მენტალობის თემატიკამ. სამყაროს სურათი ხომ ისტორიის პროცესში ყალიბდება. იგი მეტყველებით, აღზრდა-განათლებით, ადამიანებთან მუდმივი ურთიერთობით შეითვისება. რა თქმა უნდა, ერთი მეორისაგან დაშორებულია სხვადასხვა ფენის ადამიანთა სამყაროს მოდელი, მით უმეტეს შუა საუკუნეებში, მაგრამ შეუძლებელია, რომ იგი სრულიად განსხვავებული იყოს; რადგან სიღრმისეულ დონეზე მათ, გარკვეულწილად, საერთო საფუძვლები აქვთ.

თანამედროვე მედიევისტიკაში ფეოდალური საზოგადოების ადამიანთა სუბიექტური რეალობის შეცნობა–გამოაშკარავებაში განსხვავებული მიდგომები არსებობს, მაგრამ ყველა შემთხვევაში, იდეალი საერთოა-რეალობის ფართო, გლობალურ პერსპექტივაში ასახვა.ამ იდეალის მიღწევას ისტორიკოსები სხვადასხვა გზით ცდილობენ(ლაბაძე 2006: 8-9).

პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში აღიარებულია, რომ ლიდერი უმრავლეს შემთხვევაში მოქმედებს „მე-ს“ კონცეფციის“ მიხედვით, რომლისთვისაც ამოსავალია თვითშემეცნების პრინციპი ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორ მოისაზრებს და აღიქვამს იგი საკუთარ თავს და როლს სოციუმში იმ გარემოში, რომელთანაც აქვს ურთიერთობა. ადამიანის მიერ საკუთარი თავის და ადგილის გაცნობიერებას აქვს რამდენიმე ასპექტი, ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ „მე–ს“ გააზრება, თვითშეგნების განსაკუთრებული უნარი. ლიდერის ფორმირების ადრეულ ეტაპზე ცნობიერების დონეზე მიმდინარეობს მისი გამოყოფა სოციუმისაგან ანუ ლიდერი იძენს რწმენას, თავის თავში პოულობს განმასხვავებელ ნიშან–თვისებას, რომლებიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი, მხოლოდ იგია ყოველივე ამის მატარებელი. ეს იწვევს მასში განსაკუთრებულობის შეგრძნების ფორმირებას. ეს განსაკუთრებულობა კი შეიძლება, მრავალმა ფაქტორმა წარმოქმნას. შუა საუკუნეების მენტალიტეტს თუ გავითვალისწინებთ, ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო წარმომავლობა, ღვთისაგან განსაკუთრებული მისიის დაკისრების რწმენა, რელიგიური ფანატიზმი, ინტელექტი და სხვა(სამუშია 2018: 213–214).

„ისტორიკოსი არ ფიქრობს მხოლოდ „ადამიანურობაზე“ , გარემო, რომელშიც მისი აზრი ბუნებრივად სუნთქავს-არის განგრძნობითობის კატეგორია. ისტორიკოსი მაინც გადწყვეტს ყოველივე სწორედ აღწეროს მას შემდეგ, რაც ზუსტად დააფიქსირებს ამ მომენტს

ბედის სიმრუდეზე, რომელიც წარმოაჩენს ერთის მხრივ ადამიანს, როგორც ამ მოვლენის გმირს და მეორე მხრივ, ამ კრიზისისთვის კლიმატის შემქმნელ ცივილიზაციას(ბლოკი 2014:165).

რეალობაში ისტორიკოსი იძულებულია, გამოარჩიოს განსაკუთრებული ნიშა თავისი საქმიანობისთვის, საქმიანობა საზოგადოებისა, რომელიც საჭიროების მიხედვით ძერწავს საცხოვრებელ ნიადაგს, არის უაღრეად ისტორიული ფაქტი და ამას თითოეული ინსტიქტურად გრძნობს.

მ.ბლოკის თვალსაზრისით; ,,ისტორიის საგანი არის ადამიანი. უკეთესია, თუ ვიტყვით ადამიანები. ერთი შეხედვით მშრალი დოკუმენტების დამაარსებელთაგან გარეგნულად სრულიად განსხვავბული ინსტიტუციის მიღმა ისტორიას სწორედ ადამიანების დანახვა სურს. კარგი ისტორიკოსი ლეგენდის კაციჭამიას ჰგავს-იცის, რომ მისი მსხვერპლი იქ არის, სადაც ადამიანის სუნი სცემს. ადამიანური ფაქტები თავისი არსით მეტად დელიკატურ ფენომენს წარმოადგენს, რომელთა კარგად გასაგებად და გადმოსაცემად ძალიან დახვეწილი ენაა საჭირო.

მისივე აზრით: „ისტორიული ფენომენის სრული ახსნა არასოდეს ხდება იმ მომენტის შესწავლის გარეშე, რომელშიც მას ადგილი ჰქონდა. წარსულის არცოდნა მხოლოდ აწყმოს გაგებას კი არ უშლის ხელს, დღევანდელ საქმიანობასაც აფერხებს, უფრო მეტიც იმისთვის, რომ საზოგადოება როგორიც არ უნდა იყოს იგი, მთლიანად იქნეს გამოკვლეული და დეტალურად უახლესი წარსულის გათვალისწინებით, საკმარისი არ არის ცივილიზაციაზე სრულყოფილად მორგებული სტრუქტურა. საჭიროა, რომ თაობებს შორის ურთიერთობა დამყარდეს. ადამიანი ძალიან შეიცვალა გონებრივადაც, მისი გონებრივი ატმოსფერო სიღრმისეულად გარდაიქმნა, არანაკლებ შეიცვალა მისი ჰიგიენა, კვება, თუმცა რაღაც უნდა არსებობდეს ადამიანის ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებაში ისეთი, რაც მუდმივია ურომლისოდაც თვით ადამიანთა სახელები და საზოგადოებათა სახელწოდებები არაფრის მთქმელი იქნებოდა.

თუ გვჯერა, გავუგებთ ამ ადამიანებს, თუკი შევისწავლით მათ რეაქციებს დროის ერთი მონაკვეთის კონკრეტულ შემთხვევაში. ეს მცდელობა იმის გასაგებადაც კი იქნებოდა საკმარისი, თუ რას წარმოადგენდნენ ეს ადამინები მოცემულ მომენტში. მ.ბლოკის თვალსაზრისით: „როდესაც მეცნიერი დაკვირვების შედეგად განმარტავს, რომ მისი ამოცანა შესრულდა, ხოლო მოსამართლეს განაჩენი რჩება გამოსატანი და თუ მას პირადი სიმპატიები მაინც გაუჩნდება და მაინც კანონის მიხედვით გამოიტანს განაჩენს, თავს მიუკერძოებლად ჩათვლის. დიდი ხნიდან ისტორიკოსი მიწისქვშა სამეფოს ერთგვარი მოსამართლეა“(ბლოკი 2014: 161-178).

„დასავლეთის თანამედროვე მედიევისტიკის ძირითადი ამოცანაა წარსულის

ინტეგრაციული შეცნობა, როცა იგი აღიქმება, როგორც ადამიანის ქცევის განუყოფელ, ურთიერთდაკავშირებულ და მთლიან სისტემად. რამდენადაც ადამიანის ქცევა ცხოვრების ნებისმიერ სფეროში უშუალოდ განისაზღვრება გარემო რეალიებით, ამ ქცევის შედეგების გაგება შეუძლებელია მოცემულ მომენტში ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებებელი სურათის ანალიზის გარეშე. ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში ეპოქის მატერიალური და სულიერი კულტურით სტრუქტურირებული ადამიანის პიროვნების შესწავლა, ისე როგორც სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში პიროვნების ზოგადისა და განსაკუთრებულის გამოვლენა წარმოჩნდება ისტორიული შემეცნების არსებით მომენტად. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ფრანგი ისტორიკოსების, ე.წ. „ანალების“ სკოლის ერთ–ერთი მიმდინარეობის წარმომადგენლებისთვისაა დამახასიათებელი. ამ მიმართულების ტიპიური წარმომადგენელია ფრანგი ისტორიკოსი ჟ.ლე–გოფი, რომელმაც ისტორიული მეცნიერებების ზემოთხსენებულ მიმდინარეობას კონკრეტული დეფინიცია მისცა : „კარგი ისტორიული მეცნიერება“.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ დასავლეთის ისტორიკოსები თავიანთ მიღწევებს იდეალიზებულად კი არ წარმოგვიდგენენ, არამედ, პირიქით, კრიტიკულად განიხილავენ. იმდენად დიდია მათში დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რომ სოციალური ისტორიის კვლევას ზოგჯერ „კრიზისში“ მყოფად მიიჩნევენ.

აკად. რ.მეტრეველის თვალსაზრისით, ტერმინ „კრიზისში“ ჩადებული შინაარსი არსებითად განსხვავდება ჩვენი ისტორიოგრაფების მიერ ადრე კრიზისად მიჩნეული მეცნიერებისაგან.“როცა საზოგადოება თვლემს, ისტორიკოსი უნდა ფხიზლობდეს“– ჟ.ლე-გოფის ეს სიტყვები მედიევისტიკის დიდ ამოცანაზე მიუთითებს. მისი აზრით, ისტორიკოსმა ყველა სხვა რეალობას უნდა დაუპირისპიროს მენტალური წარმოდგენების რეალობა. სწორედ მენტალური ანალიზის შერწყმას მატერიალური კულტურის ისტორიის ანალიზთან შეუძლია გამოიყვანოს ისტორია ეპისტომოლოგიური კრიზისიდან

რ.მეტრეველის აზრით: „ისტორიული ცოდნის ეპისტომოლოგიური პრობლემები არანაკლებ აქტუალურია ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის. ათეული წლების მანძილძე პიროვნების დეპერსონალიზაციამ ისტორიული მეცნიერების წინაშე მძიმე პრობლემები დააყენა. ჩვენი ისტორიული მეცნიერების განვითარება მომავალში ითვალისწინებს მის გამდიდრებას პლურიდისციპლინური მიდგომებით. მის ხელთ არსებული ცალკეული ლიტერატურის და რეფერირებული მასალების საფუძველზე რ. მეტრეველი თვლის, რომ თანამედროვე დასავლურ მედიევისტიკაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი პრობლემები:1.მენტალობის ისტორიის ზოგადი საკითხი.ეს მოვლენა შეისწავლება თეორიულ-შემეცნებითი თვალსაზრისით (ჟ.ლე-გოფი, პ. ბიორკი, ჟ სონიე). ყურადღება ექცევა იმას, თუ რაოდენ ღრმა კვალი დაამჩნია ცალკეული კონკრეტული ეპოქის კულტურამ

ადამიანის პიროვნების სტრუქტურას, თუ რამდენად იყო ურთიერთ დაკავშირებული აღქმა და პიროვნების ქცევა მისი კონკრეტული ფუნქციონირების სოციალურ, წოდებრივ და მატერიალურ რეალობასთან. 2. ადამიანის ქცევის სპეციფიკა, რომელიც განპირობებულია სქესობრივ-ასაკობრივი თავისებურებებით. მამაკაცი, ქალი, ბავშვი, მოხუცები–ეს ადამიანთა პიროვნების სხვადასხვა „კლასებია“. სწორედ მათი სხვაობა–მსგავსების საკითხები, ცხოვრების თავისებურებანი შუა საუკუნეების სხვადასხვა ქვეყანაში, შეადგენს დასავლეთის მედიევისტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას. 3.რაინდობის გლობალური კვლევა. სწორედ რაინდობამ შეასრულა განსაკუთრებული როლი არა მარტო ხელისუფლებასა და პოლიტიკაში, არამედ სოციალ–პოლიტიკური თვალსაზრისითაც. რაინდობის სამყაროს სრული სურათის შესწავლით წარმოჩინდება და გაიაზრება შუა საუკუნეების ქცევის სისტემა. 4. მეთოდოლოგიის პრობლემები. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე მეცნიერებაში ისტორიული სინთეზის პრობლემას. არსებითი როლი აქვს ისტორიულ დემოგრაფიას, რომელიც უაღრესად დიდ როლს ასრულებს „ დიდი ისტორიისათვის“ (მაგ.ოჯახი, მშვიდობა, სიკვდილიანობა, ქორწინებები და სხვა). დემოგრაფიის ფარგლებშია მოქცეული ისტორიისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელი პრობლემები: ადამიანის კვება, პროდუქტების წარმოება, ავადმყოფობები, სოციალური სისტემები და სხვა.

მენტალობის პრობლემა შუა საუკუნეებში თავისთავად რთულია. მისი შესწავლა გაძნელებული. მენტალობის განმარტებას იძლევიან თავიანთ შრომებში გ.ტალენბახი, რ.შპრანდელი, ფ.შმალე და სხვა. ფ.გრაუსი მიიჩნევს, რომ მენტალობა წარმოადგენს კოლექტიური ქცევის არავერბალურ დისპოზიციას, რომელიც წინასწარი რეფლექსის გარეშე არ მოქმედებს. მენტალობის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დამახასიათებელია ამ ფენომენის კოლექტიური ხასიათი. მას აქვს გარკვეული „კოდი“ გონებრივი განწყობისა და ქცევითი „დაპროგრამებისთვის.“ ფ. გრაუსი დარწმუნებულია, რომ შეცდომაა ლაპარაკი „ეროვნული მენტალობასა“და „წოდებრივ მენტალობაზე“. მნიშვნელოვანია საკითხი ისტორიული შემეცნების პროცესში მენტალობის ისტორიის როლისა და ადგილის შესახებ. მენტალობის კვლევის ევრისტიკულ ეფექტურობაში მეცნიერები არ ეჭვობენ. მეცნიერთა ერთი ნაწილი (მ.ბლოკი, ჟ.დიუბი, ჟ.ლე-გოფი) მენტალობის ასპექტს განიხილავენ, როგორც ზოგადი ისტორიის ასპექტს, მეორე ნაწილი (ფ.აირესი, ე. ხირნიკსი, რ. რაინჰარდტი) – როგორც განსაკურებულ დისციპლინას თავისი კვლევის კონკრეტული საგნით. ერთი სიტყვით, სხვადასხვა მოსაზრებაა მენტალობის ისტორიის როლის, ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ. მისი კვლევის აუცილებლობა კი დასავლეთის ისტორიკოსებისთვის აქსიომაა. დასავლეთის მეცნიერები სწავლობენ რა შუა საუკუნეების ადამიანს, ყურადღებას აქცევენ ზოგად მენტალურ სტრუქტურებს (იდეალები, ღირებულებები, რწმენები, ცრურწმენები), რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ხალხს“

(მეტრეველი 1990: 11–14).

ტრადიციული ისტორიკოსი იკვლევდა და იკვლევს, პირველ რიგში, ქვეყანას და ქრონოლოგიას. ამას ვერ ასცდება, რადგან ისტორიკოსი ყოველთვისაა დაკავშირებული დროსა და ადგილთან. ინტერესი კვლევის ჩარჩოების გაზრდისა აუცილებელი ხდება. დღის წესრიგშია შესწავლა-ევოლუცია გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური სისტემებისა, ფსიქიკური სტრუქტურებისა, პროცესებისა და ურთიერთობებისა. ყოფა, ეკოლოგიური გარემო, საცხოვრებელი, კვება, ტანსაცმელი, ოჯახი, ბავშვები, ცხოვრებისეული სტილი, ღირებულებები, დაავადებები და სხვა. ისტორიის, როგორც მოვლენათა შესახებ მეცნიერების სოციალურ-ისტორიული პროცესების, სტრუქტურებისა და ურთიერთობათა მეცნიერებად გადაქცევის ტენდენცია, რელიეფურადაა წარმოდგენილი ფრანგული „ანალების“ სკოლის ისტორიკოსთა შრომებში. სკოლა გასული საუკუნის 20-იან წლებში შეიქმნა. მის სათავეში მარკ ბლოკი და ლუსინ ფევრი იდგნენ. ამ სკოლის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ფერნარ ბროდელი ქადაგებდა ისტორიისა და საზოგადოებრივი სინთეზისაკენ სწრაფვის აუცილებლობას, სივრცითი კავშირურთიერთობების განვითარების გრძელვადიან ტენდენციებს. ფ.ბროდელი მოითხოვს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეთოდოლოგიური ჰორიზონტის გაფართოებას და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამა თუ იმ პრობლემის ისტორიული დროის შესწავლა-გამოკვლევას.

ისტორიკოსთა თეორიულ-მეთოდური ძიებანი კონკრეტდება მათი დამოკიდებულებით მომიჯნავე საზოგადოებრივ მეცნიერებებთან. ეს დებულება განსაკუთრებითაა აქცენტირებული ისტორიული დემოგრაფიის კემბრიჯის სკოლის წარმომადგენლის პისტერ ლასტელის ნაშრომებში (განსაკუთრებით სტატიაში -„ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები“). იგი მიიჩნევს, რომ ისტორიკოსებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ მომიჯნავე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები და კონცეპტუალური აპარატი. იგი თავგამოდებული მომხრეა, რათა ისტორიული მოვლენების კვლევისას გამოყენებულ იქნას სტრუქტურული და რაოდენობრივი მეთოდები, ეკონომეტრიკა, ისტორიული დემოგრაფია და ა.შ.“ ისტორიკოსები (ფრანსუა ფიურე, ფილლიპ აირესი, ფრენკ მენუელი და სხვა). ყურადღებას ამახვილებენ ისტორიული დემოგრაფიისა და ისტორიული ფსიქოლოგიის სინთეზის აუცილებლობაზე. ფრენკ მენუელი (აშშ) ფსიქოლოგიას განიხილავს, როგორც მეცნიერების დარგს, რომელმაც შეიძლება ისტორიას სარგებელიც მოუტანოს და ვნებაც. იგი კონკრეტულად განიხილავს ისტორიული კვლევის „ფსიქოლოგიზაციის“ გარკვეულ ცდებს. ფრენკ მენუელი, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსი, სკეპტიკურად უყურებს გადაჭარბებულ ფსიქოლოგიზმს“(მეტრეველი 2009:332- 333).

„ანალების“ ერთერთმა ბრწყინვალე წარმომადგენელმა ლუსიენ ფევრიმ ჯერ კიდევ 1941 წელს მიუთითა კვლევა-ძიების ახალი მიმართულების საჭიროებაზე. კვლევის მთელ პროგრამას შეიცავდა მისი სტატიის სათაური: „როგორ აღვადგინოთ უწინდელი გრძნობიერი ცხოვრება. მგრძნობიარობა და ისტორია?“ ამ იდეას გვიან გამოეხმაურნენ. განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა ავტორის ფრაზა: „ჩვენ არ გაგვაჩნია სიკვდილის, შებრალების, სისასტიკისა და სიხარულის ისტორია“. „ანალებმა“ შექმნეს „ახალი ისტორია“, რომელმაც შემდგომში წარმოშვა „მენტალიტეტის ისტორია“. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავდა განვლილი ეპოქების ადამიანთა მენტალური სამყაროს, კულტურული გამოცდილებების, დამოკიდებულებების, ღირებულებების, წარმოსახვების, გრძნობების შესწავლას, მაშინ, როდესაც ახალი ისტორიის ინტერესის სფეროში შედის მათი არსებობის სოციალ-ეკონომიკური საფუძვლები, მატერიალური პირობები, ჰავა და დემოგრაფია.

მენტალიტეტების ისტორია ჟაკ ლე გოფს ახალი ისტორიის მხოლოდ ერთ განხრად მიაჩნია. იგი ხაზგასმით განმარტავს, რომ ეკონომიკური და სოციალური ისტორია იმ სახით, როგორც მას წარმოაჩენდა პირველი პერიოდის „ანალები“, აღარ არის ახალი ისტორიის პიონერული ფრონტი. თუ ანთროპოლოგია წარმოდგენილი იყო ადრეულ „ანალებში“ მცირე ხვედრითი წონით, ეკონომიკის, სოციოლოგისა და გეოგრაფიის საპირისპიროდ იგი გადაიქცა პრივილეგირებულად. მენტალიტეტის ისტორია და წარმოდგენები რომლებიც „ანალების“ არსებობის პირველ ფაზაში უმნიშვნელო სახით იყო წარმოდგენილი, შემდგომში გადაიქცა ერთერთ მთავარ მიმართულებად“(მეტრეველი 2009: 344-355).

„პოლიტიკურმა ისტორიამ, რომელიც სოციალურმა მეცნიერებებმა ისტორიული შტუდიების მიღმა დატოვეს მათთანვე კონტაქტით, მათივე პრობლემატიკისა და მეთოდების გადმოღებით, თანდათან დაიწყო ძალის მოკრება ისტორიის ველზე. ეს ახალი აღმასვლა ფერნაცვალი პოლიტიკური ისტორიისა მეტად საინტერესო ჩანს შუა საუკუნეებში. სოციოლოგიისა და ანთროპოლოგიის მნიშვნელოვანი წვლილი პოლიტიკურ ისტორიაში იყო ის, რომ მათ განსაზღვრეს მისი ცენტრალური ცნებისა და კვლევის ძირითადი მიზნები, როგორიცაა ცნება ხელისუფლება და მისი შემადგენელი რეალიები. პოლიტიკურმა ისტორიამ ხელისუფლების ისტორიის ხარისხში ხელახლა შეიძინა ვერბალური ღირსება, რომელიც მენტალობის შეცვლასთანაა დაკავშირებული.“

„პოლიტიკური“ პერსპექტივა ჩანს კულტურის ისტორიაში. განათლება-ესაა ძალაუფლება და, ამასთან, ერთდროულად არის ძალაუფლების ინსტრუმენტი. ბუნებრივია, ყველა სარგებლობს ცოდნის პრივილეგიით. საუნივერსიტეტო სამყარო ფორმალურად ცდილობს, ჩამოაყალიბოს თავისი თავი, როგორც მოდგმა უმაღლესი ხელისუფლებისა, საეკლესიო ხელისუფლებისა და სამეფო ხელისუფლების გვერდით: Studium (ცოდნა)-Sacerdiotum-ისა (სამღვდელოება) და Regnum(სამეფო)-ს გვერდით. შუა საუკუნეებში

(განსაკუთრებით XII ს-დან) აშკარად გამოჩნდა განათლებულთა ჯგუფის გავლენა საზოგადოების მართვაზე.

ჟ.ლე გოფმა თვალი გაადევნა და ყურადღება მიაქცია, რომ გამოეკვეთა სხვადასხვა დონეზე განლაგებული დიფერენცირებული პოლიტიკური ისტორია, რის გამოც ფერნარ ბროდლერმა შემოიტანა "ისტორიის რიტმების ცნება". მოკლე დროში ტრადიციული პოლიტიკური ისტორია, რომელიც ამაღელვებელი მოვლენების აღწერას წარმოადგენდა, გადადის ახალ უფრო სიღრმისეულ დონეზე, სოციალური ანალიზისა და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენების დონეზე, მენტალობის სამომავლო შესწავლისათვის წყაროების ბაზის შექმნაზე.

აკად.რ.მეტრეველის თვალსაზრისით:"მიუხედავად იმისა, რომ ჟ. ლე გოფს მოცემული დრო პოლიტიკური ისტორიის დარგში გარკვეულად კრიზისში მყოფად მიაჩნია, იგი ვერ უარყოფს პოლიტიკური ისტორიის შესწავლის პერსპექტიულობას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენებით. თავისი ცნებები, თავისი ლექსიკა, თავისი მეთოდები შემოაქვს პოლიტოლოგიას. მასთან ერთად პოლიტიკურ სოციოლოგიას და პოლიტიკურ ანთროპოლოგიას. ეს დარგები ახალ ძალას აძლევს პოლიტიკურ ისტორიას. განახლების მიუხედავად, პოლიტიკური ისტორია, გამდიდრებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მონაცემებით, არ შეიძლება ჩაითვალოს ავტონომიურად. დღეს მეცნიერების დარგებისადმი მიდგომა დისციპლინათშორისია და რომელიმე დარგის განცალკევებული წარმოდგენა შეუძლებელია" (მეტრეველი 2009:346- 347).

რ.მეტრეველი შენიშნავს შემდეგს: „ჟ.ლე გოფის მაგალითზე ჩვენ ვნახეთ, რომ უდიდესი ადგილი ეთმობა ადამიანთა მენტალობის კვლევის პრობლემას, საერთოდ, ადამიანთან, მის ყოფასთან, ცხოვრებასთან, აზროვნებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთანავე, რ.მეტრეველი არ ეთანხმება ფრანგი მეცნიერის მიერ წამოყენებულ ზოგერთ დებულებას, მაგრამ მისი გათვალისწინება აუცილებლად მიაჩნია, განსაკუთრებით კი ის გარემოება, რომ ჟ. ლე გოფი მედიევისტია, შუა საუკუნეების ისტორიის მკვლევარი და იგი ყველა ზემოთხსენებულ პრობლემას შუასაუკუნეების მასშტაბში იკვლევს. აუცილებელია, შუა საკუნეების ისტორიის კვლევისას ყველა იმ თავისებურების გათვალისწინება, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანას გააჩნია. საკითხი, რომელსაც ჩვენ ვაყენებთ, რთულია, სხვადასხვა მიზეზთა გამო ძნელად მისაღწევი, მაგრამ საჭირო კია. მეცნიერი ფიქრობს, ფეოდალური ურთიერთობის შესწავლა იმ მონაცემების გარეშე, რაც კავკასიურ, კერძოდ, ქართულ ფეოდალიზმს გააჩნია, ნაკლულოვანია. ისტორია მეცნიერების ისეთი დარგია, რომელიც მუდმივ განვითარებაშია, იქმნება მიმართულებები, კვლევის ახალი მეთოდები. თანამედროვე საზოგადოების განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობსისტორიამ უსათუოდ უნდა აუბას მას მხარი" (მეტრეველი 2009: 348).

თავი მეორე
საგვარეულოების კვლევის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში

§.1. ნიკოლოზ ბერძენიშვილი-სათავადოს მკვლევარი

სათავადოს პრობლემას პირველად შეეხო და მის დამახასიათებელ რამდენიმე ნიშანზე მიუთითა ს.კაკაბაძემ. მან სათავადოს გაჩენა დაუკავშირა ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესს (ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესი კი დაიწყო IV ს-დან). მისი აზრით, ,,სათავადო" თავისი გენეზისით დაკავშირებულია ,,ბენიფიციუმთან", რომელიც XIV საუკუნისთვის მემკვიდრეობით მფლობელობად გადაიქცა. მკვლევარის აზრით, XV საუკუნისთვის ,,სათავადო" თვითკმარი ერთეულია, რომლის სათავეში დგას თავადი, რომელსაც თავის სამფლობელოში სიუზერენული უფლებები აქვს (Какабадзе -1912: 3-15).

ს.კაკაბაძის აზრით,"მე-12 საუკუნის ათასწლეულში საქართველოში პირველად ვხვდებით დასავლეთ ევროპის მსგავს ბენიფიციუმს, სადაც მეფე განაგებდა სოფლებს, გლეხებს, ციხე-სიმაგრეს, თავადაზნაურებს, რომლებიც მას ექვემდებარებოდნენ. თუ, მაგაითად, მფლობელი გადავიდოდა სხვა ადგილას, ბენეფიციუმი გადადიოდა ახალი თანამდებობის პირზე. მაგ. თამარ მეფის დროს XII საუკუნეში, ამირსპასალარი თუ მანდატურთუხუცესი, მაღალი წოდების წარმომადგენელი სახელმწიფოში ერთდროულად ქართველი მეფისნაცვალია სომხეთში და ის ასრულებდა თავის მოვალეობას, ფლობდა ციხე-სიმაგრეს ლორეში მიმდებარე სოფლებით. კაკაბაძე განიხილავს 1196 წლით დათარიღებულ ხელნაწერს, რომელიც თამარის მეფობის პერიოდს ასახავს. მისი აზრით, მიწაზე საკუთრება გააჩნია ამირსპასალარ ჭიაბერს. მფლობელობის ამ სახეს, თავადთა საკუთრებას, ეწოდა სათავადო (Какабадзе 1912: 8).

ჩვენ ვიცით, რომ მიწაზე საკუთრება ყველა ფეოდალს გააჩნდა, და არა მარტო ამირსპასალარ ჭიაბერს. ამირსპასალარის საგამგებლოა ლორე-ტაშირი და შემოერთებული სომხური თემები. მხარგძელებამდე ეს ეკუთვნოდა აბულეთისძეებს და ორბელებს.

ს.კაკაბაძის თვალსაზრისით: „სიტყვა „თავადი" აღნიშნავდა ბატონს. სიტყვა თავადი XI- XII ს.ს. არ იხმარებოდა, უფრო „აზნაური" „დიდაზნაური" „დიდებული". თავადი, მისი აზრით, სიტყვა-სიტყვით რომელიმე ათეულის, ციხე-სიმაგრის „თავს", „მეთაურს" და, უბრალოდ, ჩინოვნიკს ნიშნავდა. მასვე მიაჩნია, რომ სათავადო შემდეგში ნიშნავდა კერძო მიწის მფლობელობას („ფლობას"), რომელიც გადაეცემოდა მემკვიდრეობით მაღალი წოდების აზნაურს. თავდაპირველად იგი არ გადაიცემოდა მემკვიდრეობით, დროთა განმავლობაში ეს წესი შეიცვალა და სათავადო გადაიქცა ევროპაში მოქმედი „ბენიფიციუმის"

მსგავსი ე.ი. მემკვიდრეობითი. ს.კაკაბაძე იქვე გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ XI- XII საუკუნეებში ტერმინი „თავადი“ იხმარება მეთაურის, თავის, „ჩინოვნიკის“ მნიშვნელობით. სავსებით სხვა მნიშვნელობას იძენს XIV საუკუნეში სიტყვა თავადი, იძენს იგივე „დიდებულის“ ტიტულის მნიშვნელობას, რომელიც გადაეცემოდა მემკვიდრეობით (Какабадзе 1912: 9).

1913 წელს გამოდის ს. კაკაბაძის ორი ნაშრომი, პირველი: „ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი“, სადაც მეცნიერი სარგის თმოგველს მეფე თამარის თანამედროვე პიროვნებად არ მიიჩნევს. ს.კაკაბაძე წერს, რომ, „ცნობილი მწერალი სარგის თმოგველი XIII საუკუნის ნახევრის მწერალია და შეუძლებელია, მისი მოღვაწეობა თამარის მეფობას მიეკუთვნოს, რადგან შესაძლებელია, ის თამარის დროს არც კი დაბადებულიყო“(ს.კაკაბაძე 1913 **ა** :12).

მეორე ნაშრომი: „თმოგველთა გვარის ისტორიისათვის“, სადაც ავტორს განხილული აქვს XVI საუკუნის ორი საბუთი, რომლის საფუძველზე თვლის, რომ ფავნელისშვილები ანუ ფავლენისშვილები თმოგველთა გვარის შთამომავლები არიან. ისინი, მისი ვარაუდით დასავლეთ საქართველოში ბინადრობდნენ, ხოლო ნიქოზში მდებარე საყდარი კი მათ საგვარეულო სამარხს შეადგენს. თმოგველებს კი მხარგრძელთა საგვარეულო სახლიდან წარმომდგარად მიიჩნევს: „სარგის ვარამის ძე მხარგძელს ებოძა თამარ მეფისგან თმოგვი და ამით საფუძველი ჩაეყარა XIII საუკუნიდან თმოგველთა გვაროვნებას“ (ს.კაკაბაძე 1913 **ბ** : 9-10).

ს.კაკაბაძე წერს: XIV ს-ის დამლევს ისინი თმოგვში აღარ არიან(დასავლეთ ქართლში არიანო). 1220-1224 წლამდე ვანის მონასტერი თმოგველების საგვარეულო მონასტერია, მაგრამ მოგვიანებით 1339 წლისთვის სარგის კაკაბაძე მიიჩნევს, რომ ვანის მონასტერი თმოგველთა საგვარეულო განსასვენებელს აღარ წარმოადგენს. XIV საუკუნის II ნახევრიდან, მისივე ვარაუდით, თმოგველები „თმოგვს აღარ ბინადრობდნენ“ (ს. კაკაბაძე 1913 **ბ** : 10-11).

1459 წ. ორ საბუთში მოხსენიებულია ფავნელ-უჯარმელი, რომელიც მამულს უთმობს ვირშის წმინდა მთავარანგელოზთა მონასტერს, რადგან ვირშის მონასტერი დასავლეთ ქართლში იყო. ნიქოზის ახლოს, ცხადია, XIV საუკუნეში თმოგველ-უჯარმელები იქვე ბინადრობდნენ, სადაც ჩვენ მას ვხვდებით XVI საუკუნეში. 1459 წელს მოხსენიებული უჯარმელის სახელი ფავნელი, ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ ფავნელისშვილები თმოგველთა შთამომავლები არიან. გამოთქვამს თვალსაზრისს ს.კაკაბაძე. XIV საუკუნის II ნახევრიდან თმოგველნი იწოდებიან თმოგველ-უჯარმელებად. მათ უკვე დატოვებული ჰქონდათ თმოგვი. XVI საუკუნეში თმოგველ-უჯარმელები ბინადრობენ დასავლეთ ქართლს ისინი იწოდებიან თმოგველ-უჯარმელ-ფავლენიშვილებად, წერს ს.კაკაბაძე და მათ საგვარეულო განსასვენებლად ნიქოზს მიიჩნევს (ს.კაკაბაძე 1913(ბ): 12).

შემდგომმა კვლევებმა მოგვცა ის ცნობები, რომ შემდეგ უჯარმელებიც ამოვარდნენ და თმოგველებიც, ხოლო ფავნელიშვილები შთამომავლები არ არიან. ხდება დანათესავება. ფავლენიშვილები ფავნელთა შთამომავლები არიან.

ს.კაკაბაძეს სათავადოს წარმოქმნა პროგრესად მიაჩნია. მსგავსი თვალსაზრისი მოგვიანებით გამოთქვა ი.ანთელავამ. მკვლევარი სათავადოს განიხილავს, როგორც საკუთრების გარკვეულ ფორმას, სათავადოს წარმოშობა კი მას მიაჩნია წინმავალი ფორმების განვითარების შედეგად, სათავადოს ის არ მიიჩნევს ანომალიად, ამასთან ერთად თვლის, რომ ქვეყნის ეკონომოკური ჩამორჩენა გვიან შუა საუკუნეებში არ უნდა იყოს დაკავშირებული სათავადოთა სისტემასთან (ანთელავა 1980: 16, 19, 47, 49.).

გვიანი შუა საუკუნეების ფეოდალური ხანის საქართველოს სენიორიების /სათავადოების/ საკითხი ერთ-ერთი ძირითადი საკვლევი პრობლემათაგანი იყო აკად. ნ. ბერძენიშვილის მეცნიერულ შემოქმედებაში, მანვე მოგვცა მეცნიერული განსაზღვრებაც: ,,სათავადო არის ცალკეული ორგანიზაცია განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ფეოდალური გვარის წევრები ცხოვრობენ ამ ტერიტორიის ფარგლებში ერთმანეთისგან ცალ-ცალკე, შეიძლება ჰქონდეთ პირადი (,,საშინაო" ,,ოჯახის") საკუთრება, უძრავ-მოძრავი ქონება (,,საკუთარი", ,,სათავისთავო"), მაგრამ მოცემული ფეოდალური გვარის ყველა წევრს გააჩნია ზოგადი საგვარეულო საკუთრებაც (,,სახასო") ციხე-დარბაზები და. ა.შ. სენიორიის ანუ /,,სათავადოს"/ საქმეს განაგებს თავადი, ის გამოდის სათავადოს სახელით მეფის წინაშე და სხვა თავადების წინაშეც. ამასთან ერთად, სათავადო სამხედრო ერთეულია, თავადს საომრად გამოჰყავს ლაშქრის განსაზღვრული რაოდენობა, რომელზეც უშუალო სარდლობას ახორციელებს თვით თავადი(Бердзенишвили 1938: 36,38).

სათავადოების დახასათებას ნ. ბერძენიშვილმა საკმაო ადგილი დაუთმო საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში. XV ს. საქართველო პოლიტიკურად დაიშალა. ნ.ბერძენიშვილის თვალსაზრისით, გარეშე მტერთა მიერ საქართველოს ხშირმა დალაშქრვამ, მისმა აოხრებამ და დიდძალი ხალხის დაღუპვამ ეს ქვეყანა ისე დაასუსტა, რომ საუკუნეთა განმავლობაში გამოკეთება ვერ შეძლო. გაპარტახებული მეურნეობის, გაკაფული ბაღ-ვენახების აღსადგენად მშვიდობიან პირობებშიც დიდი დრო და ძალა, აუარებელი მუშახელი იყო საჭირო. შემოსევებმა კი აურაცხელი ხალხი იმსხვერპლა(ბერძენიშვილი 1958: 260).

მოსახლეობის ამოწყვეტა იწვევდა მწარმოებელი კლასის მძაფრ შემცირებას, მფლობელი და მწარმოებელი კლასის რიცხობრივი შეფარდების დარღვევას. სამეფო ხელისუფლების ღონისძიება ექსპლუატატორული და ექსპლუატირებული მოსახლეობის რიცხობრივი შეფარდების აღსადგენად-ტყვედ წაყვანილთა გამოსყიდვა, მეზობელ ქვეყნებიდან მწარმოებელთა გადმოსახლება და სხვა- საკმარისი არ აღმოჩნდა.

შემცირებული მოსახლეობის ნაშრომი საბატონო გადასახადებსა და სათათრო ხარკს ვერ აუდიოდა.

ქართველი ყმა-გლეხობის მდგომარეობა გაუარესდა, მისი ფეოდალური ტვირთი ბევრად გაიზარდა და დამძიმდა. გამოსაღების ზრდა ხდებოდა როგორც ახალი გადასახადების შემოღებით, ისე ძველი გადასახადების რაოდენობის გადიდებით. იმისთვის, რომ ძველი გადასახადების გადიდება უფრო შეუმჩნევლად შეეპარებინათ ყმებისთვის, ქართველმა ფეოდალებმა საზომ-საწყაოები გაადიდეს. ამდენად გაჩნდა ახალი საზომები. თავდაპირველ საზომებს პირველი ან ცოტა(ე.ი. პატარა) ლიტრა ეწოდებოდა, ახალ საზომ-საწყაოებს კი დიდი ლიტრა, კოკა და კაბიწი(კოდი) ერქვა.

მწარმოებელი მოსახლეობის შემცირებამ თანდათან გაანადგურა, გააქრო მოლაშქრეთა ფენაც, მოლაშქრე, რომლის ძირითად საქმიანობას ერთ დროს მხოლოდ ლაშქრობა შეადგენდა, თანდათან იბეგრება; მას უკვე ლაშქრობაც აწევს კისრად და საგლეხო გამოსაღებიც.

მძიმედ დაბეგრილ მოლაშქრეებს უკვე აღარ შესწევთ უნარი თავიანთი იარაღ-საჭურველითა და ხარჯით მიიღონ მონაწილეობა ლაშქრობაში. ამიტომაც სამეფო ხელისუფლების დასაყრდენი მხედარ-მოლაშქრეები იფანტება, იშლება. ამის შესაბამისად იცვლება ლაშქრის ორგანიზაციის ძველი სისტემა. ჩნდება თავადსა და აზნაურზე შეწერილი ლაშქარი. ისე, რომ ლაშქარი ფაქტიურად უკვე თავადების ხელთაა. სამეფო ხელისუფლებაც იძულებულია დაემყაროს სათავადო ლაშქარს. ამან კიდევ უფრო დაასუსტა სამეფო ხელისუფლება და ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობა.

ამრიგად, სოციალურად ზრდა-დასრულებული ქართული ფეოდალური საზოგადოება დაიჩიხა, მას შემდგომი განვითარებისთვის საჭირო პირობები მეტისმეტად შეეზღუდა. ყველა ამის ნიადაგზე წარმოიშვა სათავადოები, ხოლო სათავადოებმა ერთიანი ფეოდალური ქვეყანა პოლიტიკურად დაშალეს. ეს იყო პროგრესის შეფერხება, ფეოდალური რეაქციის გამარჯვება, ამ რეაქციის ნაშობნი იყვნენ ყველა სათავადო სამთავრო-სამეფოები (ბერძენიშვილი 1958: 261-262).

სათავადოების შესწავლა მაღალ საფეხურზე აიყვანა აკად. ნ. ბერძენიშვილმა. ჯერ კიდევ 1938 წელს თავის ნაშრომში ,,ნარკვევი საქრთველოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ისტორიიდან (XIII_XVIს.ს) მან მიუთითა და აჩვენა საქართველოში სათავადოების აღმოცენების წანამძღვრები, სათავადოების საკმაოდ გარკვეული ზოგადი სახე,- აღნიშნავს ო. სოსელია თავის მონოგრაფიაში-„ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან“ (სოსელია 1966:11).

ნ.ბერძენიშვილის თვალსაზრისით, სათავადოების წარმოქმნა საქართველოს პოლიტიკური დაშლის გაღრმავების შედეგი იყო. XIII ს-დან საქართველოს სამეფო

სამთავროებად დაშლის პროცესი იწყება, ცენტრალური ხელისუფლებასა და მეფე-მთავრებს შორის ბრძოლა წარმოებს, ამ ბრძოლაში ფეოდალი სოციალურად და პოლიტიკურად ძლიერდება, შემდეგში ეს პროცესი უფრო ღრმავდება, თითოეული სათავადო („ფეოდალური სახლი-სენიორთა“) სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ, სუვერენიტეტისაკენ, ხელმწიფობისაკენ მიისწრაფვის და ზოგიერთი მათგანი კიდეც აღწევს მიზანს. ნ. ბერძენიშვილი სავსებით გარკვეულ და დამაჯერებელ პასუხს გვაძლევს იმაზე, თუ რა იყო მიზეზი XV ს-ში საქართველოს პოლიტიკური დაშლის, რომლის შედეგად სათავადოები აღმოცენდნენ(სოსელია 1966:11).

მებატონეები ამავე დროს სულ უფრო და უფრო თავისუფლდებიან სამეფო ხელისუფლების მხრიდან მეთვალყურეობისაგან. სამეფო ხელისუფლება სულ უფრო და უფრო ნაკლებად ერევა ბატონისა და ყმის ურიოთერთ დამოკიდებულებაში. მებატონეები საშვილიშვილოდ დაუფლებიან იმ ქვეყნებს, რომლებიც მათ ოდესღაც სამეფო ხელისუფლებისგან სამმართველოდ მიიღეს. საბოლოოდ მიუსაკუთრებიათ მათ თავისუფალი მიწის მუშებისაგან მიწა-წყალიც. ყოველივე ეს მინათვისებ-მინატაცები მებატონის მამა-პაპეულ საკუთრებასთან ერთად სათავადოს ტერიტორიას ჰქმნის. მრავალ ბატონს შეუვალობის უფლებაც მოუპოვებია, ე.ი მეფეს ასეთი ბატონის ყმები ყოველგვარი გადასახადებისგან გაუთავისუფლებია. ასეთ გადასახადებს ამიერიდან ეს ყმები შეუალობის მქონე მებატონეს უხდიან. მოპოვებულ უფლებას მებატონეები ადვილად არ თმობენ, პირიქით, კიდევ უფრო აფართოვებენ მას. გადასახადები, ადმინისტრაცია და სამართალიც კი მეტწილად ამიერიდან მებატონეთა ხელშია.

მთელი საქართველო თანდათან ასეთი სათავადოებით მოიფინა. ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ აკავშირებდა ამ ნახევრად-ხელმწიფეებს მეფის ხელისუფლებასთან, ეს იყო მათი სალაშქრო მოვალეობა: თავადები მოვალე იყვნენ მათზე შეწერილი მოლაშქრეებით გამოსულიყვნენ მეფის მოწოდებაზე. მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო ეს ერთადერთი სახელმწიფო მოვალეობაც თავადებს ზედმეტ ტვირთად ეჩვენებოდათ. ისინი სულ უფრო და უფრო იფარგლებოდნენ თავისი სათავადოს ინტერესებით, მათ თანდათან უქრებოდათ საქვეყნო ინტერესების გაგება, სათავადოს ვიწრო ინტერესები კი ხშირად არ ეთანხმებოდა საერთო სახელმწიფოებრივს.

ყოველივე ამას ის გარემოება კვებავდა, რომ ქვეყანა დიდი ხანია ეკონომიკური დაცემის გზას ადგა. კარჩაკეტილი მეურნეობა უცილობლად ბატონობდა. ასეთ პირობებში ვერ წარმოიშვებოდა ახალი ძლიერი საზოგადოებრივი ფენა, რომლისთვისაც ქვეყნის სამეურნეო და სახელმწიფოებრივი მთლიანობა საარსებო პირობა იქნებოდა და რომელსაც მეფის ხელისუფლება ამიერიდან დაეყრდნობოდა. კარჩაკეტილი მეურნეობისას მწარმოებელი საზოგადოება ნაკლებად გრძნობს ქვეყნის სახელმწიფოებრივი მთლიანობის

ძლიერ საჭიროებას და სახელმწიფოს დაშლისკენ მიმართულ საქმიანობას გულგრილად უყურებს. ასეთ პირობებში ყოველმხრივ გაძლიერებული თავადები, რომელთა ხელში ხშირად მთელი ქვეყნებია, სრული ხელმწიფებისკენ მიისწრაფვიან. უცხო დამპყრობლებიც ასეთ თავადებს მხარს უჭერენ და მეფის ხელისუფლებას გამდგარი თავადების დამორჩილების საშუალებას არ აძლევენ(ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია 1948: 302–304).

მიუხედავად ამისა, ისინი იყო ის ძალა, რომლებიც ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლაში მეფის მხარდამხარ იბრძოდნენ და არაერთი მაგალითი გვაქვს სამშობლოს სამსხვერპლოზე თავისი სიცოცხლის გაწირვისა, ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ. საქართველოს პოლიტიკური დაშლის და სათავადოების აღმოცენების საკითხებზე ნ. ბერძენიშვილმა 1954 წლიდან უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება. ნ.ბერძენიშვილმა ახლებურად გაიგო სათავადო, როგორც საქართველოს ისტორიის გარკვეულ საფეხურზე შექმნილი ჩიხის შედეგი და არა პროგრესისა, როგორც მანამადე ფიქრობდნენ(სოსელია 1966:14-15).

დ.გოგოლაძის სამეცნიერო ნაშრომი „სათავადოს საკითხი ნიკო ბერძენიშვილის შრომებში", რომელიც გამოქვეყნდა კრებულში „ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან" (ეძღვნება აკად.ნ. ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავს).ავტორის თვალსაზრისით:„ნ.ბერძენიშვილის კონცეფციით სათავადოთა სისტემა საქართველოში წარმოიშვა ბატონყმობის ნიადაგზე"(გოგოლაძე 1976: 9-10).

დ.გოგოლაძე ამ ნაშრომში შემდეგ შეფასებას აძლევს ნ. ბერძენიშვილის კონცეფციას: „აშკარად ნათელია პრინციპული განსხვავება ნ. ბერძენიშვილის კონცეფციასა და სხვების კონცეფციებს შორის, XII საუკუნის გაერთიანებული ფეოდალური საქართველოსა დახასიათებასა და შემდეგდროინდელი სათავადოების– შუასაუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სისტემის წარმოშობისა და მისი შეფასების საკითხში.

აღსანიშნავია, რომ ნ.ბერძენიშვილმა თვალი გაადევნა სათავადოების ისტორიის დასრულებასაც. მან აღნიშნა სათავადოების სისტემის რღვევის მიზეზები საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში(გვიანფეოდალურ ხანაში),რუსეთთან შეერთების შემდეგ. სახელდობრ: 1.რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველი თავადების მიერ ძველი ფეოდალური მემკვიდრეობითი თანამდებობების დაკარგვა, 2. ამ მემკვიდრეობითი თანამდებობებთან დაკავშირებული სოციალური გავლენისა და მატერიალური შემოსავლის დაკარგვა, 3.სათავადოების მიერ სხვადასხვა სახის ფეოდალური იმუნიტეტის, მათ შორის საგადასახადო შეუვალობის დაკარგვა".

დ. გოგოლაძეს შემდეგნაირად ესმის ნ.ბერძენიშვილის კონცეფცია: „სათავადოს სისტემის რღვევასთან დაკავშირებით ნ.ბერძენიშვილმა მოგვცა აგრეთვე ახალი დახვეწილი

დებულება იმის შესახებ, რომ XIX ს. პირველ ნახევარში სათავადოების სისტემის რღვევის ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ქართველი თავადი რუს მემამულე-პომეშჩიკს ემსგავასებოდა, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ „სათავადო შეუვალ ან ნახევრად შეუვალი სამფლობელო კი აღარაა , არამედ ხელმწიფის (რუსეთის იმპერატორის) ქვეშევრდომის-„პომეშჩიკის“ უბრალო მამულია“.

დ.გოგოლაძეს ასე ესმის ნ.ბერძენიშვილის დებულება: „აღნიშნულ დებულებაში მოცემულია რუსეთთან შეერთების შემდეგ რუს მებატონე-ფეოდალთან ქართველი თავადის სოციალური უნიფიკაციის არსი, უნიფიკაციისა, რის შედეგად მივიღეთ მემკვიდრეობითი თანაარსებობისა და სხვადასხვა სახის ფეოდალური იმუნიტეტის უქონელი, აზნაურებ-ჩამორთმეული მებატონე, ქართველი თავადი რუსეთის „პომეშჩიკის“ (მემამულის) ტიპისაა. საბოლოოდ კი, ქართული სათავადოთა სისტემის მოსპობა, რაც პროგრესულ (ეპოქალურ) მოვლენას წარმოადგენდა ქვეყნის სოციალ–ეკონომიკური წინსვლისა და განვითარებისთვის“(გოგოლაძე 1976: 17-18).

დავინტერესდით, ნ.ბერძენიშვილის ხედვა იყო და გამართლებულად მიაჩნდა თუ არა მას ქართული სათავადოთა სისტემის მოსპობა პროგრესულ მოვლენად რუსეთთან შეერთების შემდგომ, თუ დ.გოგოლაძეს ესმოდა ასე. ამისთვის თვალი გავადევნე ნ.ბერძენიშვილის რამოდენიმე მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ მსგავსი რამ არ ჩანს, კი, მართალია, იგი აკრიტიკებს სისტემას, მაგრამ მეტად ფრთხილად (ბერძენიშვილი 1965: 266–267,431).

ბოლოს შემდეგ შეფასებას აძლევს დ.გოგოლაძე ნ.ბერძენიშვილის კონცეფციას და ხედვებს: „ასეთია აკად. ნ ბერძენიშვილის შეხედულებანი და კონცეფცია სათავადო-სენიორიების წარმოშობასა და მისი არსის საკითხზე. შეუძლებელია, გადაჭარბებით იქნას შეფასებული მისი დიდი დამსახურება საქართველოს ისტორიის მოცემული პრობლემის შესწავლაში. აქაც, ისე როგორც საქართველოს ისტორიის ზღვა საკითხებზე, ნათლად ჩანს დიდი მეცნიერის, უმაღლესი რანგის პროფესიონალი ისტორიკოსის ხელწერა, რაც, საერთოდ, დამახასიათებელია მთელი მისი მეცნიერული მემკვიდრეობისათვის (გოგოლაძე 1976: 17–18)

§.2. ცალკეული სათავადოების შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში. (ორი თვალსაზრისი ამ საკითხის შესახებ)

ნ. ბერძენიშვილის ნარკვევის გამოქვეყნებით 40-იანი წლებიდან იწყება საქართველოს ცალკე სათავადოების შესწავლა.

1942 წ. დ.გვრიტიშვილმა გამოაქვეყნა ,,ქსნის საერისთაო XVIII ს-ში"(თეზისები).

1944 წ. გამოიცა ო.სოსელიას „არგვეთის სათავადოების ისტორიიდან" _ („საწერეთლო") თეზისები. თბ,1944.

1947 წელს გამოვიდა ო.სოსელიას „წერეთლიანთ სათავადოს ისტორიიდან" "ანალები "ტ, I, 1947

აკად. ს. ჯანაშიას შრომების II ტომში, რომელიც 1952 წელს გამოიცა, საყურადღებოა მისივე ნაშრომი სათაურით: „ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ", სადაც მეცნიერი აყალიბებს შემდეგ თვალსაზრისს: „..მთელი რიგი ღრმა დაკვირვებაა მოცემული ვახუშტის ქრონოლოგიით XV ს-ის დამლევიდან XVII ს-ის პირველი მესამედის დამლევამდე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესახებ: 1. საერისთაო ხელისუფლების დამკვიდრება ცალკეულ ფეოდალურ საგვარეულოებში. 2. თავადთა წრის ჩამოყალიბება, რაც ახალი ფეოდალური თაობის წარმოშობად მიაჩნია. 3.არსებითი ცვლილებები სამხედრო საქმის ორგანიზაციაში" (ჯანაშია 1952 **ა**:456).

იმავე შრომების II ტომში დაიბეჭდა ს.ჯანაშიას კიდევ ერთი წერილი „ბარათაშვილთა გენეოლოგიისათვის", სადაც აკად ს.ჯანაშია მიიჩნევს, რომ: „ბარათაშვილთა საგვარეულო ყველა ნიშნით მეთხუთმეტე საუკუნეში ყალიბდება" (ჯანაშია 1952 **ბ**:464).

ს.ჯანაშიას ბარათაშვილები ქაჩიბაძეების ჩამომავლად (შთამომავლად) მიაჩნია (ჯანაშია 1952:468-470). მისივე ვარაუდით, ფიტარეთის მონასტერია მათი საგვარეულოს განსასვენებელი. ბარათაშვილთა, კერძოდ, ამ საგვარეულოსგან გამოყოფილი შტოსი, ყაფლანიშვილ- ორბელიშვილთა, „სამკვიდრო სახლად" მიიჩნევს სოფელ ტანძიას. ს.ჯანაშიას აზრით, „ქავთარი საზოგადოდ საყვარელი სახელი იყო ბარათაშვილებში, იმდენად, რომ ამ საგვარეულოს ერთერთ მრავალრიცხოვან შტოთაგანს „ქავთარიშვილებიც" კი შეერქვა" (ჯანაშია 1952: 471).

ქაჩიბაძეების გადმოსვლას აღმოსავლეთ საქართველოში აკად. ს. ჯანაშია უკავშირებს მიგრაციის პროცესს, ბაღვაშებისა და ანჩაბაძეების შემთხვევის მსგავსად.

ანჩაბაძეების შესახებ იგი წერს: „იმერთ-ამერეთის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე გზაზე სხდებიან ანჩაბაძენი, რომელთა გვარსახელი თავისი წარმომავლობით და მერმინდელი ისტორიით (ბას+ძე) „ქაჩიბაძის" სრულ ანალოგს წარმოადგენს. ანჩაბაძისგან

შექმნილად მიაჩნია მას მაჩაბელთა რეზიდენცია: „ანჩაბაძის მიხედვით იქმნება ფეოდალური რეზიდენციის სახელწოდება: „მაჩაბელი“ (ჯანაშია 1952:476-478).

მ.ქიქოძემ შეისწავლა საამილახვრო და ავტორეფერატის სახით 1952 წელს გამოსცა სათაურით: „Из истории феодалъноиі сенориі саамилахвро XVI-XVIII в.в.“-Автореферат .ТБ,1952. მოგვიანებით, 1963 მ.ქიქოძემ ამავე სათაურით ქართულად გამოაქვეყნა: „ქართლის სათავადოს ისტორიიდან XV-XVII სს“. /საამილახვრო/ სადაც აღნიშნული საკითხი, ძირითადად, დებულებების სახით არის გადმოცემული: საამილახვროს სათავადოს წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესზე დაკვირვების შედეგად მკვლევარს გაკეთებული აქვს შემდეგი დასკვნა: „სხვილოსური მამულის გაძლიერება და დაწინაურება, მისი გადაცემა ზედგენიძეთათვის წარმოადგენდა გიორგი ბრწყინვალის გარკვეულ შედეგს ,რომელიც მიმართული იყო ძლიერი დასაყრდენი ერთეულის შექმნისაკენ და ჩრდილოეთის ხაზის გაძლიერებისაკენ, ოსებისა და სხვა მოთარეშეებისგან თავის დასაცავად.

„მსგავსი სამხედრო ადმინისტრაციული ერთეულების აუცილებლობა გამომდინარეობდა ფეოდალური ქართლის წყობილების ბუნებიდან, ეს ერთეულები გადამწყვეტ მნიშვნელობას ასრულებდნენ გარეშე მტრებისგან ქვეყნის დაცვის საქმეში, იმავე დროს ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენდნენ, რომლის საშუალებით ქვეყნის მართვას ახერხებდნენ,“–წერს მკვლევარი (ქიქოძე 1963:99).

ვფიქრობთ, რომ XVს-ის მეორე ნახევარში სწორედ ასეთი გაძლიერებული ერთეულები ჩამოყალიბდებიან მოგვიანებით დამოუკიდებელ ერთეულებად, ძლიერ სათავადოებად ქართლში, რომლებიც შემდგომში „ნახევრად ხელმწიფეებად“ იქცნენ ქვეყანაში.

1955 წელს გამოვიდა დ. გვრიტიშვილის ნაშრომი „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“ (ქართლის სათავადოები). ავტორი სავსებით იზიარებს აკად. ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისს.

1955 წელს გამოიცა გ.ჯამბურიას მონოგრაფია „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან” (სომხით-საბარათიანოს სათავადოები), სადაც მეცნიერი ქაჩიბაძე-ბარათაშვილ-ყაფლანიშვილების სათავადოს წარმოქმნას და ამ საგვარეულოდან გამოსული სხვადასხვა გვარებისა და განშტოებების გენიალოგიას გვაწვდის. ყაფლანიშვილთა სათავადოს გაუქმების თაობაზე გივი ჯამბურია წერს: „მართალია, XIX საუკუნეში გაიყარა ყაფლანიანთ სახლი, ე.ი სათავადო თითქოს ამ დროს დაიშალა, მაგრამ სათავადომ ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე. მეცნიერს მიაჩნია, რომ მოსამართლეობა, ადმინისტრაციული მმართველობა, სამხედრო ეკონომიკური და სხვა ფუნქციები, რომლებიც სათავადოსთვის ძირითადი დამახასიათებელი თვისებებია, სამეფოს გაუქმებასთან ერთად გაქრა, საყაფლანიშვილო მამულად იქცა,

ყაფლანიშვილები კი მემამულეებად. სათავადო „საყაფლანიშვილო” XIX ს-ის დამდეგიდან აღარ არსებობდა. 1854 წლის აქტმა კი მხოლოდ ფორმალურად დაადასტურა სათავადოს გაქრობა. XIX საუკუნეში სწრაფი დაქვეითება განიცადა საყაფლანიშვილომ. ამ საფეოდალოს ეკონომიკური სიძლიერე ჯერ კიდევ XVIII ს. II ნახევარში შეირყა. ყაფლანიშვილების უზარმაზარი მამულები გამუდმებული ლეკიანობის თუ შინაფეოდალური ომების წყალობით თითქმის თითქმის სულ გაუკაცრიელდა. XIX საუკუნეში ეს ცარიელი მამულები თანდათან ეცლებოდათ ხელიდან. პატივცემულ მეცნიერს მიაჩნდა, რომ 1851 წელს კომისიამ გამოიმუშავა პირობები გაყრისა, ხოლო მისი საბოლოო გაყრა გაფორმდა 1854 წელს (ჯამბურია1955: 184 ,186).

ქავთარიშვილების საგვარეულოს შესახებ გივი ჯამბურია წერს: „ამ გვარის შესახებ სულ რამდენიმე ცნობა გვაქვს“-ო (ჯამბურია 1955:69).

რასაც არ იზიარებს გ. მჭედლიძე: მისი აზრით: ქავთარიშვილების საგვარეულოს წარმომადგენლები ისტორიულ დოკუმენტებში ხშირად იხსენიებიან XVII ს-ის მეორე ნახევარსა და XVIII-XIX საუკუნეებით დათარიღებულ ისტორიულ საბუთებში გვხვდებიან ქავთარიშვილთა საგვარეულოს შემდეგი წევრები: მანუჩარი, სულხანი, გიორგი, იოთამი, ედიშერი, ნიკოლოზი, ზაზა, ბერუკა, ავთანდილი, დავითი, გუგუნა იოთამიდა სხვა. მკვლევარი, მართალია, მას მცირე საგვარეულოს მიაკუთვნებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიაჩნია, რომ ამ საგვარეულოს შესახებ არსებობს საკმაო ცნობები.

ქავთარი ბარათაშვილების საგვარეულო სახელია. ქავთარიშვილების საგვარეულოს დასაბამი მისცა XVII საუკუნის შუა ხანებში მცხოვრებმა ქავთარ ბარათაშვილმა, რომელსაც სამი ვაჟი ჰყავდა: პაატა, სულხანი და იონათამი. ისინი ისტორიულ დოკუმენტებში ხან ქავთარიშვილის, ხან ბარათაშვილის გვარით გვხვდებიან(მჭედლიშვილი 2019:60-62).

XVIII საუკუნეში ხშირი ყოფილა ქავთარიშვილების მიერ საკუთარი ყმა-მამულის გაყიდვის ფაქტები. „ოსმალობამ“, „ყიზილბაშობამ“ და „ლეკიანობამ“ ქავთარიშვილების სათავადოც მთლიანად გააპარტახა. ამ საგვარეულოს დიდი ნაწილი საცხოვრებლად თბილისში გადასულა, მცირე ნაწილი საბარათიანოში დარჩა ზოგს გვარიც შეუცვლია და ისევ ბარათაშვილის გვარს დაბრუნებია(მჭედლიშვილი 2019: 64-65)

სათავადოების საკითხი განხილული აქვს მამია დუმბაძეს თავის ნაშრომში: „დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში”, თბ., 1957. 1958 წელს გამოდის ვ. გაბაშვილის „ქართული ფეოდალური წყობილება XVII საუკუნეში. 1959 წელს თსუ შრომების 77 ტომში დაიბეჭდა ნოდარ ასათიანის სამეცნიერო სტატია: „საადგილ-მამულო ურთიერთობებისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI-XVIII საუკუნეების კახეთის სამეფოში”, სადაც ნ. ასათიანი არკვევდა სათავადოსთვის დამახასიათებელ მიწისმფლობელობის პირობებს და სათავადოთა არსებობის საკითხს აღნიშნულ სამეფოში.

„ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან“ ამ სათაურით დ.ბერძენიშვილის ნაშრომი დაიბეჭდა 1960 წელს „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის“ კრებულში, სადაც განხილულია ქვემო ქართლის 1958 წლის ექსპედიციის დროს სოფ. ქვემო წერაქვში აღმოჩენილი წარწერა. „ეს ნასოფლარი დღევანდელი სოფლიდან დაახლოებით 2 კმ-ზეა, სამონასტრო კომპლექსი კი ნასოფლარის ჩრდილოეთ განაპირას დგას. იქვე ტაძრის აფსიდას ძირში აღმოჩნდა რამდენიმე წარწერა, წარწერიდან ირკვევა, რომ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია აღსადგენი დახვედრია ფანასკერტელს, რომელსაც დაუწყია მეორედ განახლება. განმაახლებლის სახელი დაკარგულია და მხოლოდ „დიდ ფანასკერტელადაა“ მოხსენიებული.

„სოფ. წერაქვი და მისი მიდამოები აქაური მოხუცების სიტყვით, ბარათაშვილთა კუთვნილება ყოფილა. XVII საუკუნეზე უადრეს საბუთებში იგი არ შეგვხვედრია. 1689 წლის ერთ-ერთ საბუთში კი წერაქვი ბარათაშვილის „მკვიდრი მამულია“, ხოლო 1783 წელს მათგან განაყარი გოსტაშაბიშვილებისა საინტერესოა ფანასკერტელის მოხსენიება საბარათიანო სოფელში. ვინ შეიძლება იყოს იგი და რა დროის მოღვაწე? რა ხელი ჰქონდა მას ქართლის ამ განაპირა სოფელში? ვიდრე ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ვეცდებით, ფანასკერტელთა საგვარეულოს შევეხებით შესაძლო სისრულით“.-წერს დ.ბერძენიშვილი (ბერძენიშვილი 1960: 95-98).

ფანასკერტელთა უფლება გარკვეული დროიდან მთელს ტაოს სწვდებოდა. იგი იყო ერისთავთ-ერისთავი პატრონი ტაოსი, ადრე კი, IX საუკუნეში უკვე ტაოს, შავშეთ-კლარჯეთის სამთავრო საგვარეულოს ერთერთი უმთავრესი შტო ფლობს, რომლის წარმომადგენლები ჩვეულებრივ კურაპალატობის პატივს ატარებენ და ზოგჯერ ცნობილნი არიან, როგორც „მეფენი-ტაოელნი“. საინტერესოა, რომ ფანასკერტი ბაგრატ III (975-1014) დროს სამეფო ციხე ჩანს, მისი საზაფხულო სადგომი.

ბიზანტიიდან შინ დაბრუნებული ბაგრატ IV-ს (1027-1072) სხვებთან ერთად ეგებებიან დიდებული ერისთავნი, აზნაურნი ტაოელნი, რომლებიც მალე ამჟღავნებენ ქართველთა მეფის ღალატს და ბერძენთა მხარეზე გადასვლის სურვილს. მათ შორისაა ვაჩე კარიჭის ძე რომელზეც დ.ბერძენიშვილი წერს, მნიშვნელოვანი ფიგურაა ტაოში ბანელი ეპისკოპოსის გვერდით, იგი იყო მწყემსი ფანასკერტისა და სრულიად ტაოსი. განდევნილ გიორგი რუსის საქართველოში დაბრუნებისას თამარის მოღალატეთა რიგში ჩანს გუზანი ტაოელი ერისთავთ-ერისთავი. კოლას მთაზე თამარის ერთგულ აზნაურიშვილებს გუზანის ცოლ-შვილი ტყვედ ჩაუგდიათ, ამ ერთგულთა შორის ჩანან ზაქარია ფანასკერტელი, ძინიელი და კალმახელნი. ესაა პირველი ფანასკერტელი, რომელიც ჩვენ გვხვდება წყაროებში, აღნიშნავს დ.ბერძენიშვილი. არის კიდევ ერთი მიქაელ ხუცესი ფანასკერტელი, რომელიც 968 წელს იხსენიება ერთადერთი ხელნაწერის ანდერძში, მაგრამ აქ ფანასკერტელობა

სადაურობის მაჩვენებელია მხოლოდ და, რა თქმა უნდა, არავითარი კავშირი ფანასკერტის მფლობელობასთან მას არა აქვს. ზაქარია კი ფანასკერტის მფლობელი ფეოდალია,-წერს დ.ბერძენიშვილი. დ.ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ ზაქარიას შესახებ ცნობებს გვაწვდს ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაც. ამ ცნობის მიხედვით შავშეთიდან, ღადოს მთებიდან მიდის, იგი არაა უგვარო აზნაური, მაგრამ სამეფო კარზე ახლა იწყებს დაწინაურებას. დ. ბერძენიშვილის თვალსაზრისით, ასპანიძენი შემდეგ ხანებში ტაოს ერთერთი ფეოდალური საგვარეულოა, ამ შემთხვევაში კი, შესაძლოა, ზაქარიას მამის შვილობას აღნიშნავდეს ისევე, როგორც აბუსერისძისა (აბუსერ), ბაკურიანისძისა (ბაკურიანი).

განსაკუთრებით საინტერესოა მეცნიერისთვის ცნობის შემდეგი სიტყვები: "შავშეთით სპერით კერძო ფანასკერტი იყო" დ.ბერძენიშვილი შენიშნავს: "ჩვენ ვიცით, რომ შავშეთიდან სპერამდე კლარჯეთი იყო და ისტორიკოსს (ე.ი ბასილი ეზოსმოზღვარს) კი სამივე საერისთაო ფანასკერტად აქვს გამოცხადებული (ბერძენიშვილი 1960:100-101).

გუზანის ერისთავ-ერისთაობაში თითქოს ასე არ ჩანს, იგი ტაო-შავშეთ-კლარჯეთის პატრონი იყო. ზაქარია კი ფანასკერტელია, ე.ი ფანასკერტის მფლობელი, რომელიც გუზანის წინააღმდეგ ბრძოლაში წინაურდება და გუზაანის დამარცხების შემდეგ მისი ადგილ-მამულის მემკვიდრე ხდება, რითაც ზაქარია ტაო-შავშეთ-კლარჯეთის ახალი პატრონია. ამის მერე ბუნებრივად ეჩვენება ისტორიკოსს, რომ : „შავშეთ-სპერით კერძოდ ფანასკერტი იყო"- აღნიშნავს დ.ბერძენიშვილი.

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვით, ზაქარია ასპანიძეს დამარცხებული გუზანი სპარსეთს წასული შეუპყრია და და საქართველოში მოუყვანია. ამის მერე კარგა ხნის განმავლობაში ფანასკერტელთა შესახებ არაფერი ჩანს ქართულ წყაროებში, არც სომეხ ისტორიკოსებთან არ არის მათი ხსენება. შემდგომ ხანებში ასპანიძეთა ერთმა შტომ განაგრძო ფანასკერტელობა, მეორე შტო კი იქვე ტაოში დიდხანს შემორჩა ასპანიძეთა ფეოდალურ საგვარეულოდ. დ.ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ: „ფანასკერტელთა იმ დროინდელ სამფლობელოში, ტაოსთან ერთად შედიოდა ჭოროხის ხეობის განაპირა სასაზღვარო კანტონებიც. შეცლილი ვითარება ჩანს შემდგომ ხანებში, ფანასკერტელები თანდათან მხოლოდ ტაოს ერისთაობასღა სჯერდებოდნენ და შავშეთით სპერით ფანასკერტი აღარაა" (ბერძენიშვილი 1960: 101-102).

XIII საუკუნის II ნახევრიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერისთავთა შორის განსაკუთრებით წინაურდება ჯაყელთა საგვარეულო. სამცხის პატრონი თავის გავლენას თანდათან ავრცელებს მეზობელ სათავადოებზე. ყვარყვარე, სარგის, ბექა ჯაყელები დიდი ფეოდალები არიან. დ.ბერძენიშვილს საინტერესოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ დაწვრილებით ჩამოთვლილ ჯაყელთა სამფლობელოში ხაზგასმულია „უმრავლესი ტაო" და არა „ჩვეულებრივ ტაონი". მისი თვალსაზრისით, ტაოს ერისთავი-ფანასკერტელი შეიძლება

ყოფილიყო ამის მიზეზი, რომელიც რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას უწევდა ჯაყელთა მისწრაფებებს და თავისი სამფლობელოს ნაწილს მაინც ინარჩუნებდა. 1306 წელს მომხდარა თურქთა შემოსევა აზატ-მოსეს წინამძღოლობით. მეორე წელსაც მობრუნებულან თურქები. მოტანილი ცნობებიდან ნიშანდობლივი ისაა, რომ თაყა ფანასკერტელი მტერს თორთუმის ციხესთან უმართავს ბრძოლას, როგორც ჩანს, თორთუმიც ფანასკერტელის სამფლობელოს ფარგლებში შედის, თორემ სხვისი ქვეყნის დაცვით თავს არ შეიწუხებდა თაყა. შემდეგ თურქებთან მებრძოლთაგან მხოლოდ ბექა ჩანს და ფანასკერტელი, სხვა ერისთავები ალბათ ჯაყელს რომ ემორჩილებიან უკვე, მემატიანეს დასახელებული არ ჰყავს. გამოდის, რომ თაყას ჯერ არ დაუკარგავს დამოუკიდებლობა, იგი არაა ჯაყელის ქვეშევრდომი.

თემურ-ლენგის ლაშქრობათა პერიოდში, 1400 წელს, საქართველოს მეფისა და ათაბაგის დამარცხების შემდეგ თემურს შეატყობინეს, რომ ქართველები ფანასკერტის ციხეში გამაგრებულიყვნენ. თემურის ლაშქარს 5 დღეში 7 ციხე აუღია და დაუნგრევია

თანდათან გაძლიერებული ფეოდალური საგვარეულო სამცხის სპასალარისა აღარც საქართველოს მეფეს ეპუებოდა უკვე. მათ შორის უთანხმოებაა და ჯაყელისგან შევიწროებული ფანასკერტელი, ბუნებრივია, მეფის ერთგული და საიმედო მოკავშირე იქნება. დ.ბერძენიშვილის ვარაუდითვე ქართლში ადგილ-მამულის მოპოვების დროს ფანასკერტელებს მეფისგან მხარდაჭერა ექნებოდათ.

დ.ბერძენიშვილი ფანასკერტელების ქართლში გადმოსვლას XVII საუკუნის II ნახევრით განსაზღვრავს: “ბუნებრივია, რომ ფანასკერტელები ქართლში თავისუფალ, უმკვიდრო მიწებზე კი არ ჯდებიან, არამედ აქაურ ფეოდალთა შევიწროების ხარჯზე გამოდიან. პირველი, რაც ფანასკერტელებმა ქართლში მოიპოვეს, ეს ორბოძლელის მამული იყო, ხვედურეთი, კეხისჯვარი და სხვა ნასისხლად მიღებული ორბოძლელისაგან ღალატის საფასურად. “ამ ფაქტის აღმნიშვნელი სიგელი 1467 წელს ეძლევა პირს, რომლის პაპასაც მიუღია ეს სოფლები, ამიტომ საფიქრებელია, ეგ მომხდარიყო XV საუკუნის II ნახევარში ან მის მიწურულს”(ბერძენიშვილი 1960:103-105).

1415-19 წლის ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ ფანასკერტელს ატენში ლუსმალაურ მამულზედაც მიუწვდება ხელი, ხოლო მოგვიანებით ატენის მოურავიც ხდება, ასევე ძამის ციხე, ადრე ჯავახიშვილთა ნაქონი, XV საუკუნისათვის ფანასკერტელთა ხელშია. ერთი სიტყვით, ფანასკერტელთა მიერ ქართლში ადგილ-მამულის დაპყრობამ ორბოძლელ-ჩიჯავაძეთა და ჯავახიშვილთა შვიწროვება გამოიწვია, რასაც ეს უკანასკნელნი დიდხანს ვერ ურიგდებოდნენ, ამ ნიადაგზე მათ შორის ხშირი იყო ბრძოლა და აწიოკება.

დ.ბერძენიშვილი შემდეგ ხსნის, თუ როგორ მოხდა ფანასკერტელების ციციშვილობად გახდომა:“... ცხადია, გვარი მოდის სახელიდან ციცი, რომელიც ალბათ მამამთავარი იყო ქართლში მომსვლელი ერთი შტოსი, განსხვავებით იმ ფანასკერტელთაგან, ტაო-შავშეთში

რომ შემორჩნენ თავის მკვიდრ მამულს. ...ციცი XV საუკუნის ის მოღვაწე უნდა იყოს, რომელიც პირველად იძენს ქართლში მამულებს. ამ მოსაზრებას ამართლებს ისიც, რომ ჩვენთვის ცნობილი ქართლში მოღვაწე ფანასკერტელთაგან უძველესი თაყა (ალექსანდრე დიდის თანამედროვე) უკვე ციციშვილად იხსენიება. რა თქმა უნდა, ამის მერეც ხშირია შემთხვევა ახალი საგვარეულოს წევრთა პირდაპირ ფანასკერტელად მოხსენიებისა, მაგრამ ეს სრულიად არ გამორიცხავდა მათს ციციშვილობას ისევე, როგორც ციციშვილად დასახელება მათი, აქვე იგულისხმება ფანასკერტელობაც. ფანასკერტელ-ციციშვილები ქართლში თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად ცდილობენ დაწინაურდნენ სამეფო კარზე, ნათესაური კავშირი დაამყარონ ქართლის გავლენიან ფეოდალებთან (ბერძენიშვილი 1960:105).

XV საუკუნის შუა წლებიდან ფანასკერტელ-ციციშვილებს რთული პირობები შეექმნათ. ქართლში ვახტანგ ალექსანდრეს ძის გამეფებისთანავე კიდევ უფრო გაძნელდა თაყა ფანასკერტელ-ციციშვილის მდგომარეობა დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ, როცა ის გიორგი მეფის ყმა შექმნილა. იმერეთში ამ დროს ბაგრატ ალექსანდრეს ძეა, რომელიც გიორგი მეფეს ებრძვის. როგორც ჩანს, არც ბაგრატი სწყალობდა თაყას და ქართლში გადმოსულს, ერთხელ ციციშვილის დასარბევად თავისი ჯარი გაუსევია. მეფე გიორგი კი არ მიხმარებია ყმას (ბერძენიშვილი 1960:106).

თაყას შემდეგ ფანასკერტელ-ციციშვილების სახლის სათავეში ზაზა თაყას ძე ჩასდგომია. ამ ზაზასთან დაკავშირებული საბუთებიდან ჩანს, რომ ფანასკერტელ-ციციშვილები აფართოებენ რა თავის მამულებს ქართლში, ჯერ კიდევ არ სწყვეტენ კავშირს ტაო-შავშეთთან. აქ ისინი ისევ ერისთავებად იწოდებოდნენ და თან სამეფო კარზე დაწინაურებას ცდილობდნენ. ეს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, მაგალითად, მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა. საბუთებიდან ირკვევა, რომ ზაზას და მის ძმას ციცის შორის უთანხმოებაა. ძმებს შორის ეს ურთიერთობა სწორედ მეფესა და ათაბაგთან დამოკიდებულების გამოა გამწვავებული. ზაზა მეფის მომხრე ჩანს, ციცი კი ამისთვის არ ირჯება. ამ დროს შეურიგებელი ბრძოლაა მეფესა და ათაბაგს შორის.

დ.ბერძენიშვილის თვალსაზრისით, მოცემული მასალებიდან ჩანს, რომ XV საუკუნის II ნახევრიდან მოკიდებული, მეფის ერთგულებით, სამეფო კარზე დაწინაურებული ფანასკერტელები ქართლში მამულებს იძენენ. ამავე დროს, ისინი ტაოს ერისთავები და შავშეთ –კლარჯეთის მფლობელნი არიან. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილია ის, რომელიც წავიდა ქართლს მეფე გიორგისთან. ამით დასრულდა ფანასკერტელთა ერთი შტოს მოწყვეტა მამა-პაპისეულ სამყოფელისგან და ამით სრულდება ფანასკერტელ-ციციშვილთა გადმოსახლება ქართლში. ფანასკერტელთა მეორე შტო ეგუება ათაბაგთა ბატონობას. ყოველ შემთხვევაში გადმოსულთა შორის ზაზას ძმა ციცი აღარ იხსენიება. ზაზა

ფანასკერტელ-ციციშვილს ქართლში ახალი მამულებიც მიუღია და ამით გაუზრდია თაყასგან სამკვიდროდ მიღებული. ზაზა ერთ-ერთ საბუთში „დიდ ფანასკერტელად“ იხსენიება „დიდი ბარათას“ მსგავსად, ეს სიდიდე იმ მრავალმხრივ დამსახურებაზე მიუთითებს ალბათ, ზაზას რომ ჰქონია ფანასკერტელ-ციციშვილთა ფეოდალური სახლის წინაშე. შავშეთ-კლარჯეთიდან გამოძევებულ ზაზას არც ქართლში უსვენებენ ჯაყელის ყმები, მაგრამ მათი თავდასხმები და აწიოკება უპასუხოდ არ რჩებოდა (ბერძენიშვილი 1960: 107-108).

ზაზას ყინწვისში ჩაუტარებია მშენებლობა, წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიისათვის დასავლეთის მხრიდან ეკვდერი მიუშენებია, რომლის კედელზედაც მისი ფრესკაა დახატული ასომთავრული წარწერით „ფანასკერტელი ზაზა.“ დ.ბერძენიშვილის თვალსაზრით ქვემო წერაქვის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული „დიდი ფანასკერტელი“და ყინწვისის ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებული „ფანასკერტელი ზაზა“ ერთი და იგივე პიროვნებაა და მას ბარათაშვილის ქალი უნდა ჰყოლოდა ცოლად, რომელსაც მზითევში ქვემო წერაქვი მისცეს.ზაზას შემდეგ ქართლის ფანასკერტელ-ციციშვილთა ფეოდალური საგვარეულო კიდევ უფრო იზრდება, ძლიერდება. მისი წარმომადგენელნი სამეფო კარზე დაწინაურებული დარბაისელნი არიან. ტაო-შავშეთში დარჩენილი ფანასკერტელები კი ამ დროს ისევ განაგრძობენ არსებობას. XVI საუკუნისთვის ისინი კვლავ ითვლებოდნენ მესხეთის თავადთა სიაში. ასეთი იყო ასპანიძე-ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულო ისტორია. ამის შემდეგაც საუკუნეებს გაუძლო ქართლში ციციშვილების ძლიერმა ფეოდალურმა სახლმა. ფანასკერტელობა კი XVII საუკუნემდე შემორჩათ მათ, თუმცა ძველ შინაარს მოკლებული (ბერძენიშვილი 1960: 109-110).

შოთა რუსთაველს და აგრეთვე თორელთა ფეოდალურ გვარს ეხება ს.კაკაბაძის ნაშრომები:ა)თორელთა გვარეულობის შესახებ(მასალები და წერილები საქართველოს ისტორიისათვის, წ, I, 1914. ბ) ვეფხისტყაოსნის შესავალი თბ,1927. ასევე თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდაა მოცემული ლ.მუსხელიშვილის ნაშრომში: თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით(საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე X-B 1940).

ს.კაკაბაძე ნაშრომში „თორელთა გვარეულობის შესახებ“ გვთავაზობს შემდეგ მოსაზრებებს თორელთა გენეოლოგიაზე: „ XII-XIII სს. საქართველოს ისტორიაში, როგორც ცნობილია, თვალსაჩინო როლს ასრულებდა თორელთა გვარეულობა, რომელიც არც XII საუკუნეზე უწინარეს არის ცნობილი და არც XIV შემდეგ იხსენიება. პირველად. ს. კაკაბაძის ვარაუდით მის მოხსენიებას თამარის ისტორიკოსთან ვხედავთ“.

XIII ს-ის მიწურულს და XIV ს-ის დასაწყისის მატიანეში თორელნი კიდევ იხსენიებიან. XIV საუკუნის მატიანეში ცნობილია ჯავახიშვილ-გამრეკელი, რომელიც ცოცხალი ყოფილა 1344 წლის ოქტომბერში. გამრეკელს ჰყოლია შვილი სარინჯა. მოხსენიებულის გარდა ამ

1344 სიგლესა ჯვრის მონასტრის აღაპებში (ჯავახისშვილისა სარანჯისი და მისი მეუღლისა ორბოძლელისა ასულისა თამარისი)ყოფილა შალვა, რომელიც ცნობილია 1339 წლის სიგელით ,როგორც მეაბჯრეთუხუცესი. მანდატურთუხუცესის ბექას შვილს, როგორც ერთს ბექას დაწერილი საბუთიდან ჩანს, ცოლად ჰყოლია კახას და. ეს კახა კი, ს.კაკაბაძის აზრით, ერთი ახალი უცნობი წარმომადგენელი უნდა იყოს თორელთა გვარეულობისა"(კაკაბაძე 1914:58- 60).

„დაგიწერე უთუმცოი დრო დაუდებელი მიზეზის[გან] უმიზეზოი თქვენ კახა, თქვენსა [ცოლ]შვილსა მე ბექამან მანდატურთუხუცესმან, ჩემმან [ძემან] სამცხის სპასალარმან სარგის, ყუარყუარე [ნათესავ]ნი ყოფილან ჩვენი სახლი და თქვენი სახლი ოდეს მამ[აი იყო] და მათ უკანით რაი მე დავრჩი ჩვენსა სახლსა, ერთმანეთსა მოყვარენი, მომჭმარებელნი, მეშველნი [და] ძემან ჩემმან თქვენი დაჲ შეირთო და ვეღარაჲ სიყვარულით ყოფ ილვიყვენით. აწ უკანის ჩვენ ვიმზახენით და ზეხაჲ და მოგეც და ვერ ვითმიე იყუნეს კიდე გან[საც]დელი გარდაუშვით აწ ამას იქეთ ვიყვნეთ ჰაგრეევე [ვითა წი]ნას ყოფილვართ განუყრელნი და მოდაწერილნი"(თაყაიშვილი 1909:7-8)

სწორედ ეს ზემოთხსენებული საბუთი აქვს მოყვანილი თავის ნაშრომში ს.კაკაბაძეს. გარდა ამისა, ის აგრეთვე წერს: „უკანასკნელ XIV საუკუნის სიგელი, რომელიც ბოძებულია გიორგი მეფის მიერ 39 ინდიქტიონს: ამტკიცებს, რომ ჯავახიშვილნი არიან თორელნი: „მოვიდეს წინაშე ჩვენისა ჩვენი დიდი ერთგული თორელი ივანე და გუეაჯა მოგუახსენა რაითამცა კოჟ[რისა ძირისა მონასტერი ა]თენაგუნი მიგვებოძა დაგვაჯერა ღ~ნ და..ვინებად თორელისა ჯავახიშვილისა ივანესი და მივუბოძეთ კოჟორისძირისა მონასტერი ათენაგენი სამკვიდროდ"(თაყაიშვილი1909 :8-9).

ს.კაკაბაძეს მიაჩნია, რომ ზემოთხსენებული მეფე გიორგი უნდა იყოს და სიგელი უნდა ეკუთვნოდეს გიორგი დავითის ძე-ს და მართებულად არ მიიჩნია ე.თაყაიშვილის ის მოსაზრება ,რომ ეს მეფე, მეფე გიორგი ბრწყინვალეა (კაკაბაძე 1914:60).

ს.კაკაბაძე ცნობილ შალვა და ივანე ახალციხელებს თორელებად მიიჩნევს და მისივე აზრით, შალვა და ივანე ახალციხელებზე საინტერესო ცნობა აქვს დაცული XIII ს-ის სომეხ ისტორიკოს კირიაკოს. ს.კაკაბაძეს მოჰყავს თავის ნაშრომში ეს ცნობა: „სომხეთში ლენის მეფობის დროს აღმოსავლეთში იყო ორი ძმა, ერთი სახელით ზაქარია და მეორე ივანე ძენი კეთილმსახურ სარგის ძისა ვარამისა, ძისა ზაქარიასი შთამომავლობით ქურდნი(ე.ი.ქურთნი) ზაქარია იყო ამირსპასალარი საქართველოსი და სომხითისა, რომელიც ემორჩილებოდა ამ ქვეყნის მეფეს. ივანეს ჰქონდა ტიტული ათაბაგისა. მათ მრავალი გამარჯვება ნახეს და დაიპყრეს ერევნის ქვეყანა და რამდენიმე მხარე სომხითისა, რომელიც ეჭირათ სპარსთ და ტაჭიკებს. მეორე მთავარმა ზაქარიამ თავისი ძმით სარგისითურთ, რომელიც არის მამა შალვა და ივანესი, ნათესავმა ზემოთხსენებულმა დიდთა მთავართა, მათის დახმარებით

წაართვა სპარსელთ რამდენიმე ქვეყანა და მაგარი ციხეები:გარდაბანი, კარჰერცი, ერგევანქი, ტავუში, ტერუნაკანი, გაგი. მან შეავიწროვა ქალაქი შამქორისა, რომელიც შემდეგ აიღო მისმა შვილმა ვარამა აღბუღას მამამ და პაპამ ვარამისა, ზაქარიასი ივანესი“.

ამ ცნობის საფუძველზე ს.კაკაბაძემ გამოთქვა თვალსაზრისი: „ახლა უკვე ცნობილია, რომ ზაქარია(ბლუ ზაქარიად წოდებული)და მისი ძმა სარგისი იყვნენ ძენი ვარამისანი,ძმისა ამირსპასალარისა სარგის მხარგრძელისა.სარგისის გარდა შალვა და ივანესი ყოლია კიდევ შვილი მხარგრძელი. ს.კაკაბაძის ვარაუდით სარგისი იყო თმოგველი, მისი სიკვდილის შემდეგ მხარგრძელი დარჩა თმოგველად (ს.კაკაბაძემ მიიჩნია ,რომ მხარგრძელი იყო უფროსი შვილი),ხოლო შალვას და ივანეს მიეცათ ახალციხე და იწოდნენ ახალციხელად და აქედან გამომდინარე, ს. კაკაბაძე ფიქრობს, რომ ძმები ახალციხელები იყვნენ მხარგრძელთა საგვარეულოს წარმომადგენლები, ხოლო რაკი ახალციხელნი თორელებად იხსენიებიან ,მისივე აზრით, თორელებიც ამავე მხარგრძელების გვარეულობისა უნდა ყოფილიყვნენ“(კაკაბაძე1914: 61-62).

ს.კაკაბაძის აზრით, პირველ თორელად მატიანეში მოხსენიებული არის კახა, რომლის შვილი იყო გამრეკელ-თორელი. 1187 წელს ეს სარგის მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ დაინიშნა ამირსპასალარად და ცოტა ხნის შემდეგ კიდეც გარდაიცვალა. ამ კახას მამის სახელი არ ჩანს, მაგრამ ს.კაკაბაძეს მიაჩნია ,რომ კახას მამაა ქარიმი, ძმა ავაგი ძე სარგისისა, ამირსპასალარ გამრეკელს დარჩენია შვილები, მაგრამ მათი სახელები არ ჩანს. ცნობილია მხოლოდ მონგოლების შემოსევისა და დამკვიდრების დროის თორელ-გამრეკელი.ს კაკაბაძის თვალსაზრისით ეს უნდა იყოს შვილიშვილი ამირსპასალარ– გამრეკელისა, მისივე აზრით მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ შვილიშვილს ხშირად პაპის სახელი ერქვა, ამიტომ შესაძლებელია მასაც ერქვას პაპის სახელი კახა.

კახა თორელი ახალქალაქის ერისთავი და შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესი შესაძლებელია იყოს შვილი გამრეკელისა. კახა მეჭურჭლეთუხუცესს 1259 წლის ახლოს რკონის სიგელის დაწერის დროს შვილი აღარ ჰყოლია და XIVს-ში ცნობილი პირი ჯავახის შვილი გამრეკელი ს. კაკაბაძის ვარაუდით წარმომდგარი უნდა იყოს მისი ერთი ძმისგან, ასევე ლიპარიტ თორელი დევისყურად წოდებულსა ერთ-ერთ ძმათაგანი ჰგონია ს.კაკაბაძეს კახასი (კაკაბაძე:62-63).

ს.კაკაბაძის თვალსაზრისით: „შოთა უკანასკნელის გამოკვლევის მიხედვით იყო დიდგვარიან ფეოდალური ოჯახიდან, თორელების გვარიდან. (თორელების სამკვიდრო მხარეს შეადგენდა თორის ციხე,თორის ოლქი ეხლანდელი ბორჯომის ხეობის აღმოსავლეთ ნაწილში) მამამისი ჭიაბერ თორელი, რომელიც თამარ მეფის დროს ითვლებოდა საქართველოს სამეფოს ერთ-ერთ ვეზირად, ე.ი სამეფო კარის მანდატურების, მოხელეების უფროსად, მაშასადამე, თვით სამეფო კარის გამგედ. ხოლო რადგანაც საზოგადოდ

საშუალო საუკუნეებში სახელმწიფოებივი საქმიანობა უმეტესად გადაბმული და დაკავშირებული იყო სამეფო კარის ცხოვრებასთან, ამიტომ არსებითად ჭიაბერი ითვლებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ მესვეურად 1187–1200წლებში.

შოთა, როგორც ჩანს, სარგებლობდა სამეფო კარის და თვით თამარის ყურადღებით. მალე მას მიეცა სამკვიდრო სამფლობელოდ ქალაქი რუსთავი, რომელიც მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა თბილისიდან სამხრეთით 25 კილომეტრზე. ამის შემდეგ შოთას ეწოდა მაშინდელის წესის მიხედვით რუსთაველი. ს.კაკაბაძის აზრით; „ შოთას მამისავე სიცოცხლეში გადაეცა ჟინვანი, რომელიც მაშინ ქალაქად ითვლებოდა“. ს.კაკაბაძესვე მიაჩნია, რომ ხსენებული ჭიაბერი უნდა ყოფილიყო თამარის პირველი ისტორიკოსიც (კაკაბაძე 1927: I-II).

უფრო მოგვიანებით საკმაოდ არგუმენტირებული და საკითხის უფრო დაწვრილებითი კვლევა მოგვცა ნ.შოშიაშვილმა ნაშრომში“თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი“ „კრებ. შოთა რუსთაველი ისტორიულ–ფილოლოგიური ძიებანი თბ, 1966. ნ.შოშიაშვილი წერს: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის გვარი „რუსთაველი“ წარმომდგარი რუსთავიდან და აღმნიშვნელი რუსთავის სამამულე მფლობელობისა, საისტორიო წყაროებში უცნობია: არ არის ცნობილი ამ გვარის მქონე არცერთი სხვა პირი. ამ წოდებით ცნობილნი არიან რუსთავის ეპისკოპოსები, მაგრამ მათ შორის შოთას ეპისკოპოსობას ნ.შოშიაშვილი გამორიცხავს. ნ.შოშიაშვილის აზრით, საჭიროა გაირკვეს, თუ რომელმა ფეოდალურმა სახლმა მიიღო მამულად რუსთავი და ამის მიხედვით რუსთაველის გვარიც. მისი თვალსაზრისით წარმოდგენილი წერილი მიზნად ისახავს უფრო დეტალურ დასაბუთებას, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორიის დადგენას. ნ.შოშიაშვილი ნაშრომს ჰყოფს 3 ნაწილად: 1.თორელთა გვარის გენეოლოგია, 2.თორელთა სამამულე და სახელო ქვეყნები. 3.შოთა რუსთაველის დაკავშირება თორელთა ფეოდალურ სახლთან.

ნ.შოშიაშვილი წერს: “XII-XIII საუკუნეებში სამცხე–ჯავახეთს, ძირითადად, სამი ფეოდალური სახლი განაგებდა: თორელები, ჯაყელები და მხარგრძელ–თმოგველები. საქართველოს ფეოდალური დაშლილობისთვის ხელსაყრელი საგარეო და საშინაო პირობების შექმნის შედეგად ამ სამი სახლიდან ერთერთი ჯაყელთა სახლი ქმნის ცალკე პოლიტიკურ ერთეულს–სამცხის სამთავროს და თანდათან, XIII-XVსაუკუნეებში მის შემადგენლობაში აქცევს მთელ სამხრეთ საქართველოს–ზემო ქართლს. ორი დანარჩენი ფეოდალური სახლი კარგავს ზემო ქართლში სახელო და სამამულე ქვეყნებს და ემცრობა (შოშიაშვილი 1966:7).

ლ.მუსხელიშვილმა თავის აღნიშნულ ნაშრომში უარყო თორელთა მხარგრძელობა, თორელები მიიჩნია სამძივრებად. საისტორიო წყაროთა ანალიზის საფუძველზე მან

გამოთქვა მოსაზრება თორელთა გენეალოგიაზე. ნ.შოშიაშვილი შენიშნავს, რომ მკვლევარი მეცნიერული სიფრთხილისათვის თავს იკავებს გენეალოგიური სქემის შედგენისაგან.

„სამძივართა გენეალოგიური შტოს შედგენა ჯერჯერობით ნაადრევი იქნებოდა, უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რის თქმაც შეიძლება ამჟამად ჩვენს ხელთ მყოფი საბუთების მიხედვით“. წერდა ლ.მუსხელიშვილი (მუსხელიშვილი1940: 45).

ნ.შოშიაშვილი წერს: „ლ.მუსხელიშვილი უარყოფს თორელთა და მხარგრძელთა ნათესაობას და თორელებს თვლის სამძივრებად. თორელი ლ.მუსხელიშვილს საერთოდ არ მიაჩნია გვარად, არამედ გარკვეული ხანიდან სამძივართა სახლის უფროს წოდებად (შოშიაშვილი1966:8).

ლ.მუსხელიშვილის აზრით, თამარის ისტორიკოსის ზემოაღნიშნული ცნობა შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:“მაშინ უბრძანა ოთხთა მხარგრძელთა ამირსპასალარსა გამრეკელსა და სხუათა თორელთა“

ლ. მუსხელიშვილის თვალსაზრისით, კირიაკოსის ცნობას იმის შესახებ, რომ სარგის მხარგრძელს ჰყავდა შვილები (იგულისხმებიან შალვა და ივანე ახალციხელები) ,პირიქით წყაროს სხვა ადგილები მოწმობენ საწინააღმდეგოს,“ რომ შალვა და ივანე ახალციხელებს მხარგრძელებთან არაფერი აქვთ საერთო: “ს.კაკაბაძე ჰფიქრობს, რომ თორელები მხარგრძელთა გვარისანი არიან. ამისთვის მას ორი საბუთი მოეპოვება: 1.ერთი ის რომ კირიაკოს განძაკელის ცნობით ვარამ გაგელის ბიძას, სარგის მჯარგრძელს, შვილები ჰყავდა შალვა, ივანე, მაგრამ არსად ჩანს ეს შალვა და ივანე. 2.მეორე საბუთი ს.კაკაბაძისა თამარის ისტორიკოსის ერთი ცნობაა, რომელიც ასე იკითხება: „მაშინ უბრძანა (თამარ მეფემ) ამირსპასალარსა გამრეკელსა, ოთხთავე მხარგრძელთა და სხუათა თორელთა ზემოთა და ქუემოთა წარსვლა და მიგებება წინა (გიორგი რუსისა) ქვეყანასა ჯავახეთისასა. და „სხვათა თორელთა რახან სწერია, ცხადია მჯარგრძელნიც თორელნი და აქედან თორელნი მჯარგრძელნი უნდა იყვნენო“ ტექსტი აქ დამახინჯებული უნდა იყოს. თავდაპირველად, ალბათ ასე იქნებოდა: „ოთხთავე მჯარგრძელთა, ამირსპასალარსა გამრეკელსა და სხვათა თორელთა“. ამ დროს მჯარგრძელები კარგად არიან ცნობილი და თორელებთან მათ საერთო არა აქვთ რა“ (მუსხელიშვილი 1940: 45-46 სქოლიო 4).

სამძივართა და თორელთა იგივეობის დასასაბუთებლად ლ.მუსხელიშვილს მოჰყავს შემდეგი არგუმენტები: „ისტორიანი და აზმანის“ ცნობით გუზანის წინააღმდეგ გაგზავნეს სარგის თმოგველი და კახა სამძივარი “(მუსხელიშვილი 1940:28–29).

ჟამთააღმწერელის ცნობით, აჯანყებული მონღოლი უფლისწული თეიგუდარი, რომელმაც თავი შეაფარა დასავლეთ საქართველოს, დროდადრო არბევდა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს, სამცხე–ჯავახეთს და ქართლს. ერთერთი ასეთი თავდასხმის დროს მისმა რაზმმა მოიტაცა კახა თორელისა და მონღოლი მხედარმთავრის ყურმიჩი–

ბადურის ჯოგი. კახა თორელი და ყურმიჩი–ბაადური დაედევნენ მტერს, მაგრამ დამარცხდნენ ყურმიჩი–ბაადური მოკლეს, ხოლო კახა თორელის ხვედრზე ამ ბრძოლაში წყარო არაფერს გვამცნობს, სამაგიეროდ აღნიშნავს, რომ ცხენ–მოკლული სამძივარი ცურვით ივლტოდა და აწყურს შეაფარა თავი, რადგან წყარო ამ ფაქტის თხრობის დასაწყისში ახსენებს კახა თორელს, ხოლო თხრობის ბოლოს სამძივარს, ლ.მუსხელიშვილი კახა თორელსა და სამძივარს შორის იგივეობის ნიშანს სვამს (შოშიაშვილი 1966: 12).

„მე მგონი სრულებით უეჭველად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ სამძივრის ქვეშ სწორედ კახა თორელი იგულისხმება, სხვანაირად ლ.მუსხელიშვილის თვალსაზრისით მემატიანის თხრობა გაუგებარი და ულოგიკო გამოდის. იგი არავის არ ასახელებს, გარდა მეთაურებისა ე.ი. ყურუმჩი ბაადურის და კახა თორელისა.ამბის დასასრულს ჩვენც ვხედავთ, თუ რა დაემართა ყურუმჩი ბაადურს: იგი ივლტოდა და შემდეგ, როგორც ჩანს, მოკლულ იქნა. ბრძოლის დროს დაღუპულა ბევრი „კეთილი კაცი“ და მათ შორის ორი კოხტელიც, რომელთაც დიდებულად მიიჩნევს ლ.მუსხელიშვილი, ხოლო კახა რომ არ არის მოხსენიებული, ხსნის შემდეგნაირად: „მაგრამ რა დაემართა თვით კახა თორელს?-ამის მოუხსენიებლობა სრულებით გაუგებარი დარჩება, თუ რომ იგი სამძივრად არ ჩავთვალეთ. ცხადია, მემატიანემ და მისმა თანამედროვეებმა კარგად იცოდნენ, რომ კახა თორელი სამძივართა გვარისა იყო და ამიტომაც ჟამთააღმწერელი სიტყვას არ აგრძელებს“(მუსხელიშვილი 1940: 42-43)

.ჰამამლუს წარწერა: 1)“ქ.ადიდენ ღმერთმან მეფეთ მეფე თამარ.ერისთავი კახა.“ „ქრისტე შეინდვენ ბეღელ[ას]ძე ოქროპირ] კრავაი ძენი მ[ათნ] ამისნი მაშენებელნი].

ნ.შოშიაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას: „აქ მოხსენიებულ კახას ლ.მუსხელიშვილი სავსებით ბუნებრივად, სახელის მიხედვით თორელად მიიჩნევს, ხოლო კრავაი მას აგონებს თამარის ისტორიკოსთან მოხსენიებულ კრავაი ჯაყელს, სამძივართა დედას, რომელიც მეფესთან მოსალაპარაკებლად გაგზავნეს ყუთლუ–არსლანის მედასეებმა ხუაშაქ ცოქალთან ერთად, რადგან ორივე ეს წარწერა ერთდროულია და კრავაიცა და კახაც ამშენებლად ჩანან (ოქროპირ ბეღელასძეს ლ.მუსხელიშვილი კრავაისა და კახასთვის გარეშე პირად, წარწერის გამკეთებლად მიიჩნევს)ლ.მუსხელიშვილი შესაძლებლად თვლის კახასა და კრავის დედაშვილობას ე.ი. კრავაი დედაა კახა [თორელისა] თამარის ისტორიკოსის ცნობით კრავაი ჯაყელი დედაა სამძივრებისა. ჰამამლუს წარწერით კრავაიც თუ ჯაყელია (რის სასარგებლოდაც ლაპარაკობს ეპოქის სახელების დამთხვევა), მაშინ ამავე წარწერით კახა თორელი სამძივარი ყოფილა 5)XIV საუკუნის დასაწყისის კეთილმოყვრობის წიგნი ბექა ჯაყელისა და კახა თორელისა მოიხსენიებს ჯაყელებისა და თორელების ნათესაობას წარსულში. შესაძლოა, ეს მითითება გულისხმობდეს სწორედ იმ დროს, როცა კრავაი სამძივარზე იყო გათხოვილი.

სამცხე–საათაბაგოს ფეოდალთა სიაში მოხსენიებული არიან სამძივრები, თორელებიკი არა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ თორელები ამ სიით იგულისხმებიან სამძივრებში (შოშიაშვილი 1966:12-13).

ნ.შოშიაშვილი წერს: „როგორც ვხედავთ,თორელთა წარმომავლობაზე არსებობს ორი თვალსაზრისი. ერთის მიხედვით თორელები მხარგრძელთა განშტოებაა (ს.კაკაბაძე), ხოლო მეორეს მიხედვით (მუსხელიშვილი). ნ.შოშიაშვილი იხილავს ამ არგუმენტებს ცალცალკე. ის წერს ,რომ აღნიშნული არგუმენტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ჩანს პირველი სარგის თმოგველთან ერთად კახა სამძივრის ლაშქრობა, მაგრამ ეს ვარაუდი რამდენადმე კარგავს ძალას იმის გამო, რომ ეს ადგილი მოიპოვება მხოლოდ ე.წ. „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ ე.ი. XVIII საუკუნეში შესწორებულ – შევსებულ ნუსხაში. არც მარიამისეულ, არც „მცხეთური ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში კახა სამძივარი ნახსენები არ არის. ნ.შოშიაშვილს მოჰყავს ტექსტი.

რადგან ტექსტი მას განხილული აქვს, ჩვენ არ შევუდგებით მის კვლავ დაწვრილებით განხილვას. მოვიყვანთ მხოლოდ ნ.შოშიაშვილის თვალსაზრისს და შემდეგ შენიშვნებს : „აქ რა თქმა უნდა, ადგილი და სამძღვარი ,სახელით აზნაურიშვილებითა „დამახინჯებულია, ხოლო კ.კეკელიძემ თამარის ისტორიკოსის ტექსტის თავის გამოცემაში ეს ადგილი ასე გამართა: „და სამძივარი, სხვათა აზნაური შვილებითა („ისტორიანი და აზმანი შარავანდედითანი“(ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1941: 96).

ეს შესწორება შეიწყნარა ს.ყაუხჩიშვილმაც „ქართლის ცხოვრების გამოცემაში, ხოლო თამარის ისტორიკოსის ამ ტექსტში ჩაუმატებიათ წინადადება კახა სამძივრისა და სარგის თმოგველის შესახებ წერს ნ.შოშიაშვილი.

„ვინაიცა გუზან პირველითგანვე წარმყმედელი თავისა, აწცა გამტანელი ტაოსკარისა ვაშლოვნისა და სხვათა ციხეთა მრავალთა წარვიდა ქვეყანასა შარემანისასა და სამძივარი სხვთა აზნაურისშვილებითა“(ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959:55-56).

ნ.შოშიაშვილის თვალსაზრისით, მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული ადგილი გასამართია. მას მიაჩნია: „სამძივარი სახელით აზნაურისშვილებითა უაზრობაა. ნ.შოშიაშვილი კ.კეკელიძის შესწორებას უფრო მართებულად მიიჩნევს: „ის შეუსაბამობაში არ არის თვით წყაროს ტექსტთან, ახალი „ქართლის ცხოვრების“ ჩამატება კი ეწინააღმდეგება წყაროს ამ ადგილის შინაარსს. წყაროს მიხედვით გუზანი თავისი მომხრეებით წარემართა შაჰარმანის ქვეყანაში, გზაზე გავიდნენ კოლას მთაზე საიდანაც წინ მოეგებნენ თამარის ერთგული ფეოდალები ზაქარია ფანასკერტელი, ძინელი, კალმახელნი. მოხდა ბრძოლა იქ, სადაც თამარის მომხრეებმა გაიმარჯვეს (შოშიაშვილი 1966:13–14).

ჰამამლუს წარწერებში მოხსენიებული კრავაი და კახა სხვადასხვა საზოგადოებრივი რანგის პირები ჩანან. ისინი მოიხსენიებიან სხვადასხვა წარწერებში: „კახა ერისთავი თამარ

მეფესთან, მის შემდეგ, ხოლო კრავაი ოქროპირ ბეღელასძესთან მის შემდეგ. კრავაისა და ოქროპირისთვის წარწერის ავტორი ღმერთს სთხოვს შენდობას, ხოლო თამარ მეფისა და კახასთვის დიდებას. ნ.შოშიაშვილის აზრით, ჰამამლუს წარწერა თორელებთან დაკავშირებით ცნობას გვაწვდის ამ ფეოდალური სახლის მფლობელობაზე. კერძოდ, კი მაშავერის ხეობაში XII-XIII (აქ მოხსენიებული კახა ერისთავი სახელისა და სამოხელეო რანგის მიხედვით, ცხადია, თორელია). სამძივართა თორელთან დასაკავშირებლად ეს წარწერა ვერ გამოდგება. ბექა ჯაყელისა და კახა თორელის კეთილმოყვრობის წიგნში აღნიშნული ამ ორი გვარის ნათესაობაში არ შეიძლება კრავაი ჯაყელის სამძივარზე გათხოვება იგულისხმებოდეს, რადგან აქ ბექა ჯაყელი პირდაპირ აღნიშნავს: [ნათესავ]ნი ყოფილან ჩუენნი სახლი და თქუენი ოდეს მამ[აი იყო] ე.ი. აქ მითითებული ნათესაობა გულისხმობს ბექას მამის – სარგის ჯაყელის დროს და არა თამარ მეფის ხანას. ამ დროსვე გულისხმობს ალბათ სიტყვები: აწ ამას იქეთ ვიყვნეთ ჰაგრეევე [ვითა წი]ნას ყოფილვართ გაუყრელნი და მოდაწერილნი“. ასევე არ შეიძლება სამცხე-საათაბაგოს ფეოდალთა XVI ს. სიაში სამძივართა ქვეშ თორელები იგულისხმებოდეს, რადგან თორელთა სამფლობელოებს ამ სიის მიხედვით ფლობდნენ სხვა ფეოდალური სახლები.

ნ.შოშიაშვილის თვალსაზრისით, ლ.მუსხელიშვილი სავსებით მართებულად უარყოფს თორელების მხარგრძელებისგან წარმომავლობას. თამარის ისტორიკოსის ზემოაღნიშნული ცნობა, რომელმაც საფუძველი მისცა ს.კაკაბაძეს, თორელები მხარგძელებიდან წარმომავლად მიეჩნია, ყოველგვარი შესწორების გარეშეც შეიძლება ისე გავიგოთ, რომ თორელები არ დაუკავშირდეს ამ ტექსტში (...მაშინ უბრძანა ამირსპასალარსა გამრეკელსა ოთხთა მხარგრძელთა და სხვათა თორელთა) „სხუათა თორელთა დაკავშირებულია არა სიტყვებთან: „ოთხთა მხარგრძელთა“, არამედ სიტყვებთან: ამირსპასალარსა გამრეკელსა“ ასეთი კონსტრუქციის წინადადებები თამარის ანონიმ ისტორიკოსს სხვაც აქვს, აღნიშნავს ნ. შოშიაშვილი. კირიაკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ სარგის მხარგძელს ჰყავდა შვილები შალვა და ივანე, როგორც მართებულად შენიშნავს ლ.მუსხელიშვილი, არ გულისხმობდა მაინცდამაინც შალვა და ივანე ახალციხელებს. არც ქართულ და არც სომხურ წყაროებში, სადაც არაერთხელ მოხსენიებულნი არიან, როგორც სარგის თმოგველი, ისე შალვა და ივანე ახალციხელები(„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულება, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ჟამთააღმწერელი, ვარდან აღმოსავლელი, სტეფანოზ ორბელიანი, იგიე კირაკოს განძაკელი), არაფერია ნათქვამი სარგის მხარგრძელისა და ძმები ახალციხელების მამაშვილობაზე, ან საერთოდ ნათესაურ კავშირზე (შოშიაშვილი1966: 15).

ლ.მუსხელიშვილის აზრით, თორელი გვარი არ იყო, არამედ თორელად იწერებოდა სამძივართა სახლის უფროსი: „სამცხე-საათაბაგოს საკათალიკოზო სამწყსოს თავადთა

სიაში, როგორც უკვე ავღნიშნეთ, სამძივარნი ჩატანილნი არიან, თორელნი კი არა და არც გამრეკელები, იმ დროს, როდესაც თორი, იმავე სიით, მაწყვერელის სამწყსოში ხოლო ჯავახეთი კუმურდოელისაში რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ არც თორელი და არც გამრეკელი გვარი არ იყო, არამედ ისინი ამ სიაშიც როგორც ეხლა უკვე გამორკვეულად ,შეიძლება ჩაითვალოს, სამძივართა ქვეშ იგულისხმებიან (მუსხელიშვილი 1940: 43).

ნ.შოშიაშვილი ფიქრობს, რომ მკვლევარის ეს დასკვნა გაუგებრობაზეა დამყარებული. სამძივართა ქვეშ ამ სიაში არ შეიძლება თორელები იგულისხმებოდნენ, რადგან სამძივართა სამფლობელო ტერიტორია აქ არ ემთხვევა თორელებისას: არც თორი(მაწყვერლის სამწყსო) და არც ჯავახეთი (კუმურდოელის სამწყსო) არ ჩანს დასახელებული სიის მიხედვით სამძივართა სამფლობელოდ. თორის მფლობელებად დასახელებული არიან ავალიშვილები, ხოლო მათ წინამორბედებად ბუმბულისძენი (მეორე ნუსხის ქუელისძენი). ჯავახეთის მფლობელებიდან დასახელებული არიან ამატაკიანი(ამატაკიშვილები) და მათი წინამორბედები ხერთვისარნი, რომლებსაც ქამქამიძეები შეუცვლიათ; (ე.ი რჩეულიშვილები) და ფროდიანნი –მათი წინამორბედნი ბულღადარაშვილები; შალიკაშვილები და მათი წინამორბედები თმოგველები. ჯავახეთის იმ ნაწილის მფლობელად, რომელიც XII საუკუნემდე სამცხეში შედიოდა მტკვრის ხეობა, აწყურის მიდამოებიდან ასპინძამდე) და რომელიც თორელთა სამფლობელოს შეადგენდა XII-XIII სს. დასახლებულნი არიან (სლესარნი და მაათი წინამორბედნი ბუბულისძენი (მეორე ნუსხით ქუელისძენი) შალიკაშვილნი და მათი წინამორბედნი ოთარანი, ღობიერნი.

ნ.შოშიაშვილი წერს: „რომ სამძივარნი არ ჩანან არც ჯავახეთში, არც თორში ამას მოწმობს ის გარემოება,რომ მათი მემკვიდრეები ამ სიით, გოგიბასშვლები ჯავახეთ–თორის ფეოდალები არ არიან. ნ.შოშიაშვილს მიაჩნია: ეს გარემოება მოწმობს, რომ თორელები თუ სამძივრებიდან წარმოიქმნენ, სამძივართა ერთ შტოს შეადგენდნენ მხოლოდ. სამძივართა სახლი თორელთა სახლთან ერთად არსებობდა, სამძივართა სახელწოდებით და მკვიდრობდა XIV-XV საუკუნეებში. არა თორში, ან მის მიმდგომ მხარეში, არამედ აჭარა-შავშეთში, ე.ი.თორელთა გვარი კი არ ფარავდა სამძივარს, არამედ მისი სახეშეცვლილი განშტოება იყო მხოლოდ (ასე რომ, სამძივარი ისეთივე მიმართებაში იყო თორელებთან, როგორც მაგალითად მხარგრძელები თმოგველებთან და გაგელებთან.

ნ.შოშიაშვილის აზრით: „თორელად მხოლოდ ერთი პირი კი არ იწოდებოდა, არამედ მთელი საგვარეულო, ამას მოწმობს თამარის ისტორიკოსებთან არაერთგზის თორელთა მხოლობით რიცხვში მოხსენიებაო. ნ.შოშიაშვილს მხედველობაში მისაღებად მიაჩნია ის გარემოება, რომ საისტორიო წყაროები თორელთა საგვარეულოს წევრებს თორელად ხშირად იხსენიებენ (გამრეკელი, შალვა, კახა ლიპარიტ, ჯავახ, და სხვა.) და არა სამძივრებად. ნ.შოშიაშვილი ს. კაკაბაძის მოსაზრებას თორელთა მხარგრძელთაგან

წარმომავლობას არ იზიარებს. ასევე ამ საკითხთან დაკავშირებულ ლ.მუსხელიშვილის მიერ მოცემულ დასაბუთების ნაწილს უარყოფს, მაგრამ ნაწილს მხარს უჭერს თორელთა სამძივრობაზე სავარაუდო მოსაზრებებს (შოშიაშვილი 1966:17- 18).

ნ.შოშიაშვილი იზიარებს ლ.მუსხელიშვილის მოსაზრებას, რომ ქვემო ქართლში აძიკვის წარწერაში მოხსენიებული გამრეკელი მუსხელიშვილს თორელად მიაჩნია. აძიკვის წარწერაში მოხსენიებული გამრეკელის თორელობა, ნ.შოშიაშვილის აზრით, არავითარ ეჭვს არ იწვევს: ეს სახელი XII-XIV სს–ში თორელთა გარდა, სხვა დიდებულთა გვარში არ გვხვდება.

აქ მოხსენიებულ სახელებში თორელთა საგვარეულოს, ნ.შოშიაშვილის აზრით, შეიძლება მიეკუთვნოს არა მარტო გამრეკელი, არამედ ვარაზ-ბაკურიც. XI საუკუნის ქართულ საისტორიო წყარო „მატიანე ქართლისა“ იხსენებს ერისთავთ-ერისთავს ვარაზ-ბაკურ გამრეკელს, რომელსაც, ბაგრატ IV–ის ბრძანებით, 1065 წლის ახლო შეუპყრია სამშვილდის სომეხი მეფე კვირიკე და მისი ძმა სუმბატი. ნ.შოშიაშვილი კი აღნიშნავს, რომ ლ.მუსხელიშვილის აზრით ეს ვარაზ–ბაკური თორელი უნდა იყოს. ნ.შოშიაშვილი კი აღნიშნავს: „ამ შემთხვევაშიც სახელი გამრეკელი უეჭველს ხდის ვარა -ბაკურ გამრეკელის თორელობას“ (შოშიაშვილი 1966:23,24).

ნ.შოშიაშვილი გარკვეულ ნაწილში არ ეთანხმება ლ.მუსხელიშვილის თვალსაზრისს, რომ გამრეკელი გვარად არის ნახმარი, მისი აზრით, საქმე გვაქვს გაორმაგებულ (უფრო სწორად, გასამმაგებულ) სახელთან. ასეთი სახელები, მისი თვალსაზრისით, ქართულ წერილობით წყაროებში ხშირად იხსენიება: ვარაზ-ბაკურ, ვარაზ-ვაჩე, იოანე ვარაზ-ვაჩე, გიორგი ვარაზ-ვაჩე, იოანე-ზოსიმე, ყუარ-ყუარე, ივანე ყუარ-ყუარე, ავაგ-სარგისი, პაპა-სარგისი, ლაშა-გიორგი, ზვიად-მარუშიანი და სხვა(შოშიაშვილი 1966: 24 ამ გერდზე მოცემულ სქოლიოში).

ნ.შოშიაშვილის თვალსაზრისით, აძიკვის წარწერაში მოხსენიებული ოთხი დიდებულიდან ერთის სახელი (გამრეკელი) თორელებში გვხვდება, ერთი (ვარაზბაკური) გვხვდება თორელებშიც და სხვა გვარებშიც. (მისვე აზრით, საერთოდ, იშვიათად ხსენებული სახელია). ერთი (ბეშქენი) გვხვდება ჯაყელებშიც (უფრო ხშირად) და სხვა გვარებშიც, ამიტომ თუ კი აძიკვის წარწერაში მოხსენიებული პირები ერთ საგვარეულოს ეკუთვნიან, ასეთად მხოლოდ თორელებს მიიჩნევს, რადგან ერთერთი ამ ოთხიდან გამრეკელი მისი ვარაუდით მხოლოდ თორელია (შოშიაშვილი 1966: 24).

აძიკვის წარწერას ნ.შოშიაშვილი XII საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებს. ნ.შოშიაშვილის აზრით, სტეფანოზ ორბელიანთან ჯავახებად მოხსენიებული კახა და გამრეკელი ძმები არ არიან და ისინი მამა–შვილად მიაჩნია (შოშიაშვილი 1966: 26).

მისივე თვალსაზრისით, კრავაი ჯაყელი არ არის ამირსპასალარ გამრეკელის

მეუღლე: „როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თამარის ისტორიკოსთან მოხსენიებული კრავაი ჯაყელის, სამძივართა დედის გაიგივება ჰამამლუს წარწერის კრავაისთან არ ხერხდება, ამას გარდა, სამძივარი და თორელი ერთმანეთის პარალელურად განაგრძობენ არსებობას, როგორც ორი საგვარეულო, თორელთა სახლის წარმოქმნის შემდეგაც. ასე რომ სამძივარში სრულიადაც არ იგულისხმება მაინცდამაინც თორელი(პირიქით, თორელი როგორც წესი თორელად იხსენიება და არა სამძივრად). ამის გამო, სამძივართა დედას კრავაის ვერ მივიჩნევთ მაინცდამაინც თორელის ცოლად, უფრო საფიქრებელია, რომ ის იყო სამძივრის ცოლი, რომელსაც თორელთა სახლთან არავთარი კავშირი არ ჰქონდა“.

ნ.შოშიაშვილს, ლ.მუსხელიშვილისგან განსხვავებით, მიაჩნია, რომ შალვა და ივანე ახალციხელები არ ყოფილან ამირსპასალარ გამრეკელ-თორელის შვილები.

“წარწერაში მოხსენიებული გამრეკელი ლ.მუსხელიშვილს მიაჩნია XII ს–ის მოღვაწე გამრეკელ–თორელად, რადგან სხვა ამირსპასალარ გამრეკელს ჩვენ არ ვიცნობთ. პალეოგრაფიული წარწერა თამამად შეგვიძლია XII ს–ისად ჩავთვალოთ. ლ. მუსხელიშვილი სქოლიოში შენიშნავს: „რატი შეიძლება ქართლის ერისთავი რატი სურამელი იყოს, რომლის ხელი ამ დროს ჯავახეთსაც მისწვდომოდა, ან კიდევ მას, შეიძლება მიწები ჰქონდა ახალქალაქის რაიონში. მაშინ შეიძლება ნაკლული ადგილიც შევავსოთ გამრეკელისა ძეთა[და ქართლისა ერისთავის]ა რატის პატრონობასა შინა (შოშიაშვილი 1966:29-30).

ვ.ცისკარიშვილი წარწერაში მოხსენიებულ „არტს“კითხულობს არა როგორც „რატის,“ არამედ მიაჩნია ის ლიპარიტის დაბოლოებად და აიგივებს ლიპარიტს ჟამთააღმწერელთან, XIII ს-ის შუა წლებში მოხსენიებულ ლიპარიტ-დევისყურა თორელთან. ვ.ცისკარიშვილი წარწერას თვლის ულუ-დავითის დროინდელად და ამდენად წარწერაში მოხსენიებულ გამრეკელსაც XIII ს-ის გამრეკელად ამირსპასალარს წარწერაში ვ.ცისკარიშვილი არ მიაჩნია გამრეკელის ეპითეტად, არამედ ამ დროის ამირსპასალარის-ავაგის ან ზაქარიას ეპითეტებად. გამრეკელის შვილებად ვ. ცისკარიშვილი, გარდა ლიპარიტისა, აღადგენს XIII ს-ის შუა წლების კახა თორელს და მის ძმას ასიბას.

ნ.შოშიაშვილის თვალსაზრისით, „ვ.ცისკარიშვილი სავსებით მართალია, როცა „არტს,“ აღადგენს, როგორც „ლიპარიტს“, სავსებით დამაჯერებელია აღდგენის ავტორისეული დასაბუთება. უფრო ქვემოთ ნ.შოშიაშვილი წერს შემდეგს: „ჩვენ ვფიქრობთ, ვ.ცისკარიშვილი ცდება, როდესაც ამირსპასალარს არ მიიჩნევს გამრეკელის ეპითეტად და ამის შემდეგ წარწერაც გადააქვს სხვა ქრონოლოგიურ ფარგლებში. ვ.ცისკარიშვილს ორმა გარემოებამ უკარნახა,რომ გამრეკელი წარწერაში ამირსპასალარად არ მიეჩნია: 1.წარწერაში მოხსენიებული ლიპარიტის გაიგივებამ XIII საუკუნის შუა ხანების ლიპარიტ-დევისყურა თორელთან, 2.წარწერის მარცხენა ნაწილის მესამე სტრიქონში ამირსპასალარის

დაბოლოების აღდგენის შემდეგ კიდევ რჩებოდა ერთი სიტყვის ადგილი ამირსპასალარისა და გამრეკელს შუა და ამ ერთ სიტყვად ვ.ცისკარიშვილმა ივარაუდა ამირსპასალარის სახელი(ავაგი ან ზაქარია). ამის შემდეგ უნდა ითქვას შემდეგი: 1. ლიპარიტ თორელი შეიძლებოდა ყოფილიყო არა მარტო XIII საუკუნის შუა წლების დევისყურად მოხსენიებული თორელი, არამედ სხვაც–XII ს–ის ბოლოს ან XIII ს–ის დასაწყისში მცხოვრები. 2. ამირსპასალარსა და გამრეკელს შუა შეიძლება აღვადგინოთ არა „ავაგი“ ან „ზაქარია“ არამედ გამრეკელის რაიმე ეპითეტი, მაგალითად-„დიდი“ თუ ამირსპასალარი გამრეკელის ეპითეტად მივიჩნიეთ, მაშინ გამოდის,რომ წარწერა გაკეთებულია XII ს-ის მიწურულის ამისპასალარ გამრეკელის შვილების პატრონობაში ე.ი.როგორც სამათლიანად ვარაუდობდა ლ.მუსხელიშვილი გამრეკელის სიკვდილის შემდეგ ე.ი. 1191 /2–1213) წერს ნ.შოშიაშვილი

ნ.შოშიაშვილი ნაწილობრივ იზიარებს ლ.მუსხელიშვილის თვალსაზრისს გამრეკელის შვილებთან დაკავშირებით, მხოლოდ კახას მიიჩნევს და გამოთქვამს შემდეგ ვარაუდს: „კახას მიჩნევა ჩვენ სარწმუნოდ გვეჩვენება, მით უფრო, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, XII ს–ის მეორე ნახევარში და XII ს–ის მთელ სიგრძეზე თორელთა ძირითად საგვარეულო შტოში რამდენიმე თაობის მანძილზე ერთმანეთს ენაცვლებიან სახელები კახა გამრეკელი [ჯავახი], კახა (1152–1177), ამისპასალარი გამრეკელი (1177–1191/2), კახა ერისთავი (ჰამამლუს წარწერა), გამრეკელი მეჭურჭლეთუხუცესი(1230-იანი წლები – 1250), კახა მეჭურჭლეთუხუცესი (1250–1260-იანი წლები), გამრეკელი(XIII-XIV სს.მიჯნა) და.აშ.

თუ გამრეკელის ერთ შვილად მივიჩნევთ კახას, ახალქალაქის ზემოთხსენებულ წარწერაში იკითხება: „[ლიპ]-არიტი“ წარწერის ქარაგმის გახსნის შემდეგ ასეთ წაკთხვას გვთავაზობს ნ.შოშიაშვილი: „[ქ.სახელითა ღმრთისაითა,] აღვაშენე ესე წმიდაი [ეკლესიაი მეფობასა თამარ]სსა და ამირსპა[სალარისა, დიდისა] გამრეკელისა ძეთა: [კახას...და ლიპ]არიტს პატრონობასა შინა...[სა]ლოცველად სულსა და ...ა. ისდიაგს შეუნდვენ ღმერთმან ამინ“. ხოლო შალვა და ივანე ახალციხელებს ნ.შოშიაშვილი თორელებისგან გამოყოფილ ახალციხის მფლობელთა ცალკე შტოს წარმომადგენლად მიიჩნევს. განძანის წარწერაში მოხსენიებული შალვა ახალციხელი ნ.შოშიაშვილს თორელ-ახალციხელად მიაჩნია (შოშიაშვილი 1966:31-32).

სოფ.განძანი მდებარეობს ისტორიული ჯავახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ახალქალაქიდან დაახლოებით 25 კმ. დაშორებით, ფარავნისა და საღამოს ტბებს შუა ფარავნის პირას.ამ სოფლის ორი ეკლესიის კედელზე ამოკვეთილია 4 ასომთავრული დამწერლობით შემდეგი წარწერა, ნ.შოშიაშვილი წარწერებს ქარაგმას შემდეგი გახსნილი სახით გვთავაზობს, სადაც მისეული წაკითხვა ასეთია: 1.დასავლეთ კედლის წარწერა: „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა მეჭურჭურჭლეთ–უხუცესი შალვა, ძითა,

ძმითა. მათითა ცოცხალთი ვაშენეთ წმიდაი ესე საყდარი ჩვენ ქებასა და ნიკოლას ძეთა.“ 2 .სამხრეთი კედლის წარწერა: „ქრისტე ღმერთო ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა ძლიერი და უძლეველი ყოველთა მტერთაგან მეჭურჭლეთ–[უხუცე]სი შალვა, რომელმან ძალითა [ღმრთის]აითა და მკლავითა თავისითა შეაძრწუნვა ყოველი ს[ოფელი სპა]რსეთისა.

მეორე ეკლესია: 1.სამხრეთი კედლის წარწერა: „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე ცხოვრებათა მანდატურთ–უხუცესი შალვა, ძითა და ძმითა. მათგან ცოცხალთა ვაშენეთ მეორე წმიდაი ესე საყდარი ჩვენ. ნიკოლას ძეთა. შალვას მონასა მანგლაფას მეოხ ექმენ ღმერთო ყოველთაო საყდარი დედისა ღმრთისაი“.2.სამხრეთი კარის თავზე მოთავსებული წარწერა: „ქ. ღრმრთივ გვირგვინოსანი მეფობაი გიორგისი, ლაშქარნი დ[ა] სამეფო დაიფარენ, დედაო ყოველთა მხსნელისაო“.

ნ.შოშიაშვილი იზიარებს ვ.ცისკარიშვილის თვალსაზრისს და წერს: „როგორც ვხედავთ, 1.3.წარწერაში მოხსენიებულია შალვა მეჭურჭლეთუხუცესი, ცხადია ორივე შალვას ჰყავს ერთი ძე და ერთი ძმა. ამასთან, როგორც სამართლიანად შენიშნავს ვ.ცისკარიშვილი, ორივე ეკლესია თუ ერთდროულად არა, ყოველ შემთხვევაში ერთი თაობის სიცოცხლეში მაინც არის აშენებული, რადგან ორივეს ამშენებლად ჩანან ნიკოლას ძენი. ვ.ცისკარიშვილისვე მართებული დაკვირვებით, ჯერ აშენებულა ის ეკლესია, სადაც შალვა მეჭურჭლეთუხუცესადაა მოხსენიებული, ხოლო შემდეგ ის, სადაც შალვა მანდატურთუხუცესად იხსენიება. ე.ი. შალვა ჯერ მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა შემდეგ მანდატურთუხუცესი.

ნ.შოშიაშვილი ვ.ცისკარიშვილის ნაშრომის ანალიზის შემდეგ წერს: „ვ.ცისკარიშვილი ითვალისწინებს განძანის წარწერებში მოხსენიებულ შალვას თორელად მიჩნევის შესაძლებლობას და განიხილავს როგორც ამის სასარგებლო, ისე საწინააღმდეგო არგუმენტებს. შალვას თორელობა შეიძლება გვაფიქრებინოს სამმა გარემოებამ: 1.სახელი შალვა ცნობილია თორელთა გვარშიც. 2. XIII ს. დასაწყისში მოღვაწე შალვას მანდატურთუხუცესობა ჰქონია 3.მეჭურჭლეთუხუცესობის პატივი თორელთა გვარის წარმომადგენლებსაც ჰქონდათ XIII ს.შუა წლებში (გამრეკელი, თორელი, კახა თორელი).

შალვას თორელობას, ვ.ცისკარიშვილის აზრით, გამორიცხავს შემდეგი: 1.განძანის წარწერები ხუროთმოძღვრული ნიშნებით XIII ს–ზე ადრინდელი არაა, ხოლო წარწერები პალეოგრაფიულად XIV საუკუნისაა. შალვა თორელი მანდატურთუხუცესი კი ცხოვრობდა XIII ს-ის დასაწყისში. სხვა შალვა თორელი ცნობილი არ არის და მანდატურთუხუცესობაც შალვას შემდეგ სხვა გვარებს ეპყრათ. (მხარგრძელებს, ჯაყელებს). 2. შალვა თორელი მეჭურჭლეთუხუცესად არსად არ იხსენიება, არც შეიძლება ის მანდატურთუხუცესებოზე ადრე მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილიყო, რადგან გუნია-ყალის წარწერაზე ადრე (ამ წარწერაშია მოხსენიებული შალვა მანდატურტუხუცესად). სხვა მეჭურჭლეთუხუცესების სახელი

ცნობილია. 3.განძანის წარწერებში მოხსენიებული გიორგი მეფე მიაჩნია ვ.ცისკარიშვილს, რომ ის არის ლაშა-გიორგი, რადგან მისი თვალსაზრისით მის დროს შალვა აღარ იყო მანდატურთუხუცესი და ამ დროისთვის ეს სახელო შანშა მხარგრძელს ეპყრა.ნ.ბერძენიშვილის თვალსაზრისით განძანის წარწერებში მოხსენიებული შალვა ან ჯაყელია ან თორელი, უფრო კი მკვლევარი უკანასკნელი თვალსაზრისისკენ იხრება, თუმცა საკითხს ღიად ტოვებს (შოშიაშვილი 1966: 35-37).

განძანის წარწერას შემდეგნაირად აღადგენს ნ.ბერძენიშვილი: „ქ:ღვთივ გჳრგჳინსანი მეფობაჲ გიორგისი ლაშქარნი და სამეფო დაჲფარენ დედაო ყოველთა მჴსნელისაო“. „ქრისტე ღმერთო ადიდე ორთავე ცხოვრებათ[ა] მანდათურთუხუცესი შალვა ძითა და ძმითა. მათგან ცოცხალთა ვაშენეთ მეორე წმიდაჲ ესე საყდარი ჩუჱნ ნიკოლასძეთა შალვას მონისა მანგლაფას მეოხ ექმენ ღმერთო ყოველთაო საყდარი დედისა ღმრთისაჲ“

ზემო (აღმოსავლეთის) ეკლესიის დასავლეთ კედლის წარწერას: „ქრისტე ღმერთო ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა მეჭურჭლეთ უხუცესი შალვა ძითა, ძმითა მათითა ცოცხალთა ვაშენეთ წმიდაჲ ესე საყდარი ჩუჱნ ქებასა და ნიკოლასძეთა“.იქვე სამხრეთის კედელძე ასომთავრულით.: ქრისტე ღმერთო ადიდე ორთავე ცხოვრებათა ძლიერი და უძლეველი ყოელთა მტერთაგან მეჭურჭლეთ-უ[ხუცე]სი შალვა რომელმან ძალითა [ღმრთის]ათა და მკლავითა თავისითა შეაძრწუნა ყოველი პა[ტრონი სპა]რსეთისაჲ“

ნ.ბერძენიშვილის აზრით, ორივე ეკლესიის წარწერა ერთ ეპოქას ეკუთვნის. დანარჩენს, როგორც თავის დროზე ნ.შოშიაშვილი აღნიშნავდა, ღიად ტოვებს.

„ვინ არიან ეს მეფე გიორგი და შალვა? სანამ სხვა ცნობები არ გვაქვს თითქოს არაფერია იმის საწინააღმდეგო, რომ ესენი არიან მეფე გიორგი VI(უნდა ეწეროს V) ბრწყინვალე და შალვა ძე, ბექა მანდატურთუხუცესისა. შალვა ორივე წარწერაშია მოხსენიებული. მას ამ დროს ერთი ძმა ჰყავს. შალვა კი თუ ის ბექას ძეა, ჰყავდა ორი ძმა-სარგის და ყვარყვარე. ნ.ბერძენიშვილის ვარაუდით განძანის ეკლესიის წარწერა არა 1344 წელს შემდეგაა ამოჭრილი, მაგრამ არა უგვიანეს 1346 წლისა. წარწერიდან ირკვევა 1344 წლის შემდეგი დრო, ვიდრე 1346 წლამდის, შალვა მეჭურჭლეთუხუცესი მანდატურთუხუცესი გამხდარა. აქედან გარკვევით ჩანს, შალვა ათაბაგი არაა. ათაბაგობა მართლაც ყვარყვარეს უნდა ჰქონოდა, რომელიც, როგორც ამირსპასალარი, ბუნებრივი მემკვიდრე იყო ათაბაგობისა. წარწერებიდან თითქოს იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ საქართველოს ხანგრძლივი ბრძოლა აქვს სპარსეთთან. ამ ბრძოლაში სახელი გაუთქვამს შალვა ჯაყელს. მკვლევრის აზრით, უკვე გიორგი ბრწყინვალის დროს საუფლისწულო ჯავახეთი, რომელიც XIII საუკუნეში თორელთა სახელოს შეადგენდა, ჯაყელთ გადასცემიათ. მისივე თვალსაზრისით, ეს შალვა პირველი ერისთავი იყოს ჯავახეთისა ჯაყელთა გვარიდან. უფრო მართებულად ნ.ბერძენიშვილს მიაჩნია შემდეგი: „შალვა მეჭურჭლეთუხუცესსა და

მანდატურთუხუცესში XII-XIII სს. დიდი მოღვაწე შალვა თორელი იგულისხმებოდეს“(ბერძენიშვილი 1964: 85–87).

ნ.შოშიაშვილი ფიქრობს, რომ განძანის წარწერებში მოხსენიებული შალვა თამარ მეფის (1184–1213), ლაშა-გიორგისა (1213–1223) და რუსუდანის (1223–1243) თანამედროვე შალვა ახალციხელი-თორელია, მისივე აზრით, განძანის წარწერაში შალვას ჯაყელობას გამორიცხავს შემდეგი:

1. ბექა I მანდატურთუხუცესის უმცროს ვაჟს შალვას ჰყავდა ორი ძმა-სარგისი და ყვარყვარე. განძანის წარწერებში მოხსენიებული შალვას კი ჰყავს ერთი ძმა. 2 .ბექა I ძე შალვა არსად არ იხსენიება არც მეჭურჭლეთუხუცესად და არც მანდატურთუხუცესად ამასთან, მეჭურჭლეთუხუცესობა სარგის I შემდეგ, ხოლო მანდატურთუხცესობა ბექა I შემდეგ ჯაყელთა გვარში აღარ ჩანს. თუნდაც, რომ ბექა I შემდეგ მის შვილს ვაზირობა მიეღო (ჯერ მეჭურჭლეთუხუცესობა, ხოლო შემდეგ მანდატურთუხუცესობა) ბუნებრივია, რომ ამ ხელს მიიღებდა ბექას უფროსი შვილი – გვარის უფროსი და სამცხის მთავარი სარგისი (რომელიც მხოლოდ სამცხის სპასალარად იწოდება წყაროებში) და არა მესამე უმცროსი შვილი, რომელიც სამცხის მთავარი არ ყოფილა არასდროს და წყაროებში ისევე როგორც ბექას მეორე ვაჟი ყვარყვარე, იწოდება ყოველგვარი ტიტულის გარეშე ბექას შვილად.

ნ.შოშიაშვილს შეუფერებლად მიაჩნია ბექა I უმცროსი ვაჟის შალვასთვის ისეთი დახასიათება, როგორითაც განძანის წარწერების შალვაა დახასიათებული: „ძლიერი და უძლეველი ყოველთა მტერთაგან, რომელმან ძალითა[ღმრთის]აითა და მკლავითა თვსითა შეაძრწუნვა ყოველი ს[ოფელი სპა]რსეთისაი. შალვა არ ჩანს ასეთი სახელმოხვეჭილი სარდალი წყაროების მიხედვით და არც იყო XIV საუკუნეში ისეთი დრო, რომ ქართველ სარდალს შეეძრწუნებინა მთელი სპარსეთი.

ასეთი დრო, ცხადია თამარისა და ნაწილობრივ ლაშა-გიორგის მეფობის წლებში ჰქონდა საქართველოს და არა XIV საუკუნეში, როცა თვითონ იყო მტრებისგან შეძრწუნებული. მთავარი მაინც, რაც გამორიცხავს ნ,შოშიაშვილის თვალსაზრისით, განძანის წარწერებში შალვას ჯაყელობას, არის ის, რომ განძანი გიორგი ბრწყინვალის დროს არ ყოფილა ჯაყელთა სამფლობელო. ჯაყელებმა ჯავახეთი მხოლოდ XV საუკუნეში იგდეს ხელთ და მით უმეტეს ისეთი უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი ჯავახეთისა, სადაც განძანი მდებარეობდა.

XIII საუკუნის შუა წლებიდან ჯაყელთა სამფლობელოების ზრდის პროცესი ჩქარდება. განსაკუთრებით იზრდება სამცხის სამთავროს ფარგლები ბექა-I-მანდატურთუხუცესის დროს XIII საუკუნის ბოლოდან, მაგრამ ამ დროისთვისაც კი ჯავახეთის მხოლოდ მცირე ნაწილი შედიოდა სამცხის სამთავროში. ამაზე აშკარად მიუთითებს ჟამთააღმწერლის იგივე ცნობები სამცხის ზრდაზე. აღბუღა–ათაბაგი თავის ქვეშევრდომად ასახელებს სამცხის 5 თემს:

ტაოელებს, შავშებს, კლარჯელებს, ჯავახეთი აქ დასახელებული არაა, რაც აშკარად მოწმობს, რომ XIV საუკუნეში ჯავახეთი ჯერ კიდევ არ შედიოდა სამცხის საათაბაგოში (შოშიაშვილი 1966: 37–38).

ღრტილას ეკლესიის 1308 წლის წარწერაში ამშენებლად მოხსენიებულია თმოგველთა ასული და ლიპარიტ ქვეშელის ცოლი რუსუდანი ((ქვეშელები, როგორც ეს ვ.ცისკარიშვილმა გაარკვია, თორელთა სახლის განშტოებას შეადგენდნენ). წარწერა მოწმობს, რომ 1308 წელს ღირტილას ფლობენ თმოგველები (თმოგველთა მფლობელობა, ცხადია, ჯავახეთის ამ ჩრდილო–აღმოსავლეთ ნაწილს ვერ მისწვდებოდა) თანაც თორელთა ის შტო, რომელიც ქვემო ქართლშიც (ქვეშს ხევში) გვევლინება მემამულედ. ღრტილა კი, სწორედ ქვემო ქართლში მდებარე თრიალეთს ემეზობლებოდა.

ცნობილია, რომ XIV საუკუნეში ჯავახეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ალასტანი იქცა ე.წ. „პროვინციის მეფეთა“ ერთერთი შტოს საჯდომელად. ესეც მიუთითებს იმაზე, რომ ამ დროისთვის ჯაყელებს ჯავახეთის ეს ნაწილიც არა ჰქონდათ ხელთ

ნ.შოშიაშვილის აზრით, აგრეთვე ეს მიუთითებს იმაზე, რომ ამ დროს არ შედის ჯავახეთში. მისივე თვალსაზრისით, საეჭვოა, რომ სამცხე-საათაბაგოს ფეოდალები, სამცხის ათაბაგთა ყმა-ვასლები მეფის კარის მოხელეები ყოფილიყვნენ. ასეთი რამ დარღვევა იქნებოდაო ფეოდალურ-პატრონყმური კიბის თანამიმდევრობისა,- წერს მეცნიერი: „მაშინ სამცხე-საათაბაგოს ფეოდალები მეფის ვასალები იქნებოდნენ და არა სამცხის მთავრისა(ცხადია, მეფის კარის მოხელე არ შეიძლება მეფის ვასალი არ იყოს), ე.ი. სამცხე სამთავრო ვეღარ იქნებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მკვლევარი ფიქრობდა, რომ განძანის წარწერებში მოხსენიებული შალვა არ შეიძლებოდა ჯაყელი ყოფილიყო და ის თორელად უფრო მიაჩნდა. მეცნიერი ამას შემდეგი გარემოებებით ხსნის: 1.შალვა ახალციხელ-თორელის დროს ჯავახეთი (და, ცხადია, განძანიც) თორელთა საგამგებლო იყო. 2. გუნიაყალის ეპიგრაფიკული ძეგლისა და თამარის ანონიმური ისტორიის ცნობით შალვა ახალციხელ-თორელი მანდატურთუხუცესი იყო. ამ წყაროების მიხედვით შალვას მანდატურთუხუცესობა მიუღია 1207 წელს. ხოლო მისი შემცვლელი მანდატურთუხუცესი შანშა მხარგრძელი წყაროში(ჟამთააღმწერელი) ამ ხელის მფლობელად პირველად იხსენიება 1225 წელს.

ნ.შოშიაშვილი მიიჩნევს, რომ შანშემ ეს ხელი მიიღო მხოლოდ შალვას დაღუპვის შემდგომ. შალვას მანდატურთუხუცესობას ნ.შოშიაშვილი 1207-1225 წლებით საზღვრავს და ვ.ცისკარიშვილისგან განსხვავებით განძანის მეორე ეკლესიის წარწერაში მოხსენებული შალვა მანდატურთუხუცესის თანამედროვე მეფედ ხსენებული გიორგი, მეფე ლაშა-გიორგი არის. 3.განძანის ეკლესიაში მოხსენიებულ შალვას ჰყავს ერთი ძმა და ერთი ძე, ასევე ერთი ძმა – ივანე და ერთი ძე ფარადავლა ჰყავდა შალვა ახალციხელ-თორელს. 4.განძანის

ეკლესიის წარწერაში შალვას დახასიათება, როგორც სახელოვანი სარდლისა, კარგად მიესადაგება შალვა ახალციხელ-თორელს, რომელმაც შამქორის ომიდან ნადავლად წამოიღო და თამარ მეფეს მიართვა ხალიფას დროშა (რომელიც წინამბრძოლი ლაშქრის სარდალი იყო ბასიანის, გარნისისა და სხვა ომებში). ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ განძანის წარწერებში მოხსენიებული შალვა ჯერ ყოფილა მეჭურჭლეთუხუცესი, ხოლო შემდეგ მანდატურთუხუცესი (ნ.შოშიაშვილი 1966: 39–40).

კიმოთისმანის ეკლესიის უთარიღო წარწერაში, რომელსაც ნ.ბერძენიშვილმა მიაგნო ერისთავთ-ერისთავი შალვაა ნახსენები: „ქრისტე ადიდე სულითა შალვა ერისთავთ–ერისთავი.“ ეს შალვა, ნ.ბერძენიშვილის აზრით, რომელსაც ნ.შოშიაშვილიც იზიარებს, შალვა ახალციხელ–თორელია: „საყურადღებოა სახელი შალვა და მისი პატივიც-ერისთავთა ერისთავიც საფიქრებელი არაა, რომ აქ ვინმე ჯაყელთაგანი იგულისხმებოდეს. ასეთი სახელის ერისთავთა ერისთავი ამ დროის(XII-XIIIსს)ჯაყელთა (ციხისჯვარელთა) სახლში უცნობია. არაა საფიქრებელი, რომ აქ იგულისხმება XIII საუკუნის შუა წლების მოღვაწე შალვა ბოცოს ძე ჯაყელი ან შალვა, უმცროსი ვაჟი სარგისის ძისა, XIII-XIV ს-ის მოღვაწე. ერისთავთ ერისთავობით არც ერთი მათგანი არ იხსენიება. ნ.ბერძენიშვილს საეჭვოდ მიაჩნია, რომ მათი ხელი მისწვდომოდა ამ დროის ე.ი. XII-XIII საუკუნეში თორელთა სახლის საპატრონოს ამ შუაგულს. შალვა არტანუჯელი კი (ჯაყელი) ათაბაგობით არის ცნობილი და არა ერისთავთა ერისთავობით, თანაც ეს შალვა, ნ.ბერძენიშვილის თვალსაზრისით, XIV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა. სახელი შალვა ჯაყელთა სახლის ონომასტიკონში შესული ჩანს თორელთა სახლიდან: თორელთა სახლში ეს სახელი, ნ.ბერძენიშვილის აზრით, გვარის მეთაურის („თორელის“) საკუთარ სახელად გვხვდება, ჯაყელთა სახლში კი შალვა უმცროსი ძმის სახელია. ნ.ბერძენიშვილი ვარაუდობს, რომ ჩვეულებრივ უფროს ძმას პაპის ან მამის სახელს არქმევდნენ, უმცროს ძმებს კი ბიძათა, მამის ან დედის ძმის, სახელებს. ეს ხსენებული შალვა თორელ-ახალციხელი, XII-XIII საუკუნის დიდი სამხედრო მოღვაწე, მონაპირე, ჯავახეთის მხრისა (ე.ი.ერისთავი), მანდატურთუხუცესი. მოიკლა ჯალალ-ედ-დინის მიერ 1226 წელს (ბერძენიშვილი 1964 :233).

წარწერა ერთადერთი წყაროა, სადაც შალვა ერისთავთა ერისთავობით იხსენიება. უთარიღოა ვაჩიან-კუმურდოს ზუინაკტის წარწერა, სადაც მოხსენიებულნი არიან შალვა და მისი ძმა ივანე ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელთან და ივანე ცოტაძესთან ერთად(შოშიაშვილი 1966: 42).

ნ.ბერძენიშვილის თვალსაზრისით: „თორი თორელთა განთქმული ფეოდალური სახლის სამშობლოა, თუმცა სავალდებულო არაა, რომ თორელთა ე.ი. ამ ფეოდალური სახლის მეთაური ყოველთვის თორში ბინადრობდეს. ფეოდალური სახლის მეთაურის სადაურობის სახელი იწრმოება არა ქვეყნის ცენტრალური(სხვაზედ მნიშვნელოვანი) პუნქტის

სახელისაგან. მაგრამ მას შემდეგ, რაც ასეთი სახელი სახლის მეთაურის სახელწოდებად იქცა, ის ამ სახელს ატარებს იმისგან დამოუკიდებლად თუ სად ბინადრობს. ქვეყნის სახელი „თორი“ნ.ბერძენიშვილს პუნქტი თორის სახელისაგან წარმოშობილად მიაჩნია, ე.ი ქვეყნის სახელი თორი ესაა პუნქტი სახელის გადატანა(გავრცელება) ქვეყანაზე ანუ ესაა „თორის“ ქვეყანა“(ბერძენიშვილი1964: 208-209).

შალვას და ივანეს დარჩათ თითო ვაჟი, შალვას ფარადავლა, ივანეს–დავითი. .ფარადავლა იხსენიება ჟამთააღმწერელთან რუმის სულთნის ყიასედინის ლაშქარში მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს. რაღაც მიზეზის გამო ამ ბრძოლის დროს სულთანმა მოაკვლევინა ფარადავლა.

ივანე ახალციხელის ვაჟი დავითი ჟამთააღმწერლის ცნობით ათაბაგ ავაგ მხარგრძელის ეჯიბი ყოფილა და მას თან გაჰყოლია მონღოლთა ურდოში–ჯერ ბათუ ყაენთან, ხოლო შემდეგ ყარა–ყორუმში. ნ.შოშიაშვილს მიაჩნდა, რომ ახალციხელები თორელთაგან გამოყოფილ ცალკე საგვარეულო შტოს შეადგენდნენ: „ეს შტოები, წერს ის, წყაროებში როგორც დავინახეთ პირველად იხსენიება შალვა და ივანე ახალციხელების სახით, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ახალციხელთა შტოს გამოყოფა თორელებისგან უფრო ადრე მოხდა და უკვე შლვასა და ივანეს მამა, თუ უფრო შორეული წინაპარი არა, ახალციხელი იყო. ამას ნ.შოშიაშვილს აფიქრებინებს ის გარემოება, რომ ახალ საგვარეულოს ჩვეულებრივ ერთი კაცი იწყებს, იქნება ამ საგვარეულოს სახელი სამფლობელო ადგილიდან თუ გვარის უფროსი წევრის სახელისაგან. მაგალითად, თმოგველთა გვარის დაფუძნებული იყო სარგის მხარგრძელი, გაგელთა გვარისა ბლუ–ზაქარია მხარგრძელი, ბარათაშვილებისა–ბარათა ქაჩიბაძე, ყაფლანიშვილებისა ყაფლან ბარათაშვილი, აბუსერისძებისა – XI ს–ის ერსთავი აბუსერი. არ შეიძლება, რომ ახალ გვარს ორმა კაცმა მისცეს ერთდროულად საწყისი. ასე, რომ ახალციხელთა გვარის დამწყებად შალვას და ივანეს ვერ მივიჩნევთ. ახალციხელები რომ თორელთაგან გამოყოფილი ცალკე საგვარეულო შტოს შეადგენდა, ამაზე მიუთითებს ამ შტოს მოხსენიება XIII ს–ის მთელ სიგრძეზე. ცხადია, რომ შალვა და ივანე ახალციხელთა შთამომავლობა (ან შეიძლება მხოლოდ ივანე ახალციხელისა, თუ კი რუმის სულთნის ყიასედინის მიერ მოკლულ შალვა ვაჟს ფარადავლას შვილი არ დარჩა) ახალციხელებად იწოდებიან და არა თორელებად(შოშიაშვილი 196642- 43).

თორელთა ძირითად შტოს (კახა–გამრეკელებისა) ახალქალაქის ერისთაობა ჰქონდა, რაზეც მიუთითებს: 1. ახალქალაქის ზემოთხსენებული წარწერა, სადაც ამირსპასალარი გამრეკელი და მისი შვილები ამ მხარის პატრონებად იწოდებიან. 2. მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელის მოხსენიება ახალქალაქის ერისთავად. თორელების ახალციხელთა შტოს სამფლობელოდ ჰქონდა ,როგორც თვით საგვარეულოს სახელწოდებიდან ჩანს, ახალციხე,

მაგრამ ახალციხელები შალვას და ივანეს დროს პირველობას იგდებენ ხელთ მთელს სამხრეთ საქართველოში და ჯავახეთის მენაპირედ ამირსპასალარ–გამრეკელის შემდეგ ინიშნება არა ახალქალაქის ერისთავი თორელთა სახლიდან (ასეთად ნ.შოშიაშვილს მიაჩნდა ჰამამლუს წარწერებში მოხსენიებული [ამისპასალარ გამრეკელის] ძე კახა ერისთავი), კი არა, არამედ შალვა ახალციხელი სარგის თმოგველთან ერთად.კარის აღების შემდეგ, მისი აზრით, ამ მხარის მენაპირეობა ეძლევა მეორე ახალციხელს–ივანეს, მაგრამ შალვა და ივანეს შემდეგ ახალციხელები ემცრობიან და სამხრეთ საქართველოში ბატონდება კვლავ თორელთა ძირითადი შტო კახა – გამრეკელებისა.

მონღოლთა ბატონობის ხანაში, XIII ს–ის 40–იანი წლებში, სამხრეთ საქართველოს დუმნის თავად მონღოლები ნიშნავენ მეჭურჭლეთუხუცეს გამრეკელ–თორელს(ნ.შოშიაშვილი ფიქრობდა, რომ ის ალბათ ამირსპასალარ გამრეკელ–თორელის შვილიშვილი და ჰამამლუს წარწერაში მოხსენიებული კახა ერისთვის შვილი იყო).

ხოლო 50–60-იან წლებში ახალქალაქის ერისთავად ჩანს. მეჭურჭლეთუხუცესი კახა თორელი, რომელიც მეჭურჭლეთუხუცეს გამრეკელ–თორელის ძედ მიაჩნია-.

XIII ს–ის მეორე ნახევარში ახალციხელები კიდევ უფრო ემცრობიან. ისინი კარგავენ ახალციხეს, რომელსაც ხელთ იგდებენ ჯაყელები. ნ.შოშიაშვილს მართებულად მიაჩნია ლ.მუსხელიშვილის ვარაუდი ახალციხის ჯაყელთა ხელში ჩაგდების თაობაზე. XIII ს შუა წლებში თორელები, როგორც ჩანს, კარგავენ საუფლისწულო ქალაქის კარის გამგებლობას. საინტერესოდ მიაჩნია ნ.შოშიაშვილს კარის ქართული წარწერა, როგორც მეცნიერი აღნიშნავს, ის დაზიანებულია. ნ.შოშიაშვილის ვარაუდით ივანე ახალციხელის(კარის ამირთ–ამირა) სიკვდილიდან 12 წლის შემდეგ ეკლესიას აშენებს ქართველი ამირა. ნ.შოშიაშვილის თვალსაზრისით, ეს პირი ისევ ახალციხელია, შესაძლოა ის დავითიც, რომელიც ავაგ ათაბაგის ეჯიბადაა ჟამთააღმწერელთან მოხსენიებული, მასვე საინტერესოდ მიაჩნია ამ მხრივ სადუნ მაკნაბერდელი, რომელიც კარს ღებულობს მეფისგან, ეჯიბობასაც იღებს ავაგ–ათაბაგის ქალის ხვაშაქისგან (შოშიაშვილი. 1966: 44–45).

დამცრობილი, მამულებდაკარგული ახალციხელთა საგვარეულო (როგორც ჩანს, თორელთა საგვარეულოს ძირითადი შტო კახა–გამრეკელებისა, ისევე, როგორც თმოგველთა საგვარეულო) შიდა ქართლში გადასახლდა(შიდა ქართლში და ნაწილობრივ იმერეთში. სამცხის ფეოდალთა გადასახლება, რასაც განაპირობებდა ერთი მხრივ ფეოდალური ქიშპი და ერთი ფეოდალური საგვარეულოს მიერ მეორის შევიწროვება–განდევნა, ხოლო მეორე მხრივ თურქეთის ექსპანსია არ შეწყვეტილა XIV-XVI სს. მანძილზე), ახალციხელთა გვარის შთამომავლობა უნდა იყოს ნ.შოშიაშვილის აზრით მოხსენიებული ქართლის მეფის კონსტანტინეII-ის 1487 წლის სიგელში, რომლითაც ის მამულებს უწყალობებს საღვინის მოლარე ქავთარის ძე ახალციხელს და მის ძმებს თორელსა და

ეშიმას, მის შვილებს: ლიპარიტს, მირიანს, დავითს, სურხანს, ტარიელს. ქავთარის ძე ახალციხელს მეფის წინაშე ერთგულება გამოუჩენია: ხლებია მის შვილებს ურდოში, რის გამოც მეფე უწყალობებს მას უმკვიდროდ გადასული მირიანის ძის მამულს.

ნ.შოშიაშვილის თვალსაზრისით, აქ ახალციხელი სახელია და არა გვარი. ასევე საბუთად ქცეულა ამ საბუთის მიხედვით თორელი. მასვე მიაჩნია, რომ გვარიდან სახელად იქცა ასევე თორელთა მეორე განშტოება ქვეშელი, ისევე, როგორც რუსთაველიც, რომელსაც ასევე თორელთა განშტოებად თვლის. ქავთარის ძე ახალციხელიც თორელ–ახალციხელთა შთამომავლად მიაჩნია ნ.შოშიაშვილს, რაზეც მისი შენიშვნით ოჯახის წევრთა სახელები მეტყველებს: თორელი, ლიპარიტი და თვით ახალციხელი.

ნ.შოშიაშვილი ლ.მუსხელიშვილის აზრს მართებულად თვლის, XIII საუკუნის 30–40-იანი წლების გამრეკელ თორელის ამირსპასალარ გამრეკელის შვილიშვილად მიჩნევასთან დაკავშირებით, მაგრამ არ ეთანხმება მუსხელიშვილს, როცა მას შალვა ახალციხელის შვილად მიიჩნევს. ნ.შოშიაშვილის ვარაუდით ამას გამორიცხავს ის გარემოება, რომ შალვა და ივანე ახალციხელების შვილები და მათი შთამომავლობაც ახალციხელებად იწოდებიან და არა თორელებად. XIII ს-ის 30–40-იანი წლებში გამრეკელი არც ერთხელ არ იწოდება ახალციხელად, არამედ ყოველთვის თორელად.

ნ.შოშიაშვილი თვლის, რომ: „ეს გამრეკელი უნდა მივიჩნიოთ ამირსპასალარ–გამრეკელის უფროსი ვაჟის (ჰამამლუს წარწერებში მოხსენიებული) შალვად, ხოლო თვით გამრეკელის შვილად, უნდა მივიჩნიოთ XIII ს–ის 50–60–იანი წლების კახა თორელი.

XIII ს. გამრეკელ–თორელი მეჭურჭლეთუხუცესად ჩანს მის მიერ ხელჩართულ მიქაელ კათალიკოსის დაწერილიდან, ასევე მეჭურჭლთუხუცესად ჩანს კახა თორელი, მის მიერ გაცემულ „რკონის დაწერილიდან“ და ჟამთაღმწერელთან. გამრეკელ–თორელი მონღოლთა ბატონობის პირველი პერიოდის აქტიური პოლიტიკური მოღვაწე მონღოლებმა დანიშნეს სამხრეთ–საქართველოს დუმნის თავად და „ხელთ უდვეს“ ჯავახეთი, სამცხე, კარნუ ქალაქამდე.

ახალქალაქის ერისთავთ–ერისთავად ჩანს კახა თორელიც, რომელიც სავსებით აშკარაა, რომ მემკვიდრეა გამრეკელ–თორელისა, როგორც მისი შემცვლელი ერისთავი ჯავახეთისა და მისივე შემცვლელი მეჭურჭლეთუხუცესის პოსტზე. ნ.შოშიაშვილის აზრით, მეჭურჭლეთუხუცეს–გამრეკელის შვილი უნდა იყოს არა ლიპარიტ დეევისყურა თორელი,როგორც ამას კითხვის ქვეშ ვარაუდობდა ლ.მუსხელიშვილი, არამედ მეჭურჭლეთუხუცესი კახა თორელი. ამას ნ.შოშიაშვილის აზრითვე მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ მეჭურჭლეთუხუცესი კახას ძე იყო და, ამდენად, ბუნებრივად მიაჩნია მეცნიერს, რომ მეჭურჭლეუთუხცესს კახა თორელს თავისი პაპის სახელი რქმეოდა.

კახა მეჭურჭლეთუხუცესს „რკონის დაწერილის“ მიხედვით ჰყოლია ძმები (არ ჩანან,

რამდენი), რომელთგან ერთს რქმევია ასიბა, ჰყოლია ბიძა, ჰყოლია ახლობელი ნათესავი(ბიძა?) სამადავლა. რაც შეეხება ლიპარიტ–დევისყურა თორელს, რომელიც ნარინ–დავითის დასავლეთ საქართველოში გაქცევის დროს (1251 წ) თორსში იჯდა, დავითს გაჰყვა, ის შესაძლოა იყოს არა მეჭურჭლეთუხუცესის გამრეკელის შვილი, არამედ თამარის თანამედროვე ამირსპასალარ გამრეკელის შვილის ლიპარიტის შვილიშვილი. ნ.შოშიაშვილი თვლიდა: „ახალქალაქის წარწერა მოწმობს, რომ ამირსპასალარ–გამრეკელის უმცროს(მესამე) შვილს ლიპარიტი ერქვა, მაგრამ ეს ლიპარიტ–დევისყურა თორელი იყოს, რომელიც 1251 წ. ნარინ-დავითს დასავლეთ საქართველოში გაჰყვა. მისივე თვალსაზრისით, როგორც კახა მეჭურჭლეთუხუცესი, ისე ლიპარტ-დევისყურა ამირსპასალარ-გამრეკელის შვილიშვილები იყვნენ.

ნ.შოშიაშვილი ნაშრომის სქოლიოში იძლევა შენიშვნას: ლ.მუსხელიშვილის დროს გამოცემული არ იყო მიქაელ კათალიკოსის დაწერილი–ს დედანი, სადაც გაამრეკელი მეჭურჭლეთუხუცესად იხსენიება, რის გამოც გამრეკელის მეჭურჭლეთუხუცესობა მან ვერ გაითვალისწინა თორელთა გენიალოგიის კვლევის დროს-ო (შოშიაშვილი, 1966: 45-47. სქ 148).

ჯვრის აღაპებში მოხსენიებულია ჯავახ თორელი და მისი ასული ბობა. ამავე აღაპებიდან ჩანს, რომ ჯავახ თორელი ბერად აღკვეცილი ჩანს სვიმონის სახელით. ნ.შოშიაშვილი ვარაუდობს, ეს ჯავახი არის ჯავახიშვილის გვარის დამფუძნებელი თორელად. XIV ს–ის დასაწყისშივე ყაზან–ყაენის სიკვდილის შემდეგ ვახტანგ III-ის დროს, ე.ი 1303–1308 წწ. შორის ჟამთააღმწერელთან მოხსენიებულია გამრეკელი ჯავახიშვილი, რომელიც ვახტანგ მეფესთან ერთად მონაწილეობდა მონღოლთა ლაშქრობებში გილანელების წინააღმდეგ. უნდა იყოს მოხსენიებული 1345 წლის წყალობის სიგელში, რომელსაც მეფე აძლევს გამრეკელს და მის შვილს სარინჯას. აქვე მოხსენიებულია გამრეკელის ბიძაშვილი შალვა, რომელსაც ჰყოლია შვილი. ეს შალვა ჯავახიშვილი მოხსენიებულია 1339 წ.

მეფის წყალობის წიგნში, როგორც მეჯინიბეთუხუცესი, გამრეკელისავე თაობისავე ჩანს 1338 წელს საბუთში მოხსენიებული თორელი ჯავახიშვილი ივანე. ეს საბუთი წარმოადგენს გიორგი ბრწყინვალის მიერ ივანესთვის მიცემულ წყალობის წიგნს, სადაც ივანე ჯერ კიდევ იხსენიება თორელად, მაგრამ იქვე ჩანს მისი ახალი გვარი ჯავახიშვილი. ნ.შოშიაშვილის თვალსაზრისით, ეს გვარი შეეძლო მას მიეღო ზემოთხსენებული ჯავახ თორელიდან და აქედან გამომდინარე თვლის, რომ იგი ჯავახ თორელის ძეა და გამრეკელ ჯავახიშვილის ძმა. თვით ჯავახ თორელს მისი ცხოვრების ხანის მიხედვით (XIII-XIV სს მიჯნა) შესაძლებლად მიაჩნია, რომ ის იყოს ბექა მანდატურთუხუცესის კეთილმოყვრობის წიგნში მოხსენიებული კახა თორელის ძმად, გამრეკელის შვილად, რასაც მეცნიერის აზრით მხარს უჭერს გამრეკელის ერთერთი შვილის სახელიც–გამრეკელი.

XIV ს–ის ჯავახიშვილებზე წყაროებში ვერაფერი მოვიძიეთო, წერს მკვლევარი. XV ს-დან კი თორელები აღარ იხსენიება და ამ დროიდან თორელთა გვარის ძირითად შტოს დამკვიდრებული აქვს ჯავახიშვილების სახელწოდება, მაგრამ თორელთა საგვარეულო სახელები გამრეკელი და კახა ჯავახიშვილების გვარში კვლავ გვხვდება XV-XVII სს.

მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელის შემდეგ, რომელსაც ახალქალაქის ერისთავთ-ერისთაობა ეპყრა, როგორც ჩანს, ერისთაობა გადადის თორელთა მეორე განშტოების ღობიარების ხელში. ღობიარების სახელწოდება ამ განშტოებამ სამფლობელო ადგილის ღობიეთის მიხედვით მიიღო, ისევე, როგორც ახალციხელებმა ახალციხის მიხედვით. XII ს–ის II ნახევარში სამცხე–ჯავახეთის თორელთა სამფლობელოში ერისთავთ-ერისთავებად გვევლინებიან ღობიარები. ცხადია, ორი საერისთავო ამ მხარეში ვერ იქნებოდა.

ამდენად, ჯაყელთა სამთავროს აღმოსავლეთ ნაწილი ჯერ კიდევ აღმოსავლეთ საქართველოს მეფის ხელთ მყოფი, ჯავახეთისა და სამცხის ნაწილის ერისთავთ-ერისთაობა ახალქალაქის ერისთავებიდან გადადის ღობიარი ერისთავების ხელში. ამრიგად, XII ს-ის II ნახევარში 1191 წლამდე ამ მხარის ერისთავთ–ერისთაობა ეპყრა თორელთა ძირითად შტოს–ახალქალაქის ერისთავებს, 1191–1125 წლებში ერისთავთ–ერისთაობა გადადის თორელთა განშტოების, ახალციხელების ხელში, 1225 წლიდან 1260–იან წლებამდე ერისთავთ–ერისთაობა კვლავ უბრუნდებათ ახალქალაქის ერისთავებს, თორელთა საგვარეულო შტოს, ხოლო 1260–იანი წლებიდან XIV ს–ის დასაწყისამდე ერისთავთ–ერისთაობას ხელთ იგდებს თორელთა მეორე განშტოება ღობიარი ერისთავებისა, რომელიც სამცხის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ახალციხიდან 15–20 კმ. მანძილზე, ჯაყელები, ცხადია, XIII ს–ის თუ არა XIV I ნახევარში იგდებენ ხელთ.

ამ საუკუნეების მიჯნაზე ჯაყელების სამთავროს აღმოსავლეთ საზღვარი კოხტას ახლოს უნდა ვიგულვოთ, წერს მეცნიერი. ამდენად, ღობიართა ერისთავთ–ერისთაობაც XIV ს-ის პირველ ნახევარს არ გასცილებია(უფრო კი დასაწყისს). მისივე ვარაუდით, შესაძლოა, ღობიარები ამის შემდეგაც ერთხანს სახლობდნენ სამცხეში, როგორც ჯაყელებისადმი დაქვემდებარებული ერთ–ერთი ფეოდალური საგვარეულო. ამაზე თითქოს უნდა მიუთითებდეს ის გარემოება, რომ დიასამიძეების უშუალო წინამორბედ მფლობელად XVI საუკუნის ნუსხაში ღობიარები არ ჩანან. ნ.შოშიაშვილს თორელთა გვარის კიდევ ერთ განშტოებად მიაჩნია ქვეშელები, მისი აზრით, ამ განშტოებაზე ცნობას გვაწვდის ახალქალაქის რაიონში მდებარე ღრტილას ეკლესიის 1308 წლის სამშენებლო წარწერა (შოშიაშვილი 1966: 47–49).

„ქ გათავდა ქვეშელისა ლიპარიტ ცოლისა თმოგველთა ქალისა რუსუდანისგან შეუნდვენ ღმერთმან .ქორონიკონი იყო ფკ‹ჭ(528).

მორვანის ძესა იოვანეს შეუნდვენ ღმერთმან (ცისკარიშვილი 1959: 94).

შოშიაშვილი იზიარებს ვ.ცისკარიშვილის მოსაზრებას, რომ ლიპარიტ ქვეშელი თორელია და მეტი დასაბუთების მიზნით განიხილავს შემდეგ საბუთს: XVI საუკუნის დასაწყისის ჯავახიშვილების ერთ საბუთში (საბუთი დოროთეოს კათოლიკოსის მიხედვით 1500/1516 წლით უნდა დათარიღდეს) მოხსენიებულნი არიან ჯავახიშვილები: ჯავახი,მისი ძმები და შვილები: გოშთარ, ივანე, გამრეკელი, სარგის, ვირშელ, ქვეშელი, როინი. ნ.შოშიაშვილი წერს შემდეგს: „როგორც ვხედავთ, თორელთაგან წარმონაქმნ ჯავახიშვილების საგვარეულოში ქვეშელი უკვე სახელად ქცეულა(ისევე როგორც სახელად იქცა ახალციხელი, თორელი და რუსთაველი). ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ლიპარიტ ქვეშელი ქვეშის ციხისა და ალბათ ხევის მფლობელი, თორელთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. ქვეშელებს მამული ჰქონდათ თრიალეთის მეზობლად მდებარე ჯავახეთის ჩრდილო–აღმოსავლეთ ნაწილში(აქ არის სწორედ ღრტილა, დღევანდელი–იხტილა), საიდანაც მათი მფლობელობა გავრცელებულა ქვემო ქართლში.

თორელთა ფეოდალური სახლის ძირითადი სამფლობელო, მამული, როგორც თვით ამ სახლის სახელწოდებიდან („თორელი“) ჩანს, თორის მხარე იყო. თორი რომ სამამულე ქვეყანა იყო და არა საერისთავო, ამაზე, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს საგვარეულო სახელწოდება „თორელი“. საგვარეულო სახელი კი, როგორც ამას წყაროები მოწმობენ, იწარმოება სამამულო ქვეყნიდან(ჯაყელი, ციხისჯვარელი, ძამელი, სურამელი, ფავნელი, ხერთვისარი და სხვა) და არა სახელო ქვეყნიდან(ახალქალაქის ერისთავიდან არ იწარმოება ახალქალაქელი, ცხუმის ერისთავიდან–ცხუმელი, ოძრხის ერისთავიდან-ოძრხელი, წუნდის ერისთავიდან-წუნდელი, კარის ერისთავიდან–კარელი, ანისის გამგებლიდან ანელი და ა.შ. ქართული წყაროებიდან თორი პირველად მოხსენიებულია „მატიანე ქართლისა“-ში. XI ს-ის ქართული წყაროები ზემო ქართლისა და შიდა ქართლის, სამცხისა („ოძროხოსის ქუეყანის“) და, ქართლის საზღვრად ტაშისკარს ასახელებენ და, ამრიგად, თორი შეაქვთ სამცხეში XII-XIII სს. თორი უკვე სამცხისგან დამოუკიდებელი მხარეა. სამცხის სპასალართა იურისდიქცია ამ დროისთვის თორს აღარა სწვდება. თორის მცხოვრებლებიც-თორელები XIII-XIV სს. წყაროებში მოიხსენიებიან მესხთა, ტაოელთა, შავშთა კლარჯთა და სხვათა თანაბრად(თამარის ისტორიკოსებთან და ჟამთა აღმწერელთან ე.ი სამცხის ცნება ამ დროიდან შეცვლილია-ო, წერს მკვლევარი და ის აღარ მოიცავს თორს. თორი ისეთივე ცალკე თემია, როგორც თვით სამცხე. ნ.შოშიაშვილის ვარაუდით, თორი ალბათ ისევე ჩამოყალიბდა ცალკე მხარედ სამცხეში, როგორც გვიან-თმოგვი ჯავახეთში.

ამრიგად, XI-XIII სს. თორის თემის ჩრდილოეთის საზღვარი მტკვარზე, ცხადია, ტაშისკარია, რომელსაც ასახელებენ წყაროებში შიდა ქართლის და ზემო ქართლის საზღვრად, სამცხის საზღვრად ქართლთან (სამცხიდან თორის გამყოფამდე). და სამცხე–

საათაბაგოს საზღვრად(მის შემადგენლობაში თორის შესვლის შემდეგ) (შოშიაშვილი 1966: 49- 52).

თორელთა სახლის ძირითადმა შტომ XIV საუკუნიდან სახელწოდება შეიცვალა და ჯავახიშვილად იწოდა, თორელობას ამ დროს უკვე აღარ ჰქონდა რეალური შინაარსი: XIV საუკუნეში თორელები თორს აღარ ფლობენ. ამდენად, დაბის წარწერაში მოხსენიებული მეფის მოლარეთუხუცესი, ალბათ, თორის ახალი მემამულე იყო და არა თორელი. XIV საუკუნეში თმოგველები, ისევე, როგორც თორელები, ჯაყელთა ეს ორი ძლიერი მეტოქე ფეოდალური სახლი მესხეთში, ტოვებენ თავიანთ ძველ სამფლობელოებს თორში, თმოგვში, ჯავახეთში და მკვიდრდებიან შიდა ქართლში. ეს იყო ლოგიკური შედეგი ჯაყელთა ძლიერების ზრდისა და მათ მიერ თორელთა და თმოგველთა სამფლობელოებისთვის მითვისებისთვის ბრძოლისა (შოშიაშვილი1966: 54–56).

ნ.შოშიაშვილი გამოთქვამს თვალსაზრისს: „აძიკვის წარწერა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ თორელები გარკვეულ პერიოდში აერთიანებდნენ ქვემო ქართლისა და ჯავახეთის საუფლისწულო დომენის გამგებლობას თავიანთ ხელში, ისევე როგორც ძამის ხეობის სამეფო დომენისას. როგორც ჩანს, ახალციხე წარმოადგენდა მიჯნას თორელთა და ჯაყელთა სამფლობელოებს შორის: ჯაყელები ახალციხის დასავლეთით და სამხრეთით–დასავლეთით ისხდნენ. XII ს-ის ბოლოს სამცხისა და ჯავახეთის საზღვარი სრულიად განსხვავდება იმ საზღვრისაგან, რომელიც XI ს-ის საისტორიო წყაროების საფუძველზე დგინდება.

ამ პერიოდში სამცხის სპასალარების–ჯაყელების სამფლობელოს შეადგენს ოთხი დიდი ხევი: ოძრხის, ქვაბლიანის, ჯაყისა და ფოცხოვის(ეს უკანასკნელი ადრე ჯავახეთში შემავალი ჩანს. კერძოდ, ყველის ციხე და მისი მიმდგომი მხარე. რაც შეეხება მტკვრის ხეობას, რომელიც ტაშისკარიდან მოყოლებული ასპინძის ჩათვლით XI ს-ის წყაროების ცნობით სამცხეში შედიოდა, XII ს-ში ის უკვე ნაწილობრივ სამცხიდან გამოყოფილ თორში შედის, ხოლო ნაწილობრივ ჯავახეთის საუფლისწულო დომენშია ახალციხიანად შემოსული და თორელთა საგვარეულოდან დანიშნულ ერისთავთ–ერისთავების საგამგებლოს შეადგენს(თვით ახალციხე საისტორიო წყაროებში ადრე არ იხსენიება და პირველად მისი არსებობის შესახებ ახალციხელის გვარის მიხედვით ვგებულობთ XII საუკუნეში. შესაძლოა, ახალციხეც ისევე, როგორც ახალქალაქი, XI საუკუნეში წარმოიქმნა ახალქალაქებისა და ახალციხეების წარმოქმნის ეპოქაში. ახალციხის ხსენება ხშირდება წყაროებში XV საუკუნიდან–„ახალი ქართლის ცხოვრებაში“ , როცა ის იქცა სამცხის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად თავისი ხელსაყრელი მდებარეობის გამო: ის მდებარეობს სწორედ აღნიშნული ხევების თავშესაყარ ადგილზე და ამასთან სამხრეთიდან ქართლში მიმავალ გზაზე.

XII ს. II ნახევრიდან ჯავახეთის საუფლისწულო დომენის გამგებლად ჩანან თორელები. როგორც ჩანს, თორელებს ეძლევათ საგამგებლოდ სომხეთის ქალაქი ანისი, რომელსაც 1163 წელს ამაგრებს [კახა] თორელი მტრებისაგან დასაცავად. მაგრამ, 1177 წლიდან, როდესაც კახა თორელმა და მისმა შვილმა გამრეკელმა, სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, მონაწილეობა მიიღეს დემნა ბატონიშვილის ამბოხებაში, მათი გამგებლობის ფარგლები ჯავახეთში შეიზღუდა: თმოგვის ციხე გადაეცა მსახურთუხუცეს აფრიდონს, ხოლო ანისი მხარგრძელებს. შემდეგში, გამრეკელ თორელს კვლავ დაუბრუნეს თმოგვის ციხე (როგორც ჩანს, აფრიდონის დამხობის შემდეგ), მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ თორელთა სახლს კვლავ ჩამოერთვა ჯავახეთის ეს ციხე–ქალაქი და გადაეცა მხარგრძელებს.

XIII ს. დასაწყისიდან თმოგვის გამგებლები ხელთ იგდებენ ვაჰანის მონასტერსაც და ქმნიან თავიანთ საფეოდალო მამულს-თმოგვის მხარეს, რის შემდეგაც მხარგრძელთა ეს შტო თმოგვის მემამულეებისა იწოდება თმოგველად. ამრიგად, ჯავახეთის საუფლისწულო დომენს და თორელთა საგანმგებლო–საერისთაოს XIII ს. დასაწყისში გამოეყო თმოგვის მხარე თმოგველთა სამამულო საფეოდალოს სახით.

XII ს. II ნახევარში და XIII საუკუნის მთელ სიგრძეზე ჯავახეთის საუფლისწულო დომენს განაგებს თორელთა სხვადასხვა საგვარეულო შტო: 1191 წლამდე–თორელთა ძირითადი შტო კახა გამრეკელებისა(1177 წლამდე–კახა; 1177–1191წწ–გამრეკელი); 1191–1226წწ–ახალციხელები; 1226წ. XIII ს II ნახევრამდე(60–70წლებამდე) ისევ თორელთა ძირითადი შტო კახა–გამრეკელებისა (1226–1150 წწ.–გამრეკელი; 1150–1160/70–იანი წწ.–კახა); XIII ს. მეორე ნახევარში–ღობიარები.

XIII ს.II ნახევარში, სამცხის ცალკე სამთავროდ გამოყოფის შემდეგ(1266 წ.) ჯაყელები თანდათან აფართოებენ თავიანთი სამთავროს ფარგლებს, როგორც დასავლეთით და სამხრეთით, ისე აღმოსავლეთით, სამცხისა და ჯავახეთის საზღვარი თანდათან სცილდება მტკვარს და აღმოსავლეთით მიიწევს. ჯაყელთა ხელში ექცევა აწყური, ახალციხე და მთელი მტკვრის ხეობა ღობიეთამდე და რუსთავამდე. ღობიარ თორელებს დიდი ხნით არ დასცალდათ ჯავახეთის საუფლისწულო დომენის ერისთავთ–ერისთაობა–XIII საუკუნის ბოლომდე, ბექას შვილების მთავრობის დროს ღობიეთიცა და რუსთავიც უკვე ჯაყელთა ხელში ჩანს გადასული და საზღვარი კიდევ აღმოსავლეთითაა გადაწეული. XIV საუკუნის I ნახევარში აღარც თორელები, არც თმოგველები აღარ განაგებენ ჯავახეთს: თმოგველები შიდა ქართლში გადასახლდნენ და თმოგვი ვაჰანის მონასტრიანად ღარიბასძეთა ხელში გადავიდა. თუმცა ეს ღარიბასძენიც XIV ს. შუა წლებამდე მაინც მეფის მოხელე ვასალები ჩანან. თორელთა ძირითადმა შტომ დატოვა როგორც თორი, ისე ჯავახეთი და საბოლოოდ შიდა ქართლში შექმნა ჯავახიშვილების საფეოდალო.

თორელ–ახალციხელებმა დაკარგეს ჯერ ახალციხე, შემდეგ კარი, მისი მიმდგომი ქვეყანა. კარი ჯერ სადუნ მანკარბერდელმა იგდო ხელთ, ხოლო შემდეგ ბექა I ჯაყელმა.

თორელ–ღობიარებმა XIII ს. ბოლოს თუ XIV ს.დასაწყისში დაკარგეს ერისთავთ–ერისთაობა, ხოლო XIV ს. II ნახევარში ღობიეთიც და მათ მამულს დაეპატრონა დიასამიძეთა სახლი. XIV საუკუნეში ჯავახეთის საუფლისწულო დომენის ცენტრად იქცა ალასტანი, რომელიც თავის საჯდომად აქციეს ე.წ. „პროვინციის მეფეებმა“. XIV საუკუნეში ჯავახეთის საუფლისწულო დომენი აღარ არსებობს. ჯავახეთი მთლიანად შედის სამცხე–საათაბაგოს შემადგენლობაში.

თორელთა ფეოდალური მფლობელობა გავრცელდა XII ს–დან თეძმის ხევზე, სადაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა თორელ–ჯავახიშვილთა ახალი საფეოდალო. თორელთა მამულად იქცა საუფლისწულო დომენი–ძამას ხეობა. საუფლისწულო ჯავახეთში სხვა სამამულო მფლობელებიც ჩანან გარდა თორელებისა: ოთარი(ოთას მფლობელი), გურკლელი(გურკლის მფლობელი), კოხტელი(კოხტის მფლობელი), ხერთვისარნი, მათი შემცვლელი ქამქამისშვილები, ქამქამისშვილების განშტოება ოფელი და სხვა(შოშიაშვილი 1966: 59–64).

ნ.შოშიაშვილი წერს: „როგორც უკვე აღვნიშნეთ, ს.კაკაბაძე „ვეფხისტყაოსნის“ 1927 წლის გამოცემის შესავალ ნაწილში ჭიაბერს მიიჩნევს თორელად, ხოლო ჭიაბერის საბუთის ხელჩამრთველ შოთას რუსთაველად და ჭიაბერის შვილად. შემდეგში ს.კაკაბაძემ შეცვალა თავისი მოსაზრება შოთა რუსთაველის თორელობის შესახებ, თუმცა ჭიაბერის ძედ ის მაინც მიაჩნდა.

ნ.შოშიაშვილის თვალსაზრისით ჭიაბერის თორელობა არ დასტურდება წყაროებით, თუნდაც რომ ჭიაბერი თორელად მიგვეჩნიაო, ის მაინც ვერ დაკავშირდება შოთა რუსთველის თორელებთან, რადგან არსაიდან არ ჩანს, რომ ჭიაბერის საბუთის ხელჩამრთველი შოთა ჭიაბერის შვილი იყო. პირიქით, ნ.შოშიაშვილი მიიჩნევდა: „სწორედ ხელრთვიდან ჩანს, რომ შოთა არ იყო ჭიაბერის შვილი,“ შოთა ერთი სიტყვითაც არ ახსენებს ,რომ ის ამტკიცებს თუ აახლებს მისი მამის შეწირულობას.

ჩვეულებრივ კი საბუთს განმაახლებელი ან დამამტკიცებელი აღნიშნავდა ხოლმე თავის ნათესაურ დამოკიდებულებას საბუთის გამცემისადმი, წერს ნ.შოშიაშვილი და არგუმენტად მოჰყავს გრიგოლ სურამელის 1247/50 წ.შეწირულობის დაწერილი შიომღვიმისადმი, რომელსაც ამტკიცებენ გრიგოლ სურამელის ძმა ივანე და მისი ძმა ბეგა. ბეგას ხელრთვაში აღნიშნულია: „ესე ვითა პატრონსა ღ[მერ]თ[შემოს]ილსა მამასა ჩემსა უბ[რძანე]ბია და დაუწერია და შეუწირავს ყოველი ჩვენი მოსავალი გავაზელათი მეცა, მათსა მიწასა და ძესა ბეგასა ქ[ართლი]სა [ერისთა]ვსა განაღამცა დამიმტკიც[ებია] და მტკიცე ყოს ღ[მერ]თმ[ა]ნ“(1247-1250” (შოშიაშვილი 1984:125).

მსგავსი მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლებაო, აღნიშნავს მეცნიერი. ამიტომაც ავღნიშნეთო, შოთა რომ ჭიაბერის შვილი ყოფილიყო, საეჭვოა მას არ აღენიშნა თავის ხელრთვაში.

ჟინვანი იყო ჭიაბერის „ქონება"(ე.ი. პირად მფლობელობაში გადაცემული ქალაქი)და არა მამული(ე.ი სამემკვიდრეო მფლობელობაში). ნ.შოშიაშვილის აზრით: „შესაძლებელია, რა თქმა უნდა, „ქონება" მამულად ქცეულიყო და, ამდენად, ჟინვანი ჭიაბერის შთამომავლებზე გადასულიყო, მაგრამ შოთას ხელრთვა ამტკიცებს, რომ ჟინვანი შოთას დროს მამულად არ ქცეულა: შოთას ის მიუღია, როგორც ქონება(ცხადია მეფისაგან) და არა როგორც მამული, ეს გარემოება ხელს უშლის რამდენადმე, რომ შოთა ჭიაბერის შვილად მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში, არაფერი ეწინააღმდეგება იმის დაშვებას, რომ შოთას არანაირი ნათესაური კავშირი არ ჰქონდა ჭიაბერთან და მანი ისევე მიიღო ჟინვანი პირად მფლობელობაში, როგორც ჭიაბერმა".

მეცნიერი თვლის, რომ: „ჟინვანი მამულად არ ქცეულა შოთას შემდეგაც, მისი აზრით, ამას მოწმობს ის, რომ ჭიაბერის შეწირულობის საბუთს შოთას შემდეგ ამტკიცებენ ორბელები. შოთა არ შეიძლება რომ ორბელთა საგვარეულოს ეკუთვნოდეს, რადგან ორბელთა გვარში(რომელზეც ყველაზე მეტი მასალებია წყაროებში შემონახული)ეს სახელი ცნობილი არ არის. ამასთან, ორბელიანები საქართველოში, როგორც ცნობილია, ულუ–დავითის დროს დაბრუნდნენ, ამიტომ მათი ხელრთვაც ალბათ შოთას ხელრთვაზე გვიანდელია. ამგვარად, ჭიაბერის საბუთის ხელჩამრთველი შოთა არ ჩანს ჭიაბერის შვილად." მეცნიერი ვარაუდობს: „რომ ეს შოთა არსაიდან არ ჩანს მაინცდამაინც შოთა რუსთაველად მარტო სახელი შოთა ამისთვის საკმარისი არ არისო. აქედან გამომდინარე ნ.შოშიაშვილი ამტკიცებს შემდეგს: ამგვარად 1.ჭიაბერი თორელი არ არის. 2.ჭიაბერის საბუთის ხელჩამრთველი შოთა არ ჩანს ჭიაბერის შვილად. 3.ჭიაბერის საბუთის ხელისჩამრთველი შოთას იდენტიფიკაციისთვის შოთა რუსთაველთან არავითარი საფუძველი არ არსებობს. 4.ასე რომ, ჭიაბერის მიხედვით შოთა რუსთველის თორელობა ვერ დასტურდება (შოშიაშვილი 1966:64-66).

ნ.შოშიაშვილი წერს, „რომ მეჭურჭლეთუხუცესობისა და რუსთავის მფლობელობის ორიენტირმა შოთა რუსთაველის ვინაობის ძიებაში იგი მიიყვანა თორელთა ფეოდლურ სახლთან, რომელიც განსახილველ ეპოქაში ერთდროულად ფლობდა რუსთავსაც და მეჭურჭლეთუხუცესობასაც და სხვა ასეთი საგვარეულო, რომელიც ერთდროულად რუსთავის მემამულეც იყო და მეჭურჭლეთუხუცესის ხელის მქონებელიც, მეცნიერისთვის წყაროების მიხედვით არ იყო ცნობილი. შოთა რუსთაველის დაკავშირებას მესხეთის რუსთავთან და თორელთა სახლთან მხარს უჭერს აგრეთვე ხალხური ლიტერატურული ტრადიცია შოთას მესხობის შესახებ, რასაც, ცხადია, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება: ასეთი

ტრადიცია, როგორც ცნობილია, უსაფუძვლოდ არ იქმნება, აღნიშნავს მეცნიერი. კახეთის რუსთავთან შოთა რუსთაველის დაკავშირებას, ნ.შოშიაშვილის აზრით ეწინააღმდეგება მრავალი გარემოება: „აბულასანის შემდეგ კახეთის რუსთავი გადაეცა ზაქარია მხარგრძელს, რომელსაც სიკვდილამდე მაინც არ ჩამოართმევდნენ ამ ქალაქს. ფეოდალური სამართლის ნორმებით ეს იქნებოდა ზაქარიას დამცრობა. ზაქარია კი ცხადია, არ გავს დამცრობილს.

კახეთის მეფეები რუსთავს, როგორც ჩანს, აძლევდნენ არა სამამულედ, არამედ–მხოლოდ პირად მფლობელობაში. ნ.შოშიაშვილის აზრით, დიდ ქალაქებს მეფე საერთოდ არც აძლევდა სამამულედ. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ მამულებიდან ნაწარმოები ფეოდალთა გვარები ჩვეულებრივ არ არის დაკავშირებული დიდ ქალაქებთან. „რუსთაველი“ კი მიუთითებს რუსთავის სამამულე მფლობელობაზე: გვარები არ წარმოდგებოდა ხოლმე პირად მფლობელობაში მყოფი ან სახელო ადგილებიდან თუ ქვეყნებიდან; ოძრხის ერისთავიდან არ წარმოიქმნება ოძრხელი, წუნდის ერისთავიდან–წუნდელი, ცხუმისა–ცხუმელი, ახალქალაქისა–ახალქალაქელი, კარის გამგებელი ამირიდან–კარელი, დმანისის ამირიდან–ამრიდან დმანელი, ჟინვანის მქონებლიდან–ჟინვანელი და სხვა.

ჯაყელი, გაგელი, თორელი, ახალციხელი, თმოგველი, ხერთვისარი, გურკლელი–ჯაყის, გაგის,თორის, ახალციხის თმოგვის, ხერთვისის გურკალის მემამულეების გვარებია ტერმინი რუსთაველი კახეთის რუსთავის მიმართ შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე აღნიშნავდა რუსთავის ეპისკოპოსს. ნ.შოშიაშვილის შენიშვნით: „არ შეიძლება, ასეთივე ტერმინი დაემკვიდრებინა ერთდროულად კახეთის რუსთავის მფლობელსაც. ამგვარი ერთდროული შინაარსობრივი გაორების შემთხვევები ასეთი ტერმინებისა ჩვენ არ ვიცით: არ შეიძლება, მაგალითად, რომ ეპისკოპოსის აღმნიშვნელი ტერმინები: მანგლელი, მაწყვერელი, თბილელი, კუმურდოელი, სამთავნელი, ურბნელი და სხვა, იმავე პერიოდში საერო პირსაც აღნიშნავდეს. ასევე, არ შეიძლება, საერო მფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინები გაგელი, თმოგველი, ჯაყელი, კალმახელი, ფანასკერტელი და სხვა, იმავე პერიოდში სასულიერო პირსაც აღნიშნავდეს. ასე რომ კახეთის რუსთავს მხოლოდ „რუსთველი“ ეპისკოპოსი უნდა დავუტოვოთ, ხოლო „რუსთველი“ სხვა რუსთავში ვეძიოთ.“

მისივე ვარაუდით, მესხეთის რუსთავი არ იყო იმდენად დიდი და მნიშვნელოვანი პუნქტი, როგორც კახეთის რუსთავი. მესხეთის რუსთავი არც ქალაქად მიაჩნია მეცნიერს, არამედ თვლის, რომ იგი იყო ფეოდალის ციხე–რეზიდენცია. როგორც ცნობილია, ფეოდალურ ეპოქში, და განსაკუთრებით, კი ადრე და შუა ფეოდალურ ხანაში საქართველოში ცალკეულ ფეოდალურ სახლებს თავიანთი დაჩემებული სახელები ჰქონდათ. ამდენად, ამა თუ იმ ისტორიული პირის სახელი გარკვეულ მითითებას იძლევა მის გვარზეც. ნ.შოშიაშვილის თალსაზრისით, ზოგიერთი სახელის მიხედვით კი თითქმის

უყოყმანოდ შეიძლება გვარის გამოცნობა. ასეთი სახელებია გამრეკელი, კახა, ყვარყვარე და სხვა XII-XIII საუკუნეებში. სახელი შოთა, XII-XIII სს. როგორც ჩანს, დამკვიდრებული რამდენიმე ფეოდალურ სახლშიო, ამიტომ მარტო ამ სახელის მიხედვით არ შეიძლება გვარის ამოცნობა, მაგრამ ეს სახელი სხვა მონაცემებთან ერთად გარკვეულ ორიენტირს წარმოადგენს მკვლევართათვის, კერძოდ, მეცნიერს მიაჩნია: ამ შემთხვევაში საჭიროა გაირკვეს, გვხვდება თუ არა შოთა თორელთა გვარში (შოშიაშვილი, 1966: 67–70).

ნ.შოშიაშვილის სავარაუდო მოსაზრებით: მესხეთის რუსთავის მფლობელი თორელთა სახლის განშტოების სახელი იყო, ხოლო რუსთავი თორელთა მამულად შეიძლებოდა ქცეულიყო იმ დროიდან, როცა მათ გამგებლობაში გადავიდა ჯავახეთის საუფლისწულო დომენი, რომლის ფარგლებში შედიოდა რუსთავი XII-XIII საუკუნეებში. ნ.შოშიაშვილის თვალსაზრისითვე თორელ–ღობიარების მიხედვით უნდა დადგინდეს რუსთველთა არსებობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი, მისივე ფიქრით, თორელ–ღობიართა გვარი წარმოიქმნა თორელ–რუსთაველთა გვარიდან, ე.ი რუსთაველებმა მიღეს ღობიარის გვარი რუსთავის მეზობლად მდებარე ღობიარეთის მიხედვით. ასეთი შეცვლა ფეოდალური გვარებისა, სამფლობელო ადგილების მიხედვით, ხშირი იყო. ასე მიიღეს თორელებმა ახალციხელის, ქვეშელის, ღობიარის გვარი. კალმახელებმა–ჯაყელების, ჯაყელებმა–ციხისჯვარელების, თმოგველებმა–უჯარმელების და სხვა.

რუსთველებისა და ღობიარების კავშირზე, ნ.შოშიაშვილის აზრით, მიუთითებს შემდეგი: 1.მესხეთის რუსთავი და ღობიეთი ერთმანეთის მეზობლად მდებარეობენ–ახალციხიდან 16 კმ დაშორებით(მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ღობიეთი, მარჯვნაზე–რუსთავი). 2.ღობიარები წყაროებში ჩნდებიან სწორედ შოთა რუსთველის მომდევნო ეპოქაში(XIII ს. II ნახევარი). 3.რუსთაველთა გვარის ასე ხანმოკლე ისტორიით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ წყაროებში ეს საგვარეულო აღარ იხსენიება. შოთა რუსთაველის შესახებ ნ.შოშიაშვილი წერს:„ ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, თავისი სახელის, ხელის(მეჭურჭლეთუხუცესობა)მამულის (რუსთავი), ხალხური და ლიტერატურული ტრადიციითა და სხვა მრავალი მონაცემებით დადასტურებული ტრადიციის სადაურობის(მესხი) მიხედვით და ბოლო ცხოვრების ხანის (თამარის მეფობის დრო)მიხედვით, უკავშირდება თორელთა ფეოდალურ სახლს. მაგრამ რა თქმა უნდა, ეს დასკვნა, ვიდრე არ გამოვლინდება ახალი, უფრო პირდაპირი ცნობები, ჰიპოთეზად დარჩება. შესაძლოა, ეს ჰიპოთეზა გამოდგეს ორიენტირად შოთა რუსთველზე ახალი მასალის ძიებისთვის“. შოთას მეჭურჭლეთუხუცესობის ქრონოლოგიას ნ.შოშიაშვილი 1207–1220/21 წწ. განსაზღვრავს (შოშიაშვილი, 1966:71-74).

1966 გამოიცა ო.სოსელიას წიგნი „ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან,“ სადაც განხილულია სათავადოთა (სენიორალური) სისტემა დასავლეთ

საქართველოში. წარმოჩენილია ის წანამძღვრები, რომელთაც განაპირობეს სათავადოს წარმოქმნა საერთოდ, კერძოდ კი, დასავლეთ საქართველოში, მოცემულია სათავადოთა ორგანიზაციის ზოგადი დახასიათება. შესწავლილია სათავადოთა სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურა. ფეოდალური საკუთრების ფორმები. ნაჩვენებია სათავადოების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, ფეოდალური იურისდიქცია: საგადასახადო და ადმინისტრაციული იმუნიტეტი. შემდეგ გამოდის მისი სამი წიგნი: „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“ წიგნი 1.-1973 წ. 2.-1981 წ. 3.-1990 წ.

პირველ წიგნში წარმოდგენილია 15 სათავადოს თანმიმდევრული კონკრეტული ისტორია. განხილულია: ა)იმერეთის სამეფოში შემავალი სათვადოები (მხეიძეთა, ჩხეიძეთა, მიქელაძეთა, რაჭის ერისთავთა, იაშვილთა, ლორთქიფანიძეთა, აბაშიძეთა, აგიაშვილთა). ბ)გურიის სამთავროში შემავალი სათავადოები (მაჭუტაძეთა, გურიის ერისთავთა.) გ) ოდიშის სამთავროში შემავალი სათავადოები(ჭილაძეთა, გოშაძეთა, ჯაიანთა, ჩიჩუათა, ჩიქვანთა). სათავადოს არსის მოკლე დახასიათების შემდეგ, დადგენილია თითოეული მათგანის წარმოქმნა-განვითარება-გაუქმების დრო და პირობები. ყმა-გლეხების და აზნაურთა რაოდენობა, სათავადოს დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან და მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან. მოცემულია სათავადოთა ისტორიული როლი იმერეთის სამეფოსა და გურია ოდიშის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მეორე წიგნში მოცემულია დასავლეთ საქართველოს 8 სათავადო ა)იმერეთის სამეფოში შემავალი სათავადო: (ჩიჯვაძეთა, ღოღობერიძეთა, წულუკიძეთა, წერეთელთა.) ბ)გურიის სამთავროში შემავალი სათავადოები(ნაკაშიძეთა, თავდგირიძეთა) გ)ოდიშის სამთავროში შემავალი ფაღავათა სათავადო. იგი ფაქტიურად გაგრძელებაა პირველი წიგნისა, ამასთანავე, ამ ნაშრომს ბოლოს დართული აქვს სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების მოკლე მიმოხილვა ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში. ქრონოლოგიურად ორივე ნაშრომი მოიცავს XVI-XIX –ის დამდეგს.

მესამე წიგნში კვლევის ობიექტს წარმოადგენს ლიხთ-იმერეთის საუფლისწულოები, უფლისწულთა წარმომავლობა-ბიოგრაფია მოცემულია ორი სათავადოს –ასათიანთა, აფაქიძეთა (აფაქიათა) საგვარეულო სახლის ისტორია.

კრებულში –„საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები” 1970 წელს დაიბეჭდა გივი ჯამბურიას სამეცნიერო სტატია, სათაურით „სათავადოთა საკითხისათვის” .მეცნიერებს პროფ. გ. ჯამბურიას, პროფ. ნ. ასათიანს ერთმანეთისაგან განსხვავებული აზრი გააჩნდათ სათავადოს საკითხთან მიმართებაში, მათ ამ თვალსაზრისს ცოტა ქვემოთ განვიხილავთ.

„თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი“-ამ სათაურითაა გამოცემული

ნუგზარ ანდღულაძის ნაშრომი, რომელსაც ჩვენ გავეცანით. მასში განხილულია ვარაუდები მაჩაბელთა გვარის წარმომავლობის შესახებ: თირის მონასტრის სამრეკლოს წარწერაში მოხსენიებული „მაჩაბელი“ ნ.ანდღულაძეს სახელის აღმნიშვნელ სიტყვად მიაჩნია, რომელიც ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორიც „სიაუშ, რატი, ასათ და ხელა“. ხოლო თირის სამრეკლოს წარწერაში მოხსენიებული ვინმე „თავხელიძე ხელა ეკვდრის მინაწერში“- „მოლარეთუხუცესი ხელა“ და ისტორიულ დოკუმენტში დაცული მანდატურთუხუცესი „თავხელიძე ხელა“ ნ.ანდღულაძეს ერთი და იგივე პიროვნებად მიაჩნია(ანდღულაძე 1976:37-38).

მისი ვარაუდით, დასაშვებია, რომ: „თავხელიძეთა ფეოდალური სახლების ერთი წევრი სოფელ აჩაბეთში ქმნის ახალ „საფეოდალოს“, რომლის სახელი რეზიდენციიდან მომდინარეობს: აჩაბეთი-მაჩაბელი, როგორც თორიდან-თორელი, თმოგვიდან-თმოგველი, ჯაყიდან-ჯაყელი. გარდა ამისა, იგი უშვებს სხვა ვარაუდსაც, რომლის მიხედვითაც „მაჩაბელი“, როგორც გვარის აღმნიშვნელი, სახელად ქცეული შევიდა თავხელიძეთა საგვარეულოში (ნათესაობის ან იმავე მამულის დაპატრონების გამო.) ისევე, როგორც ციხე მოდისო მის მფლობელი ორბელთა საგვარეულოდან, ხოლო მათი გადაშენების შემდეგ იმავე მამულის მფლობელ ბარათაშვილთა საგვარეულოში ჩნდება სახელი „ორბელ“ და ამ სახელიდან–ცალკე შტო ორბელიშვილებისა. ანდღულაძე იქვე აგრძელებს და წერს, რომ: „ჩვენი პირველი ვარაუდის მიხედვით „მაჩაბელი თავხელიძედან“ დაწყებული გვარი თითქო „მაჩაბლისშვილი“ უნდა ყოფილიყო (როგორც ბარათა ქაჩიბაძე-ბარათაშვილი, ციცი ფანასკერტელ- ციციშვილი და სხვა), მაგრამ ჩვენ გვაქვს პირდაპირ „მაჩაბელი“, რაც საკმაოდ ძველი ფორმა ჩანს, იგი დაკავშირებულია აჩაბეთის ფლობასთან. (შედარებისთვის მოჰყავს მაწყვერელი, მეგვიპტელი, მროველი) (ანდღულაძე 1976:40-41.).

გ.სააკაძის შთამომავლების, უფრო სწორად მოურავიშვილთა, თარხნიშვილთა საგვარეულო სახლია მოცემული რ. ფირცხალაიშვილის წიგნში „იოსებ ტფილელი და მისი დიდმოურავიანი“, სადაც მოცემულია გ.სააკაძის მემკვიდრეების პატივისა და გვარის ცვლილება, მათი დამოკიდებულება და დამსახურება სამეფო კართან(ფირცხალაიშვილი 1978).

1986 წ. გამოიცა ზ. ხიდურელის მონოგრაფია–ფეოდალური მიწისმფლობელობა XV-XVII აღმოსავლეთ საქართველოში.” ნაშრომი ეძღვნება საქართველოს ფეოდალური მიწისმფლობელობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმის სამეფო დომენის შესწავლას, პატარა ქვეთავი ეძღვნება თავადებსაც.

ბაგრატიონთა საგვარეულოდან წარმომდგარი სათავადოები და საგვარეულო განშტოებები აქვს სპეციალურად განხილული პროფ. დ. ნინიძეს: ერთი ეპიზოდი ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიიდან”– გოჩაშვილნი”-(ახალგაზრდა მეცნიერთა

შრომები XII, თბ, 1986.) „პროვინციის მეფეთა ინსტიტუტის წარმოშობისათვის" _ (`მაცნე" N 3 თბ, 1992) „პროვინციის მეფეები XIV-XV საუკუნეების საქართველოში". თბ ,1995. „მუხრანბატონები".თბ.1997. ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია XIII-XVIII საუკუნეები".თბ. 2004.

სამუხრანბატონოს შესახებ მეცნიერი წერს: უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სამუხრანბატონოს წარმოშობის საფუძველია საქართველოში სათავადოების სისტემის ჩამოყალიბება და მისი ფუნქციონირება. მსგავსი პროცესის განვითარებისთვის არსებული ხელსაყრელი ვითარების პირობებში ბატონიშვილთა მამული გადაიქცა პირველი კატეგორიის სათავადოდ, ანუ დიდებული თავადის მამულად(საუფლისწულო დომენი წინა ეტაპზეც არსებობდა საქართველოში, მაგრამ იმ დროს ის სათავადოდ ვერ გადაიქცეოდა, რადგან სათავადოები მაშინ საერთოდ არ არსებობდა(ნინიძე -1997:14).

დ.ნინიძე სწორად იზიარებს აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას „ჩიხის" თაობაზე: „დაშლისკენ მიმავალი "ჩიხის" მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის სამეფო ტახტს XIV-XV საუკუნეებში უჭირს მისი სამფლობელო ტერიტორიების შესაბამისი კონტროლირება, სათანადოდ ვერ იბრძვის ცენტრიდანული ძალების წინააღმდეგ, რომელთა შორის პროვინციის მეფეებიც არიან (ნინიძე 1997: 5).

საშინაო და საგარეო ფაქტორების ურთიერთგადაჯაჭვის შედეგად ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარება შეჩერდა, ყოველი საქართველო მოშლის გზას დაადგა. შექმნილი ვითარება XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე მთელი სიმწვავით გამჟღავნდა, სახელმწიფო მიწების ფონდი მცირდება, მეფის უზენაესი ხელისუფლება მიწაზე შესუსტებულია, დიდაზნაურნი მკვიდრ მამულს აღარ სჯერდებიან და ცდილობენ, ნაწყალობევიც საკუთრებად აქციონ. სულ უფრო მწვავედ დაისმის „მამულის საკითხი. დიდებული ყოველთვის მიისწრაფვის გაზარდოს კუთვნილი ფეოდალური მეურნეობა, სამეფო ტახტს კი უჭირს ძველებურად შეასრულოს თავისი ფუნქცია ამიტომ იგი გაზრდილ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს, ერთიანი ეკონომიკური კავშირები ირღვევა, ისტორიულ-გეოგრაფიულმა პროვინციებმა პოლიტიკური თავისთავადობა დაიჩემეს, რის შედეგადაც ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, საქართველოს სახელმმწიფო განვითარება ჩიხში" მოექცა, მისი შეჩერება, სტაგნაცია მოხდა. „ჩიხის" მდგომარეობიდან მხოლოდ ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდის შედეგად შეიძლებოდა გამოსვლა, ამის საშუალება კი საქართველოს არ მიეცა" (ნინიძე1992: 128).

1996 წ. გამოიცა ელდარ მამისთვალაშვილის "ამილახვრები", სადაც დოკუმენტური და ნარატიული წყაროების შესწავლის საფუძველზე განხილულია ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა ცხოვრება და მოღვაწეობა. ნაშრომში მოცემულია ისეთი სამოხელეო თანამდებობის დაკავება ამილახვართა მიერ, როგორიც იყო ზემო ქართლის სადროშოს

სარდლობა და გორის მოურავობა. განხილულია ცალკეულ ამილახვართა დამოკიდებულება ქართლის სამეფო კართან.

1997 წელს გამოქვეყნდა ჯ. გვასალიას ნაშრომი სათაურით: „შიდა ქართლი და ოსური საკითხი“, სადაც ავტორს განხილული აქვს ქსნის საერისთავო და სამაჩაბლო, ის წერს შემდეგს: „ცენტრალური ხელისუფლების მძიმე საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში იწყება ქსნის ხელისუფალთა არნახული აღმავლობა ცხრაზმისხევის მეთაურობით. XIII – XIV საუკუნეთა მიჯნაზე ცხრაზმისხევის ერისთავები საგრძნობლად აფართოებენ მამულებს. მათ სამფლობელოში შედის: ცხრაძმა, ჟამური, ქარჩოხი, ჭურთა, ქოლოთი, ისროლისხევი (მდ. მეჯუდის ზემო ნაწილი ბიყარის ზევით) თურსო, ღუდა, გაგასძენი, მლეთე, არახვეთი, ხადო, ყანჩაეთი, აბაზაძეთა მამული, ძაგანა, კორანი, დიღუამი გავაზი(ჭურთაზეა) აწერისხევი, ბერხუშე (პატარა ლიახვზე). .XIV საუკუნის შუა წლებისთვის ერისთავები აფართოებენ მიწებს ქართლის ვაკის მიმართულებით. ანდერძით იღებენ სოფლებს კარბსა და გარეჯვარ ბაკურის უბანს. მათივე სამფლობელოში შედის იკორთის მონასტერი. ერისთავების ხელი სწვდება ქნოღოსს მაღრანდვალეთს. ჯ.გვასალია წერს, რომ „XVI საუკუნის დასაწყისიდან ქსნის საერისთაო, ფაქტიურად, ერისთავების მამულად ანუ სათავადოდ იქცევა. ერისთავებს ამ ხანისთვის გააჩნიათ საგვარეულო-საძვლე, ციხე-დარბაზები, დიდი ყმა-მამულები.“

XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე ერისთავების რეზიდენცია ახალგორში გადმოაქვთ, ხოლო საგვარეულო სამარხი ლარგვისიდან იკორთაში. იმავე პერიოდში ხეობის გამგებელთა გვარი ქვენიფეველი ქსნის ერისთავად იქცევა.

XVIII საუკუნის 70-იანი წლებისთვის ქსნის საერისთავო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. მასში შედიოდა: ქსნის, ალევის, ჭურთის ცხრაზმის, ქარჩოხის, ჟამურის, ქოლოთ–ქვიტკირის, ისროლის, მეჯუდის, პატარა ლიახვის ხეობები, მარან-დვალეთი, გვერდისძირი.

1777 წწ. ერეკლე II ქსნის საერისთავო გააუქმა და ერისთავებს დაუტოვა მხოლოდ ქსუისი, ტყვიავი, მარანა, კარალეთი, რეხა, მეჯვრისხევი, სათემო, კუმისი, ნავთლუღი, ერისთავთა ქონება გორსა და ცხინვალში. დანარჩენი ნაწილი სახასოდ(სამეფო სახლის საკუთრებად) გამოაცხადა და ბატონიშვილებს გიორგის და იულონს გადასცა. შემდეგში გიორგიმ მამულები თავის შვილებს იოანეს და ბაგრატს გაუნაწილა. შემდგომაც როსტომ ერისთავი და მისი ძმები აგრძელებენ ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლას. ერეკლე იძულებული გახდა ჩამოერთმია მათთვის 1786 წელს მეჯვრისხევი და ზოგი სოფელი, ხოლო 1790 წელს ერისთავები საბოლოოდ იქნენ განდევნილი საერისთაოდან. 1800 წლის დეკემბერში გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტისთვის ბატონიშვილებს შორის ატეხილი დავის დროს მნიშვნელობა შეიძინა წარჩინებულ ფეოდალთა, მათ შორის, ყოფილ ქსნის ერისთავთა პოზიციამ, ამიტომ ბატონიშვილებმა 1801 წლის 27 იანვარს ერისთავებს დაუბრუნეს ქსნის ხეობა, მეჯვრისხევი, ვაკე და გვერდისძირი, მაგრამ ქსნის საერისთავო, როგორც სათავადო,

ვეღარ აღსდგა.

სამაჩაბლოს თემის განხილვისას ჯ.გვასალია წერს: „სამაჩაბლო, როგორც სათავადო, ყალიბდება XV საუკუნის დასაწყისში. სახელწოდება მომდინარეობს თავად მაჩაბელთა გვარიდან. მაჩაბელთა რეზიდენცია იყო აჩაბეთი, ხოლო საგვარეულო საძვლე-სამარხი ჰქონდათ თირის მონასტერსა და საბაწმინდაში. ეკლესიურად სამაჩაბლო ექვემდებარებოდა ნიქოზის საეპისკოპოსოს. მისი აზრით: „აჩაბეთიდან მომდინარეობს ლიახვის ხეობის ფეოდალთა გვარი „მაჩაბელი“.

ჯ.გვასალიას აკად. ს.ჯანაშიას თვალსაზრისი „ანჩაბაძიდან“ ტოპონიმ ანჩაბაძის წამოსვლა მართებულად არ მიაჩნია: „თავი, რომ დავანებოთ ენობრივ დაბრკოლებას, ამას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ანჩაბაძეთა სავარაუდო გადმოსახლებაზე (XIს.) გაცილებით ადრე, კერძოდ, VII საუკუნისთვის სახეზეა აჩაბეთის ხევი, რომელიც ადრეფეოდალური ხანისთვის აღნიშნავდა დიდი ლიახვის შუა და ზემო წელს“ (გვასალია 1997: 36-40).

უფრო სარწმუნოდ მას მიაჩნია ნ.ანდღულაძის მოსაზრება, დამყარებული თირის მონასტრის წაწერებისა და თავხელიძე მაჩაბლების სიგელ-გუჯრების ანალიზზე თავხელიძეთგან მაჩაბლების წარმოშობის შესახებ, ხოლო სამაჩაბლოს, როგორც სათავადოს გაუქმების თარიღს ჯ. გვასალია 1850 წლით განსაზღვრავს (გვასალია 1997: 43)

„შიდა ქართლის მცირე სათავადოები XV-XVII სს“.-ასეა დასათაურებული გიორგი ოთხმეზურის სადოქტორო დისერტაცია ,სადაც განხილულია შემდეგ საგვარეულოთა წარმოშობა-განვითარება და მათი როლი საქართველოს ისტორიაში, 1.გაბელიძე-ამირეჯიბთა საგვარეულო, 2. ჯავახიშვილთა საგვარეულო ქაიხოსრო ჯავახიშვილი ისევე როგორც სხვა თავადები იბრძვის ყმა-მამულის გაფვართოებისაკენ, ჯავახიშვილი ყველა გზით ცდილობს თავისი განაყოფი ჯავახიშვილთა მამული ჩაიგდოს ხელში და წინ აღუდგეს ამ მამულების სააკაძეების ხელში გადასვლას (ოთხმეზური 1999:73).

ნაჩვენებია, აგრეთვე პოლიტიკური ოპონენტის ცვლილება, დამოკიდებულება ამ საგვარეულოებისა და შემდგომში მეფეების მიმართ. თორელებთან შედარებით ჯავახიშვილთა სახლი დამცრობილია, ის მაღალი სამოხელეო თანამდებობები, რაც თორელთა საგვარეულოში მემკვიდრეობით გადაეცემოდა\ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი, ახალქალაქის ერისთავი\ჯავახიშვილებში აღარ გვხვდება. ჯავახიშვილებში დადასტურებული თანამდებობების\ბოქაულთუხუცესი, მეღვინეთუხუცესი, ფარეშთუხუცესი, გორისა და ატენის მოურავი\ მემკვიდრეობით გადაცემასაც ეპიზოდური ხასიათი აქვს. მიუხედავად ამისა, ჯავახიშვილთა საფეოდალო ერთ-ერთი ყველაზე დიდი იყო ქართლის მცირე სათავადოთა შორის.

მისი ტერიტორია მდებარეობდა მდ. თეძმის და მდ. მტკვრის ხეობაში. ძირითადად, კასპისა და გორის რაიონის სოფლებს მოიცავდა (ოთხმეზური 1999: 85) .

3. მაჩაბელთა საგვარეულო –მაჩაბელთა რეზიდენცია – ლიახვის ხეობაში მდებარეობდა, რაც აჩაბეთის მფლობელობასთანაა დაკავშირებული. გ. ოთხმეზური წერს: „როგორც ჩანს, თავხელიძეებმა მამულად დაიმკვიდრეს აჩაბეთი \XIIIს- მდე\ და მიიღეს გვარსახელი „მაჩაბელი“-შემდეგში მაჩაბელთა ერთ განშტოებაში, რომლებიც აჩაბეთს აღარ ფლობდნენ, „მაჩაბელი“ იქცა პირის სახელად. \თირის მონასტრის წარწერა\. მეორე განშტოებაში, რომელიც აჩაბეთს კვლავ ფლობდა, მაჩაბელი დარჩა გვარსახელად. XV ს-დან ჩამოყალიბდა ფეოდალურ სახლად. მეცნიერი გამოთქვამს ვარაუდს, რომ არსებობდა მაჩაბელთა საგვარეულო მატიანე, მას ამ აზრის გამოთქმის საფუძველს აძლევს „ქართლის ცხოვრების“ ე.წ. მაჩაბლისეულ ნუსხაში ჩართული ცნობები, ამ საგვარეულოს შესასახებ. „ეს ცნობები საისტორიო თხზულებიდან ამოკრეფილი მასალის შთაბეჭდილებას ტოვებს-ო „ წერს მეცნიერი. გ.ოთხმეზურის აზრით: „გიორგი მაჩაბელს, ხელთ ჰქონდა თავისი საგვარეულო მატიანე, საიდანაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მომენტები არჩილ მეფის კუთვნილ ხელნაწერის შესაბამის ადგილებში შეიტანა (ოთხმეზური 1999: 94, 95).

XVI საუკუნის დასაწყისში მაჩაბლები ქართლის სახლთუხუცესის სახელოს ფლობენ. XVII ს. 20-იან წლებში მათი სოფელი მეღვრეკისი \ ლიახვის ხეობა, დღევანდელი გორის მუნიციპალიტეტი\მიუტაცებიათ. აქედან ჩაეყარა სამამულე დავას საფუძველი მაჩაბლებსა და ფავნელიშვილებს შორის, რომელიც XVII საუკუნის შუახანებში დასრულდა.

დოკუმენტების საფუძველზე საკმაოდ საინტერესოდ განიხილავს მეცნიერი სამამულო დავის ფაქტებს და ისტორიულ პიროვნებებს. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: 1656 წლის საბუთში მოხსენიებული თამაზ მაჩაბელი ნარატიული წყაროებითაცაა ცნობილი. 1609 წელს ქართლში შემოჭრილი ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში, ის ქართველი სარდლების გიორგი სააკაძის და ზაზა ციციშვილის თანამებრძოლადაა დასახელებული. მაჩაბლებს დიდი დამსახურება მიუძღვით მარაბდის ომში \1625წ.\ სადაც ამ საგვარეულოს 9 წარმომადგენელი დაიღუპა.

როგორც შემდგომში ჩანს, როსტომ-ხანის საქართველოში ჩამოსვლისთანავე მაჩაბლები მის მომხრეთა რიგებში ჩადგნენ. ამით თუ აიხსნება, რომ როსტომმა მის მიერ აღზევებულ იორამ სააკაძეს მაჩაბლებთან სამამულე დავაში უპირატესობა მას არ მიაკუთვნა და დავა სამართლიანად გადაწყვიტა. მაჩაბელთა საგვარეულოში, ისევე როგორც სხვა ფეოდალურ სახლებში ურთერთ დაპირისპირების შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი. მაჩაბელთა სამეფო ხელისუფლებისგან განდგომისა და დასჯის შემთხვევებიც არის დაფიქსირებული ქართულ წყაროებში, რასაც მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრება“ გვერდს უვლის. გიორგი XI- ის მიერ შერისხულმა მაჩაბელმა, გიორგი XI-სა და ერეკლე I –ს შორის ტახტისთვის ბრძოლისას ერეკლე I-ის მხარე დაიჭირა. მაჩაბლებს, ისევე როგორც სხვა დიდ ფეოდალებს, თავიანთი საგვარეულო სამარხიც ჰქონდათ თირის მონასტერი. XVII საუკუნის

II ნახევარში თირის მონასტერი თაქთაქიძეებს გადაეცათ. მაჩაბელთა საგვარეულო საძვლემ თირიდან საბაწმინდაში გადაინაცვლა (ოთხმეზური 1999: 98-102).

მოცემული დისერტაციის მიხედვით მაჩაბელთა მფლობელობის არეალი შემდეგია: „სამაჩაბლო ძირითადად მდ. დიდი ლიახვის ხეობაში იყო განფენილი და მოიცავდა დღევანდელი ცხინვალის \აჩაბეთი, თამარაშენი,\ ზემო მონასტერი, ლელი, საბაწმინდა, სვერი, ფრისი, ქემერტი, ქურთა, ძარი, ძარწუმი, ხეითი,\ \ჯავის- გუგუთი, ჯავა\ გორის- გარეჯვარი, დიცი, ვარიანი, ზემთხვისი ქვემო ნიქოზი\ რაიონების სოფლებს. თვითონ აქ ცხინვალშიც, მიუხედავად იმისა, რომ სამეფო ქალაქი იყო, მაჩაბლებსაც ჰყავდათ ყმები. XVII ს-ში მაჩაბლებში ორი ძირითადი ხაზი გამოიყოფა: ორივე, რომ ერთი ძირიდან მომდინარეობს, ამაზე აშკარად მიუთითებს მათი სამამულე მფლობელობა, როგორც ერთ, ისე მეორე შტოს, ყმა მამული აქვს დიცში, ზემთხვისში, სვერში, ფრისში, ძარწემში და სხვა (ოთხმეზური 1999: 103).

4). ფალავანდიშვილთა საგვარეულო: „პოლიტიკურად დაშლილ საქართველოში სათავადოების ჩამოყალიბება ცალკეულ სამეფოსა თუ სამთავროებს შიგნით ხდებოდა, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც ერთი სათავადოს მფლობელობა ორი სამეფოს ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, დროთა განმავლობაში ამგვარი სათავადოთა ტერიტორიაც გაიყო და მათი მფლობელობა ცალკეულ სამეფო-სამთავროთა შიგნით შემოისაზღვრა. როგორც ცნობილია, სათავადოების წარმოქმნა განაპირობა ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებამ, ქვეყნის ეკონომიკურმა დაქვეითებამ და მსხვილ ფეოდალთა, დიდებულთა შეუვალობის \იმუნიტეტის\ გაფართოებამ. საფალავანდიშვილოს, როგორც ქართლის მცირე სათავადოს ჩამოყალიბება კი სასისხლო დავამ განაპირობა, ამ ნიადაგზე XV ს. 80-იან წწ. ფალავანდიშვილებმა ქართლის სამეფოში მოიკიდეს ფეხი, რასაც შემდგომში მოჰყვა მათი მფლობელობის თანდათანობითი გაფართოება აღმოსავლეთ საქართველოში (ოთხმეზური 1999: 105-107).

5).საკაძეთა საგვარეულო:\საკაძე-მოურავიშვილი-თარხნიშვილი\ მეცნიერი წერს: „სათავადოს“ წარმოქმნა გარკვეული სოციალ-ეკონომიური პოლიტიკური მიზეზებით იყო განპირობებული. საკაძეთა საგვარეულო, შეიძლება ითქვას, გამონაკლისია ამ საერთო წესიდან. მათი გათავადების საფუძველი გიორგი საკაძის პირადი ღვაწლი და დამსახურება გახდა, აზნაურობიდან გათავადებასთან ერთად საკაძეთა საგვარეულო მოკლე დროის მანძილზე \XVII საუკუნის 20-იან 40-იან წწ. გვარი სამმაგ ცვლილებას განიცდის, რაც ასევე იშვიათი მოვლენაა, გიორგი საკაძის შვილი იორამი ჯერ მოურავისშვილად იწოდება, ხოლო როსტომ მეფისგან (1632-1658) თარხნობის მიღების შემდეგ თარხნიშვილად, რაც მის შთამომავლებს გადაეცემა. გიორგი საკაძის დაღუპვის შემდეგ საკაძის შვილებიდან იორამი აგრძელებს შთამომავლობას, რომელიც როსტომ ხანის მმართველობისას დაბრუნდა

სამშობლოში. იორამის ხელში მოურავობა,-ეს სამოხელეო თანამდებობა კარგავს თავის შინაარსს. სააკაძეთა ამ შტოში გვარად იქცა მოურავისშვილი.

როსტომ-ხანის წყალობას იორამმა ერთგულებით უპასუხა. დიდია მისი დამსახურება როსტომის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების ჩახშობაში, მან შეატყობინა როსტომს ნოდარ ციციშვილისა და ჩხეიძეთა ხოვლეში შეყრა, გზები შეუკრა აჯანყებულებს და საომრად წამოსულ მეფეს კავთისხევში შეეგება თავისი ლაშქრით. ბრძოლაში დიდად გამოიჩინა თავი იორამმა. ამ დამსახურებისთვის როსტომმა თარხნობა უბოძა იორამს. აჯანყების ჩახშობაში თავის გამოჩენის შემდეგ, თარხნობის წყალობასთან ერთად, მამისეული სამფლობელოც უწყალობა. იორამის ექვსი ვაჟიდან(გიორგი, ავთანდილი, ქრისტეფორე, დავითი, შიოშ, ზურაბ,="ჯანზურაბ") უფროს გიორგიზე და მის მემკვიდრეებზე გადადის თარხნობა. მოურავიშვილ-თარხნიშვილთა სამფლობელო მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას შიდა ქართლის მდინარეებისა,-თეძამის, კავთურას, ლეხურას, ალის, და ტანას ხეობების (თანამედროვე კასპის, გორის, ხაშურის, და ქარელის რაიონების) სოფლებს, ამასთანავე, რამდენიმე სოფელი ქვემო ქართლში ალგეთსა და მაშავერას ხეობაში(სამტრედო, უგუდეთი, ყიშლაღი,).

თბილისის მახლობლად(კრწანისი, ლისი, ნახშირგორა). სადოქტორო დისერტაციაში განხილულია ეპიგრაფიკული ძეგლები, კარგად ჩანს სააკაძეთა სამამულე დავა ჯავახიშვილებთან მიმართებაში და სააკაძეთა გვარის ცალკეული წარმომადგენელის როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში (ოთხმეზური 1999: 119-136).

ზემოთ განხილული მცირე სათავადოების გარდა დისერტაციაში განხილულია შიდა ქართლში არსებული სხვა მცირე სათავადოები: ავალიშვილთა, ფავნელიშვილთა, ჩიჯვაძეთა, ხერხეულიძეთა, დიასამიძეთა, შალიკაშვილთა, თაქთაქიძე-თაქთაქიშვილთა.

მარუშიანთა ფეოდალური სახლის ისტორიაა მოცემული ალ.მარუაშვილის საკანდიდატო დისერტაციაში. ნაშრომი წარმოადგენს ამ ფეოდალუირი გვარის ისტორიის მონოგრაფიულ კვლევას (მარუაშვილი 2006).

მარუშიანთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი წერილობით წყაროებში ხშირად იხსენიებიან ისეთი თანამდებობით, როგორიცაა ერისთავი და ერისთავთ-ერისთავი. მკვლევარს მიაჩნია, რომ ზარზმის ფერისცვალების ხატის წარწერაში მოხსენიებული მარუშიანთა ფეოდალური სახლის ორი წარმომადგენელი მამა-შვილი არაბაჯ და ზვიადი „აფხაზთა მეფის" გიორგი II-ის (922-957) მიერ დანიშნული ერისთავები იყვნენ სამცხეში, თავიდან არაბაჯ, ხოლო შემდეგ ზვიადი, რომელიც სამცხის გარდა ჯავახეთის საერისთაოსაც განაგებდა. მკვლევარი მათი მოღვაწეობის პერიოდს X საუკუნის 40-იანი წლებიდან 60-70-იანი წლებით განსაზღვრავს(მარუაშვილი 2006:37).

ზვიად II მარუშიანმა პოლიტიკურ აღზევებას მიაღწია ბაგრატ III(975-1014) და მისი მემკვიდრის გიორგი I-ის პერიოდში, თუმცა საქართველო-ბიზანტიის ომის შემდგომ პერიოდში მეფე გიორგი მას შეიპყრობს და ემცრობა. ისტორიკოსის აზრით, ზვიადის შვილი ვარდა ანუ ვარდანი უდებს საფუძველს ვარდანის-ძეთა ფეოდალურ სახლს, რომელიც მკვლევრის თვალსაზრისით, დასტურდება XI-XV საუკუნეების მანძილზე. ამ საგვარეულოში მარუშიანთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა ტერმინი ტრანსფორმირებული სახით დამკვიდრდა და აღნიშნავდა პირის სახელს-„მარუშიანი“ (მარუაშვილი 2006:131).

მეცნიერს საკმაოდ კარგად აქვს შეფასებული იოანე მარუშის-ძის პიროვნება და მისი დიპლომატიური მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში: „შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიამ ვერ შემოგვინახა მრავალი გამორჩეული მამულიშვილის სახელი. ივანე მარუშის-ძე ქართლის ცხოვრების ანონიმ ისტორიკოსს, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორს ორიოდე სიტყვით ჰყავს მოხსენიებული. მიუხედავად ამისა, ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიული განვითარების გზა თვალნათლივ ადასტურებს იმ უდიდეს დამსახურებას, რომელიც მას როგორც პოლიტიკურ დიპლომატიურ მოღვაწეს მიუძღვის ერისა და ქვეყნის წინაშე.

ისტორიკოსი წერს: „ქართლის ცხოვრების კვლევამ რამდენიმე შტრიხით კიდევ უფრო გაამდიდრა აქამდე არსებული წარმოდგენა ივანე მარუშის-ძის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ. მან არა მარტო ხელი შეუწყო ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას, არამედ ჯერ იდეის სახით წარმოადგინა ფეოდალური საქართველოს გამთლიანება, ხოლო შემდეგ კი მიზანმიმართული დიპლომატიური გათვლებით პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების ინტერესების გაერთიანება შესძლო, რითაც მყარი საფუძველი შექმნა ქვეყნის ერთიანობისა და ბაგრატიონთა სამეფო სახლის მართველობისთვის.

„ძლიერი და ერ-მრავალი“ დიპლომატი ივანე მარუშის-ძე ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამეფო სახლად ჩამოყალიბების თაოსანია. ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელებისას იგი არა მარტო პოლიტიკურ მოღვაწედ, არამედ უწინარესად ეროვნული ერთიანობის თვალსაჩინო იდეოლოგად წარმოუდგენია მკვლევარს, რომელიც ერთი მხრივ, უშუალოდ ავითარებს გიორგი მერჩულის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეებს, მეორე მხრივ კი, მას მომდევნო ეპოქის წინამორბედად მიიჩნევს (მარუაშვილი 2006: 104-105, 117).

“არაგვის ერისთავთა ქრონოლოგია(XVI-XVIII საუკუნეები)”-ამ სათაურითაა მ.ბახტაძის ნაშრომი, სადაც ქართულ წყაროებზე დაყრდნობით წარმოდგენილი აქვს არაგვის ერისთავთა გენეალოგია. ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს XVI-XVIII საუკუნეებს (ბახტაძე 2005:3-40).

2006 წელს გამოვიდა მ.ბახტაძის სურამელთა საგვარულო სახლი ” მ. ბახტაძე წერს:

„საგვარეულოს წარმოშობის შესახებ ბევრ ვერაფერს ვიტყვით, რადგან სათანადო მასალები არ გაგვაჩნია. მათი გვარი დაკავშირებული იყო დაბა სურამთან, აქედან გამომდინარე ვარაუდობს, რომ სურამი სურამელთა მამული იყო, ამავე დროს იგი მათ რეზიდენციასაც წარმოადგენდა (ბახტაძე 2006:3).

ნ.შოშიაშვილის აზრით, სურამელები X საუკუნეში მოღვაწე ქართლის დიდგვაროვან ფეოდალთა -ფავნელთა შთამომავლები იყვნენ (1980:59)

მ.ბახტაძე ამ ნ.შოშიაშვილის ამ თვალსაზრისს არ იზიარებს.(ბახტაძე 2006:4).

ბექა სურამელი წყაროებში პირველად მოიხსენიება 1161 წლისთვის. იგი მეფე გიორგი III-ის ერთგული თანამებრძოლია. ბექას ვაჟი რატი სურამელი წყაროებში პირველად 1170 წელს ჩნდება. ის გიორგი III-ის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ სიგელშია მოხსენიებული. მ.ბახტაძის ვარაუდით, შიომღვიმის მონასტრისთვის სოფ.კობალის შეწირვის მომენტში საგვარეულოს მეთაური უკვე რატია (ბახტაძე 2006:4-5).

შემდეგი პიროვნება სურამელთა საგვარეულო სახლიდან არის სულა, რომელსაც თედო ჟორდანია თავის დროზე მიიჩნევდა რატის ძედ (ჟორდანია 1892:260).

ჟორდანიას ამ თვალსაზრისს არ იზიარებს ბახტაძე. სულას მიჩნევა რატის ძედ როგორც ამას ჟორდანია გვთავაზობს, არ შეიძლება, რადგან ეს სულა რატის ძე სურამელი მკვლევარს ლაშა-გიორგის თანამედროვედ მიაჩნია(ე.ი ბახტაძეს) ამას მ.ბახტაძის აზრით, უნდა მოწმობდეს ლაშა-გიორგის სიგელი ქვათახევის მონასტრისადმი (ბახტაძე 2006:6-7).

1177 წლით განსაზღვრავს ბახტაძე სურამელების ხელში ქართლის ერისთავის სახელოს გადასვლას დემნა უფლისწულის აჯანყების შემდეგ, როცა ლიპარიტ ორბელს ეს ერისთაობა ჩამოერთვა და ხდება სურამელთა საგვარეულო სახლის აღზევება (ბახტაძე 2006:9).

სურამელთა საგვარეულოს ნათესაური კავშირი ჰქონდათ თორელებთან და დადიანებთან (ბახტაძე 2006:22).

სურამელთა საგვარეულო სახლის დამცრობა, მ.ბახტაძის ვარაუდით, უნდა მომხდარიყო მეფე გიორგი V-ის (1318-13460)ბრწყინვალეს მმართველობის ხანაში (ბახტაძე 2006:27-28).

„კახეთ-ჰერეთის ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან XII-XIII საუკუნეები“ ამ სათაურითაა ისტორიკოს მ.ბახტაძის კიდევ ერთი სამეცნიერო შრომა, რომელსაც გავეცანით. ცნობები XII-XIII საუკუნეში კახეთ-ჰერეთში მოღვაწე ფეოდალური საგვარეულოების შესახებ,ძირითადად, მხოლოდ ქართულ წყაროებშია დაცული. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ესა თუ ის ფეოდალი მხოლოდ მაშინ არის ხოლმე დასახელებული, როდესაც რომელიმე ისტორიულ ამბავში მონაწილედ გამოდიოდა. ამიტომაც ამ ცნობებს შემთხვევითი ხასიათი აქვს და სრულად ვერ ჩაითვლება. XII-XIII საუკუნეებში, კახეთ-ჰერეთში მოღვაწე

ზოგიერთი საგვარეულოს შესახებ შედარებით მეტი ინფორმაცია არსებობს, მაგალითად გრიგოლისძეები ან მახატლისძეები. ზოგიერთის შესახებ ნაკლები, მაგალითად, ძაგანიძეები ანდა თორღვასძენი. არის შემთხვევები, როდესაც წყაროში რომელიმე ფეოდალია მოხსენიებული, მაგრამ ძნელი დასადგენია მისი რომელიმე საგვარეულოსადმი კუთვნილება(ბახტაძე ა 2008:3).

ეგარსლან ბაკურციხელის შესახებ მეცნიერი წერს, რომ წყაროებში არანაირი პირდაპირი ცნობა ეგარსლანის წარმომავლობის შესახებ არ მოიპოვება. ჟამთააღმწერელთან ის XIII საუკუნის 40-იანი წლების ამბების თხრობისას ჩანს, როდესაც მონღოლებმა საქართველო დუმნებად დაჰყვეს, ეგარსლანი პირველი დუმნის მეთაურად დაინიშნა.

ეგარსლანს მონღოლებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, სწორედ, ამიტომ დანიშნეს ის დუმნისთავად. მ.ბახტაძის აზრით, ის მონღოლთა ნდობითაც სარგებლობდა და სწორედ ამან მისცა მას საშუალება უმეფობის დროს ფაქტობრივად მთელი ქვეყანა თუ არა, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს გამგებელი მაინც გამხდარიყო. მისმა ესოდენ გაძლიერებამ სხვა დიდებულთა უკმაყოფილება გამოიწვია(ბახტაძე(2008 ა :7,9,12).

მის სიძლიერეს საყაენოდან ჩამოსულმა ავაგ მხარგძელმა მოუღო ბოლო. მ. ბახტაძე ეგრსლან ბაკურციხელის მოღვაწეობას 1243-1247 წლით განისაზღვრავს. უცნობია, ჰყავდა თუ არა მას შთამომავლობა, რა ბედი ეწია მას, თუ თავად ის ბაკურ ძაგანის შთამომავალი იყო, მაშინ მკვლევარს სავარაუდოდ მიაჩნია რომ ამ საგვარეულომ 1247 წლითვის დაკარგა თავისი ძალაუფლება, გავლენა და დაემცრო (ბახტაძე 2008 ა :13-14).

კოლონკელიძეთა საგვარეულოს არსებობა XII საუკუნით შემოიფარგლება. დაზუსტებით არც მათი წარმომავლობაა ცნობილი. კოლონკელიძეთა პირველი წარმომადგენელი ვარდანი გიორგი III-ის დროიდან მოიხსენიება. მას გარკვეული უთანხმოება ჰქონია მეფესთან, მიუხედვად ამისა, ჰერეთის ერისთავის სახელო შეუნარჩუნეს. ივანე ვარდანისძე დემნა უფლისწულის აჯანყების მონაწილეა, რომელიც ამ აჯანყების შემდეგ უნდა დაესაჯათ. ამ ივანეს ძმად და ვარდანის უფროს ძედ მიაჩნია მ.ბახტაძეს საღირი. ასევე მისი თვალსაზრისით, ორბელთა აჯანყების შემდეგ კოლონკელიძეების საგვარეულო სახლმა არსებობა სხვა გვარით გააგრძელა (ბახტაძე 2008 ა:14-19).

გრიგოლისძეთა საგვარეულოს მოხსენიება წყაროებში პირველად ხდება 1117 წლისთვის, როდესაც დავით აღმაშენებელმა აიღო ქ.გიში. ქართულ ისტორიოგრაფიაში დავას არ იწვევს ის საკითხი, რომ XII-XII საუკუნეებში მოღვაწე გრიგოლ I, ასათი და გრიგოლ II, -ასამ გრიგოლისძის შთამომავლები არიან (ბახტაძე 2008 ა:19).

პავლე ინგოროყვას ადრე გამოთქმული აქვს თვალსაზრისი, რომ გრიგოლისძეები ჰერეთის ბაგრატიონთა საგვარეულო სახლს ეკუთვნოდა, VI საუკუნეში ჰერეთში

დამკვიდრდა და მათ წინაპრად ასათს ასახელებს (ინგოროყვა 1963:112-116).

მ.ბახტაძე არ ეთანხმება პავლე ინგოროყვას ამ თვალსაზრისს და გამოთქვამს შემდეგ აზრს: „დასაშვები იქნებოდა პ.ინგოროყვას ამ მოსაზრების გაზიარება, რომ არა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, მის მიერ აღწერილ მოლენათა თანამედროვე და აქედან გამომდინარე კარგად ინფორმირებული პირი, ასამს და შოთას გრიგოლისძეებად მოიხსენიებს და არა ბაგრატიონებად, თამარ მეფის ისტორიკოსიც ჰერეთის ერისთავებს გრიგოლისძეებს უწოდებს. ასევე გრიგოლისძეები არ უნდა იყვნენ VI საუკუნეში მოღვაწე ასამის შთამომავლები და უბრალოდ აქ ადგილი უნდა გვქონდეს სახელების დამთხვევასთან“ გრიგოლისძეთა ფუძემდებლად მეცნიერს ვინმე გრიგოლი მიაჩნია, რომლის მოღვაწეობის პერიოდი XI საუკუნეს არ უნდა გასცდენოდა. გრიგოლისძეებმა კონკრეტულად კი გრიგოლ ასათის ძემ, დემნა ბატონიშვილის ამბოხის ჩახშობის შემდეგ მეფისგან მიიღო ჰერეთის ერისთაობა და შემდგომში გრიგოლისძეები თამარ მეფის ერთგულები და მეფის მიერ განხორციელებულ ყველა სამხედრო საქმეში ღებლობენ მონაწილეობას (ბახტაძე 2008 **ა** :20-25).

2008 წელს გამოიცა მ.ბახტაძის კიდევ ერთი ნაშრომი: „დასავლეთ საქართველოს ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან XI-XIII საუკუნეები“. ავტორს ქართულ წყაროების ცნობების საფუძველზე წარმოდგენილი აქვს XI-XIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში არსებული ზოგიერთი საგვარეულოს ისტორია რამდენიმე თაობის მანძილზე(კახაბერისძეები, ვარდანისძეები, დადიანები საღირისძეები ქუაბულისძეები ამანელისძეები) (ბახტაძე 2008 **ბ**).

ჯაყელთა საგვარეულო სახლის გენეალოგიური ხაზის დადგენა და ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა დამოკიდებულებაა მოცემული საქართველოს სამეფო კართან ბახტაძის კიდევ ერთ ნაშრომში, რომლის სათაურია „ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია XI-XVსაუკუნეებში“ (ბახტაძე:2008 **გ**).

გ.სოსიაშვილის „სამაჩაბლოს ისტორია“ (2005წ.). ნაშრომში სათანადო წყაროებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რა როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მაჩაბელთა საფეოდალო სახლმა. ნაშრომის ქრონოლოგია მოიცავს XVI_XIX საუკუნეებს და მოცემულია: 1.სამაჩაბლოს ჩამოყალიბების ისტორია, 2.სოციალური ისტორია (თავადი, აზნაური, გლეხი), 3.სამაჩაბლოს ეკონომიკური მდგომარეობა (სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ხელოსნობა.), 4.სამაჩაბლოს მართვა-გამგეობა, 5.მაჩაბლების ურთიერთობა მეზობელ სათავადოებთან, 6.მაჩაბლების ურთიერთობა სამეფო კართან, 7.სამაჩაბლოს პოლიტიკური თავგადასავალი.

გ.სოსიაშვილი ვახტანგVI სამართლის წიგნის ანალიზის მიხედვით წერს, რომ „მაჩაბელთა“ ფეოდალური სახლის აღნაგობა საქართველოში არსებული სხვა

სათავადოების სრულ ანალოგს წარმოადგენს: „ისეთივე იერარქიული სურათი არის მაჩაბელთა ფეოდალურ სახლშიც. „მაჩაბლის“ როგორც სათავადოს უფროსის გვერდით, სათავადოში გვხვდება მაჩაბლისძე, მაგ. .XVIII საუკუნის ერთ-ერთ დოკუმენტში იხსენიება მაჩაბლისძე. თავად მაჩაბლებს მკვლევარი საშუალო ანუ მეორე ხარისხის კატეგორიას აკუთვნებს, ხოლო მაჩაბლის სათავადო სახლის წევრ თავადიშვილებს კი მესამე კატეგორიას. ასეთივე ვითარებას ხედავს იგი სომხით –საბარათიანოში და იზიარებს გ. ჯამბურიას აზრს: „სახლის უფროსს ეწოდება თავადი, სახლის წევრებს კი თავადიშვილები-ამილახვრიანთ სახლის უფროსია ამილახვარი, წევრები კი ამილახვრისშვილები.

ყაფლანიანთ სახლის უფროსი პირველი ხარისხის თავადი, ანუ „დიდებული თავადია“ თავადიშვილები-ყაფლანიანთ სახლისკაცები კი მეორე ხარისხისა. მეორე ხარისხის თავადები უნდა იყვნენ(ექვს „დიდებულ სახლის“ გარდა)აგრეთვე, სხვა დანარჩენი სათავადოების უფროსები, მაგალითად, სომხით-საბარათიანოში ასეთ თავადებად უნდა მივიჩნიოთ გოსტასაბიშვილების, გერმანოზიშვილების, აბაშიშვილების, ზურაბიშვილების და სხვათა სათავადო სახლების უფროსები.ხოლო ამათი სახლიკაცები კი გ.ჯამბურიას მესამე ხარისხის თავადებად მიაჩნია“ (ჯამბურია 1955: 112).

სათავადოში თითოეული განშტოების აღმოცენება სათავადო სახლის ცალკეულ წევრებს უკავშირდება, წერს გ.სოსიაშვილი: „მაგალითად, ზაალიშვილების გვარის წარმომავლობა დაკავშირებული უნდა იყოს ზაალ მაჩაბელთან. ზაალ მაჩაბელი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე იყო ერეკლე II დროს“ (სოსიაშვლი 2005: 46-47.)

ზაზაშვილების დანაყოფი უნდა უკავშირდებოდეს XVIIსაუკუნის მოღვაწე ზაზა მაჩაბელს, რომელსაც ცხინვალთან ახლოს ფიჩხის ქალაქში ჰქონდა მამული. რევაზიშვილების დანაყოფის ფუძემდებელი უნდა იყოს XVIII საუკუნის მოღვაწე რევაზ მაჩაბელი. ზემოთ აღნიშნული გვარების თუ გვარიდან წარმოქმნილი დანაყოფების გარდა, მაჩაბელთა ფეოდალურ გვარს უკავშირდება სეხნიაშვილების დანაყოფი, გ.სოსიაშვილი გამოთქვამს აზრს, რომ: „მაჩაბელთა საგვარეულოში აღმოცენებული დანაყოფები შესაძლებელია სამაჩაბლოში საუფლისწულოების არსებობაზე მიგვანიშნებდეს, ზემოთაღნიშნული მაჩაბელთა გვარის დანაყოფთა წარმომადგენლები, მისივე აზრით, თავადიშვილების სტატუსით სარგებლობდნენ და სათავადო სახლის საერთო ქონების ნაწილს „საუფლისწულოსაც განაგებდნენ (სოსიაშვილი2005: 48-49).

2008 წელს გამოიცა გიორგი სოსიაშვილის წიგნი „საქართველოს წარჩინებულთა გვარის ისტორიიდან“. წიგნში განხილულია ქართული ფეოდალური საგვარეულოების წარმომავლობის საკითხი. კერძოდ, მაჩაბლების, ფავნელიშვილების და არაგვის ერისთავების საგვარეულო სახლები. გ.სოსიაშვილი წერს :“საინტერესოა, რომ აჩაბეთის ხევის მფლობელების მაჩაბლების მამულში XV საუკუნიდან მანამდე უცნობი თავხელიძეთა

გვარი მკვიდრდება, რომელიც ამავე საუკუნის პირველ ნახევარში დიდ ტერიტორიებს ფლობს დიდი ლიახვის ხეობაში, დვალეთსა და ჟრელეში. იგი გვარის აღმნიშვნელ „მაჩაბელს“ ტოპონიმ აჩაბეთს უკავშირებს. მაჩაბლის წარმომავლობას ასე ხსნის: აჩაბეთი-აჩბ(ეთ)-ელი აჩაბელი-(მ)-აჩაბელი ისევე როგოც არგვეთი-არგვე-(თ)-ელი-არაგველი-(მ)-არგელი, ანდა, მაწყვერელი-მარადელი-მროველი. გ.სოსიაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „XIV საუკუნის-80-იან წლებში თემურ-ლენგის შემოსევებამდე მაჩაბლები დიდი ლიახვის ხეობას ფლობდნენ” (სოსიაშვილი 2008:11).

გ.სოსიაშვილის თვალსაზრისით, „მაჩაბლების ჩამოსახლების ვერსიაში უცხო გვარის თავხელიძეების მაჩაბლად დასმის ფაქტი აისახა“. მას მიაჩნია, რომ ვახუშტი შეიძლება არ ფლობდა ინფორმაციას, რომ თავხელიძეებმა მაჩაბლები ჩაანაცვლეს, როგორც ჩანს, ვახუშტი მაჩაბელთა გვარს ახალ საგვარეულოდ მიიჩნევდა.

მკვლევარი ფიქრობს, რომ „საქმე გვაქვს არა აღნიშნული პიროვნებისგან, თავხელიძეთა გვარისგან ახალი გვარის განშტოების ჩამოყალიბებასთან, არამედ სამეფო ხელისუფლებისაგან მაჩაბელთა ფეოდალური სახლის ადგილაზე ხელა თავხელიძის „მაჩაბლად დასმასთან. გ.სოსიაშვილს საყურადღებოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ საკუთარი სახელი ხელა მაჩაბელთა საგვარეულოში შედარებით გვიან პერიოდშიც გვხვდება. კერძოდ, XVII საუკუნის 80-იანი წლების ერთ-ერთ საბუთზე დაყრდნობით გ. სოსიაშვილი ამბობს: „XVII ს-80-იანი წლებში შედგენილი ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ გიორგი XI-მ ბაადურ მაჩაბლისა და მისი შვილების ბაინდურს, ხელას, ბორტის, ფარემურაზს და სეხნიას უბოძა საბაწმინდაში სადაყუდებლო ყმა-მამულითო.

თავხელიძეთა მაჩაბლად დასმას გ.სოსიაშვილი 1401-1432 წლებით განსაზღვრავს და თირის სამრეკლოს წარწერაში მოხსენიებულ „მაჩაბელს“ იგი საკუთარ სახელად მიიჩნევს და არ ეთანხმება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მაჩაბელი გვარის აღმნიშვნელია და არა სახელის: „ჩვენ არ ვეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას, წერს გ. სოსიაშვილი, რადგან წარწერაში მაჩაბელი მოხსენიებულია როგორც თავხელიძეთა ოჯახის წევრი, ამიტომ ის სახელის აღმნიშვნელია და არა გვარის. სახელი მაჩაბელი გვარსახელ მაჩაბელისგან უნდა იყოს შექმნილი. ჩვენ გვაქვს არაერთი ისეთი შემთხვევა, როცა გვარის აღმნიშვნელი სიტყვა სახელადაც იხმარებოდა“ (სოსიაშვილი 2008: 18-20).

ფავნელიშვილთა საგვარეულო სახლის განხილვისას გ.სოსიაშვილი წერს: „ფავნელიშვილთა ფეოდალური საგვარეულო არ უნდა იყოს ფავნელთა ფეოდალური სახლის პირდაპირი მემკვიდრე. ნიქოზის ტაძრის სიგელში, რომელიც ს.კაკაბაძემ გამოაქვეყნა, ყურადღებას იპყრობს გვარის შემდეგნაირი ფორმა თმოგველი-უჯარმელ-ფავლენიშვილი.

ფავნელიშვილები, რომ ფავნელთა პირდაპირი მემკვიდრენი ყოფილიყვნენ,

თმოგველ-უჯარმელთა საგვარეულოსთან მათ არანაირი კავშირი არ ექნებოდათ. თმოგველთა გამოსახლება ჯავახეთიდან XIV საუკუნეში მოხდა, ფავნელები კი IX საუკუნიდან იხსენიებიან. გ.სოსიაშვილის აზრით: „გერგეთის სულთა მატიანეში თაყაიდინის გვარი თმოგველ-უჯარმელი, შემოკლებული ფორმით უჯარმელად არის მოხსენიებული. მასვე მიაჩნია, რომ ნიქოზის ტაძრის მამულები თმოგველ-უჯარმელ-ფავნელიშვილების ფეოდალური სახლის წევრებს ქონდათ დასაკუთრებული (სოსიაშვილი 2008: 36-39)

გ.სოსიაშვილი წერს:„ფავნელთა საგვარეულოს. ადგილზე თმოგველ-უჯარმელთა დასახლება და აღნიშნული გვარის შეთავსება არ იყო იშვიათი მოვლენა. როგორც მაჩაბელთა საგვარეულოზე საუბრისას მივუთითებდით, ფეოდალურ საქართველოში ხდებოდა ისეთი შემთხვევები, როცა გადაშენებული ფეოდალური საგვარეულოს ადგილზე სხვა ახალი გვარი მკვიდრდებოდა. თმოგველ–უჯარმელებმა სამეფო ხელისუფლების ნებით ფავნელთა მამულები დაიკავეს და მათი გვარიც მიიღეს. აღნიშნულ გვარში ფავნელი საკუთარი სახელის აღმნიშვნელი იყო.

გ.სოსიაშვილს გვარი ფავნელიშვილი მხარგძელთა საგვარეულოდან წარმომდგარად მიაჩნია, რომლის ერთმა შტომ თმოგველებმა XIV საუკუნეში შეცვლის შესაბამისად მიიღეს ჯერ გვარი უჯარმელი, ხოლო თმოგველ-უჯარმელისგან XV საუკუნის პირველ ნახევრამდე ფეოდალური სახლის დეგრადაციის გამო მოხდა მათი საგვარეულო მამულის დაკავება და თმოგველ-უჯარმელებს დაემატათ გვარის ახალი ფორმა ფავნელი. მოგვიანებით თმოგველ-უჯარმელ-ფავნელად იწოდებიან. შემოკლებით ხან ფავნელ-უჯარმელებად, ხოლო მოგვიანებით თმოგველ- ფავნელიშვილად, ან თმოგველ-უჯარმელ-ფავლენიშვილად. დროთა განმავლობაში აღნიშნულ გვარს ჩამოსცილდა თმოგველ-უჯარმელი და მივიღეთ ფავნელიშვილი, რომელიც ენობრივი ცვლილებების შედეგად ფავლენიშვილად იქცა (სოსიაშვილი 2008: 40).

გავეცანით მკვლევარ აპოლონ თაბუაშვილის სამეცნიერო სტატიას "საყაფლანიშვილო XVIII საუკუნის II ნახევარში", სადაც შემდეგი მოსაზრებაა გამოთქმული: მას დოკუმენტების გაანალიზების შედეგად მიაჩნია, რომ „XV საუკუნის შუა ხანებისთვის მთელი საორბელიშვილო „უშენი იყო". გამორიცხულია, რომ XIX საუკუნის დასაწყისისთვის იქ 100 სოფელზე მეტი ყოფილიყო, „შენათ" დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საყაფლანიშვილოში საერთო მფლობელობა XVIII საუკუნის II ნახევარში აღარ არსებობდა და ყოფილი დიდი სათავადო იქცა პოლიტიკური უფლების არმქონე მამულად... საყაფლანიშვილოს ოფიციალური გაყოფის თარიღად მეცნიერს 1854 წელი მიაჩნია, ხოლო ყოფილი სათავადოს ტერიტორიის დანაწილებას XVIII საუკუნის შუა ხანებით განსაზღვრავს: „XVIII საუკუნის შუა ხანებში ის აღარ წარმოადგენდა ერთიან მონოლითურ ორგანიზმს. მას არ შერჩენია არც პოლიტიკური უფლებები და, ამდენად, XVIII საუკუნის II ნახევარში

საყაფლანიშვილო აღარ არსებობდა, როგორც სათავადო თავისი კლასიკური გაგებით(თაბუაშვილი 2009: 302, 209.)

აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორიას ეხება თ.გოგოლაძის სადოქტორო დისერტაცია -„აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორია XVI-XVIIსს“(თბ, 2012), როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მანამდე აბაშიშვილთა საგვარეულო მონოგრაფიულად არ ყოფილა შესწავლილი. მისი აზრით, XVI-XVII საუკუნეთა განმავლობაში ამ საგვარეულოს ერთ-ერთ პრეროგატივას ქართლის სამეფო კარზე სუფრაჯის საპატიო სახელო წარმოადგენდა, თუმცა ამის პარალელურად ფეოდალური ოჯახის წარმომადგენლები იკავებენ ისეთ მაღალ თანამდებობებს, როგორიცაა: სომხით-საბარათიანოს სარდლობა, ბოქაულთუხუცესობა, თბილისის მოურავობა, მეკობრის მძებნელობა და სხვა. მკვლევარი ცდილობს ქართული და უცხოენოვანი ნარატიული წყაროების, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ანალიზის საფუძველზე წარმოადგინოს აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორია.

ისტორიკოსი არ იზიარებს აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ბარათაშვილთა საგვარეულოდან გამოყოფისა და მის ცალკე ფეოდალურ სახლად ჩამოყალიბების თარიღთან სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს. „ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ბარათაშვილთა საგვარეულოდან გამოყოფისა და მის ცალკე ფეოდალურ სახლად ჩამოყალიბებას მკვლევართა ერთი ნაწილი –XIV საუკუნით (თ. ჟორდანია), მეორე ნაწილი-XV საუკუნით (ვახუშტი ბატონიშვილი), მესამე ნაწილი-XVII საუკუნის II ნახევრით (გ.ჯამბურია, დ.ბერძენიშვილი), ხოლო მეოთხე ნაწილი XVII საუკუნის I ნახევრით(ნ.ბახტაძე) განსაზღვრავდა (გოგოლაძე 2012:16-17).

თ.გოგოლაძე ამ თარიღს XVI საუკუნის I ნახევრით განსაზღვრავს:„ერთი მხრივ, ვეყრდნობით რა აბაშ და დავით ბარათაშვილის სახელზე XVI საუკუნის ნახევარში გაცემულ დოკუმენტებს, მეორე მხრივ, მხედველობაში ვიღებთ 1543 წლის აპრილის ლუარსაბ I –ის განჩინებას ბარათაშვილთა გაყრის საქმეზე, აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ჩამოყალიბებას XIV,XV,XVII, საუკუნის I ნახევრის , XVII საუკუნის II ნახევრის ნაცვლად XVI საუკუნის I ნახევრით განვსაზღვრავთ“(გოგოლაძე 2012 :23)

„ქვემო ქართლის მცირე სათავადოები“-ამ სათაურითაა ალექსანდრე ბოშიშვილის სადოქტორო დისერტაცია (თბ. 2012), სადაც მკვლევარს განხილული აქვს მელიქიშვილთა, სოლოღაშვილთა, დოლენჯაშვილთა საგვარეულო სახლები. განიხილავს რა ისტორიკოსი ზემოთხენებულ სათავადოებს, წერს: „ქვემო ქართლში წამყვან როლს დიდი ფეოდალური საგვარეულოს ბარათაშვილების წარმომადგენლები ასრულებდნენ. საგვარეულოს გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ წყაროები რეგიონს ხშირად საბარათიანოდ მოიხსენიებენ.

XV-XVIIსს. ბარათაშვილების სათავადოს დაშლის და მათ შორის პირველობისათვის ბრძოლის პირობებში ჩამოყალიბდა და ბრძოლაში უპირატესობა ყაფლანიშვილებმა მოიპოვეს. დანარჩენი საგვარეულოები ბარათაშვილთა გვერდითი შტოები (გერმანოზიშვილები, ორბელიშვილები, გოსტაშაბიშვილები, იოთამისშვილები, აბაშიშვილები) და სხვა საგვარეულო სახლები (სოლოღაშვილები, დოლენჯიშვილები, გურჯი-რევაზიშვილები) მცირე სათავადოებად ჩამოყალიბდნენ. ცოტა განსხვავებულია სომხითის მელიქების ისტორია.

სოლოღაშვილებს ისტორიკოსი მეორე ხარისხის თავადებად თვლის, ასევე მეორე ხარისხის ანუ მცირე თავადად მიაჩნია დოლენჯიშვილი: „დოლენჯიშვილებს მთელი ისტორიის მანძილზე მცირე მამულები და სამეფო კარზე უმნიშვნელო სახელოები ეკავათ(ბოშიშვილი 2012 : 3- 4)

მკვლევარი ცდილობს, ისტორიული დოკუმენტების, სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე წარმოაჩინოს აღნინიშნული სამი სათავადო \მელიქიშვილთა, სოლოღაშვილთა, დოლენჯიშვილთა\ საგვარეულოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საერთო სურათი, ასევე შესწავლილი აქვს ამ სათავადოების ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობა. განხილული და გაანალიზებული აქვს სათავადოს ტერიტორიაზე არსებული ხუროთმოძღვრული და ეპიგრაფიკული ძეგლები.

კვლავ ვუბრუნდებით სათავადოს გაგებასთან დაკავშირებით გამოთქმულ ორ განსხვავებულ მოსაზრებას, რომელიც გამოთქვეს თავის დროზე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა: პროფესორმა ნოდარ ასაათიანმა და პროფესორმა გივი ჯამბურიამ ზემოთხსენებულ სამეცნიერო სტატიებში.

გ.ჯამბურია სამეცნიერო სტატიაში „სათავადოთა საკითხისათვის“ განიხილავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფ. ნ. ასათიანის სამეცნიერო სტატიას- “საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI-XVIII საუკუნეების კახეთის სამეფოში“. გ.ჯამბურიასთვს მიუღებელია ნ. ასათიანის ის მოსაზრება, რომ XV-XVII საუკუნეებში კახეთში არ წარმოშობილა სათავადოები და XVIII საუკუნემდე მაინც არ აღმოცენებულა იქ სათავადოები.

გ.ჯამბურია წერს, რომ „ნ.ასათიანი აქ დასახელებულ ნაშრომში ლიტერატურაზე დაყრდნობით იძლევა ქართლის სათავადოს ზოგად დახასიათებას და იმ ნიშნებს, რომლებიც მისი აზრით სათვადოს დამახასიათებელი და განმსაზღვრელია: 1.მიწა-მამულის საერთო-საგვარეულო მემკვიდრეობითი მფლობელობა. 2.ტერიტორიის ერთობა. 3.ციხე-დარბაზები და ეკლესია–მონასტრები. 4.სათავადო სამხედრო ერთეულია. 5.სათავადო სამეურნეო ერთეულია. ჩვენის მხრივ გვინდა ვთქვათ ზემოთ ჩამოთვლილი ხუთი პუნქტის თაობაზე, ეს კლასიფიკაცია ჩამოაყალიბა პროფ. დ. გვრიტიშვილმა თავის ნაშრომში:

საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან -(ქართლის სათავადოები).- თბ,1955. და არა ნ.ასათიანმა. ამ შემთხვევაში გ. ჯამბურიას ეს მითითება მცდარია, აქვე მინდა ავღნიშნო, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილის კონცეფციას სათავადოს განსაზღვრებასთან დაკავშირებით სრულად იზიარებენ დ. გვრიტიშვილი და ნ. ასათიანი.

„XVსაუკუნის მეორე ნახევარსა და განსაკუთრებით XVI საუკუნეში სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისაგან განსხვავებით კახეთის სამეფო შედარებით ხელსაყრელ საგარეო-პოლიტიკურ ვითარებაში მოექცა, მას თითქმის მთელი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში მტრის სერიოზული შემოსევა არ განუცდია, მართალია, XVI საუკუნის ბოლოს ხშირდება შამხლის ქვეშევრდომ მთიელთა წვრილ-წვრილი შემოსევები, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ შეეძლოთ ქვეყნის ეკონომიკის შინაგან განვითარებაზე მნიშვნელოვანი კვალი დაემჩნიათ. ქვეყანა შინაგან ძალებზე დაყრდნობით მშვიდობიანად ვითარდებოდა. ამ მხრივ კახეთის სამეფო თითქოს საექსპერიმენტო მაგალითია იმისთვის, თუ როგორ განვითარდებოდა ქართული ფეოდალური საზოგადოება, სხვადასხვა დამაბრკოლებელი მიზეზები რომ არ გადაღობებოდა წინ.

სათავადოების წარმოქმნის პერიოდში ქართლსა და დასავლეთ საქართველოში ეკონომიკური გაპარტახებისა და დაკნინების შედეგად უკიდურესად ნატურალური მეურნეობა ბატონობდა... ნატურალური მეურნეობის საყოველთაო ბატონობის პირობებში კი ქალაქების უმრავლესობა სავსებით გამქრალი იყო ან გაქრობის გზას ადგა.

სამეფო ხელისუფლება თავს ვერ ართმევდა საგარეო და საშინაო სიძნელეებს და იძულებული ხდებოდა ფეოდალების ნებას დამორჩილებოდა, კახეთში კი ამავე პერიოდში და განსაკუთრებით XVI საუკუნეში აყვავებას განიცდის საგარეო და საშინაო ვაჭრობა, ხელოსნობა. წარმოიქმნებიან და ვითარდებიან ახალი ქალაქები, მოსახლეობა მატულობს.

ზემოაღნიშნული სოციალური და ეკონომიური საფუძველი, რამაც ქართლსა და დასავლეთ საქართველოში სათავადოების წარმოქმნა განაპირობა, კახეთის სინამდვილეში, რა თქმა უნდა, არ არსებობდა. მართალია, XVII საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური ამბები ისე განვითარდა, რომ რამდენჯერმე სრული მოსპობის გზაზეც კი იდგა, მაგრამ XVII საუკუნის ბოლომდე კახეთის ფეოდალურმა საზოგადოებამ ძირითადად შეინარჩუნა თავისი ძველი სახე. ამაში დიდი როლი ითამაშა XVI საუკუნის შინაპოლიტიკურმა მდგომარეობამ და სახელმწიფო წყობილების სფეროში მომხდარმა ცვლილებებმა, რასაც აქ ადგილი ჰქონდა XV საუკუნის ბოლოსათვის.

ცნობილია, რომ მაშინ როდესაც ქართლსა და დასავლეთ საქართველოში საერისთაოების უმეტესობა სათავადოებად გადაიზარდნენ, ანდა ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა, კახეთის მეფეებმა გააუქმეს საერისთაოები და მათ მაგიერ უფრო წვრილი ერთეულები, სამოურავოები შექმნეს. მსხვილი ფეოდალების პოლიტიკური ძლიერების

შესუსტების მიზნით სადროშოების სარდლობა ეპისკოპოსებს გადაეცათ. ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი მეფის ხელისუფლების გასაძლიერებლად, რის შედეგადაც მეფის ცენტრალური ხელისუფლება უფრო ძლიერი იყო კახეთში, ვიდრე საქართველოს სხვა ნაწილებში. XVI-XVII საუკუნეებისათვის სამეფო-სახასო მამულების რაოდენობა კახეთში საკმაოდ დიდია, კახეთს უშუალოდ თითქმის ექვემდებარება კახეთის მთიანეთი (თუშ-ფშავ-ხევსურეთი), სამეფო სახასოს წარმოადგენს ქიზიყი და გაღმა მხრის კახეთის დიდი ნაწილი (შემდეგდროინდელი საინგილო და სხვა). მეფის კუთვნილი ყმა-მამული გაფანტულია აგრეთვე კახეთის თითქმის ყველა ნაწილში (ასათიანი 1957:34-35).

მამული „მიწის ფეოდალური ფლობის ძირითადი ფორმაა XVI-XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში. მამული ეწოდება მეფის (ბატონის) მიერ სამემკვიდრეოდ გადაცემულ-დამტკიცებულ ფლობის ობიექტს, სამამულო საკუთრების სუბიექტები მხოლოდ ფეოდალური კლასის წარმომადგენლები არიან.

მეფის უზენაესი უფლება ფეოდალთა „მამულზე“ შეზღუდულია, თუმცა იგი მაინც განაგრძობს არსებობას, როგორც მიწის ფეოდალ-მესაკუთრეთა იერარქიის აუცილებელი ელემენტი. ეს უფლება ვლინდება მთელი რიგი ფაქტებით. ჯერ ერთი, ფეოდალი ხშირად იძულებულია მამულის მტკიცედ ჭერისათვის მეფისაგან სათანადო „დამტკიცება“ მიიღოს; მეფეს უფლება აქვს უჯერო სამსახურისათვის მას მამული ჩამოართვას, როდესაც მამულს უშუალო მემკვიდრე არ ჰყავს, მის მემკვიდრედ მეფე გამოდის. მამულის საიმედო ჭერისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწის მფლობელობის ახალ დამტკიცებას, ამიტომ ფეოდალები, ბუნებრივია, ცდილობდნენ მამულის მემკვიდრეობით მიღებას ან ახალი მეფის ტახტზე ასვლის დროს მიეღოთ ასეთი მამულის საიმედოვნო წიგნი, ეს, რა თქმა უნდა, აძლიერებდა მეფის, როგორც რეალურ, ისე მორალურ უფლებას თავის ყმა- ფეოდალის მამულზე.

მამულის დამტკიცების სიგელები, რომლებიც კახეთის სამეფოს შეეხება, XVIII საუკუნის ადრე ხანისაა, ძალზე ცოტა გვაქვს შემონახული. როგორც ჩანს, მამულის დამტკიცება ყოველთვის სავალდებულო არ იყო მემკვიდრეობის მიღებისას, ახალი პატრონის გამეფების დროს, თუ კი განსაკუთრებული პირობები არ შეიქმნებოდაო,“-წერს მეცნიერი. XVII ს-ის მეორე ნახევარში, როგორც ცნობილია, კახეთის სათავეში იდგნენ „არაკანონიერი“ პატრონები, ე.ი. ისინი, რომლებიც კახეთის ბაგრატიონთა შტოს არ ეკუთვნოდნენ (როსტომი, არჩილი) ამ პერიოდს თანამედროვენი „ჟამთააშლილობას“, „უბატონობის” ხანას უწოდებდნენ და ამ დროის სამამულო ცვლილებებს უკანონოდ თვლიდნენ.

XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც კახეთის სათავეში უკვე „კანონიერი“ ჯერ ერეკლე I(ნაზარალი-ხანი 1703-1709), ხოლო შემდეგ დავით III

(იმამყული-ხანი 1703-1709 ჯანიშინი, 1709-1722 კახეთის მეფე) დადგებიან, ფეოდალები მამულებზე თავიანთი უფლებების დასასაბუთებლად მხოლოდ კახეთის კანონიერ პატრონებს თეიმურაზ I და მის წინაპართა განწესებას იდასტურებენ (ასათიანი 1957:37-38).

გ.ჯამბურიას აზრით: საერთო საგვარეულო-მემკვიდრეობით მფლობელობაში იგულისხმება, რომ ფეოდალური სახლის წევრები ერთად, კოლექტიურად ფლობდნენ მიწას. სახლში არის საკუთრების შემდეგი ფორმები: საერთო, საუფლისწულო და სათავისთავო. საერთო მფლობელობა დამახასიათებელია არა მარტო თავადის სახლისათვის, არამედ აზნაურისათვისაც, აზნაურის სახლშიც მისი წევრებიც კოლექტიური მფლობელები არიან, რომელიც ამ სახლის თუ ოჯახს მემკვიდრეობით აქვს ბოძებული თავისი პატრონისაგან. გარდა ამისა, აზნაურის სახლის თუ ოჯახის თითოეულ წევრს შეიძლება ჰქონდეს თავისი ნასყიდი ქონება, რომელიც ოჯახის საკუთრებაში არ შედის „მეცნიერს მიაჩნია, რომ: „ საერთო საგვარეულო მემკვიდრეობითი მფლობელობა ახასიათებს არა მარტო გვიანი საუკუნეების თავადსა და აზნაურს, არამედ ერთიანობის ხანის დიდებულსაც.“

იხილავს რა მეცნიერი საკითხს, იქვე აგრძელებს: „ცნობილია, რომ დიდებულის სამფლობელოს სწორედ ასეთი „მამული“ ანუ საგვარეულო-სამემკვიდრეო საკუთრება წარმოადგენდა. განსხვავება თავადსა და დიდებულის სახლს „საერთო მამულს შორის საკუთრების ხარისხშია (თავადს მამულის თავისუფლად გასხვისების უფლება აქვს, დიდებულს კი პატრონის ნებართვა სჭირდება) და არა იმაში, რომ თითქოს დიდებულის სამფლობელო ინდივიდუალური საკუთრებაა, თავადისა კი საერთო საგვარეულო დიდებულის სახლის წევრებსაც ჰქონდათ, რა თქმა უნდა, „ნასყიდი“, რომელიც ფეოდალის სათავისთაო იყო.

ეყრდნობა რა ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში მოცემულ დოკუმენტს, გ.ჯამბურია ამბობს: „დიდებულის სამფლობელო მთელი სახლის საერთო საკუთრება ყოფილა და გაყრის შემთხვევაში უნდა გაეყოთ, გაყრამდე კი ერთად სარგებლობდნენ. საერთოს გარდა დიდებულის სახლის წევრებს „მონაგებიც“ ჰქონდათ, რომელიც გაყრაში არ შედიოდა პირადი ანუ „სათავისთავო“ (გვიანი ტერმინი) ქონება ყოფილა. მაშასადამე, მიწის საერთო მფლობელობა ფეოდალური სახლის საერთო მფლობელობა მთელი ფეოდალური სახლისთვისაა დამახასიათებელი (ჯამბურია 2007:123- 124).

აკად. ნ. ბერძენიშვილისეული სათავადოს განსაზღვრის საფუძველზე პროფ. ნ. ასათიანი წერს: „საფუძველი, რომელსაც ემყარება ქართლის სათავადო, მამულის საერთო-საგვარეულო მფლობელობაა. ასეთი მდგომარეობა შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ფეოდალური სახლის გაუყრელობის შენარჩუნებით ან „გაყრის“ შემდეგ კვლავ ძველი ერთობის აღდგენის მიზნით („შეყრილობა“) (ასათიანი 1957:47).

„სათავადოს“ გაგება განსხვავებულად ესმის გ. ჯამბურიას: „სათავადო, უპირველეს ყოვლისა, არის თავადის მამული, სულ ერთია ის იქნება გაყოფილი თუ გაუყოფელი, დიდი თუ მცირე. მისი განმსაზღვრელი სპეციფიკური ნიშანია მიწის საკუთრების ფორმა, მიწის საკუთრების ხასიათი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მიწის საკუთრების „თავადური ფორმა.“სწორედ მიწის საკუთრების ხასიათით განსხვავდება თავადი და სათავადო მათი სამფლობელოებისგან (ჯამბურია 2007: 127).

იმოწმებს რა ვახტანგ VI სამართლის წიგნს, ნ. ასათიანი წერს: „ვახტანგის სამართლის წიგნში პირდაპირაა აღნიშნული დიდებული თავადი. ეს არის: „ერთი თავი თვითონ არაგვის ერისთავი გაუყრელი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ქსნის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ამილახორი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ორბელიშვილი, როცა გაუყრელი ყოფილა ციციშვილი. თავადის მიერ სოციალური და პოლიტიკური სიძლიერის შენარჩუნებისთვის გაუყრელობა აუცილებელი ატრიბუტია, ასეთ ფეოდალს გაყრით და მამულების მოკლებით სისხლიც მოაკლდება. სათავადოების წარმოქმნა განვითარებისთვის, ასევე დიდი მნიშვნელობ ააქვს სხვა წვრილი საფეოდალოების შემოერთებას (ასათიანი 1957:47).

პლ.იოსელიანის ნაშრომის. ,, Род князей Чолокаевых и мученик Бидзине Чолокаев“. (Tf.1866) განხილვისას ნ.ასათიანი გამოთქვამს თვალსაზრისს: ,,პლ.იოსელიანმა სპეციალურად შეისწავლა და გამოსცა ჩოლოყაშვილთა გვარის ისტორია, მაგრამ შრომის ნაკლია პირველ რიგში ის, რომ იგ ემყარება შედარებით მცირე მასალას, იქ წამოყენებული მოსაზრებები არ არის სათანადოდ დასაბუთებული და ზოგიერთი დასკვნა აშკარად წინასწარდასახულ ,ტენდენციურ ხასიათს ატარებს. ეს გასაგებიცაა: წიგნი დაწერილი იყო ნიკოლოზ თადეოზის ძე ჩოლოყაშვილის დაკვეთით და მისივე ხარჯით იქნა გამოცემული. ამან, უსათუოდ დაღი დაასვა გამოკვლევის შინაარსს და ძირითადად მოემსახურა ჩოლოყაშვილთა გვარის განდიდებას და მის ისტორიული დამსახურების აღწერას. ჩოლოყაშვილთა გვარის დაწინაურება XV საუკუნის ბოლოს გიორგი მეფის პოლიტიკასთან არის დაკავშირებული.

ისტორიული პირობები ჩოლოყაშვილთა გვარის დასაწინაურებლად საკმაოდ ხელსაყრელი ჩანს სწორედ XV საუკუნის ბოლოსათვის. გიორგიVIII-მ (ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე (1446-1466) კახეთის პირველი მეფე (1466-1476) გააუქმა კახეთში საერისთაოები და მათ მაგივრად თავისი დასაყრდენი სამოურავოები შექმნა. გიორგი მეფემ ამ ღონისძიებით თავისი ძალაუფლება განიმტკიცა.

გიორგი VIII-ის ამ რეფორმას, რა თქმა უნდა, მხარს არ დაუჭერდნენ ძველი დიდგვაროვანი დიდებულები, ყოფილი ერისთავები თუ სხვა დიდი მოხელეები. მეფე ბუნებრივია, მათ საპირისპიროდ ახალ პირებს, სათანადო სამამულო წყალობას უბოძებდა.

ირუბაქიძეების მამული რომ ბეითალმანი შექმნილიყო, ამაში მოულოდნელი არაფერია ძველი დიდებული საგვარეულოს ადგილას მეფე თავის უფრო ერთგულ გვარს დააწინაურებდა. ასეთ ვითარებაში ჩოლოყაშვილები ხელთ იგდებდნენ ირუბაქიძეების მამულებს. (მთიდან ამ დროსვე ჩამოსული და დაწინაურებული ჩანს ზოგიერთი სხვა ფეოდალური გვარიც) (ასათიანი 1957:48-49).

განიხილავს რა პლ.იოსელიანის ნაშრომს, პროფ. ნ.ასათიანი გვთავაზობს შემდეგ მოსაზრებას: ,,ჩოლოყაშვილთა სამამულო მფლობელობის შესახებ პლ.იოსელიანი აღნიშნავს, რომ ამ ფეოდალური გვარის ძირითად სამკვიდრო სამფლობლოს გარდა, როგორიც იყო ლალისყული, ქორეთი, სატრედო, მარილისი, მდ. სტორის ხეობა, მათ მიუღიათ მეფისგან მამულები ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე ;მატაანში, ახმეტაში, ბუშიტში, ილტვანში, მარტყოფ-საცხენესთან, უჯარმასა და სამგორში. ამას გარდა ივრის ნაპირზე-ყარაბულახი, პალდო, სართიჭალა, ქოდალა, თიანეთი,-ჩაბანო. პლ. იოსელიანს ასეთი სურათი უნდა წარმოედგინა უფრო გვიანდელი მდოგმარეობის გათვალისწინებით, რადგან გვეეჭვება, რომ მას ხელთ ჰქონდა რაიმე საბუთი, რომელიც ჩოლოყაშვილთა უძველეს სამამულო მდგომარეო-ბას ასახავდა”, – ამბობს მეცნიერი და იქვე დასძენს: ,,დღეისთვის არც ჩვენ მოგვეპოვება ხელშესახები ცნობები ჩოლოყაშვილთა მფლობელობის შესახებ XVს. ბოლოსათვის, როდესაც ისინი დაწინაურდნენ კახეთის სამეფოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, მხოლოდ რომ რადგან მათ ამ დროისათვის ხელთ ეპყრათ უმაღლესი თანამდებობა-სახლთუხუცესის ხელი და ამავე დროს უმსხვილეს ფეოდალთა-ირუბაქიძეთა მემკვიდრენი იყვნენ, მათი ფეოდალური მფლობელობა ამ პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.”

საინტერესოა, როგორ განვითარდა აქ სამამულო მფლობელობა-ურთიერთობა სახლის წევრებს შორის. 1492 წლისთვის კახეთში მოღვაწეობს ზაალ ჩოლოყაშვილი. XVI საუკუნის დასაწყისში კახეთის მეფის სახლთუხუცესია ბენა ჩოლოყაშვილი, ხოლო 1568 წლისთვის ცნობილნი არიან ჩოლოყაშვილთა სხვა სახლის წევრები:ესენი არიან ადრემანი, როშაქი, გოშფარი და ჯიმშერი. ამ დროისათვის ჩოლოყაშვილებს გამოეყვნენ და ცალკე საფეოდალო შეუქმნიათ მაყაშვილებს.

ჩოლოყაშვილთა სახლის განვითარებისთვის თვალის გადევნება ნათელს ხდის, რომ ,,გაუყრელობა”ძირითადი პირობაა სათავადო მიწისმფლობელობის და, საერთოდ, სათავადოს ორგანიზაციისათვის – აქ არ გვაქვს დაცული,”– წერს ნ.ასათიანი. ჩოლოყაშვილთა ერთიანი მფლობელობა და ერთიანი სახლი იშლება მემკვიდრეობის გადაცემის დროს, სამამულო მფლობელობის ერთიანობა შენარჩუნებულია მხოლოდ ერთი-ორი თაობის მანძილზე, შემდეგ კი გაყოფა აუცილებლად ხდება. იმის გარდა, რომ

ჩოლოყაშვილთა გვარს XVI საუკუნის პირველ ნახევარში გამოეყო მაყაშვილთა საგვარეულო (მაყაშვილები თავის მხრივ იშლებიან მთელ რიგ დამოუკიდებელ სახლებად) XVII საუკუნის პირველი ნახევრისთვის იგი უკვე სამ (შეიძლება უფრო მეტადაც) შტოდ არის დაყოფილი, რომელთაგანაც თითოეული დამოუკიდებელ საფეოდალოს წარმოადგენს.

როსტომ მეფე 1648 წელს შემდეგი შინაარსის წყალობის წიგნს აძლევს შანშე ჩოლოყაშვილს (ჭიაურის მოურავს) და მის შვილებს პაპუას, როშაქს და ადრემანს: ,,მოკითხულ ვქმენით ჩეკურაში, რაც როშაქს სახლის უხუცესს რევაზს მამული ჰქონებოდა თქვენი სამკვიდრო და მამა-პაპათა წილათ ნარგები ყოფილიყო და ნაძალადევად დაეჭირა. აწე დაგიმკვიდრეთ და გიბოძეთ ჩეკურაში რისაც მამულისა და სახელოს მქონებელი თქვენი განაყოფი რევაზ ყოფილიყოს.” ამ ორ შტოს გვერდით ჩანს სხვა დამოუკიდებელი სახლებიც, კერძოდ, სუფრაჯთა სახლი, რომელიც საკმაოდ ადრე უნდა ყოფილიყო გამოყოფილი საერთო გვარიდან. თეიმურაზ I (1606-1632) წყალობის წიგნს აძლევს სუფრაჯს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს იორამის ძეს და უბოძებს მამულს უჯარმაში.

იგივე თეიმურაზი, როდესაც ჩოლოყაშვილს შანშეს და მის ძმას გიორგის აძლევს წყალობის წიგნს, მათ შორის ქაიხოსროს არ ასახელებს. ამავე ქაიხოსრო სუფრაჯის შვილი (ან სახლის წევრი) უნდა იყოს ცნობილი ბიძინა ჩოლოყაშვილი. XVII ს. ბოლოსათვის ჩოლოყაშვილთა გვარი ასევეა დანაწილებული და ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ფეოდალურ გვარებადაა დაყოფილი. მართალია, სხვადასხვა გარემოებათა გამო ზოგი შტო მთლიანად ამოწყდა და მათ მამულზე პრეტენზიებს მათივე განაყოფები აცხადებდნენ, მაგრამ ძველი საგვარეულო ერთიანი მფლობელობის აღდგენა მაინც ვერ ხერხდება (ასათიანი1957:50-52).

ტერიტორიის ერთობის და ყმა-მამულის გაფანტულობის გამო ნოდარ ასათიანი აქ სათავადოს არსებობას საეჭვოდ მიიჩნევს. ასევე, საეჭვოდ მიიჩნევს სათავადოს არსებობას ვაჩნაძიანთ საგვარეულო სახლში. “გურჯაანის მნიშვნელოვანი ნაწილი ვაჩნაძეების სამფლობელო იყო და მაშინ ჯერ კიდევ ერთ სახლს ექვემდებარებოდა.

ვაჩნაძეების სახლის ასეთი უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა საკმაო უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ სათანადო პირობების შექმნისას იგი გადაზრდილიყო ისეთ სამამულო ორგანიზაციად, რამაც ქართლში სათავადოები მოგვცა. წავიდა თუ არა ასეთი ხაზით ამ საფეოდალოს განვითარება? XVI საუკუნიდან ჩვენ არც ერთი საბუთი არ გვაქვს, რომელიც ვაჩნაძეების სახლის მდგომარეობაზე მიგვითითებდეს, მაგრამ XVII ს-ში ვაჩნაძეების სახლის მდგომარეობა გარკვევით შეგვიძლია დაახლოებით წარმოვიდგინოთ ამ საფეოდალოს განვითარების ხაზი XVI საუკუნეშიც. როგორც ჩანს, ვაჩნაძეების სამფლობელო მაინცდამაინც არ გაზრდილა და ვერც გაუყრელობა შეუნარჩუნებია. სახელოდ ვაჩნაძეების ერთ შტოს გავაზის მოურაობა მიუღია და ამასთან დაკავშირებით

მცირე მამული შემატებიათ. გავაზშივე თავისთავად კი ვაჩნაძეები უკვე გაყრილი არიან და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ რამდენიმე სახლად ცხოვრობენ. XVII ს-ის შუა წლებისთვის სამი საფეოდალოა სავაჩნაძოში და საგვარეულოს ერთიანობის დარღვევა დიდი ხნის მომხდარ ფაქტად ჩანს. ასეთივე ხაზით მიდიოდა სამამულო მფლობელობის განვითარება კახეთის სხვა (ენდრონიკაშვილების, ჯანდიერების და სხვ.) მსხვილ საფეოდალოებშიც (ასათიანი 1957: 53-54).

გ.ჯამბურიას არც ,,ტერიტორიის ერთობა" მიაჩნია სათავადოს დამახასაითებლად: ,,ჯერ ერთი ტერიტორიის ერთობა ,რაც მამულების კომპაქტურ განლაგებას გულისხმობს ერთ კუთხეში, შედარებითი ცნებაა. არც ერთი სათავადო არ ყოფილა აბსოლუტურად კომპაქტური, წერს ის, ,,მეორეც, განა ერთიანობის ხანის დიდებულთა სამფლობელოებს არ ჰქონდათ ასეთი შედარებითი ტერიტორიული ერთობა?" ასეთად მას მიაჩნია ბაღვაშთა, თორელთა, თმოგველთა სამფლობელოები. არც სამხედრო ერთეული მიაჩნია მეცნიერს ,,სათავადოს" განმსაზღვრელად: ,,ასევე შეიძლება ითქვას სამხედრო ერთეულის შესახებაც დიდებულის მსგავსად თავადიც ვალდებული იყო, თავისი ვასლებითა და ყმებით გამოსულიყო ,,ლაშქრობაში",ხოლო სამეურნეო ერთეული მეცნიერს ესმის შემდეგნაირად: ,,აქ შეიძლება ითქვას, რომ ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში ყველა საფეოდალო თვთკმარი სამეურნეო ერთეულია, ასეთია არა მარტო თავადის, არამედ, დიდებულის სამფლობელოც. ასევე უნდა ითქვას ციხე-დარბაზებისა და ეკლესია-მონასტრების შესახებაც. ეს ატრიბუტი მხოლოდ თავადის სამფლობელოსთვის არაა დამახასიათებელი, არამედ დიდებულის სამფლობელოსთვისაც (ჯამბურია 2007: 125).

კახეთში გატარებულ რეფორმებსაც გადაჭარბებულად მიიჩნევს გ.ჯამბურია: ,,ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რამდენადმე გადაჭარბებულადაა შეფასებული კახეთის ე.წ. რეფორმების მნიშვნელობა. აღნიშნულია, რომ თითქოს მთელი კახეთი ძველი სამთავროების მაგიერ თითქოს სამოურავოებად დაიყო. სწორედ ამ გარემოებას უდებენ უმთავრესად საფუძვლად (სხვა გარემოებებთან ერთად) იმ მოსაზრებას, რომ კახეთში სათავადოები არ წარმოშობილა. მეცნიერი თვლის, რომ ,,სამოურავოებად დაიყო არა მთელი კახეთი, არამედ მეფის სახასო მამული: კახეთი XVI საუკუნის დასაწყისისთვის დანაწილებული აღმოჩნდა მეფის, ეკლესიის, თავადების მამულებად ისე, როგორც ეს მოხდა ქართლში და დასავლეთ საქართველოში" (ჯამბურია 2007: 138-140).

ნ.ასათიანი თავის დროზე აღნიშნავდა: ,,კახეთის სამეფოში სათავადო ორგანიზაციისთვის, ე.ი.სათავადოსათვის დამახასიათებელი მიწის ფლობის წარმოქმნა-ჩამოყალიბებისათვის არ არსებობდა არც სოციალური, არც ეკონომიკური და არც სხვა რამ საფუძველი. სამეფო ხელისუფლება აქ საკმაოდ ძლიერი იყო და კარგად ასრულებდა როგორც თავის სოციალურ ფუნქციებს (ყმა-გლეხების მორჩილებაში ყოლა), ისე

საპოლიციო (წესრიგის დაცვა) ფუნქციებსაც. კახეთის სამეფო კარის მტკიცე პოლიტიკა, ეკონომიურ, სოციალურ და სხვა პოლიტიკურ მიზნებთან ერთად, ერთ-ერთი პირობათაგანი იყო სათავადოების წარმოუქმნელობისა კახეთის სამეფოში.

როცა XVII საუკუნის მეორე ნახევრისთვის კახეთში ჩნდება სათავადოების წარმოქმნის სიმპტომები (ქვეყანა ამ დროს, კარგად ცნობილი მიზეზების გამო ეკონომიურად დაქვეითებული და დაკნინებულია, სამეფო ხელისუფლებაც შესუსტებულია და ძალიან დაშორებულია თავის ძველ ძლიერებას). კახეთის უკანასკნელი მეფეები სასტიკ ბრძოლას უცხადებენ ფეოდალთა ,,შეყრის", სხვა ფეოდალების ხარჯზე გაძლიერების თუ სხვა ტენდენციებს, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის,რომ XVIII საუკუნემდე არ აღმოცენებულიყო აქ სათავადოთა სისტემა (ასათიანი1957: 54).

„ქვემო ქართლის სათავადოები აქვს განხილული ზ.ჭაიას. მის ნაშრომში მოცემულია გერმანოზიშვილთა, იარალიშვილთა საამიშვილთა საგვარეულო სახლის ისტორია (ჭაია:2013).

§.3. არაგვის საერისთაო XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე

სათავადო ჩვენ გვესმის თავისი კლასიკური გაგებით, აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის კონცეფცის მიხედვით. (ხაზგასმა ჩვენია – ც.ჯ.) (,,არაგვის საერისთავო XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე" ამ სათაურით გამოქვეყნდა ჩვენი ნაშრომი(ჯანაშია 2002).

სათავადოს სათავეში დგას დიდებული თავადი. თავადის უფლება-მოვალეობა შეიძლება პირობითად ორად გაიყოს: საშინაო და საგარეო. საშინაო ფუნქციაში შედის: სათავადოს შიგნით მართვა-გამოსაღების მოწესრიგება, მოხელეთა დანიშვნა, „ბატონყმური რიგის" დაცვა, ყმისა და მამულის ყიდვა-გაყიდვა, სოციალური ურთიერთობის მოწესრიგება, სათავადოს ორგანიზაცია. თავადის საგარეო ფუნქციას წარმოადგენდა: ურთიერთობა სამეფო კართან, დამოკიდებულება მეზობელ სათავადოებთან. თავადს მამულების მართვა-გამგეობა სამეფო კარის მიბაძვით ჰქონდა მოწყობილი. სათავადოების, უფრო სწორად ფეოდალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია იმუნიტეტი, რომელსაც ფეოდალიზმის განვითარების პირველ ხანიდანვე ჰქონდა ადგილი. ის ფეოდალიზმის შემდგომ განვითარებასთან არის დაკავშირებული. ის ამტკიცებს ფეოდალურ სამფლობელოთა დამოუკიდებლობას. იმუნიტეტი (შეუვალობა) საქრთველოში შეზღუდული ჩანს

გაერთიანების დროიდან (სოსელია 1966: 22-25).

თავადი XVI-XVII საუკუნის საქართველოში ფეოდალური კლასის ზედა ფენაა. XI-XIII საუკუნეებში საქართველოში სიტყვა ,,თავადი"-ყოველგვარი საქმის თავკაცის აღმნიშვნელი სიტყვა იყო. XIV-XV საუკუნეში ფეოდალური კლასის ზედა ფენის მნიშვნელობა მიიღო. თითოეულ სათავადოში მხოლოდ ერთი თავადია, დანარჩენები სათავადო სახლისშვილი, თავადისშვილად ითვლებიან. უფლებრივად თავადი და თავადიშვილი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან (ასათიანი 1957:45-46).

თავადის სამფლობელო შედგება ნაწყალობევი, ნაჯილდოვები, ნამზითვი, ნასყიდი, მინატაცები და სხვა სახის ყმა-მამულისაგან. ყველაფერი ეს მასზე გაცემულია, სამკვიდროდ, სამამულოდ, უცილობლად, ხელშეუვალად, ერთგული სამსახურის პირობით. მკვიდრი მამულის ჩამორთმევა მეფეს მხოლოდ ღალატის შემთხვევაში შეეძლო. სათავადოთა სისტემა საქართველოში ჩამოყალიბებულ სახეს იღებს XV საუკუნისთვის, ხოლო მისი წარმოქმნა XIII საუკუნიდან იწყება (ასათიანი 1957:34).

XVI-XVII საუკუნეების საქართველოში არ არსებობდა ისეთი ძალა, რომელიც სათავადოთა სისტემას დაუპირისპირდებოდა. თავადის დამოკიდებულება მეფესთან თუ მეზობელ თავადებთან ისაზღვრებოდა იმის მიხედვით, რას უკარნახებდა მას საკუთარი ფეოდალური ინტერესები, ხოლო თვით მეფის პოლიტიკა არ შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა რამ, თუ არა ფეოდალურ ინტერესთა თანასწორმოქმედი. მეფეთა პოლიტიკა კი არ განსაზღვრავდა ფეოდალების პოლიტიკას, პირუკუ, უკანასკნელთა ინტერესები განსაზღვრავდა საბოლოო ანგარიშით პირველს. ისტორიული მასალა ერთხმად ადასტურებს, რომ გვიანი საუკუნეების ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ბედი-ღბალი დიდად იყო დამყარებული წარჩინებულ თავადთა ჟინ-იანობაზე. მათი ჟინიანობის შედეგად საქართველოს მეფენი ბევრჯერ ჟამთა და დროთა ცვლილებებით ისე იყო დამდაბლებული, რომ მხოლოდ მეფის სახელიღა რქმევიათ(გვრიტიშვილი 1955: 282-284).

არაგვის საერისთაოს ახასიათებს ყველა ის სოციალურ-პოლიტიკური თვისება, რასაც ატარებენ მისი მეზობელი სათავადოები, მაგრამ იგი მიისწრაფვის აშკარად რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობისაკენ. მას აქვს პრეტენზია კახეთის რიგ მამულებზე ანუ ,,საკახეთო მამულებზე", რომელსაც თავისად თვლის და ამის გამო თავისებური დამოკიდებულება აქვს როგორც ქართლის, ასევე კახეთის მეფეებთან.

არაგვის საერისთაო, როგორც გარკვეული ტერიტორიული ერთეული, ადრევე არსებობდა და ქართლის საერისთაოში შედიოდა. XVI საუკუნის I მეოთხედში ქართლში კახეთის მეფე ავგიორგის (1511-1513) თარეშის გამო გამო მეფე დავით X (1505-1525) თავის ძმას გადასცა სამუხრანო-საუფლისწულოდ. ბაგრატმა შექმნა ცალკე მემარცხენე სადროშო, სადაც შედიოდა ქსნისა და არაგვის საერისთაოები მთიულეთ-მოხევეებითურთ: ,,ხოლო

ვითარ-არა დაცხრა ავგიორგი ქვეყნის ოხრებად, ეტყოდნენ ძმანი მეფესა დავითს წინააღმდეგობასა გიორგისასა, ხოლო იგი მიუგებდა: სიბოროტისასა თვისა ნაცვალი მიეგების რად ვყოთ შფოთი, არამედ ბაგრატ ძმა დავით მეფესა მიუგებდა მოგვიხუნა კახეთი აწ ნებავს ქართლიცა და გამოსთხოვა მუხრანი საუფლისწულოდ და არაგვისა და ქსნის ხევნი მთიულეთ-მოხევითურთ თვისა მორჩილებასა ქვეშე [რომელი არს მიერთაგან ერთ სასასპეტოდ ანუ სადროშოდ. კუალად იტყვიან მიერ ჟამთაგან იქნა ქართლი ოთხ სადროშოდ]. ვკითხულობთ ვახუშტი ბატონიშვილთან (ვახუშტი ბატონიშვილი 1973:399).

დ.გვრიტიშვილს მიაჩნია, რომ არაგვის საერისთაოს პირველი ერისთავები იყვნენ შაბურისძეები. XVI საუკუნიდან სარგებლობენ რა საგარეო და საშინაო მდგომარეობის გართულებით, პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები აზნაურები იმორჩილებენ ხევის ერისთავებს თექთუმანიძეებს, აქ ისინი გაერისთავდებიან, ხოლო ამის შემდეგ თანდათან არაგვის საერისთაოსაც შეიერთებენ. უშუალოდ ნუგზარ არაგვის ერისთავის წინაპრად ვანათელ აზნაურებს მიიჩნევენ (გვრიტიშვილი 1955:87-94).

არაგვის საერისთაოს საზღვრები ხშირად იცვლებოდა. ერისთავებს ნიადაგ ბრძოლა ჰქონდათ ყმა-მამულისთვის, რომელიც ზოგჯერ მათი გამარჯვებით მთავრ-დებოდა და ხშირად არაგვის ერისთავები (ზურაბი, ზაალი) კახეთის გარკვეულ ნაწილს შეიერთებდნენ ხოლმე. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, შევეცდებით მოკლედ აღვწეროთ სასაზღვრო ზოლი: დასავლეთით არაგვის საერისთაო ქსნის საერისთაოს ემეზობლებოდა, სამხრეთით მუხრან-ბატონებს ემეზობლებოდნენ, აღმოსავლეთით ფშავ-ხევსურეთს,ბარის კახეთს. ზოგიერთი მკვლევარი ანანურს თვლის არაგვის ხეობის მთისა და ბარის რაიონების მიჯნად (ითონიშვილი 1986:27-28).

ჩრდილოეთით საზღვარი თავდებოდა დარიალის კართან, სადაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი იყო (გვრიტიშვილი 1955:98).

XVI ს-ის დასაწყისისთვის არაგვის საერისთაოს შესახებ ძვირფას ცნობებს გვაწვდიან რუსი ელჩები. მათი ცნობებიდან ირკვევა, რომ არაგვის ერისთავი ნუგზარი, თუმცა კახეთის მეფის ყმა იყო, თავს საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდა, იმდენად დამოუკიდებლად, რომ იგი თავისი პატრონის დაუკითხავად ომს აწარმოებს მეზობელ ჩერქეზ ბატონთან. საგანგებო რწმუნებას და ძღვენს თხოულობს მაშინაც კი, როცა ელჩები მის პატრონთან მიდიან(გვრიტიშვილი1955:331-332).

როდესაც რუსმა ელჩებმა ჩერქეზ ბატონ ალკასს სთხოვეს, რომ-,, и ты б,Алкас книяз госуда¬рю нашему службу свою показал проводити нас до ,,сонские земли“ ალკასმა განუცხადა: ,,пошлю вас земли проводити до ,,сонские земли”,а дале ,,сонские земли “вас проводит нелзия потому что нине иристов в княз ,,сонские” со мною не миру” (Белокуров :1889:34).

დავით გვრიტიშვილი ,,сонские земля”და სონთა ერისთავს უკავშირებს ხევში სოფელ სიონს, რომელიც საერისთაოს ცენტრს წარმოადგენდა (გვრიტიშვილი1955:93).
ვ.ითონიშვილს რუსულ დოკუმენტებზე დაკვირვება არწმუნებს, რომ სიონის მიწად (,,сонские землиа”) სახელწოდებული იყო არაგვის საერისთაოს ერთი განსაზღვრული ნაწილი, კერძოდ, სოფ. ლარსსა და ჯვრის უღელტეხილს შორის მდებარე რაიონი, ან აღნიშნული საერისთაოს თითქმის მთელი ტერიტორია სოფ. ლარსიდან ვიდრე სიონის მიჯნამდე, (,,сонские рубеж) რომლის ლოკაცია მისივე ვარაუდით შეიძლება მოხდეს ანანურთან ან ჟინვალთან (ითონიშვილი 1986:43-44).

ამრიგად, როგორც ზემოთ დავინახეთ, ერისთავს თავისი საერისთაო მეფისგან თითქმის დამოუკიდებლად მიაჩნია და მის მიწაზე ფეხის დამდგმელი განურჩევლად იმისა, ვინ არის იგი, ანგარიშვალდებულია ერისთავის წინაშე.

ჩანს მოსკოვში არ იცოდნენ, რომ კახეთში მოსვლამდე საჭირო იყო ერისთავის საგანგებო რწმუნება მათ (ე.ი. ელჩებს) არაგვის საერისთაო კახეთის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდათ. ელჩების დაპირებების შემდეგ ნუგზარ არაგვის ერისთავი ენდო მათ და ალექსანდრე II (1574-1606) სამეფომდე პირადად გააცილა.

ერისთავი მიზნად ისახავდა თავისი სამფლობელო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, ელჩების მეშვეობით რუსთა ხელმწიფისათვის ცნობილი გაეხადა, ამას შემდეგ თავისი ფეოდალური მიზნებისათვის გამოიყენებდა. მართლაც, ჩანს ელჩებმა აუწყეს რუსთ-ხელმწიფეს არაგვის ერისთავის ვინაობა და 1604-1605 წლის ელჩობისას მიხეილ ტატიშჩევმა და ანდრია ივანოვმა ნუგზარ ერისთავს ბორის გოდუნოვის სიგელები და მისართმევები მიართვეს, თან აუწყეს, რომ რუსეთის სამეფო კარისთვის არ იქნებოდა ცუდი, თუ არაგვის ერისთავი და კახთა მეფე მეგობრულ განწყობილებაში იქნებოდნენ (არაგვის ერისთავი დარიალის კარს ფლობდა.) რუსეთის სურვილი იყო, რომ არაგვის ერისთავს კარგი დამოკიდებულება ჰქონოდა როგორც კახეთის მეფესთან, ასევე თერგის ბატონთან, მას რუსეთის ხელმწიფე ამისთვის დაუმადლებდა, ერისთავიც აღუთქვამდა ელჩებს, რომ იგი მათ რჩევებს შეასრულებდა (გვრიტიშვილი1955:334).

როდის მოხდა არაგვის საერისთაოს გადასვლა კახეთის მეფის ყმობაში? ჩვენ ვიცით, რომ არაგვის საერისთაო აქამდე ქართლის მეფის მფლობელობაში იყო. ბოლოს, როცა საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, მეფე გიორგი VIII ერთიანი საქართველოს უკანასკნელი (1446-1466) და კახეთის პირველმა მეფემ (1466-1476). კახეთში ხელისუფლების განმტკიცებისა და ერისთავ-წარჩინებულთა დამარცხების შემდეგ, რეფორმები გაატარა (ასათიანი 1999:224).

ამ რეფორმის გატარება არ ჩანს არაგვის საერისთაოში ,რადგან იგი კახეთის მფლობელობაში არ იყო. ცოტა მოგვიანებით, XVI საუკუნის I მეოთხედში ქართლის მეფე

დავითი X-ის (1505-1525) ძმის ბაგრატის ინიციატივით გატარდა სამხედრო რეფორმა. ქართლი ოთხ სადროშოდ დაიყო: მემარჯვენე სადროშო ზემო ქართლი ამილახვრების მეთაურობით, მეწინავე ქვემო ქართლი ბარათაშვილების სარდლობით, მემარცხენეში გაერთიანებული იქნა ქსნისა და არაგვის საერისთაოები, მთიულეთ-მოხევეებითურთ, ამ სადროშოს თვით ბაგრატ ბატონიშვილი მეთაურობდა, რომელმაც საუფლისწულოდ მიიღო მუხრანი და მისი მიმდებარე ტერიტორიები. ეს დაედო საფუძვლად ახალი სათავადოს სამუხრანბატონოს ჩამოყალიბებას. მეოთხე სადროშო-მეუკანავე მეფისა იყო, რომელიც ქართლის დანარჩენ ნაწილს მოიცავდა (ასათიანი1999:254).

ამრიგად, არაგვის საერისთაო ამ დროსაც ქართლის შემადგენლობაშია. რა იყო მიზეზი, რომ არაგვის საერისთაო შემდეგში კახეთის შემადგენლობაში მოექცა? პირდაპირი ცნობა, თუ როდის გადავიდა ქართლის სამეფოში შემავალი არაგვის საერისთაო კახეთის მეფის ყმობაში, არა გვაქვს. ეს არც ბერი ეგნატაშვილთან, არც ვახუშტი ბატონიშვილთან, არც ფარსადან გორგისჯანისძის ისტორიაშია დაფიქსირებული (ბერი ეგნატაშვილი 1959:336).(ვახუშტი ბატონიშვილი 1973:406-409).(ფარსადან გორგისჯანისძის ისტორია 1926:12-15). მაგრამ სავარაუდოა შემდეგი: 1561 წლის 25 დეკემბერს ყაზვინში ეახლა შაჰ-თამაზს სიმონ მეფის (1556-1600) ძმა დავითი. (დავით IX-დაუთ-ხანი 1564-1578) და თავისი სამსახური შესთავაზა. შაჰმა იგი გაამაჰმადიანა, თბილისისა და ქვემო ქართლის გამგებლობა გადასცა, საქართველოში გამოისტუმრა სიმონ მეფის წინააღმდეგ (ასათიანი 1999: 276).

,,ხოლო დაიპყრა დაუთხან საბარათიანო დმანისხევსა ციხესა ქვეშე”(ბერი ეგნატაშვილი 1959:369).

1569 წელს მდინარე ალგეთის პირას,სოფელ ფარცხისთან დატყვევებულ იქნა ქართლის მეფე სიმონ I (1556-1600). სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ თავადებიდან ზოგი დავითს მიუვიდა, მაგრამ უმრავლესობა ირანის შაჰის მოხელის მეფობას არ სცნობდა(ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია 1948: 399).

ამრიგად, დაუდ-ხანი მხოლოდ ქვემო ქართლისა და სომხით-საბარათიანოს გამგებლად ითვლებოდა. ქართლში სრული ანარქია სუფევდა. ვფიქრობთ, რომ არაგვის ერისთავმა ამ დროს კახეთის სამეფოს შეაფარა თავი და სცნო კახეთის მეფის სიუზერენობა. პოლიტიკური სიტუაცია კი ასეთი იყო: კავკასიაში ივანე მრისხანემ ყაბარდოს მთავარი თემურყვა 1557 წელს ოფიციალურ მფარველობაში აიყვანა, ხოლო 1561 წელს მოსკოვში ჩავიდა კახეთის ელჩი, რომელმაც ივანე I-ს ლევან მეფის(1518-1574) სიგელი ჩაუტანა. ლევან მეფე რუსეთს სამხედრო დახმარებას სთხოვდა. მართლაც რუსთა რაზმები არაგვიის საერისთაოს ფარგლებშიც შემოსულან. კახეთის სამეფო ამ პერიოდში განსაკუთრებით დაინტერესდა არაგვის ხეობით, რომლითაც გზა რუსეთში გადადიოდა.

ე.ი.დარიალის გზით, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოეთი

საზღვარი იყო, არაგვის ერისთავებს თვალი კახეთის მთიანეთზე (თუშ-ფშავ-ხევსურეთზე) ეჭირათ. ამ ინტერესთა დამთხვევამ არაგვის ერისთავები კახეთის მეფის ყმობაში გადაიყვანა (ასათიანი 1999:269).

ვფიქრობთ რომ არაგვის საერისთაოს გადასვლა კახეთის მეფის ყმობაში უნდა მომხდარიყო 1569-1574 წლებში. იგი კახეთის მეფის ყმობაში ალექსანდრე II-ის დაღუპვამდე ჩანს. შაჰ-აბას I (1614-1617) წლების შემოსევისას იგი კვლავ ქართლის შემადგენლობაშია.

თავი მესამე

თავადური მენტალობის საკითხი XVII საუკუნის საქართველოში იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ მიხედვით

§.1.იოსებ თბილელის ბიოგრაფიის ერთი დეტალის დაზუსტებისათვის

იოსებ თბილელი აღორძინების ხანის ქართული პოეზიის ერთერთი შესანიშნავი წარმომადგენელია. მის სახელთან არის დაკავშირებული ქართული ეროვნული პოემის განვითარება. მას სასულიერო პირისთვის შესაფერისი განათლება უნდა ჰქონოდა მიღებული. ის, როგორც პოეტი, მოქალაქე, მემატიანე, სახელმწიფო თუ სასულიერო მოღვაწე, სრულად გვევლინება თავისი ერის სამსახურში იოსებ თბილელის პიროვნებას ვერ გავიგებთ სრულად, თუ არ შევეხეთ მის ბიოგრაფიულ მონაცემებს და მკვლევართა მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს მის ბიოგრაფიულ ცნობებთან დაკავშირებით.

თბილელის პირველი ბიოგრაფის, პლატონ იოსელიანის ცნობით, იოსები იყო ძის ძე დიდი მოურავისა: „ამასავე წერს იოსებ თბილელი, მიტროპოლიტი, გიორგი საკაძის შვილიშვილი“(იოსელიანი 1973: 64).

ამ თვალსაზრისისაა ზ.ჭიჭინაძეც. „იოსებ მიტროპოლიტი ცხოვრობდა 1600- 1688 წლებში, იოსები გვარად სააკაძე იყო , იოსები გიორგი სააკაძის შვილისშვილი ყოფილა“ (ჭიჭინაძე 1888:30).

ასევე, ექ.თაყაიშვილის აზრით, დიდ მოურავზე ჩანაწერი არსებობს ორი სახის როგორც პროზაული ასევე ლექსად. პროზაული ფორმა ე.თაყაიშვილისთვის უცნობი იყო, მაგრამ იგი მისი აზრით, უეჭველად შედიოდა პარიზის ქრონიკაში, ხოლო ლექსი კი გიორგი სააკაძეს მიუძღვნა მისმა შვილიშვილმა იოსებ თბილელმა“(Такайшвили 1901:8)

ამ მოსაზრებას იზიარებს ა. ხახანაშვილიც „იოსებ თბილელი ეკუთვნის XVII საუკუნის მწერლებს, იგი იყო ნათესავი მოურავის გიორგი სააკაძისა და ამ გმირის ცხოვრებას უძღვნა პოემა „ დიდმოურავიანი.“ ამ პოემის ავტორი თავის თავს უწოდებს მოურავის ძის ძედ და გაიზარდა იგი ქვბთახევის მონასტერში“(ხახანაშვილი 1904:509).

შემდეგი ცნობა გვხვდება ალ ხახანაშვილის გუჯრებშიც: „ნებითა: და შეწევნითა: ღვთისათა და მეოხებითა: სიონთა ღვთის:მშობლისათა: ესე წიგნი: მოგართვით: თქვენ: სიონთა: ღვთის:მშობლისა:შენ:ზედა საჭეთ:მპყრობელსა:თბილელ მთავარ:ეპიზკოპოზსზა: იოსებს.“ ასევე, ა.ხახანაშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ი.თბილელი თარხნიშვილია და ლექსი მან თარხნიშვილთა საგვარეულოს მიუძღვნა. „იოსებ თბილელი-თარხნიშვილი დიდი მოურავის ჩამომავალია. მან დაწერა ლექსად ისტორია თავისი გვარისა“

(ხახანაშვილი 1891:3.სქ.1).

თბილელი თარხნიშვილად მიაჩნია მ.ტყემალაძესაც; იოსებ III (1662-1688) თარხნიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელია შთამომავალი დიდი მოურავისა, პირველად იყო დმანისის ეპისკოპოსი. მან დაწერა თავიდან ბოლომდე თავისი გვარის წარმომავლობის შესახებ ისტორია ლექსად, სადაც მოცემულია შაჰ-აბასის შემოსევების პერიოდი მოღვაწეობდა ვახტანანგ V შაჰნავაზის დროს (Ткзеемаладзе 1904:146).

რ.ფირცხალაიშვილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს: ა.ხახანაშვილი ამ მხრივ კიდევ უფრო შორს წავიდა. მან თბილელი თარხნიშვილად, ხოლო მისი პოემა თარხნიშვილთა გვარის ლექსად დაწერილ ისტორიად გამოაცხადა და გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს შეუსაბამობა იყო. ტფილელი თარხნიშვილად არცერთ წყაროში არ მოიხსენიება, იმ გარემოებას მაინც უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ „დიდმოურავიანის“ თარხნიშვილთა გვარის ისტორიად მიჩნევა თბილელის პოემის არსის დაკნინებაა. რ.ფირცხალაიშვილის თვალსაზრისით ამგვარი აზრი გაოცებას იწვევს, თუნდაც იმის გამო,რომ პოემაში არცერთი თარხნიშვილის (არამცთუ მთლიანად თარხნიშვილთა გვარის) ისტორია არაა მოთხრობილი (დიდი მოურავი გიორგი სააკაძე ხომ თარხნიშვილი არ ყოფილა)“(ფირცხალაიშვილი 1978: 23,24).

ანტონ ფურცელაძესთან ვხედავთ შემდეგ ციტატას: „იოსებ თბილელი, რომელიც იყო სააკაძის შვილიშვილი, ათქმევინებს სააკაძეს“ (ფურცელაძე 1911: 422).

მკვლევართა მეორე ნაწილს განსხვავებული აზრი აქვს და არ მიიჩნევს იოსებ თბილელს გიორგი სააკაძის შვილიშვილად. გ.ლეონიძის თვალსაზრისით: „ასე გაურკვეველია ეს საკითხი, მითუმეტეს, არცერთი მკვლევართაგანი არავითარ წყაროს არ გვისახელებს თავისი ცნობის დასამტკიცებლად. მისი აზრით, ზემოთხსენებული მკვლევარები, კ.კეკელიძის გარდა, შეუმოწმებლად, გამოუკვლეველად მხოლოდ პ.იოსელიანის ცნობას იმეორებენ. გ.ლეონიძე იოსებ თბილელს გიორგი სააკაძის ძმისწულად მიიჩნევს. გ.ლეონიძემ ყურადღება მიაქცია იმას, რომ დიდი მოურავის პირდაპირი შთამომავლები „მოურავიშვილებად“ იწოდებოდნენ“ (იოსებ ტფილელი 1939:XX-XXI).

კ.კეკელიძე გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: „დაბეჯითებით თქმა იმისა, რომ იოსებ თბილელი არის ძის ძე გიორგი სააკაძისა, შვილი სიაუშისა-, ძნელია, დანამდვილებით არ ვიცით ძის ძე თუ ძმის ძე იყო იოსები დიდი მოურავისა“(კეკელიძე 1924:360–361).(კეკელიძე 1952:419).

ს.ცაიშვილი იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ თბილელი არ არის ძის ძე გიორგი სააკაძისა, თუმცა, ამავე დროს, არც ძმისწულობა მიაჩნია საბოლოოდ დამტკიცებულად(ცაიშვილი1974:132).

რ.ფირცხალაიშვილი თავის წიგნში, იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“ გვთავაზობს შემდეგ მოსაზრებებს: „იოსებ ტფილელის წარმომავლობის საკითხის გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სააკაძეთა საგვარეულო

დოკუმენტების შესწავლას, მოურავიშვილთა და სხვა სააკაძეთა შტოების ერთმანეთისაგან გამიჯვნას და სქემების სახით წარმოჩენას. გ.სააკაძის გენეალოგიური შტოს დადგენა მეტად მნიშვნელოვანია თბილელის ბიოგრაფიის კვლევის თვალსაზრისითაც. უეჭვოდ მტკიცდება, რომ გიორგი სააკაძის პირდაპირი მემკვიდრენი მოურავიშვილებად (ცოტათი გვიან–თარხნიშვილებად) იწოდებოდნენ არა მხოლოდ „მთელ რიგ საბუთებში," როგორც ამას გ.ლეონიძე აღნიშნავდა, არამედ ყველა დოკუმენტში, რაც მათ სახელზე შექმნილა მე–17 საუკუნის 40–იანი წლებიდან(რა თქმა უნდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დოკუმენტში მხოლოდ სახელი იყო მოხსენიებული) მოურავიშვილობა გიორგი სააკაძის მემკვიდრეთა საპატიო გვარ–წოდება გახდა, რაც მათ სხვა სააკაძეეთაგან განასხვავებდა (ფირცხალაიშვილი 1978:24–25).

რომელიმე პირი მე–17 საუკუნის 40–იანი წლებიდან ისტორიულ დოკუმენტებში მხოლოდ და მხოლოდ სააკაძედ მოხსენიება, ეს უცდომელი ნიშანია იმისა, რომ ეს პირი სააკაძეთა იმ შტოს ეკუთვნის, რომელიც სამოურავიშვილოში არ შედიოდა. რ.ფირცხალაიშვილი აღნიშნავს: „ჩვენს საცავებში დაცულ მოურავიშვილთა და სხვა სააკაძეთა საგვარეულო დოოკუმენტების შესწავლის შედეგად შესაძლებელი ხდება გიორგი სააკაძის პირდაპირ მემკვიდრეთა შტოს წარმოჩენა მე–17–18 საუკუნეთა მანძილზე, ხერხდება მათი მოღვაწეობის ძირითადი მხარეების გათვალიწინება.

რ.ფირცხალაიშვილი პ.იოსელიანის მოსაზრების შესახებ წერს: „პ.იოსელიანი იოსებ თბილელს გიორგი სააკაძის ძის სიაუშის ძედ თვლიდა, ხოლო რადგანაც იორამი სიაუშის ძედ და გიორგის სააკაძის შვილიშვილად მიაჩნდა, ცხადია, იორამი და თბილელი მისი თვალსაზრისით ძმები გამოდიოდნენ, მაგრამ პ.იოსელიანის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ძე სიაუში გიორგის სააკაძეს არ ჰყოლია, ხოლო იორამი თვით იყო ძე გიორგი სააკაძისა თუ იოსებ თბილელი იყო პირდაპირი შთამომავალი–ძის ძე დიდი მოურავისა, ცხადია, იგი საძიებელი იქნებოდა სწორედ იორამის ძეთა შორის, რადგანაც სააკაძის სხვა შვილთა მემკვიდრეობა ცნობილი არაა, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იორამის ძეთა შორისაც იოსებ ტფილელს ვერ ვხედავთ.

როცა ხელთ გვაქვს სამოურავიშვილოს შემადგენლობის სქემა, სავსებით აშკარაა და უეჭვოა, ტფილელი არაა იორამის ძე, არაა პირდაპირი მემკვიდრე გიორგი სააკაძისა. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხელნაწერებსა და დოკუმენტებში იგი არც ერთხელ არ მოიხსენიება მოურავიშვილად".

როგორც ცნობილია, ზოგიერთ ხელნაწერში იოსებ თფილელი ბაბათაშვილად მოიხსენიება. თუ, პლ.იოსელიანის ცნობას (თბილელი დიდი მოურავის ძის ძეა) გავიზიარებდით, მაშინ ბაბათაშვილთა განშტოება სამოურავიშილოს შიგნით უნდა გვეძებნა–წერს რ.ფირცხალაიშვილი. ახლა, როცა ჩვენთვის ცნობილია სამოურავიშვილოს შემადგგენლობა ორნახევარი საუკუნის მანძილზე, ამგვარი აზრი სავსებით გამორიცხულია, მოურავიშვილთა შიგნით განშტოებანი არ ყოფილა მოურავიშვილნი, თარხნიშვილნი, თარხან–მოურავები ერთი და იგივე შტოა (ფირცხალაიშვილი1978:26- 27).

პლ.იოსელიანის ვარაუდით ბაბა–შიოში უნდა ყოფილიყო იოსებ თბილელის მამა. (დიდმოურავიანი 1851: 75.) შემდეგში კ.კეკელიძემაც გამოთქვა აზრი, რომ იოსების გვარი აქედან წარმოიშვა(კეკელიძე 1924:361).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ.ლეონიძე იოსებ თბილელს გიორგი სააკაძის ძმისწულად მიიჩნევს და გამოთქვამს შემდეგ ვარაუდებს:"არც ბაბათაშვილები და კერძოდ, არც იოსებ ტფილელი გიორგი სააკაძის პირდაპირი ჩამომავლები არ არიან, მაშასადამე, საეჭვო უნდა იყოს ცნობა, თითქოს იოსები იყო „ძის ძე დიდი მოურავისა". მაგრამ, იმავე დროს, რაკი იოსები გ.სააკაძის „ნათესავ–მოდგამ–გვარ–ტომია, გ.ლეონიძე ფიქრობს, იგი უნდა იყოს ერთ–ერთი ძმისწული და გიორგი სააკაძის ძმის, ქაიხოსროს ძედ მიაჩნია, რომელიც დაიღუპა ბაღდადის აღებისას მისივე ვარაუდით, 1614 წელს(იოსებ ტფილელი 1939:XX-XXI).

გ.ჯამბურია აღნიშნავდა შემდეგს: „სიაუშს და თამარს(სუბარია გ.სააკაძის მშობლებზე) სამი ვაჟი და ერთი ქალი ჰყოლიათ. ამათგან მხოლოდ ჩვენ ორის სახელი ვიცით. პირმშო გიორგი და ქაიხოსრო. უცნობია მესამე ვაჟის სახელი და არც ქალისა, რომელიც შემდგომ ლუარსაბ II-ის ცოლი და ქართლის დედოფალი გახდა.ქაიხოსრო ხშირად იხსენიება გიორგი სააკაძის გვერდით, პირველად მისი ხსენება გვხვდება 1607 წელს საკაძეთა ნასყიდობის წიგნში, შემდეგ იგი მოხსენიებულია 1608 და 1609 წწ.დოკუმენტებშიც. მას მონაწილეობა მიუღია 1609 წლის ტაშისკარის ომში. ქაიხოსრო მოხსენიებულია გიორგი სააკაძისა და ფარსადან ციციშვილის შერიგების წიგნში. ეს წიგნი გ.ჯამბურიას ვარაუდით დაწერილი უნდა იყოს 1620-1625 წლებში. ზუსტ თარიღს თუ როდის გარდაიცვალა ქაიხოსრო, გ.ჯამბურია არ ასახელებს, მაგრამ შენიშნავს, რომ 1626 წლის შემდეგ მისი ხსენება არ გვხვდება-ო"(ჯამბურია 1964:26-27).

გ.ჯამბურიას აზრით: „საკვირველია ის გარემოება, რომ გიორგის მეორე ძმა ნახსენები არაა არც ერთ დოკუმენტში(ნასყიდობის, წყალობის, თუ სხვა წიგნებში), სადაც მოხსენიებულია გიორგი, ქაიხოსრო და გიორგის შვილებიც. გიორგიც, როცა ძმას ახსენებს, არასოდეს არ იხსენიებს ორივე ძმას ერთად." გ.ჯამბურიას ვარაუდით: „იქნებ ეს გამოწვეული იყოს იმით, რომ იგი არ იმყოფებოდა საქართველოში და ადრიდანვე ირანში შაჰ-აბასის კარზე იმოფებოდა, ყოველშემთხვევაში მისი პიროვნება ბურუსით მოცულად მიაჩნია (ჯამბურია1964:26-27).

რ.ფირცხალაიშვილს გ.სააკაძის ძმის ქაიხოსროს დაღუპვის თარიღად მიიაჩნია 1623 წელი. (ფირცხალაიშვილი 1978:118–131).(რასაც ჩვენც ვიზიარებთ).

გ.ლეონიძე ი.თბილელის დიდმოურავიანზე დაყრდნობით წერს: „მაგრამ „დიდმოურავიანის" მიხედვით გიორგი სააკაძეს ჰყოლია მეორე ძმაც, რომელიც უკვე იხსენიება ქაიხოსროს სიკვდილის შემდეგ. რაკი იოსები ბაბათაშვილობით იხსენიება და ბაბათაშვილი კი იოსებამდე არ ჩანს. მისივე ვარაუდითაც ბაბათა უნდა რქმეოდა იოსების მამას ანუ გიორგი სააკაძის მეორე ძმას, რომელიც არავითარი მოღვაწეობით არ არის ცნობილი (იოსებ ტფილელი1939:XXI-XXII).

რ.ფირცხალაიშვილს ზემოთქმული მოსაზრებები იოსებ სააკაძის (თბილელის) ძმისწულობასთან დაკავშირებთ მიაჩნია მცდარად: „ამრიგად, ძმისწულობის“ თვალსაზრისით: „იოსებ ტფილელი უცილოდ უნდა ჩაითვალოს ქაიხოსროს, ან მისივე ძმის(თუ იყვნენ ეს პირნი ძმები) ბაბა–შიოშის ვაჟად. მაგრამ არსებობს მთელი რიგი გარემოებანი, რომლებიც ამ საფუძველს აცლიან. ჯერ ქაიხოსრო სააკაძესთან დაკავშირებით: თუ იოსებ თბილელს დიდი მოურავის ძმის ქაიხოსრო სააკაძის ვაჟად მივიჩნევდით, გაუგებარი იქნებოდა, როგოღა უნდა ყოფილიყო იოსებ თბილელი ბაბათაშვილი, ვინ იყო მაშინ ის ბაბა–შიოში? გამოდის ბაბა–შიოში უნდა ყოფილიყო ან იგივე ქაიხოსრო სააკაძე, ან უფროსი შიოშ სააკაძე–მამა გიორგისა (დიდი მოურავისა), მაგრამ ორივე ეს დაშვება მცდარია.

ჩვენამდე მოღწეულია ქაიხოსრო სააკაძესთან დაკავშირებული მრავალი დოკუმენტი, არც ერთ მათგანში ქაიხოსროს ბაბა–შიოში ან თუნდაც მხოლოდ შიოში(სიაუში) არ ეწოდება. თვით პლ.იოსელიანის ცნობაშიც არაფერია თქმული იმის შესახებ, რომ სიაუში იგივე ქაიხოსროა. ამავე დროს, სავსებით აშკარაა ისიც, რომ არც უფროსი შიოშ სააკაძე (გიორგისა და ქაიხოსროს მამა)არ შეიძლება ჩაითვალოს ბაბათაშვილთა შტოს ფუძემდებლად.

რადგან მაშინ ბაბათაშვილი იქნებოდა არა მხოლოდ თბილელი, არამედ დიდი მოურავი გიორგი სააკაძეცა და მისი ძმა ქაიხოსროც, რაც, როგორც ცნობილია, სინამდვილეს არ შეესაბამება. რ.ფირცხალაიშვილს მიაჩნია: „ამგვარად, თუ იოსებ თბილელის მამად ქაიხოსროს ჩავთვლიდით, თბილელის ბაბათაშვილობა არ დამტკიცდებოდა, ეს კი ხელნაწერთა ტრადიციის საწინააღმდეგო დასკვნა იქნებოდა.“ რ.ფირცხალაიშვილი გვთავაზობს მეორე ვარაუდის განხილვას: „ტფილელის მამად უმცროსი სიაუშის (ბაბა–შიოშის) მიჩნევა სარწმუნოდ ჩანს. ამას მხარს უჭერდა წყაროთა ტრადიციაც და ამით მართლდება ბაბათაშვილის, როგორც გვარის წარმომავლობაც. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ტფილელი ძმისწული იყო დიდი მოურავისა.

ცნობილი არაა, რა ნათესაურ მიმართებაშია ბაბა–შიოში გიორგი სააკაძესთან. არსად ჩანს, რომ იგი დიდი მოურავის ძმა იყო. გარდა ქაიხოსრო სააკაძისაა, სიაუშის შვილად ე.ი გიორგი სააკაძის ძმად დასახელებულია ზეშთელიც. დიდი მოურავის სხვა ძმა კი წყაროებში არა ჩანს და კიდეც რომ ჰყოლოდა, ნაკლებ სარწმუნოა, რომ მას სიაუში (მამის სახელი) რქმეოდა.

გვარის ტრადიციით(როგორც გ.ლეონიძეს მიაჩნდა) ახსნა იმისა, რომ შიოშ (სიაუშ) სააკაძის შვილსაც შიოში ერქვა, არადამაჯერებელია. რ.ფირცხალაიშვილი ტრადიციის მიხედვით შვილისთვის არა მამის, არამედ პაპის სახელის დარქმევას მიიჩნევს, რაზეც მას ამაში გიორგი სააკაძის გენეალოგიური შტოს გათვალისწინებაც არწმუნებს, რადგან მისივე თვალსაზრისით გიორგი სააკაძის ძმა სიაუში წყაროთა მონაცემებით უცნობია, ხოლო კვლევა-ძიების ვარაუდებზე დამყარება კი რ.ფირცხალაიშვილს დამაჯერებლობას მოკლებულად მიაჩნია (ფირცხალაიშვილი 1978:28–29).

აქ ნახსენები ჟეშთელი თითქოს გიორგი სააკაძის ძმაა, არ არის მართებული. ის არის ბიძა დიდი მოურავისა(ხაზგასმა ჩვენია ც.ჯ.) გ.ჯამბურიასთან ვკითხულობთ: „აქ მოხსენიებულ „პატრონ"გიორგი სააკაძეს (იგულისხმება დიდი მოურავის პაპა)ოთხი ვაჟი ჟეშთელი, სიაუშ, ზურაბ, ივანე ჰყოლია. ყველა ისინი სამეფო კართან დაახლოებულნი და სიმონ I დიდის თანამებრძოლები არიან (ჯამბურია1964:22).

რ.ფირცხალაიშვილს თაობათა შეფარდებით, ბაბა–შიოში გიორგი სააკაძის ძის–იორამის თანამედროვედ მიაჩნდა (ფირცხალაიშვილი 1978: 29).

რ.ფირცხალაიშვილი განიხილავს ერთ დოკუმენტს, სადაც ბაბა–შიოშია მოხსენიებული და იგი 1656 წელსაა შედგენილი, რომელიც წარმოადგენს განჩინების წიგნს, რომელსაც მდივანბეგი როინ ჯავახიშვილი და მდივანი ბირთველ თუმანიშვილი აძლევენ ბარათას აზნაურიშვილს, მამუკა ბროლძელს და სარქისაშვილებს მათ შორის მიწაზე დავის გამო, სადაც ბაბა–შიოშია მოხსენიებული. 1656 თიბათვის 28 ქ: ჩვენ დივანბეგმან ჯავახიშვილმან პატრონმან როინ და მდივანბეგმან თუმანიშვილმან ბირთულემან ჴელმწიფის მეფის პატრონის როსტომის ბრძანებით ბარათას აზნაურისშვილის ბლორძელის მამუკასა და მათ ძმათ სასამართლოდ და გარის პარუნ სარქისაშვილების საქმეზედ დაუსხედით ღ᾽თს შიშს ქვეშე. სარჩელი და საჩივარი ორთავესა გავიგონეთ პარონ სარქის, შვილები და გარსიელნი მიწაზედ ესარჩლებოდეს. აქამდი შეუტყობიერად ვიყვენით ახლა კაცმა გვიამბო, ესე მიწები საგარისიო ყოფილაო და ორთასუასა არ არისო, ამასობაში მოვიჴმეთ გარეშემოს ბარათაშვილნი და ჩაჩიკაშვილნი ასლამაზად და არეშიშვილნი პაპუნა და ყარაიგით და თემის მახსოვარნი გლეხნი კაცნი ღ᾽თსა და სულზედ შევაგდეთ უცხოფერი ფიცი თქვეს: სა(ა)კაძეს, ზურაბის ბაბა, შიოშის, ალიყულიბეგს და აიხოსროს ორთაშუა და ცილობა არ გაუგონია გარისელითგანო (თაყაიშვილი 1909: 83-84). ეს ზემოთხსენებული ბაბა-შიოში მიაჩნია რ.ფირცხალაიშვილს ბაბათაშვილთა შტოს ფუძემდებლად. ბაბა–შიოშის გვერდით ამ დოკუმენტში მოხსენიებული არიან ზურაბ, ალიყულიბეგ და ქაიხოსრო სააკაძეები, რ.ფირცხალაიშვილი თვლიდა, რომ ისინი ბაბა–შიოშის განაყოფი ბიძაშვილები იყვნენ. ამასთანავე, მისი თვალსაზრისით ალიყულიბეგი სწორედ ის პირი უნდა იყოს, რომლის მემკვიდრეთაგან უმანიშვილმან შემდეგ განშტოება–ალიყულიშვილნი სააკაძენი ჩამოყალიბდა.

ამგვარად, იოსებ თბილელი რ.ფირცხალაიშვილის აზრით არის ბაბა–შიოშის ძე და იორამ მოურავიშვილის(გიორგი სააკაძის ვაჟი) შვილების თაობად ვარაუდობს, ხოლო ბაბა–შიოშს კი იორამის თაობად მიიჩნევს: „იოსებ ტფილელის მოღვაწეობის პერიოდში ცხოვრობდნენ გიორგი სააკაძის შვილიშვილნი–გიორგი თარხანი, ავთანდილ მოურავისშვილნი და სხვა" რ.ფირცხალაიშვილი ყურადღებას აქცევს შემდეგ გარემოებას, რომ იოსებ თბილელი დაიღუპა ბრძოლის ველზე, როგორც მეომარი. მისი ვარაუდით, იგი ღრმად მოხუცი არ იყო და ეს რ.ფირცხალაიშვილს შესაძლებლობას აძლევდა განესაზღვრა ზოგადი მიჯნა დაბადებისა და გარდაცვალების წლებისა.

ფირცხალაიშვილის ვარაუდით, დაბადების თარიღი 1623–1625 წლებზე ადრე არაა

საგულვებელი, უფრო გვიან კი დასაშვებადაც მიიჩნევს, დაღუპვის თარიღად კი 1688 წელს განსაზღვრავს (ფირცხალაიშვილი1978:30-31).

გ.ლეონიძე იოსებ თბილელის დაბადების თარიღს 1620–იანი წლებით განსაზღვრავს, ხოლო გარდაცვალებას 1688 წლით (იოსებ ტფილელი 1939: XXII, XXIX).

რ.ფირცხალაიშვილი დასკვნის სახით გვთავაზობს შემდეგს: „ამგვარად, იოსებ თბილელი არ არის არც ძის ძე და არც ძმისწული დიდი მოურავისა, ხოლო ასაკობრივი შეფარდებით იგი ამ უკანასკნელს მესამე თაობად ხვდება. მას დასაშვებად მიაჩნია, თბილელის წარმომავლობა გიორგი სააკაძის ძმის ოჯახს უკავშირდებოდეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში არა ძმისწულად დიდი მოურავისა, არამედ ძმისწულის ძედ (მესამე თაობად) დასაშვებად მიიჩნია ისიც, რომ ქაიხოსრო სააკაძის ძის ძეც შეიძლება ყოფილიყო და ამიტომაც არ დაივიწყა თავის პოემაში პატივით მოეხსენიებია მამაცი პაპა. უფრო კონკრეტულად კი იოსებ თფილელის მამის ვინაობის დადგენის შესაძლებლობა მას არსებულმა საბუთებმა არ მისცა (ფირცხალაიშვილი 1978:31–32).

პლ.იოსელიანის ცნობით, რომელსაც მერე სხვა მკვლევარნიც იმეორებენ, იოსები აღიზარდა ქვათახევის მონასტერში, საიდანაც ბერობის მიღების შემდეგ იმარეთს გადავიდა და რაჭაში ნიკორწმინდის ეპარქიის ეპისკოპოსად იქნა დადგენილი. აქედან, როსტომ მეფის წინადადებით ახალციხის ფაშის როსტომის(1647- 1659) ნებართვით, გადავიდა აწყურის კათედრაზე მესხეთში, შერყეული ქრისტიანობის განსამტკიცებლად.

ჩვენთვის მისაღებია გ.ლეონიძის შემდეგი მოსაზრება: „საიდან აქვს აღებული ეს ბიოგრაფიული ცნობები იოსელიანს, არ ვიცით, რადგან არ ასახელებს , მაგრამ ამ ცნობაში ის ისტორიული შეუსაბამობაა, რომ როსტომ მეფე სრულიადაც არ იყო მზრუნავი ქრისტიანობისა და მისი დაცვისთვის მებრძოლი მესხეთში, პირიქით, ის იყო ენერგიული მაჰმადიანი სპარსეთში მაჰმადიანობაში აღზრდილი , თვით როსტომ ფაშაც ვისაც იგი შეეკედლა, მძვინვარე მაჰმადიანი იყო“(იოსებ ტფილელი 1939:XXIV).

კ.კეკელიძის აზრით თბილისის კათედრაზე იოსები ჩანს 1661,1662, 1666,1670, 1671, 1681,1682, 1683, 1685, 1686 წლებში.“როგორც არ უნდა იყოს, „დიდმოურავიანის“ ავტორად უნდა ჩაითვალოს ის იოსები , რომელსაც თბილისის კათედრაზე ვხედავთ 1661-1688 წლებში და რომელიც მოკლულ იქნა 1688 წელს, როდესაც გიორგი XI დუშეთს იღებდა“ (კეკელიძე 1981 :526).

გ.ლეონიძეს მიაჩნია, რომ იოსებ თბილელის ტფილისის კათედრალზე დანიშვნა უნდა მომხდარიყო 1659–1660 წლებში (იოსებ ტფილელი 1939:XXV).

ჩვენთვის მისაღებია კ.კეკელიძის დათარიღება, რომ იოსებ თბილელი თბილისის მიტროპოლიტია 1661-1688 წლებში. ყოველშემთხვევაში, 1665 წლის ერთერთ საბუთში იგი უკვე თბილისის კათედრალს ხელმძღვანელობს.

ულუფის წიგნი მათეოზ რუსთველისა იოსებ თბილელისადმი [1665-169ნწ.] :ქ.ჩვენ ღმრთისა მიერ რუსთველ არქიეპისკოპოზმან პატრონმან მათეოზ ესე სამუდამო წიგნი მოგართვით თქვენ, თბილელ ეპიზკოპოს იოსებს. ასრე, რომ: სადამდის ან თქვენ ცოცხალი

იყო და ან მე, ყოვლის საპალნე ღვინოს მოგართმევდე დაუკლებლად და გაურჯელად ამისად გასათავებლად მომიცია ხატი ღმრთაებისა და მეფის არჩილის ბრძანებით მომირთმევია(დოლიძე:1970:564) .

„დიდმოურავიანის“ გარდა იოსებ თბილელს თავისი წვლილი შეუტანია „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიაში, კერძოდ, უკანასკნელის დამატებასა და ჩანართებში მის სახელს ვხვდებით გაგრძელება-დამატებათა იმ ნაწილში, სადაც მოყვანილია ძმადნაფიც გმირთა „ანდერძები“(კეკელიძე 1981: 527).

თბილელის შემოქმედებას უნდა ეკუთვნოდეს „წმ კრებისთვის“ და „ქება წმ.მარინეს“ი (კეკელიძე 1952:422).

ზ.ჭიჭინაძის თვალსაზრისით, თბილელი, გარდა „დიდმოურავიანისა“ ავტორი ყოფილა სხვა თხზულებებისა, კერძოდ: „მოგზაურობა თფილისიდამ ახალციხისაკენ“, „ლუარსაბ მეფის ცხოვრების აღწერა“, „სასურველი ვენახი“.

ასევე, ზ.ჭიჭინაძესთან ვხვდებით შემდეგი სახის ცნობას: იოსებ თბილელის და ერთი ქართველი არქიმანდრიტის 1664 წელს რუსეთში ჩასვლისა და მომდევნო 1665 წელს კი ადგილობრივ საეკლესიო კრებაში მონაწილეობის მიღების თაობაზე და ამ ცნობის საფუძველზე ზ.ჭიჭინაძე ვარაუდობს, რომ იოსებ თბილელს რუსული უნდა სცოდნოდა(ჭიჭინაძე 1988:30–33).

„მოგზაურობა თბილისიდამ ახალციხისაკენ“–ში, როგორც ამას ზ.ჭიჭინაძე გადმოგვცემს, აღწერილი ყოფილა ქართველთა გამაჰმადიანებისა და მტერთა მიერ დაქცეული ეკლესია–მონასტრების ამბები, ხოლო რა წყაროს ემყარება ზ.ჭიჭინაძე, უცნობია(რ.ფირცხალაიშვილი 1978:16).

1666 წელს (ქკს ტნდ) იოსებ ტფილელს დაუწერია სიგელი, რომელსაც სინას მონასტრის მთავარეპისკოპოსი ანანია და მონასტრის მთელი კრებული აძლევენ შაჰნავაზისა და მის შვილებს კახთა მეფე არჩილს, გიორგის, ლევანს, ლუარსაბსა და სულეიმანს. 1666 წელსაა შედგენილი პირობის წიგნიც, რომელსაც, თბილელ მთავარ ეპისკოპოსზსა იოსებს აძლევენ(ხახანაშვილი 1891:5–6).

1670 წელს იოსები მოიხსენიება შაჰნავაზის განჩინების წიგნში ბარათაშვილებისა და ვირშელიშვილების სასისხლო საქმეზე: ქ. წყალობითა ღმრთისათა ჩვენ მისგანვე დიდებით საფარველმოვლინებულმან, ორსავე ტახტისა და საჯელმწიფოსა თვით-პყრობით მტკიცედ მწონებელმან, ღვთივ-აღმატებულმან ღვთივ-დამყარებულმან და ღვთივ-გვირგვინოსანმან, მეფეთ მეფემან, ჯელმწიფემან, პატრონმან შაჰნავაზ, მოვიჯმეთ, სრულიად საქართველოს მაკურთხეველი ქართლისა და კახეთისა კათალიკოზი, ბატონიშვილი ბატონი დომენტი, ბატონიშვილი პატრონი გიორგი, ბატონიშვილი პატრონი ლევან, მთავარეპისკოპოსი ჩხეიძე ბატონი ნიკოლოზ, ამილახორი ბატონი გივი, ბატონიშვილი ბატონი აშოთან, სახლთუხუცესი ბატონი ზაზა, თბილელი ბატონი იოსებ, ბოვნელი ბატონი იოსებ, ჩხეიძე ბეჟან, ბარათაშვილი მეჯინიბეთუხუცესი პაატა, რატიშვილი რატიშვილი მეჯინიბეთუხუცესი პაპოა (დოლიძე 1972:125).

1671 წლის ერთ საბუთში ვხვდებით ეპისკოპოს იოსებ თბილელის სახელს: ქ. ნებითა შეწევნითა ღმღთისათა, ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, ბატონისშვილმა ბატონმა ქათალიკოზმა დომენტიმ თქვენ, ციციშვილს, ჩემს დისწულს, ზაზასა ზაალსა.

ასრე,რომ: როდესაც ჩემი და, დედათქვენი, დედათქვენი მიიცვალა, თქვუენ ყინწვის[ს] წასასვენებლად მოინდომეთ და ასრე მოგვახსენეთ რომ:ყინწვის[ს] წავასვენებთ ან სხვებისგან მივიღებთ მიწათ, ჩვენ ეს მოვინდომეთ, რომ ნიჩბისს თქვენი სასახლის სიახლეს აგეშენებინათ საყდარი და იქ მიგეღოთ მიწათ. რადგან ჩვენ მოვინდომეთ, თქვენც დაგვიჯერეთ. საყდრის აშენების საფიცრის წიგნი გამოგართვით, რომ ავაშენებთ და საძირკველი ვაკურთხეთ და ჩვენ გავაჭრევინეთ. მას უკან შენობას მიგაყოფინეთ ჴელი, კარგრიგად რომ დაუწყეთ შენობა და მესამედი რომ აშენდა, მას უკან თქვენი განაყოფი ციცი წამოგვედავა, რომ ჩემი ყმის მიწაში აშენებო.

ჩვენ მოკითხული ვქენით და ის მიწა ციცის ყმისა არ იყო. ის საყდარი სადაც დაიდგა, შენის ყმისა იყო. ამის სამართალი ჩვენ გავსინჯეთ და არას გემართლებოდა და არცა რა ჴელი ჰქონდა. შენობა დაგაწყებინეთ და ჴელიც მოგიმართეთ. ღმერთმან მშვიდობაში გაგათავებინოს, ჴელი მოგიმართოს. ჩვენ საქმე გარდაგვიწყვეტია, რომ ამ საქმეზე სალაპარაკოდ და სასარჩლოდ ჴელი აღარავის აქვს. დაიწერა ქორონიკონსა ტწთ.

დოკუმენტს თან აქვს ხელრთვა კათალიკოზი. შემდეგ მოხსენიებულნი არიან :ჩვენ ბატონიშვილი ბატონი ბაგრატ და ბატონიშვილი ბატონი აშოთან. რომლებიც ამ საყდრის მოწმედ და დამხდომად მოიხსენიებენ თავს. ასევე ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: ჩვენ მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე ამ საყდრის საძირკვლის კურთხევაში დავხვდი და ამ სამართალში მოწმე და გარდაუწყვეტელი ვარ. აქაც არის ხელრთვა:ქ.ჩვენ, ტფილელ ეფისკოპოზი იოსებ ამის მოწმე და დამხმდომი ვართ და რათქმა უნდა აქაც ვხედავთ იოსებ თბილელის ხელღთვას (დოლიძე 1970:569).

1675 წელს მასვე შეუდგენია შაჰნავაზის წიგნი პაპის კლემენტე XI-სადმი. და ასევე შაჰნავაზის მეორე წიგნი კაპუცინების გენერალ პატრი ბოვანენ თურა ლეკარტისადმი. ორივე შედგენილია 1575 ივლისის თვეში (თამარაშვილი 1902:245-246).

იოსებ თბილელი მოიხსენიება პირობის წიგნში: რომელსაც გიორგი XI , ნიკოლოზ კათალიკოსი და ქართლის ეპისკოპოსი, დარბაისელნი აძლევენ ანტიოქიის პატრიარქს დოსითეოსს ქართული მონასტრების დახსნის თაობაზე(1678–1688). „ქ.წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ მეფემა გიორგი და ძემან ჩვენმა ბაგრატ და ძმამა ჩვენმა ლევან და ძმამა ჩვენმა სულეიმან და ქართლის კათალიკოზმა ნიკოლოზ, ბატონისშვილმა აშოთან, ამილახორმა გივიმა და პაპუნა-ბეგ დიანბეგმა, ერისთავმა დავით და ერისთავის შვილმა იასონ, მთავარეფისკოპოზმა ნიკოლოზ, თბილელმა ეპისკოპოზმა იოსებ, მანგლელმა, მროელმა და სრულად ჩვენის საბატონოს ეფისკოპოზთა და დარბაისელთა, დიდმა და ცოტამ.

რადგან ინება ღმერთმა წყალობა გვიყო, ჩვენის მონასტრის დახსნისა მოინდომეთ და მობრძანდით თქვენ, ჩვენის მამის ალაგს მისაჩენელი ბატონი პატრიარქი დოსეთეოს და

ჩვენც დიდად თავს შევიდევით და ჩვენ ძმათა ეფისკოპოზთა და დარბაისელთა, დიდითა და ცოტათა, დიდი სასჯელი ქმნა ჩვენთვის, ვითარცა მამამ შვილთმოყვარემ“(დოლიძე 1970:592-593).

იოსებ თბილელის სახელს ვხვდებით განჩინება იოსებ თბილელისა შანთაძეების მამულის საქმეზე, რომელიც შედგენილია 1682 წლის 24 აგვისტოს (დოლიძე 1972:147-148).

ასევე მოხსენიებულია ქრისსტეფორე და მაღალაძეთა მამულის საქმეზე 1683 წელს (დოლიძე 1972:149).

იოსებ თბილელის სახელს უკავშირდება თბილისის სიონის წიგნსაცავისა და საეკლესიო სკოლების დაარსება.(იოსელიანი 1851). (ჭიჭინაძე 1888: 32).

რაც შეეხება „დიდმოურავიანის“ დაწერის თარიღს, გ.ლეონიძე არ იზიარებს, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს 1681–1687 წლებში და გვთავაზობს შემდეგ მოსაზრებას: „მაშასადამე, თუ პოემის პროლოგსა და ეპილოგს დავემყარებით, ჩვენი პოემა დაწერილია არჩილის თხზულების შემდეგ. უკანასკნელი კი, როგორც დღემდის ცნობილია, დაწერილი უნდა იყოს 1681 წელს. ამიტომ ბუნებრივია, რომ „დიდმოურავიანის“ დაწერა 1681–1687 წლებს უნდა მივაკუთვნოთ. სწორედ ასე ათარიღებენ მკვლევარები, მაგრამ გ.ლეონიძის აზრით ერთი გარემოება თითქოს უნდა აბრკოლებდეს ამგვარ დათარიღებას. არჩილი სწორედ ამ წლებში იმყოფებოდა რუსეთში ემიგრაციაში, 1681 წელს რუსეთს გადახვეწილი არჩილი 1688 წელს რაჭას ჩამოვიდა, იოსები კი ამავე წლის გაზაფხულზე მოკლეს, ამრიგად, ტახტდაკარგული და რუსეთში გადახვეწილი არჩილი ვერ სთხოვდა თფილისში მყოფ იოსებს „ცოტა სიტყვის განმარტებას“ დიდიმოურავის შესახებ. ამავე დროს, თუ არჩილმა 1681დაასრულა თავისი პოემა, ჩვენ ვიცით, რომ 1664–1675 წლებში, როდესაც არჩილს კახეთის ტახტი ეჭირა, იგი თავისი პოემისათვის ჰკრეფდა შესაფერის მასალებს“(იოსებ ტფილელი1939:XXXI).

გ.ლეონიძე ფიქრობდა: „ რომ იმავე ხანებში პოემას ნაწილობრივადაც კი სწერდა და შესაძლოა, პოეტის ერთგვარ არტისტიზმთან გვქონდეს საქმე, როდესაც არჩილი ამბობს: მთელი პოემა ცხრა თვეში დავწერეო, მაშინაც მუდმივად არ ვიყავი საამისოდ მოცლილიო. ლეონიძის თვალსაზრისით: „შესაძლოა არჩილი აქ პოემის საბოლოო დამუშავებასა და რეადაქციას გულისხმობდეს.“ თუმცა კატეგორიულად ამის თქმა გ.ლეონიძეს არ მიაჩნია მართებულად, მაგრამ მისი აზრი მაინც იქეთკენ იხრება რომ „დიდმოურავიანი“ 1681 წელზე ადრე უნდა იყოს დაწერილი, სახელდობრ, იმ ხანებში, როცა არჩილი კახეთში მეფობდა და თავისი მამის ვახტანგ V შაჰნავაზის სასახლეში, ხშირად მყოფ არჩილს ხშირი ურთიერთობა ჰქონდა იოსებთან. იმერეთის ტახტის დაკარგვის შემდეგ ის რუსეთში გადაიხვეწა რამდენჯერმე, საიდანაც 1700 წლის შემდეგ აღარ დაბრუნებულა. აქედან გამომდინარე გ.ლეონიძე თვლიდა, რომ იოსებ თფილელს(სააკაძე) თავისი „დიდმოურავიანი“ უნდა დაეწერა 1664–1675 წლებს შუა, ვიდრე 1681 წლის შემდეგ. ხოლო თუ პოემის პროლოგი და ეპილოგი ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს, გ.ლეონიძე თვლის, რომ თბილელის ნათქვამში: „მეფესა ქართლის ცხოვრება ებრძანა

გალექსულობით“–ო „ნაგულისხმევი უნდა იყოს არჩილის პოემა არა დასრულებული, არამედ მაშინ ჯერ კიდევ წერის პროცესში, ნაწილობრივად დაწერილი და არა საბოლოდ რედაქციაქმნილი და ბოლოს „არჩილიანში“ ალაგ–ალაგ აღსანიშნავია „დიდმოურავიანის“ პოეტური ფრაზეოლოგიის ფრაგმენტები(თბილელი 1939: XXXI–XXXIII). (ამ ეტაპისთვის ვიზიარებთ გ.ლეონიძის ამ თვალსაზრისს).

ს.ცაიშვილს მიაჩნია, რომ იოსებ თბილელს „დიდმოურავიანი“ უნდა შეექმნა 1683-1688 წლებში: „სწორედ არჩილმა უბრძანა ავტორს, „განმარტებით“ ეთქვა სააკაძის თავგადასავალი. ამასთან დაკავშირებით ს.ცაიშვილი იმოწმებს „დიდმოურავიანის“შემდეგ სტროფს:

„მეფესა ქართლის ცხორება ებრძანა გალექსულობით,
ზოგი რუსთვლისა ბაასი, კახთ მეფის საქმე სრულობით“
(იოსებ ტფილელი 1939:3).

ამის საფუძველზე მკვლევარი გამოთქვამს მოსაზრებას: „დიდმოურავიანის“ ჩამოყალიბების დროს უკვე დამთავრებული იყო არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, რომელიც დაასრულა ასტრახანში 1682 წლის სექტემბერში. აქედან გამომდინარე, მკვლევარი თვლის, რომ იოსებ თბილელს 1683-1688 წლებში უნდა დაეწერა-ო (ცაიშვილი 1974:146-147) ასევე, ს.ცაიშვილს მოჰყავს კიდევ ერთი სტროფი ი .თბილელის დიდმოურავიანიდან:

„ეს არის ლექსად ნათქვამი, მნატრე ვინ თქვენის ხლებისა,
ზოგი რამ საღრმთოც დავწერე, სიტყვა ვთქვი წმინდანთ ქებისა
“(იოსებ ტფილელი 1939: 64).

ს.ცაიშვილს ზემოთ მოტანილი სტროფიდან გამოაქვს დასკვნა: როგორც ჩანს, იოსები პოემის დასასრულს ნატრობს არჩილთან გერდ ხლებას(გვერდით ყოფნას). ს.ცაიშვილი მიიჩნევს შემდეგსაც: არჩილი და იოსებ თბილელი ზოგ შემთხვევაში ერთნაირად აფასებენ გიორგი სააკაძის მოღვაწეობას. მისი თვალსაზრისით, იოსებ თბილელი კარგად იცნობს არჩილის პოემას. ხოლო არჩილი კი არ იცნობდა იოსებ თბილელის „დიდმოურავიანს“. 484-ე სტროფიდან გამომდინარე ს.ცაიშვილს მიაჩნდა, რომ არჩილი ამ დროს თბილელისგან შორს იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე ს.ცაიშვილი აკეთებს შემდეგ დასკვნას: არჩილის რუსეთში წასვლისა და თეიმურაზიანის დასრულების შემდეგ იოსებ თბილელისთვის შეუკვეთია მოურავის ამბების დაწვრილებით გალექსვა. იოსები უკვე ამ დროს იცნობდა არჩილის პოემას და ნაწილობრივ თავის წყაროდ გამოიყენა. აქედან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ „დიდმოურავიანის“ დაწერის თარიღი არის 1683-1688 (ცაიშვილი 1974: 148-149).

მკვლევრებს იოსებ თბილელი მიჩნეული ჰყავთ არჩილის მასწავლებლად (კეკელიძე1952:464).(ფირცხალაიშვილი1978:13-14)

(.გვარამაძე 2015:15).(ს.ლორთქიფანიძე 2016 :28). ამ თვალსაზრისს ჩვენც ვიზიარებთ, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რაში მდგომარეობდა იოსებ თბილელის ეს

„მასწავლებლობა“. ჩვენი აზრით, მასწავლებელის გაგება მხოლოდ ვიწრო ხაზით არ შეიძლება.

ვფიქრობთ, რომ იოსებ ტფილელი არჩილის სულიერი მოძღვარიც გახლდათ, არა მარტო არჩილის, არამედ მთელი სამეფო ოჯახისა, თავისთავად სავარაუდებელია, რომ ვახტანგ V უფლისწულების და მათ შორის არჩილის აღზრდას სულიერების თვალსაზრისითაც თბილისის მიტროპოლიტ იოსებ სააკაძეს მიანდობდა. იმ იოსებს, რომელიც თავისი მსოფლმხედველობით სამეფო დინასტიის ერთგული იყო და მეფის ერთგული სამსახურისთვისაც დაიღუპა 1688 წელს. იოსებ თბილელი რომ არჩილის მოძღვარი უნდა იყოს, ამაზე მეტყველებს ჩვენი ვარაუდით შემდეგი: „იოსებ მასწავლა წმინდა საკვირველებათა სავსე წიგნი ესე, სახელით ოდენ მეფესა (კეკელიძე 1952:46).

ვფიქრობთ, რომ „წმინდა საკვირველებათა სავსე წიგნი...“ არ უნდა იყოს სხვა რამ, თუ არა წმინდა წერილი (იგივე წმინდა ოთხთავი ანუ ქართველებისთვის და ყველა მართლმადიდებლისთვის წმინდა წიგნი „სახარება“) და მისი სწავლება არჩილისთვის შეეძლო მის სულიერ მოძღვარს, იოსებ თბილელს, რომელმაც დიდი გავლენა იქონია არჩილის პიროვნების და მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

ჩვენი აზრით, იოსებ თბილელის ღრმად განსწავლულობაზე უნდა მიუთითებდეს შემდეგი ამონარიდი, რომელიც ამოვიკითხეთ იოანე ბატონიშვილის კალმასობაში: „იოსებ თბილელი არხიერი, სააკას-ძე ესე იყო საფილოსოფოსთა და წერილთა შინა გამოცდილი, საყვარელი მეფეთა და ერთაგან. ამან შეთხზნა სხვადასხვა პიიტიკანი ანუ შაირნი სასმენელად საამონი. ესრეთ განვლო ცხოვრებაჲ თჳსი კეთილად(იოანე ბატონიშვილი 1948:168).

ვფიქრობთ, რომ აქ ნახსენები „წერილთა შინა გამოცდილი“ სხვა არაფერია თუ არა წმ.წერილი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ იოსებ თბილელი გახლავთ სულიერი მოძღვარი და მასწავლებელი მეფე არჩილისა.

ასეთია ბიოგრაფიული მონაცემები „დიდმოურავიანის“ ავტორისა.

§.2.იოსებ თბილელის მენტალური შეხედულებები

სავსებით მართებულად მიგვაჩნია რ.ფირცხალაიშვილის თვალსაზრისი, რომ „იოსებ თბილელი არ არის პირდაპირი შთამომავალი გიორგი სააკაძისა: ”გიორგი სააკაძის გენეალოგიური შტოს დადგენისა და თბილელის ბიოგრაფიის დოკუმენტურ მასალათა საფუძველზე შესწავლის შემდეგ საბოლოოდ დადასტურდა, რომ იოსებ თბილელი არ არის პირდაპირი მემკვიდრე გიორგი სააკაძისა (მოურავისშვილი). ეს ფაქტიც გვაძლევს საფუძველს, უფრო მეტად ვირწმუნოთ მის პოემაში წარმოდგენილ ცნობათა ობიექტურობა და საბოლოოდ უკუვაგდოთ უკვე მოძველებულად მიჩნეული აზრი „დიდმოურავიანის“ „მიდგომილობით“ დაწერის შესახებ. თბილელის პოემაში მართლაც

იგრძნობა „მიდგომილობის“კილო, მაგრამ არა ვიწრო ნათესაური „მიდგომილობისა“-შვილიშვილისა პაპის მიმართ, არამედ დიდი პრინციპული „მიდგომილობისა“.

ესაა პოეტი-მოქალაქის აღფრთოვანება მამულიშვილური გმირობით, რაც დროთა სვლის ყველა ეტაპზე ზნეობრივ ნიმუშად რჩება და მწვავე სინანული, რომ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილი და სამშობლოდან განდევნილი იქნა გმირი, რომლის შემართება, მხედართმთავრული ნიჭიერება ესოდენ სჭირდებოდა მტერმოძალებულ მის სამშობლოს (ფირცხალაიშვილი 1978:6-7).

იოსებ თბილელმა შეძლო, გამოეკვეთა მძაფრი სულიერი სამყარო მთავარი პერსონაჟისა, გამოეკვეთა პოეტური სახე საქართველოს ისტორიის ტრაგიკული გმირის გიორგი სააკაძისა. „დიდმოურავიანში“ აისახა დაუცხრომელი მებრძოლი სული ქართველი ერისა, მისი უკვდავი ენერგია თავისუფლებისთვის ბრძოლისა. როგორც აღინიშნა, იოსებ თბილელი თავისი დროისთვის განათლებული პიროვნებაა.

იოსებ თბილელის მნიშვნელობა გაცილებით დიდია, ვიდრე ახალი მიმართულების ერთ-ერთი თუნდაც ყველაზე კოლორიტული წარმომადგენლისა, არჩილის მხარდამხარ. გარკვეულ თვალსაზრისით იოსებ თბილელი გვევლინება არჩილის მასწავლებლადაც“ (ფირცხალაიშვილი 1978:13).

საფიქრებელია, რომ მისი მოღვაწეობისა და მენტალიტეტის განმსაზღვრელია ის, რომ იგი გახლდათ სასულიერო პირი. თავის პოემაში იგი აყალიბებს ზოგადსაკაცობრიო მაღალზნეობრივ იდეებს, მაგალითების ფონზე მთელ პოემაში ნაჩვენებია, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი ზნეობრივად და მორალურად სრულყოფილი, როგორი უნდა იყოს ქრისტიანი ქართველი თავისი მენტალური მსოფლმხედველობით(ხაზგასმა ჩვენია ც.ჯ)

„ბიოგრაფიული ჟანრი ისტორიოგრაფიაში ყველაზე რთული სფეროა. მკვლევარმა არა მარტო ეპოქა უნდა გააცოცხლოს, არამედ თავისი გმირი უნდა წარმოსახოს ისეთად, როგორიც იგი იყო ცხოვრებაში. სხვანაირად, ასეთი ნაშრომი მშრალ ქრონიკებს დაემსგავსება. ისტორიკოსი კი შებორკილია წყაროებით, ოდნავ თამამი გადახვევა ნარატივისგან სავალალო შეიძლება აღმოჩნდეს.

ისტორიულ ბიოგრაფიას ერთი საინტერესო ნიშან–თვისება აქვს, სამყაროს უსათუოდ შენი გმირის თვალით უნდა შეხედო, მასავით იფიქრო და იაზროვნო. ფაქტობრივად მიკროსკოპის დონეზე უნდა შეისწავლო მისი ცხოვრება. XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპულ ისტორიოგრაფიაში ჩასახულ მიკროსკოპის მეთოდს, უპირველესად, ბიოგრაფიული თხზულებების შექმნისას იყენებდნენ, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ , რომ საქმე გვაქვს მხოლოდ დეტალების კვლევასთან.

ამ შემთხვევაში ყველაზე უპრიანია მასშტაბების თამაში. ჩვენი გმირის როლს ისტორიაში მარტოოდენ მისი ბიოგრაფიის ზედმიწევნითი ცოდნით ვერ გავიაზრებთ, საჭიროა მასშტაბების თანდათან გაზრდა, რათა მთლიანად გლობალურ–ისტორიული პროცესის კონტექსტში დავინახოთ მისი ადგილი. ერთი კონკრეტული ადამიანისადმი მიძღვნილი წიგნი არ არის მარტოოდენ ამ პიროვნების ბიოგრაფია, სახეების პალიტრას

ვერ ასცდება მკვლევარი, თითქოს გარდასულ საუკუნეებიდან შემოგვყურებენ გარდაცვლილთა სულები და შენს იმედზე არიან, როგორ აღადგენ მათ ცხოვრებას. აქ კი, ისტორიკოსს ერთი წამით არა აქვს უფლება, უღალატოს თავის „ ხელობას“–ჩვენ ამ შემთხვევაში სხვათა ცხოვრებაში ვაფათურებთ ხელს და დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია“(სამუშია 2018: 16–17).

მრავლისმთქმელია თბილელის ცნობა იმის შესახებ, რომ არჩილს მისთვის „სიტყვის განმარტება“ უთხოვია გიორგი სააკაძის ეპოპეის ზოგიერთი საკითხის ირგვლივ. არჩილის მიმართვა შეპირობებული იყო არა მხოლოდ იმით, რომ იოსებ თბილელი-სააკაძე გიორგი სააკაძის ნათესავია. სამეფო კარზე იმ დროს მოღვაწეობდნენ იოსებ ტფილელზე გაცილებით მახლობელნი პირნი გიორგი სააკაძისა.

თბილელი არ იყო დიდი მოურავის პირდაპირი შთამომავალი, არ იყო მოურავისშვილი; ხოლო არჩილის ეპოქაში ცხოვრობდნენ გიორგი სააკაძის პირდაპირი მემკვიდრენიც-1664 წლამდე მისი ვაჟიშვილი იორამი, რომელიც წარჩინებული პირი იყო ჯერ როსტომის, შემდეგ ვახტანგV შაჰნავაზის (1658-1676), ხოლო შემდეგ შვილიშვილნი „დიდი მოურავისა“ იორამის ძენი, რომელთაგან განსაკუთრებით ცნობილი და სამეფო კარზე ნამსახური იყო ავთანდილ მოურავისშვილი. იოსებ ტფილელი იორამის შვილთა თანამედროვე და დაახლოებით მათივივე თაობისაა (შესაძლოა რამდენადმე მათზე უფროსი).

თუ „სიტყვის განმარტება“ მხოლოდ და მხოლოდ გიორგი სააკაძის ბიოგრაფიის ფაქტობრივ მხარეებს შეეხებოდა, ცხადია, ყველაზე მეტად კომპეტენტურნი გიორგი სააკაძის შვილი თუ შვილიშვილნი იქნებოდნენ და სწორედ მათთვის, როგორც პირველწყაროსთვის, უნდა მიემართა არჩილს. ხოლო თუ არჩილმა მაინც იოსებ ტფილელს მიმართა, ცხადია, ამ შემთხვევაში მისთვის მთავარი იყო არა მხოლოდ ნათესაური დამოკიდებულება ამ უკანასკნელისა გიორგი სააკაძისადმი, არამედ მისი ღრმად განსწავლულობა, სიბრძნე და ერუდიციაც, არა მხოლოდ ფაქტების ცოდნა, არამედ ამ ფაქტთა მისეული ინტერპრეტაციაც-აღნიშნავს ფირცხალაიშვილი(ფირცხალაიშვილი 1978: 13-14).

იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ უაღრესად მნიშვნელოვანია, შეიძლება ითქვას ფასდაუდებელია, როგორც საისტორიო წყარო მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიული ვითარების გასათვალისწინებლად. თბილელის პოემაში აისახა საქართველოს ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა, 1625 წლის აპრილი, როცა რეალურად წყდებოდა ქვეყნის ბედი, იდგა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. გიორგი სააკაძემ უმძიმეს პირობებში აღმართა მახვილი მტრის წინაამდეგ, მისთვის აღარ არსებობდა დაუთმობელი სურვილები, გაუმეტებელი მსხვერპლები, დაინთქა ყველა ღირებულება დარჩა ერთი-ხსნა ერისა და ქვეყნისა(ფირცხალაიშვილი 1978:8).

ვფიქრობთ, რომ იოსებ თბილელს „დიდმოურავიანი არ დაუწერია „ნათესავ–

მოდგმამ გვარტომან ეს ვიწყე წერებად–ო“ და აქედან გამომდინარე, მიუერძოებული თვალსაზრისით უფრო ღრმა შინაარსის თვალთახედვა უნდა ქონოდა პოეტს და ამის გააზრებას და წარმოჩენას შევეცდებით ზოგადმენტალურ ჭრილში(ხაზგამა ჩემია-ც.ჯ).

ქართული მსოფლმხედველობრივი აზროვნების საფუძველი ქრისტიანობაა, აქედან გამომდინარე, ძველი მწერლობის, როგორც სასულიეროს ასევე საეროს ბიბლია და საეკლესიო ლიტერატურაა. საიდანაც მოდის ამ ეპოქის ძირითადი მოტივებიც და მხატვრულ სახეთა მთელი სისტემა(ლორთქიფანიძე 2016:8) .

ეკლესია ჩვენს ქვეყანაში იყო ბურჯი ერთიანობისა. იოსებ თბილელი, როგორც სასულიერო პირი, ჩანს, რომ ბოლომდე იბრძოდა თვისი საქმით და სიტყვით ამ ერთიანობისათვის. მისთვის მისაღები იყო:

„ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“(რუსთაველი 1974: 139).

„შენ ყოფილხარ მამაცურად, მოგხდომია გამარჯვება,
ეგრე თქმულა ზეცასა რბის, მეფეთათვის ვინცა კვდება,
რასაც კაცი პატრონზედ იქს, სადაც წავა წინ დახვდება,
და კარგსა კარგი არ ასცილდეს, ავსა ავად გარდახდება!“
(იოსებ ტფილელი1939:59).

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“წარმოდგენილია ფეოდალური მონარქია, რომლის სათავეში დგას მეფე. საყურადღებოა, რომ ძეგლის მიხედვით მეფე ზებუნებრივი არსების ნიშნებით არის დაჯილდოებული, აღნიშნავს ი.სურგულაძე (ხელმწიფის კარის გარიგება 1970: 18).

იგი ღვთის სწორია და ამას ნათლად მოწმობს სასახლეში მიღებული წეს–ჩვეულება, მეფის მორთვის დროს მომსახურება:„მას წელიწდის თავს მეფე არავის[გან] შეიმოსების ამისაგან კიდე რომე მონადირეთუხცესი ყჳთლით ყაბარჩით შემოსს საჴელმოკლით, ტყავიანითა–მოყვენთუსლითა, არა დია პრთყელად საყელოსა,–თავსა კარგისა ყჳვნიზიასა და მაღლად აშვერილსა მჭლოდ შეკრულსა ქუდსა დაარქვამს“ (ხელმწიფის კარის გარიგება 1970:32).

მეფის მსვლელობის განსაკუთრებული წესები: „და შჳიდასი სახლი მესაწოლე არს; და გლეხი რვა სახლია და ყოველივე–აზნაური და შჳიდასივე შუბოსანი, ამა სიკიტროსნსა ჯორისა, მისჯეენ რა მეფე აიყაროს. და სალაროსა წინათ იარების სიკისტრონი და ერთი ყათრი სხვაჲ ჯორი, სასაგებლე ტურფადვე მოკაზმული; მაგრამ სალაროს წინათ იარების, სიკისტრონით უკანით“ (ხელმწიფის კარის გარიგება 1970:37).

მეფის ღამით მომსახურება, ვინ უნდა მიაწოდოს მეფეს სასმელი, როცა ღამით მოსწყურდება ან როგორ ხდება დილით მეფის მოკაზმვა: „საღამოს მეღვინე ფანჯარას მომცროს მიიღებს მყვინვარიანთა ჭურჭლითა ანუ ტაბაკიტა ზედა მყინვარსა დაჰყაროს და ჴელთა მანდილი აქვს ბაღდადისა და თუ მეფესა ღამით მოეწყურო[ს] ბ[რ]ძანოს რომელიცა უნდა. რაც დარჩის წინამწოლნი და კარის დარაჯა, და საწოლის მეკარე წაიღებენ დილას რაჲ მეფე საწოლით გამოვიდესფარესთუხუცცესსა ჴელის ნოხნი,

სანთელი, ფანარი, მაშხალა. და რა[მყინვარიანი?]ტაბაკი აიღონ სარუზმა აცვია ანუ ჩაფლა მოგვსა ზედა გავა; ანუ ცოტა გარეჯით ნაძღნობი[ცოცხი], ანუ თუ იგი არა იყოს, მანდილი გრძელი და მეფეს გარდამუკამაზავს წინ და სხვათა ნოხთა ფარეშნი გარდაჰკაზმენ–ცხვრის ტყავის ცოცხნი აქვთ ტარიანი. და აგრევე ხილობას ტახტი ოდესცა მოეკაზმოს მას შიგან იგი ახლავს ვითარცა ასწავლიან დაფენა კარავი, ხარგაი, ჩადრი,–ესე და ამის კაზმა მას მართებს“ (ხელმწიფის კარის გარიგება1970:38).

და ვინ დაიშვება ამ დროს მეფესთან: „ამირეჯიბს ყოველგან გზა აქვს საურავისა სადა გინდ იყოს მეფე სალაროს, საწოლს საჭურჭლეს, ყოველგან მივა, იურვის ამისგან კიდე რომ უკაზმავი არ იყოს მეფე. მსახურთუხუცესი და მისის [ჴ]ელისანი უფრო იურვიან მ[ა]გრამ ამირეჯიბის დათხოვნა არც მათგან ეგების. და რა შეიკაზმოს და გამოვიდეს საურავი და ძღვენის შეწირვა ყოველი მისია საღამოს რეკამდის“ (ხელმწიფის კარის გარიგება 1970:35).

მეფის მიერ საპატიო პირთა მიღების ცერემონიალი: „აწ ვინაითგან დაუწერია აწვიოს საწოლის მწიგნობარმან: მოძღვართმოძღვარი ნატაკს ზედა მომგვრალებით, ეთაყვანოს გინა დამრუდებით, მეფე ნოხთა პირსა მოეგუების და მოესალმოს მოახსენე, ბრძანოსო წავიდეს და მარჯვენით გარდადგეს ახლო კათალიკოზი, ჭყონდიდელიცა, მანვე აწვივნეს. ეგრეთვე კათალიკოზი, რომელიც მოვიდეს ეთაყვანოს და მეფემანცა ეგრევე ჴელნი დაასხნეს დამრუდებითაცა გინა ნოხსა ზედა მესამედი წამოიაროს. და მათივე წესითა ჭყონდიდელსა და მათ სამთა ვეზირთა აწვიოს ეჯიბმან. რომელიც იყოს შევიდის, ეთაყვანოს მეფესა და მეფე ეთაყვანოს და ნებნი ნახევრამდის დასხნეს დამრუდებით: იგი მეორედ კვლავ ეთაყვანოს; სამი ბიჯი წამოი[ა]როს მეფემან აკოცოს და უკუდგეს და მარჯვენით ახლოს იყოს“.

„მეჭურჭლეთუხუცესი საჭურჭლის ნაცვალმან აწვიოს მსახურთუხუცესი მესაწოლეთუხუცესმან რა ეთაყვანოს მეფემან თითნი ნოხსა ზედა დასხნეს და იგი მეორედ კვლავ ეთაყვანოს; მეფემან მეორედ თაყვანებისთვის სამთა ვეზირთა უფრო და ამ ვეზირთა ორთა უმდაბლუ, ჴელნი აღუპყარს და ესე ორნი ვეზირნი–სწორად ვითა ის ზემონი სამნი სწორად. ამილახორიცა ამ ორთა სწორად ნახოს მეფემან (ხელმწიფის კარის გარიგება 1970:44).

ლაშქრობის სამზადისი, მეფის აღკაზმულობა და მათ შორის ასახულია როგორ და ვინ უნდა მიუყვანოს მეფეს შეკაზმული ცხენი: „ლაშქრობაჲ და ლაშქრობის ვეზირობა ამირსპასალარის ჴელთ არის; მას წინათ არავინ იტყჳს, რაჲ ვეზირობა იყოს. და ამილახორი ვეზირი არის ამირსპასალარისა და ამის ჴელის[აა] მეაბჯრეთუხუცესიცა. მეაბჯრეთუხუცესი და მეაბრჯენი და მესარტყელენი და საჯინიბოს შემავალნი ყოველივე ამილახორის ჴელისანი არიან. რაჲ მეფე ცხენსა ზედა უდარბაზებს[ამილახორი] ვინ გინდა იყოს ათაყვანებს, თუ ვისი ძღვენი იყოს, შესძღვნის, თუ ოდესცა არა იყოს ესე ოდენვე უდარბაზებენ და ძღვენსაც შესძღვნიან. ცხენი რაჲ ითხოვოს მეფემან, ზარდახნის მოლარე აღვირით მისცემს, მისრ[ა]ტული პირსა აუსხამს, ერთ ყურს გაუყოფს და მეორეს აღარა; მერმე ზარდახნის მეჯინიბე აუსხამს, საყბეურს შეუსხამს; ზარდახნის მოლარე უნაგირს

გარდასდგამს საძუეთ აღარ ჩაუყრის; იგივე ზარდახნის მეჯინიბე შეეჰკაზმავს და წაიყვანს, მისრატულთუხუცეს მიუყენებ. შეჯდების და მათრახი ზარდახნის უხუცესმა მისცეს; და ორივე[ზარდახნის მეჯინიბე მისრალთუხუცესი]უკანით იარებიან. ზარდახნის უხუცესი, და ამირჩუხჩი წინათიარების, ჯუარის მტვირთველსა და მეფეს შუა. და სადაც მეფე მივა, ცხენისაგან ჩამოვა, ამირჩუხჩიც მანამამდი ცხენით მივა და მერე მობრუნდების ჴდა თავის ალაგს გარდაჴდების. ჯუარი წინათ მარქაფნი იმერით ეზომსა“(ხელმწიფის კარის გარიგება 1970: 40–41).

ძეგლის მიხედვთ მეფე უდგას სათავეში ყოველგვარ საეკლესიო და საერო საქმიანობას. საეკლესიო დღესასწაულის დროს მეფესთან თავს იყრის რაც „კაცი არს ქრისტეანი“ და მისი მეთუარობით მიემართება პროცესია ეკლესიისაკენ. „აწ განცხადება ვსთქვათ, დიდი დღესასწაული: და ეს წესი არის, რომე, მეფე სადაც იყოს, რაც სული კაცი არის ქრისტიანე ყოველივე წავა. დიდი დროშა ააბან მენობათენი–წინათ; და დროშა განღამცა,–წინა, ამართული და მერმე ჯვარისმტვირტველი, შემოსილი და ძელი ცხოვერებისა ჴელთა. და წყალი აკურთხონ, ეგრევე წარმოვიდნენ ეკლესიას მივა მეფე და მენობათენი აღარა სცემენ სცემენ ნობათსა, დროშა ეკლესიის კარსა დგას. რა მეფე ეკლესიით გამოვიდეს დროშით წავა მუნვე, კარის შვსავ[ა]ლსა ქ[ვ]ეშე დადგების. დარბაზობა ვითარცა მეფეს ეპრიანოს დიდის წესისითა და თუ უმცროსითა, ვითარცაღა წესი იყოს, იქნას(ხელმწიფის კარის გარიგება 1970:33).

ძეგლში მოცემულია ისეთი წეს–ჩვეულება, რომელიც დასავლეთ ევროპაში აბსოლუტიზმის პერიოდში მონარქების კარზე იყო მიღებული(ხელმწიფის კარიგება1970:18).

ე.თაყაიშვილი ამ გარემოებას გარკვეულ ყურადღებას აქცევს. იგი წერს „.კარის გარიგება გვიხატავს სურათს თვით ხელმწიფის კარისა ანუ დარბაზისა და იმ რთული ეტიკეტისა და ცერემონიებისა, რომელიც არსებობდა ხელმწიფის კარზე, „თითეულს ხელმწიფის ფეხის გადადგმაზედ და რომელიც მოგვაგონებს ლუდოვიკო მეთოთხმეტის კარის ეტიკეტს“ (ხელმწიფის კარის გარიგება“თბ,1920:XXXV).

ცნობილია,რომ შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში მეფობის ორი მთავარი იდეა თანაარსებობდა. ერთი მომდინარეობდა აღმოსავლეთიდან და ძველი აღთქმის სამყაროდან, ხოლო მეორე ანტიკური რომიდან და ბიზანტიიდან. ერთი ცხებული მეფის იდეაა მისი პროტოტიპი ღვთის ჩეული დავითი და ძველი ისრაელის მეფეებია, ხოლო მეორე იმპერატორის სახეა. ეს სახე ანტიკური რომის ტრადიციაზეა დაფუძნებული, მაგრამ მისი ქრისტიანული ხორცშესხმა ბიზანტიის მეფეების (ბასილევსების) კონცეპტუალურ სახეებშია მოქცეული. მაგალითად, დასავლეთში მეფედ კურთხევა ცხების რიტუალის გზით სრულდებოდა და ამ შემთხვევაში დავითს ემსგავსებოდა. საყურადღებოა, რომ კარლოს დიდი სამჯერ იქნა ცხებული (ტრადიციის მიხედვით დავით მეფეც სამჯერ იქნა ცხებული), მაგრამ როცა პაპმა ლეონ III 800 წელს იმპერატორად აკურთხა, ცხების რიტუალის გარეშე მხოლოდ გვირგვინი დაადგა თავზე. მაშასადამე, იმპერატორად კურთხევა ბიზანტიური

ტრადიციის საფუძველზე განხორციელდა. ცნობილია, რომ ბიზანტიაში ბასილევსების კურთხევა გვირგვინის დადგმის ცერემონიალით სრულდება, ხოლო ცხება მხოლოდ გვიან დასავლეთის ქრისტიანული ტრადიციის ზეგავლენით დამკვიდრდა.

დავითი ქრისტიანული მეფის პროტოტიპად თავად ქრისტეს, როგორც მეუფისა და როგორც ცხებულის პრეფიგურად იქცა. დავითს, როგორც რჩეულისა და მისი შემწეობის მომპოვებელი მეფის სახემ გამარჯვებისა და კეთილდღეობის გარანტის ფუნქცია შეიძინა(პატარიძე 2008:103).

ძეგლის მიხედვთ მეფე უდგას სათავეში ყოველგვარ საეკლესიო და საერო საქმიანობას. საეკლესიო დღესასწაულის(ნათლისღება)დროს მეფესთან თავს იყრის რაც „კაცი არს ქრისტეანი“ და მისი მეთურობით მიემართება პროცესია ეკლესიისაკენ (ხელმწიფის კარის გარიგება1970:32, 36,).

სავარაუდოდ, თავადსაც მეფის მსაგავსად უნდა ჰქონოდა მთელი ზემოთხსენებული ცერემონიალი. სასახლის მოწყობიდან დაწყებული დილა–საღამოს მომსახურება, საეკლესიო დღესასწაულების აღნიშვნა და სხვა. მაგრამ უფრო მცირე მასშტაბით, რადგან იგი მეფე არაა ქვეყნისა, თუმცა XV საუკუნის შემდეგ წარმოქმნილი ყველა „ნახევრად ხელმწიფე“ თავისი აზროვნებით (მენტალიტეტით) მეფეა თავის საგანმგებლო ტერიტორიისა.

თავადის მამულების მართვა–გამგეობა სამეფო კარის მიბაძვით იყო მოწყობილი. თავადის სასახლის(კარის) მოხელეები იყვნენ სახლთუხუცესი, იასაულები, მეჯინიბეთუხუცესი და ა.შ. ყველა თავადს, რა თქმა უნდა, ერთნაირი რაოდენობის მოხელე არ ჰყავდა. მსხვილ თავადებს უფრო რთული სამოხელეო აპარატი ჰქონდათ (ჯამბურია1973:206).

სათავადოებისა და უფრო ხშირად ფეოდალიზმის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანია იმუნიტეტი, რომელსაც ფეოდალიზმის განვითარების პირველ ხანიდანვე ჰქონდა ადგილი. დროთა განმავლობაში ფეოდალიზმის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით ფართო ხასიათს ღებულობს, იგი ამტკიცებს ფეოდალურ სამფლობელოთა დამოუკიდებლობას. იმუნიტეტი (შეუვალობა) საქართველოში აღკვეთილი ჩანს გაერთიანების დროიდან. იმუნიტეტთან უშუალოდ არიან დაკავშირებული მიწათმფლობელები, სამამულო სისტემის გავრცელება საქართველოში(სოსელია 1966:22-25).

ზოგიერთი თავადი სამეფო გადასახადისაგან მთლიანად თავისუფლდებოდა, ზოგიერთი კი ნაწილობრივ...ლაშქარ–ნადირობისაგან ჩვეულებრივ არავინ თავისუფლდებოდა, მაგრამ დროთა ვითარებაში შეუვალობის ფარგლებში ფართოვდებოდა, ხოლო თავადთა სასამართლო შეუვალობა უმთავრესად სამოქალაქო საქმეებით იფარგლებოდა. სათავადოში სამართლის უფლება განაწილებული იყო სათავადო სახლის უფროსსა და ამ სახლის უფროს წევრებს შორის. შეუვალად მამულზე მოსახლე-ყმების სამართალიც ფეოდალს ეკითხებოდა(ჯამბურია1973:206–207).

საყურადღებოა, აღინიშნოს, რომ მეფის გაღმერთების იდეა აღმოსავლეთის თეოკრატიული სახელმწიფოებისთვის იყო დამახასიათებელი. ამ წეს–ჩვეულებამ ანტიკური სამყაროს გამოვლით ქრისტიანულ ბიზანტიაში დაიმკვიდრა და აქედან ევროპის ფეოდალურ ქვეყნებშიც გავრცელდა.

მეფის ღვთიური წარმოშობის იდეა „ხელმწიფის კარის გარიგების“ გარდა მოცემულია სხვა წყაროებშიც. მაგალითად, თამარის ისტორიკოსი თამარ მეფეს ღვთის სწორად თვლის. თამარის ისტორიკოსის კონცეფციით: (ჩვენი აზრით, არამარტო თამარის ისტორიკოსის, ზოგადად, შუასაუკუნეობრივი თუნდაც გვიან შუსაუკუნოებრივი, საზროვნო მენტალიტეტით)„ვინაითაგან ჴელი საუფლო მკლავი მაღალი და თანამებრძოლი [ექმნებოდა] მბრძოლთა მას მისთა, და მის წილ ამღებელი ჯურისადა ფარისა ეკუთვნებოდა დამჴობად წინააღმდგომთა მისთა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 31–32).

ანალოგიურად შეიძლება გავიგოთ ფსალმუნის შემდეგი სიტყვები: „ნუ შეეხებით ცხებულსა ჩემსა და წინაჴსწარმეტყველთა ჩემთა შორის ნუ უკეთურობთ“. იქვე ვკითხულობთ: „და დაადგინა იგი უფლად სახლსა თჳსისა მონებისა მისისა“(ფსალმუნნი და ლოცვანი 2016: 169).

მეფის პატივისცემისა და გაღმერთების წეს–ჩვეულება, რომელიც ხელმწიფის კარის გარიგებაშია წარმოდგენილი, შემთხვევითი გარემოებით არ აიხსნება. ეს არის ძლიერი მეფის ხელისუფლების იდეის გამოძახილი. ფეოდალური სახელმწიფოების ისტორიას არ ახსოვს ისეთი მეფე, რომელიც ძლიერებისკენ არ მიისწრაფვოდა, მაგრამ იმისთვის, რომ მეფის მისწრაფება რეალურ საფუძველზე ყოფილიყო აგებული, საჭირო იყო შესაფერისი ეკონომიური პირობები(ხელმწიფის კარის გარიგება 1970 :18).

იოსებ თბილელი, სასულიერო პირი, მეფის ერთგულ მსახურებაში ხედავდა საქართველოს ერთიანობის იდეას. ეს ერთიანობა უნდა ყოფილიყო თავადის მენტალობის განმსაზღვრელი: ბატონზე(პატრონზე) გამარჯვება არ იყო მისაღები. მეფე თავადის პატრონია, თავადი კი, აზნაურის და ყმა-გლეხის. იოსებ თბილელის იდეალი ადამიანი კი ასეთია:

„ბრძანება არის ბატონზე ყმასა არ გამარჯვებია,
ბატონი რომე ტყუოდეს, ისრეევ ყმას დამარცხებია,
თვარ უხმლოდ როგორ დავდგები, რომ ვიყო სრულ ნარცხებია,
„და ბევრთა მებრძოლთა თავები მიწასთან მინარცხებია“.
რაცა დასწერეს პირველად იქნების, არ ასცილების,
პატრონის შებმა არა ხამს, ყმას ხმალი გაუცვილდების,
რაგინდ ყმას ბევრი ჯარი ჰყვეს, ცრემლი იმასვე სდინდების,
და ესე მსმენია, ამისთვის ცეცხლი წვად გამიხშირდების“.
(იოსებ ტფილელი 1939:40).

მაგრამ ბატონს (ამ შემთხვევაში მეფესაც) უნდა დაენახა თავისი ერთგული ყმა,

დაეცვა იგი მაბეზღარი და შურიანი ადამიანებისაგან. მეფე ხშირად ამას ვერც კი აკეთებდა იმ რთულ დროს, გვიან შუასაუკუნეებში, რადგანაც ხშირად ფეოდალთა ნება-სურვილის აღმსრულებელი ხდებოდა მეფეც უნებურად:

„ზოგთ ბაგრატოვანთ, ასრე სჭირს, არ ახსონს სამსახურია;
რაგინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია
"მაბეზღარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია!
როს ყმა გარდაყვეს პატრონსა მსახუროს ღარიბობასა,
მამულს და ალაგს განშორდეს თვისა ტომსა და ძმობასა
და მასზედან მისი პატრონი რად არ იქს იაფობასა?!"
(იოსებ ტფილელი 1939:40)

იოსებ თბილელს ამ შემთხვევაში გიორგი სააკაძე ჰყავს მხედველობაში და გული სწყდება მისი ასე დაუფასებლობისათვის:

„ბატონს ჰყავდეს ერთგული ყმა, სიამოვნით თავს უდებდეს,
მტერს ებრძოდეს, დავსებულსა ცეცხლსა კიდე აუნთებდეს,
რაც უჯობდეს, იმას ბჭობდეს, მებრძოლს მიღმა გაუგდებდეს,
და საჭურჭლესა წარმოცლილსა, სალაროსა დაუდებდეს!"
(იოსებ ტფილელი 1939:53).

"მე ოთხი საქმე ერთ დღეს ვქმენ, რა გესმის, ბრძანო იშია!
ყარჩიხანს რომე შევები, მის ჯარს რა დავსდევ შიშია,
იქ ახალციხე ავღე ქალაქს ვქმენ იერიშია;
და კახეთს რა ჯარი დავხოცე, სიმრავლით ვითა ქიშია
კაცს ამისთანა ყმა ჰყავდა, პატრონს რა უყოს მეტია!
მას აბეზღებდნენ ცუდმუდი კაცი შმაგი და რეტია,
იგ მუდამ შენთვის კვდებოდეს შენის მტვრის მხვრეტია,
და პატრონისგან საკვდავად, ვით ადვილ გასამეტია?!
ეს ყველა მისთვის გავბედე რომ მწადდა თქვენი დიდება,
კრძალვა და სათნო მწვე მჭირდა მე პატრონ-ყმობის რიდება!
თქვენს გარდაისად ავდ ქნეს სხვათ ჩემი გარდაკიდება,
და თუ ჩემს,უკეთესს ყმას ჰპოვებთ, თქვენც გმართებთ ხელის კიდება!
(იოსებ ტფილელი 1939:30)

ჩვენი თვალსაზრისით, არა მარტო ეკონომიკურ საფუძვლებზე იყო დამოკიდებული ქვეყნის სიძლიერე, არამედ თითოეული ადამიანის, მათ შორის თავადთა სულიერ და ემოციურ მდგომარეობაზე, მაგალითისთვის, ნ.ბერძენიშვილის "მოკიდულთა" საკითხი ახალი ინტერპრეტაციით შეიძლება გამოვიყენოთ.

ჩვენთვის საკმაოდ საინტერესო შეიქმნა ნ.ბერძენიშვილის მიერ განხილული საკითხი „მოკიდებულისთვის",იმდენად, რამდენადაც იგი თანმდევი პროცესი და ერთერთი მახასიათებელი ასპექტია ქართული ფეოდალური და განსაკუთრებით, კი გვიან

შუასაუკუნეობრივი ქართული ფეოდალური საზოგადოების სააზროვნო სისტემისა და მენტალური მდგომარეობისთვის.

ნ.ბერძენიშვილის თვალსაზრისით: „მოკიდებულნი კაცნი“ სააკაძის ყმები არ არიან. ამიტომაცაა, რომ მოურავს ფიქრი უხდება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს, რათა ეს „მოკიდებულნი კაცნი“ ბოლომდე მისი მიმდგომნი დარჩნენ. დანარჩენ ბატონყმობის ხანაში ყმის(თუნდაც აზნაურის)მხრით ბატონის ერთგულება აგრე პირობითი აღარაა. „მოკიდულნი კაცნი“, თუმცა სააკაძის ყმები არ არიან,მაგრამ ისინი ერთნაირად მაინც დამოკიდებულნი არიან მოურავზე. სააკაძის მოკიდებულნი, მართალია, მეფის ერთგულნი არიან, მაგრამ „მიმდგომი“ არიან ისინი მოურავისაც. ხოლო მეფესა და მოურავს შორის კონფლიქტის შემთხვევაში ისინი შესაძლებელია სააკაძის მხარეზეც აღმოჩნდნენ და მეფეს შეუორგულდნენ, თუ უკანასკნელი უსამართლო რამეს დამართებს მოურავს. ნ.ბერძენიშვილი ვარაუდობს იმასაც, რომ ასეთი კონფლიქტის შემთხვევაში სააკაძის მოკიდებულნი შესაძლებელია მეფის ერთგულებასაც შერჩნენ, ხოლო სააკაძეს კი „გარდაუბრუნდნენ“(ბერძენიშვილი-1966:144).

ნ.ბერძენიშვილი წერს შემდეგს: საისტორიო მასალაზე დაკვირვებით შესაძლებელი ხდება სააკაძის „მოკიდებულ კაცთა“ უფრო მეტი დაზუსტება. 1620 წლის სარჩლის წიგნში გიორგი სააკაძე თვითონვე ასახელებს თავის „მიმდგომთ“ „მოყვრებს“ და „მოსამართლეებს“. ესენი არიან: არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ფალავანდიშვილი, ციციშვილი, ბარათაშვილი და სრულიად ქართველნი. ამათგან ზოგი გიორგის სიძეა, ზოგი მზახალია, აქვეა გიორგის სიმამრი და სხვა. დამოყვრება-დამძახლება, სახლის კაცად შეყრა მოდაწერილობა თუ სხვაგვარი „მოკიდება“ უაღრესად სოციალურ-პოლიტიკურ საფუძვლებს და ანგარიშიანობას ემყარებოდა(ბერძენიშვილი 1966114–115).

ნ.ბერძენიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ: სააკაძის „მოკიდებულ კაცთა-ში უნდა იგულისხმებოდეს ასევე პარტია (ბერძენიშვილი 1966:116-117).

ნ.ბერძენიშვილის აზრით: „მოკიდული“ ესაა თავისუფალ პირთა (თუ სახლების)გაერთიანება ამა თუ იმ პირის(თუ სახლის)გარშემო და ქართული ფეოდალიზმის ყველა საფეხურზე მოკიდულის ძირითადი შინაარსი(ინტერესთა თანხმობის ნიადაგზე მეტნაკლებად თავისუფალი გაერთიანება უცვლელი დარჩა(ბერძენიშვილი 1966:134).

ვიზიარებთ ნ. ბერძენიშვილის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს და აქვე გვინდა, ვთქვათ: მართალია, ასეთი საქმეები არ ხდება სოციალ–პოლიტიკურ ინტერესთა ურთიერთკვეთის გარეშე, მაგრამ ეს ასპექტებიც უნდა ემყარებოდეს და ასევე მომდინარეობდეს იმ ადამიანთა სულიერი და ბუნებითი მდგომარეობიდან, რომლებიც არიან ამ საზოგადოების წევრები. თითოეული მათგანი ხომ ასევე ქმნის საზოგადოებას და გარკვეულწილად, აქედან ხდება მენტალობის ჩამოყალიბება

§.3. რელიგიის საკითხი თავადურ მენტალობაში

სულ უფრო აქტუალურად ისმება მენტალიტეტის საკითხი თანამედროვე ისტორიოგრაფიაში. ეს არის მსოფლმხედველობის თუ ცნობიერების სოციალურ-ფსიქოლოგიური ფორმები. ადამიანთა წარმოდგენები საკუთარ თავზე თუ სამყაროზე ინდივიდუალურად არ ხდება, არამედ ქვეცნობიერად ვლინდება მათ ქცევებში, მოქმედებებში, რომელიც გამოხატავს საზოგადოების შეგნებას, სადაც ასახულია ამ საზოგადოების ჩვევები, ტრადიციები და რწმენა, რითაც აისახება იმდროინდელი საზოგადოების კულტურის, ტრადიციებისა და რელიგიის ისტორია. მასთან უშუალო კავშირში გახლავთ ზნეობა, რომელიც განმარტებულია, როგორც ფილოსოფიური კატეგორია და გააზრებულია, როგორც მენტალიტეტის შემადგენელი და განმსაზღვრელი (ვაჩნაძე 1998:6-13).

საქართველოს და ქართველი ერის გადარჩენის საქმეში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. ქართველობას ინარჩუნებდა ძირითადად ის, ვინც თავს დედაეკლესიის შვილად თვლიდა. გრიგორიანი ქართველები თითქოს ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელნი იყვნენ, მაგრამ დედაეკლესიიდან მოწყვეტის გამო თანდათან გასომხდნენ. დენაციონალიზაციას ვერც კათოლიკე ქართველები ასცდნენ (ჯაფარიძე 1999: 222, 223).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ XVI საუკუნიდან სამცხე-საათაბაგო და აჭარა სარწმუნოებრივად მოწყვეტილი იყო დედასამშობლოს, მაგრამ მათ ქართველობა და ქართული სული მაინც შეინარჩუნეს. რაშიც გადამწყვეტი როლი ქართულმა ენამ შეასრულა.

ზემო ქართლი ანუ მესხეთი დიდი კულტურის მხარე იყო. შუა საუკუნეებში აქ განსაკუთრებით ჰყვაოდა სასულიერო ცხოვრება, მარტო სამცხე-საათაბაგოში 13 საეპისკოპოსო სამწყსო იყო: მაწყვერელის, კუმურდოელის, იშხნელის, ანჩელის, მტბევარის, წურწყაბლის, ერუშნელის, ვარაშკერტელის, ანელის, კარელის, ბანელის, და დადაშელის) (ლომსაძე1975: 283).

სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავარნი და მწყემსნი არიან:(XVI ს.დასაწყისში)

1.მაწყვერელი გვირგვნ-ბისოსანი არს. ამისი სამწყსო: ყვიბის კორტანეთის შუა რომ წყარო ჰსდის, იმის ზევით ხეობა და სადგერი სულ აწყვერი დიასამიძის სახლი და ახალციხის წყლის გაღმართი გურიის წადგომამდის.

2. კუმურდოელის სამწყსო: ხერთვისის ზეით სულ ჯავახეთი, ხავეთანდი.

3. იშხნელის სამწყსო: გურჯიბოღაზის აქეთ, სულ თორთომი, ტაოსკარს ქვემოთი, არტანუჯისთავს საკრულავი ჰქვიან, იმას აქეთი გაღმით ორჯოხის მთის აქეთი სულ

საკავკასიძო, ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდმოღმა.

4. ანჩელის სამწყსო: სამსწყლის აქეთი ხანძთას და ოპიზას შუა დახატულა იმას ქვემოთ ნიგალისხევი, გაღმა და გამოღმართი, გონიის სამზღვრამდი.

5. მტბევარის სამწყსო: დახატულას ზედათი, ანაკერტს აქეთი, სულა შავშეთი მიჭიხიანთ, ბატონის კათალიკოზის ყოფილა, იმ ქვეყნის ეპისკოპოზის იასაულიც ის ყოფილა; აჭარა დანდალოს ზეითი მას ჰქონია. დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათელის სამწყსო ყოფილა.

6. წურწყაბლის სამწყსო: ხურსიძის სახლი, სულა ბოცოთ-ჴევი ხერთვისის ქვეითი მისია.

7. წყაროსთუაელის სამწყსო: ზავეთი და იმას ზეით პალაკაციო კოოლას სამზღვრამდინ, მტკვრის აქეთი არტაანი.

8. ერუშნელის სამწყსო: ტლაოშს ზეითი, სულ არტაანი კოლას სამზღვრამდინ.

9. ვალაშკერტელის სამწყსო: ყაღზევანს, ვალაშკერტს, აქათ ხინუსი, და დევბოინს აქეთი.

10. ანელის სამწყსო: სულა ზარიშტიანი და შირაკოანი მაღასბერთი.

11. კარელის სამწყსო: სულა კარი და კოლისა და ოლთისის სამზღვრის გარდმოღმა გაგჩევანი და კაღზევანი.

12. ბანელის სამწყსო სულ ბანი, ტაოს-კარი , ფანასკერტი, ჰარიზის ხეობა, სრულიად ოლთისი, ნამურაკანი.

13. დადაშნელის სამწყსო: სულა კოლა და ხორტევანი ყარსალზედ მიდგმამდის.

ამ ეპისკოპოზთა მაკურთხეველი უფროსი ქართლის კათალიკოსი არის და იმის ჴელთ არის ყოველივე (დოლიძე 1970: 244-246).

XVII საუკუნის მეორე ნახევარში სამცხე-საათაბაგოს სამხრეთის საეპისკოპოსოები: ბანელის, იშხნელის, ანჩელის და სხვა თურქებმა დაარბიეს, მოძღვარნი ჯერ სამცხე-ჯავახეთს და შავშეთ-აჭარას შეეფარნენ, ხოლო შემდეგ ქართლსა და იმერეთში გადაიხვეწნენ. დაპყრობილ მესხეთში სამცხე-საათაბაგოს გამგებელნი დიდხანს ცდილობდნენ ამ მხარეში ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებას და თურქეთის წინაშე მოხარკეობას კისრულობდნენ. დამორჩილების ეს პოლიტიკური ფორმა იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანაში ქრისტიანული სარწმუნოება ხელშეუხებელი დარჩებოდა და თითქმის შინაგანად დამოუკიდებელიც იქნებოდა, მაგრამ თურქეთი დათმობაზე არ მოდიოდა.

1579 წელს დაპყრობილი მესხეთის მთავარს მანუჩარს ოსმალებმა მისი მამული გამაჰმადიანებისა და ფაშობის პირობით მისცეს. 1582 წელს მანუჩარმა მაჰმადიანობა უარყო და კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდა. ეს იყო მესხეთის დიდი აჯანყების დასაწყისი ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ.

ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა იმით, რომ ჯაყელთა შვილი ბექა(საფარ-ფაშა 1628-1651) გამაჰმანდიანდა, სამცხე-საათაბაგო მას

ფაშობით მისცეს (ლომსაძე 1975: 285-286).

საფარ-ფაშამ(1628-1651) ოსმალეთის დავალებით აღწერა სამცხე-საათაბაგო. ახალციხის საფაშოში თანდათან უქმდებოდა ქართული მიწათმფლობელობა. ფეხს იკიდებდა ოსმალური მიწათმფლობელური და საგადასახადო სისტემა (ლომსაძე 287).

"და დაჯდა ფაშა, დაიპყრო სრულიად საათაბაგო ამან აღწერა ქვეყანა. შეჰკვეთეს ხარკი ქრისტიანთა ზედა... არ იყო მორჩილება კათალიკოზისა ანუ ეპისკოპოსისა, სამღვდელოთა, არამედ ოხრება ეკლესია-მონასტერთა და შენება ჯამთა, ხოლო მორწმუნენი ჰფარვიდნენ და მალვიდენ ხატთა ჯვართა და ნაწილთა წმინდათა და წარქუნდათ პირველსაებრ იმარეთს, ქართლსა და ივლტოდიანცა წარჩინებულნი, რომელნი სძულობდნენ მაჰმადიანობასა, რამე-თუ განაგებდა საფარ-ფაშა ნებითა ოსმალთა ყოველსავე"(ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 726).

ქვეყნის ხსნისთვის ბრძოლაში სამცხე-საათაბაგო დამარცხდა და ჩილდირის საფაშოდ გადაიქცა. ქართველები ახალციხის ფაშას თუმცა კვლავ ათაბაგს უწოდებდნენ. მთელი XVII-XVIII საუკუნის, ხოლო ქვეყანას საათაბაგოს, ათაბაგის თემს, ან საქართველოს იქეთ საქართველოს, ეს იყო მხოლოდ ტრადიცია.

ვიზიარებთ შ. ლომსაძის მოსაზრებას, რომ:"ახალციხის საფაშოს კარი"უცებ ვერ გარდაიქმნებოდა და პირველ ხანებში კარის მოხელენი ქრისტიანებიც იქნებოდნენ, რადგან ოსმალებისთვის ის ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი საქართველო იყო, საფარ-ფაშას(1628-1651) ჯერ კიდევ "გურჯისტანის გამგებელს"უწოდებდნენ. ამ დროიდან იწყება ზედაფენების თანდათან გამაჰმადიანება. პირველ ხანებში თვით საფარ-ფაშას და იუსუფ-ფაშას ოჯახის წევრები ქრისტიანები ჩანან და თავიანთი კარის მოძღვარიც ჰყავდათ(ლომსაძე 1975: 285).

XVII საუკუნის 60-იან წლებში ძველი სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე მხოლოდ ერთადერთი საეპისკოპოსო იყო. როსტომ ფაშამ სახარებას მოხსნა თვალ-მარგალიტი და დაწვა ისინი ერთ ადგილას სახარებებთან, ჯვრებთან და სხვა საეკლესიო სიწმინდეებთან ერთად (ლომსაძე :287-288).

"არამედ ცოლნი მათნი და მხევალნი იყვნენ ყოველთა ქრისტიანენ, ხოლო ჟამსა ფაშისასა მოუვლინა ხონთქარმა ბრძანება, რათა იქმნენ ცოლნიც მათნი მაჰმადიან, ესე უთხრეს ცოლსა როსტომ ფაშისა, ხოლო მან არა ინება ყოფად მაჰმადანად,არამედ ამისთვის დაითმინა მრავალნი ტანჯვანი, მერმე განვლო, რათა გარდაიგდოს თავი კლდესა ზედა, სცნეს ესე, შეიპყრეს და არა უტევეს... ხოლო შემდგომ სიყმილისა და მრავლისა ქენჯნისა მოიპოვა ღონე თვით თავისი ყოფნა და ეგრეცთა სხვათაცა და იტყოდა: "უკეთუ დაატევებინოთ ყოველთა წარჩინებულთა უწინარეს ჩემსა ქრისტე, მერმე დაუტევო მეცა უკეთუ არა, არცა მე, მაშინ შეუთქეს რა წარჩინებულთა ცოლთა მათ ყოველთა შიშისთვის, ტანჯვისა დაუტევეს ქრისტე და გამაჰმადიანდნენ ყოველნი სრულიად და უღონო ქმნილი გამაჰმაჰმადიანდა იგიცა (ვახუშტი ბატონიშვილი1973: 728).

ფეოდალებისთვის მაჰმადიანობა გარდაუვალი იყო. ხშირად მშობლებსა და

შვილებს, დებსა და ძმებს ერთ ოჯახში სხვადასხვა სარწმუნოება ჰქონდათ. XVIII საუკუნის დასაწყისში ხეობაში მჯდარი გიორგი ავალიშვილი თუ ქრისტიანი ქართველი იყო, სამცხეს სოფ. ლოგათხევში მყოფი მისი ძმა მაჰმადიანობდა, "თათრად ითვლებოდა"

XVII საუკუნის ბოლო წლებში ახალციხის გამაჰმადიანებული ათაბაგ-ფაშების წევრთა ერთი ნაწილი მაინც ქრისტიანია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სულხან-საბა ორბელიანი 1683 წელს დაქვრივების შემდეგ დაუმოყვრდა ახალციხის ათაბაგთა სახლს და მათი ასული თამარი ცოლად მოიყვანა, რომელიც მართლმადიდებელი ქრისტიანი ჩანს (ლომსაძე 1975:287.)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველობის შენარჩუნების საქმეში გადამწყვეტი როლი ამ მხარეში ქართულმა ენამ შეასრულა, ენის შენახვა კი ქართველმა ქალებმა, ძირითადად, დედებმა იკისრეს.

XVI საუკუნეში დაწყებული ბრძოლა იმერეთის მეფესა და დასავლეთ საქართველოს მთავრებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა. ამ დროს განსაკუთრებით გაძლიერდა სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი(1611-1657) (ასათიანი 1999: 306).

დასავლეთ საქართველოს ძარცვითა და მრავალი ასეული კაცის ოსმალეთში გაყიდვით ლევანმა დიდძალი ქონება დააგროვა. ამ ქონებით მან ოდიშში მრავალი სასახლე და ეკლესია ააშენა. მან ეკლესიებს შესწირა ბევრი ოქრო-ვერცხლი და ხატები, რომელზეც დაწვრილებით აღწერა თავისი მძარცველური თავდასხმები მეზობელ სამეფო-სამთავროებზე, იმერეთს მისმა მარბიელმა ლაშქრობებმა ეკონომიკური გაჩანაგება მოუტანა, ხოლო მოსახლეობის ნაწილი ფეოდალებთან ერთად ტყვედ მიჰყიდა ოსმალებს (ასათიანი, ჯამბურია. 2008: 205-2006).

ლევან დადიანი ტყვეთა სყიდვის გამო თითქოს წუხილს გამოხატავს ერთერთ წერილში, რომელიც მან ოდიშის კათოლიკური მისიის პრეფექტს ჯუზეპე ჯუდიჩეს გაატანა რომის პაპთან ურბანო VIII -სთან „აქ ჩვენს სამთავროში არ არიან შალის და აბრეშუმის მქსოველები, რომლებიც დაამზადებენ ტანსაცმელს ჩვენი ქვეშევრდომებისათვის და ისინი იძულებულნი არიან ამ ნივთების საჭიროებისათვის თურქებს მიჰყიდონ თავიანთი ყმები, რაც მიუღებელია და რომელსაც თვით ადამიანის ბუნებაც ეწინააღმდეგება ...ჩვენ გემუდარებით გამოგვიგზავნოთ დიდი რაოდენობით ამ ხელობის მასწავლებლები, რადგან მათი დახმარებით გადავრჩებით ამგვარ ტანჯვას"(ანთელავა 1990: 115-116).

საფიქრებელია, რომ ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ფეოდალურ საზოგადოებაში მცხოვრებ ადამიანებს თავისთავადი ზნეობრივი მორალი შეუქმნა. შეუდრეკელობა, ერთგულება, სიტყვის შენახვა, მართლის თქმა იყო ის მთავარი ღირსება, რაც ამ ეპოქის ადამიანებს უნდა ჰქონოდათ, რაც მოეთხოვებოდა მამაკაცს, პროფესიულ მეომარს, სამხედრო არისტოკრატიას საქართველოში.

ქრისტიანული მორალი უნდა ყოფილიყო განმსაზღვრელი ყველაფრის, მაგრამ ხშირად თუ უმეტეს წილად "პატრონის"ერთგული სამსახური ვერ ხერხდება, ხოლო მეფეთათვის ერთგული სამსახური ქვეყნისა და ქრისტიანული სარწმუნოებისთვის

სამსახურს ნიშნავდა. ბაგრატიონთა გვარის ისტორიკოს სუმბატ დავითსძესთან დაცულია ცნობა ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის შესახებ (სუმბატ დავიტისძე 1990: 39-41). ასევე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან ვხვდებით ცნობას რომ მეფე დავით IV აღმაშენებელი (1089-1125)დავით წინასწარმეტყველის 78-ე შთამომავალია: „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა სახელ-მოდგმამან დავით, ღმრთისა მამისამან და თვით სამოცდამეთრამეტმან შვილმან ამის დავითისამან, დავით.“ (დავით აღმასენებლის ისტორიკოსი 1955:323-324).

აკად. მ.ლორთქიფანიძის თვალსაზრისით, ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის შესახებ თეორიის შექმნა უნდა მომხდარიყო IX საუკუნის ბოლოს და X საუკუნის დასაწყისში (ლორთქიფანიძე 1966:146-147).

მეცნიერი ეყრდნობა გიორგი მერჩულის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას, წმ. მამის გრიგოლ ხანძთელის წარმოთქმულ სიტყვას აშოტ კურაპალატისადმი: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ჴელმწიფეო“(გიორგი მერჩულე 1986: 76).

პატრონყმობა განა ჩვენგან იცით ზეცით დასახულა,
სოლომონ და დავით ორნივ თვალით მეფედ კვლავ ნახულა,
როგორც ყმისა სამსახური, ყმა პატრონთან შენახულა,
და უბრალოდ ყმის წამხდენი პატრონზედაც მწვე ძრახულა.”
მკაფიოდ აყალიბებს იოსებ ტფილელი სახარებისეულ სწავლებას
(იოსებ თბილელი 1939:53).

პარალელები ადვილად შეგვიძლია დავინახოთ: “მონანი ერჩდით ხორციელთა უფალთა თქვენთა შიშით და ძრწოლით, სიწროებით გულისა თქვენისათანა ვითარცა ქრისტესა და უფალნი ეგე ეგრეთვე ჰყოფდით მათდა მიმართ, რათა თქვენი უფალი ცათა შინა არს”(ახალი აღთქმაჲ. 1963: 469).

ურთიერთსიყვარულზე, პატივისცემაზე უნდა ყოფილიყო აგებული მეფისა და თავადის ურთიერთდამოკიდებულება, ამას ასწავლიდა ქართველებს, ყველა ქრისტიანს, წმინდა წიგნი.

ვფიქრობთ, რომ ხშირად ეს სწავლება გარემოებათა გამო უგულვებელყოფილი იყო და ამიტომაც გახლდათ კრიზისი შინაგანი საზოგადოებრივი წყობილების სახით, რომელიც ქვეყნისთვის დამანგრეველი იყო და იმდროინდელი საზოგადოების თუ თავადური ნაწილის სულიერ სიღარიბეზე მეტყველებდა, რაც დიდ უბედურებად უბრუნდებოდა ქვეყანას.

ვფიქრობთ, იმას, რომ განვითარებული ფეოდალიზმის(VIII-Xსს) ხანაში ზემოთ ხსენებული საკითხი გარკვეულწილად მოწესრიგებული გახლდათ, მოგვიანებით, ჯალალ-ად-დინის, მონღოლების, თემურ-ლენგის მრავალწლიანმა სისხლიანმა თარეშმა უაღრესად მძიმე სოციალ-ეკონომიკური პირობები შექმნა, ასევე დაირღვა სულიერი

კულტურის ჯაჭვი.

სათავადოს ერთერთი ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი იყო ეკლესია-მონასტრები, რომლებიც სათავადო ტერიტორიაზე მდებარეობდა(გვრიტიშვილი 1955:344).

ეკლესია-მონასტრებში დღენიადაგ აღესრულებოდა ღვთისმსახურება, კარის ტაძარი იქნებოდა ყველა საცხოვრებელთან, ციხე –კოშკში:

"ჩემს სახლში იყვის მუდმივად წირვა-ლოცვა და გალობა,
უღონოთ ღონე, იმედი გლახაკთ მიცემა წყალობა,
ყმის სამსახური სამართლით არავის, სჭირდა ძალობა."
(იოსებ ტფილელი 1939: 49).

საფიქრებელია, რომ ღამისთევის ლოცვის და ცისკრის ლოცვის შემდგომ იწყებოდა მათი ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება:

"რა ცისკრის ლოცვა გარდაწყდის, ვნახო მფრინველი ცხენია,
შევჯდი, მფრინვლით და ძაღლითა შევექცი ვირ სიცხენია;
მივედი, წირვა ვისმინე, ან ლოცვით ცრემლთა მრცხენია"
და დავჯდი და ლხინსა ვემოყვსი, არ მქონდა სიმარცხენია!
(იოსებ ტფილელი 1939: 48).

,,დილა გათენდა, ვახსენეთ ღმერთი და წმინდა ყოველი;
მარიამ დედა ქალწული და მერმე ძელი ცხოველი ,
კვართი და მკლავი მარჯვენა, ღვთივ ქმნილი სვეტიცხოველი;
და თქვენ დაგვიფარეთ, დავიცევთ, რა წყალსი ვიქმნეთ სოველი!"
(იოსებ ტფილელი 1939:10).

XVII საუკუნის მაგალითი გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მეტი იყო ქართველი ხალხის შევიწროება, მით უფრო მტკიცედ იცავდნენ სარწმუნოებას. XVII საუკუნე სწორედ ქრისტეს მოწამეთა სიმრავლითაა გამორჩეული, მათ შორის არის წმინდა დიდმოწამე ქეთევანი, რომელსაც "საქართველოს მნათობი"ეწოდა.

ქვეყნისთვის უმძიმეს ხანაში, XVI I საუკუნეში მისი ღვაწლი და მოწამეობა მამულის გადარჩენის გზის მაჩვენებლად იქცა. წმ. ქეთევანი ქართული ეკლესიის და ქრისტიანობის მოყვარულ მორწმუნეთა ოჯახში დაიბადა, ქეთევანის მამა-აშოთან მუხრანბატონი საბერძნეთში მყოფი, ჩვენი სულიერი სავანის, ივერიონის მონასტრისთვის ზრუნავდა(ჯაფარიძე 1999: 225).

ქართული ეკლესია ერთადერთი ეროვნული ბურჯი იყო ქართველობისა, მაჰმადიანურ იმპერიებთან მებრძოლი ხალხისა, ამიტომაც ის მიუღებელი იყო თურქეთისა და ირანისათვის. როსტომ-ხანი (1633-1658) ქართული ეკლესიის მიმართ გარკვეულ ლოიალობას იჩენდა, მაგრამ აქ აღსანიშნავია, რომ თუ ძველქართული საახელმწიფოებრივი სისტემის არსებობისას ქართული ეკლესია სახელმწიფოში უპირველესი და უპირატესი სარწმუნოებრივი მნიშვნელობის იყო, როსტომის დროს მან

უპირატესობა სხვა ქრისტიანულ მიმდინარეობასთან შედარებით დაკარგა და სხვებს გაუთანაბრდა, მეორე მხრივ, როსტომი ვალდებული იყო, განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა გამოეჩინა სომხური ეკლესიისადმი, რადგან სპარსეთში სომხურ ეკლესიას ყოველგვარი პრივილეგია ენიჭებოდა. იმდროინდელი საზოგადოების ნაწილიც სომხოფილური ტენდენციების მატარებელად იქცა(ჯაფარიძე 1999: 253).

სწორედ, როსტომის მეფობის ხანას მიაწერს თავადთა მენტალობის დეგრადირებას და "ზრდილობათა", "ზნეობათა"გადაგვარებას მემატიანე: „მას ჟამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება და სიმდიდრის მოყვარება ჯამაგირი, სოფლის მიცემა ყაენისაგან. და განმრავლდა ტანთ-ჩაცმა ყიზილბაშურად და საქართველოს დიდებულნი და თავადნი ყაენისაგან გამდიდრდებოდნენ და რაყიმით იშოვნიდნენ მამულებსა. და თვით როსტომ მეფის წადილი ესე იყო უყაენოდ არავის რა მისცემოდა და თუ ვინმე გასაკეთებლად უნდოდა, ყაენს უნდა შეკითხვოდა და იყო მეფე როსტომ მორჩილი ყაენისა და მოყვარე სჯულისა მაჰმადისასა.

ამან აღაშენა სახლი ყიზილბაშური კეკლუცად, და ტურფად ნაგები[შემოიღო] მოფენილობა, სმა-ჭამა, გამოჩუენება და კეკელობაჲ და მოიქცნენ სრულიად წესსა ზედა ყიზილბაშისა, გამრავლდა სახლსა შინა, მისსა სიძვა და არაწმინდება, ცოდვა სოდომ-გომორული, მეძაობა და დედათათანა აღრევა.

კუალად ინება სიმაგრე ციხისა და თავისუფლობა ციხესა შინა მყოფთა თათართა: გაძლიერდნენ თათარნი და კადნიერებდნენ ქართველთა ზედა. და რომელნიცა იყვნენ ქართველნი მოყვარენი წესისაა მათისა მეძავნი ბილწების მოქმედნი, დიდ პატივს სცემდა მეფე როსტომ და ჰკითხვიდა და უსმენდა მათსა და რომელნიცა იყვნენ სამართლის მოქმედნი და წრფელნი გულითა ცოდვის მორიდალ|ნ|ი მათ არცა პატივს სცემდა და ცუდს კაცს ეძახდნენ შეუძლებელსა. და იყვნენ დღითიდღე სმასა და განცხრომასა შინა, ხოლო სულისთვის არა რას ზრუნვიდნენ: მოიყვანნა მეჩანგენი მუტრიბინი და აქებდნენ ქართველი დარბაისელნი, და მათცა ეგრეთვე იყოლიეს მუტრიბნი მრავალნი მჭევალნი და არღარა იყო სიძვისა და მეძაობის. და ქართველსაცა ისწავეს სმა და ჭამა ყიზილბაშური და დიდად სირცხვილ უჩნდათ სერსა ზედა უფლაობა და არა-კეკელაობა და რომელსაცა არა შეეძლო ამ წესისა ქმნა და უღონო იყვნენ მონაგებისაგან, განყიდეს მამაპაპისაგან დაგდებული მამული და აგარაკები, იცმევდნენ ტანთა, ჭამდნენ, სმიდნენ და არარას ზრუნვიდნენ შვილთათვის.

და ამიერითგან შემოვიდა ზოგ-ზოგან ტყვის სყიდვა თავადებისგან და რომელნიცა იყვნენ და რომელნიცა ქვრივნი იყვნენ ობოლნი და ქვრივნი გამოიყვანებდნენ, გაჰყიდდნენ და განმრავლდა ცოდვა" (ბერი ეგნატაშვილი" 1959: 424).

ქართველთა ამ ნაწილს წმინდა ზიარების მიღებაც კი სირცხვილად მიაჩნდა: "ჟამსა მისსა ზიარება სისხლისა უფლისა ჩვენისა სირცხვილად უჩნდათ(ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 454).

ამის საწინააღმდეგოდ მთელი საკაცობრიო იდეალები ჩამოყალიბებული აქვს

როგორც იოსებ თბილელს, ასევე არჩილს, რომლებიც იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში ზნეობისა და ეროვნულობის, პატრიოტიზმის გაღვიძებას უწყობდა ხელს:"თავსაც საღვთო სჯობს, ბოლოსაც კაცთა ზნე საქმე რაც არი".-მიიჩნევს არჩილი (არჩილი 1989: 550).

"სამგვაროვანო ღვთაებავ, ერთმანეთს არშემდგომისო,
მამავ, მშობელო ძისაო, გამოვლენილო სულისო,
ერთხელმწიფებავ, ერთნებავ, სამხატო ერთ-ღვთაებისო,
ყოველთ მოწყალევ სიუხვით უფრო შენთ მისანდობლისო,
ღმერთო, შენ შექმენ სიბრძნითა კაცი ხატებად შენადა"
და მისაგან ყოველთა ძმა შეათავსე შენა და
განაავლე და განთესე, ქვეყანა მით ქმენ შენადა,
ნუგეშინის მეც, იმედი მომეც სიმართლის მზერისა.
შენ ხარ მოწყალე ყრმათ, ჭაბუკისა და ბერისა."
(არჩილი 1989: 330-331).

"პირველ უნდა ღვთის შიშზედა კაცმან გული დაამყაროს,
სიყვარული მისი ჰქონდეს, სასოება არ გაჰყაროს
სიმდიდრესა არ დამონდეს, გლახაკთ მისცეს ან საპყაროს."
აყალიბებს არჩილი სახარებისეულ სწავლებას(არჩილი1989: 332).

ძალიან რთული და ძნელია გასულ საუკუნეებზე, პიროვნებებზე, მათ ინდივიდუალურ მოქმედებებზე წერო ან ისაუბრო, მაგრამ ერთ ფაქტზე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, ეს გახლავთ 1660 წლის ბახტრიონის აჯანყება და მისი მთავარი ორგანიზატორი ზაალ არაგვის ერისთავი.

ბახტრიონის აჯანყებამდე კი 1642 წელს დიდი შეთქმულება მოეწყო როსტომ-ხანის წინააღმდეგ, ამ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ზაალ ერისთავი, იოთამ ამილახორი, ნოდარ ციციშვილი, კათალიკოს ევდემონ დიასამიძე, გიორგი გოგიჩაშვილი, რევაზ ბარათაშვილი, სომხეთის მელიქი ყორხმაბეგ და სხვა. აჯანყებულების მიზანი იყო როსტომის მოკვლა და ქართლის სამეფო ტახტზე თეიმურაზის გამეფება. ეს შეთქმულება გასცა სომხეთის მელიქმა (ასათიანი, ჯამბურია 2008:196-197).

როსტომმა აჯანყება ჩააქრო და შემორიგების პირობად ქართველ არისტოკრატიას ყაენთან წასვლა მოსთხოვა ზაალ ერისთავმა სხვა გზა ვერ გამონახა, როსტომს მიენდო, როსტომმა ყაენთან გაგზავნა, სადაც იგი კარგად მიიღეს, რჯული შეაცვლევინეს, სამასი თუმანი წლიური ჯამაგირი გაუჩინეს, არაგვის ერისთაობაც დაუმტკიცეს და ქართლში გამოისტუმრეს(გვრიტიშვილი 1955:342-344) .

სავარაუდოა, რომ ამით ზაალი უშუალოდ მომავალი ტახტის მემკვიდრეობის პრეტედენტს დაუპირისპირეს, რადგანაც ირანის შაჰის კარს მომავალი ქართლის მეფე ძლიერი არ აწყობდა. ვფიქრობ იმასაც, რომ ზაალ ერისთავმა მაჰმადიანობა ფორმალურად აღიარა. ზაალს გარკვეული ინტერესები გააჩნდა „საკახეთო მამულებზე."

აქედან გამომდინარე მას არ ჰქონდა კარგი დამოკიდებულება მეფე ვახტანგ V შაჰნავაზთან (1658-1676)(გვრიტიშვილი1955:399).

ზაალის პიროვნების მიმართ არსებობს არაერთგვაროვანი მოსაზრება, მაგრამ აქ გვინდა რამოდენიმე მომენტი განვიხილოთ: საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზაალ არაგვის ერისთავი დგას ქრისტიანობისთვის მებრძოლ და წამებულ წმინდა მოწამე კათოლიკოსის ევდემონ დიასამიძის გვერდით, მისი მენტალიტეტი ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულია.

ბახტრიონის აჯანყებამდე კახეთს უმაგალითოდ მძიმე დღეები დაუდგა, ჩამოსახლებულმა თურქმანებმა თანდათანობით დაიკავეს ივრისა და ალაზნის ნაყოფიერი ველი. ქართველი ფეოდალი მიწაზე სამამულო ფლობის უფლებას ჰკარგავდა. კახეთი ორად იქნა გაყოფილი, სამმართველოდ გადაეცათ ყარაბაღის ბეგლარ-ბეგს მურთაზა-ყული-ხანს და ნახიჭევანის მმართველს ალი-ყული-ხან ქენგერლუს, ქვეყანაში ყიზილბაშობა დამყარდა. "ყიზილბაშობის დამყარება არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საფუძველს აცლიდა ქვეყანას, არამედ, ამასთან ერთად, მისი მიზანი იყო ქვეყანაში მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრა, რაც ყველაზე უფრო შეუწყობდა ხელს ქართველი ხალხის ასიმილაციას. ზაალ ერისთავი სპარსელთა ერთგულ პირად ითვლებოდა, იგი კახეთის მმართველი ხანების მრჩევლადაც იყო დანიშნული(ასათიანი 1999: 3001).

"არამედ ზაალსვე ეპყრა ზემოთქმული ქუეყანანი და კითხვითა მისითა მართვიდა სალიმხან კახეთსა"(ვახუშტი ბატონიშვილი 1973:599).

მაგრამ ზაალი თავისი მდგომარეობით ყველაზე უკეთ ხედავდა მტრის ნამდვილ განზრახვას და ქვეყნისათვის ბატონობის დამღუპველ შედეგებს (ასათიანი 1999:301).

უკულტურო თურქმანების ბატონობას დიდი დღე არ ეწერა, მემატიანეს ცნობით: "ამან სალიმხან მოაყვანინა ელნი და დასხსნა შიგნით და გარე კახეთსა და დაიპყრეს ამათ ბახტრიონი, ალავერდი და გარყვნეს წმიდნაი ეკლესიანი...ხოლო დღესა ერთსა მღვდელი მოდიოდა შიგნით კახეთს, შეიპყრეს იგი თათართა გახრწნეს იგი სოდომურითა და განუტევეს შეჭირვებული მღვდელი იგი, მოვიდა წინაშე ზაალისა მეტყველ ესრეთ: "შენდა რწმუნებულ არს კახეთი კნინღა პყრობად, აწ შემამთხვიეს დიდსა განსჯისას"ამისმან მსმენელმან ზაალ ერისთავმან შემოიფიცა საყმონი თვისნი, ფშავ- ხევსურნი და ბიძინა სუფრაჯი, და ერისთავი ქსნისა შალვა და ელიზბარ, შეკრიბნა ესე ყოველნი წარუძღვნა ძე თვისი, მოუხდნენ პირველად ბახტრიონს, მოსრნეს, მოსწყვიდნეს, რამეთუ აღარცა თუ დაუტევეს აკვანთა შინა მწოვარენი და გაანთავისუფლეს კახეთი"(ვახუშტი 1973:599-600)(ბერი ეგნატაშვილი 1959:438).

ვფიქრობთ, ხუცესის შეურაცხყოფის ფაქტს ზაალის დიდი აღშფოთება უნდა გამოეწვია, ქართველი თავადისთვის ეს ფაქტი ყოვლად მიუღებელი აღმოჩნდა, რაც გახდა კიდეც საბაბი 1660 წლის ბახტრიონის აჯანყების. ასევე ვფიქრობთ ,რომ აჯანყების მომზადებისთვის მთლიანი სახსარი მას უნდა გაეღო, რადგანაც კახეთი შაჰ-აბას I (1578-

1629), შემოსევების(1614-1617) შედეგად ეს მხარე სასტიკად აოხრდა და განადგურდა.

სარწმუნოების დაცვისთვის გააფთრებულ ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მაგალითის ძალას. მოყვასისთვის, სამშობლოსთვის თავგანწირვა იყო ქრისტესთვის თავგანწირვა და პირიქით, გაცნობიერებული ჰქონდათ ისიც, რომ სიკვდილი მოკვდავი ადამიანისთვის გარდაუვალი იყო და ამას არ უნდა შეშინებოდნენ. დიდებულ სიტყვებს ეუბნება და ამხნევებს ბიძინა ჩოლოყაშვილი შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებს: "ნუ მოვმედგრდებით და ნუ შევშინდებით, არამედ მივსცეთ თავი ჩვენი ქრისტესთვის სიკვდილსა, რამეთუ უნებლად თანაგუაც და ვერავინ წინაღუდგების სიკვდილსა, აჰა ჟამი ესე არს ჟამი შესვლად სასუფეველსა შინა."ერთობით სამთავე აღიარეს ქრისტეს სარწმუნოება და უარყვეს რჯული მაჰმადისა"(ბერი ეგნატაშვილი 1959:439).

ასეთი იყო ჭეშმარიტი მამულიშვილების მრწამსი, ხოლო ქართული ხასიათის მენტალობა, რელიგიის ასპექტები და ფენომენი საჭიროებს კიდევ უფრო მეტ მასშტაბურ კვლევას.

§.4.აღზრდის ზოგიერთი საკითხი XVII ს-ის საქართველოში (ი.თბილელის "დიდმოურავიანის" მიხედვით)

ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებულ კლასს ახასიათებს თავისებური ორგანიზაცია, რომელიც მიწის საკუთრების იერარქიულ სტრუქტურასთანა დაკავშირებული, ის ფენებადაა დაყოფილი, ფეოდალური კიბის გარკვეულ საფეხურზე დგას. სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების თავისებურ ფორმას წარმოადგენდა ფეოდალურ საქართველოში "სამეფოს პალატასა შინთანაზრდილობა" ანუ აღზრდa "სახლსა სამეფოსა შინა" (სოსელია 1981: 206).

ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსს, ჯუანშერს, (XIს) თხრობისას ნათქვამი აქვს: "მაშინ ვახტანგ სავსე მწუხარებითა შეიქცა და იგლოვდა გვამსა ზედა საურმაგისასა, ვითარცა ძმისა საყვარელისასა. რამეთუ თანაზრდილი იყო მისი, ძმისწული მამამძუძისა მისისა, არტავაზისა მამისა, ერთგული, მისანდობელი და ქველი" (ჯუანშერი 1955:188-189).

აღზრდილ-შეზრდილთა ინსტიტუტი ჩანს როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოში. "გამზრდელობა-გაზრდილობას" ადგილი ჰქონდა სასულიერო პირებთანაც, კათალიკოს-პატრიარქ წმინდა მელქისედეკის მცხეთის საყდრისადმი დაწერილში ვკითხულობთ: "მე მოვახსენე გამზრდელსა ჩემსა, ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გამიხადნეს და მიბოძეს სიმტკიცე შეუვალო-ბისაი" (შოშიაშვილი 1984:27).

ერთ-ერთ საბუთში, რომელიც შედგენილია 1346–1360 წწ. ნიკოლოზ მაწყვერელის ერთგულების დაწერილში იოანე კათოლიკოზისადმი, ვკითხულობთ: „მას ჟამს, ოდეს

ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან ძლიერი და უძლეველ[ლ]ი ღვთივ-გ[უი]ნოსნობა მეფეთა მეფისა დავითისი, შემიწყალეს და საყდარი აწყურისა მიბოძეს, თქვენითა თანადგომითა ჯერჩინებითა და თქვენ ვითარცა ჴელთა თქვენთა გაზრდილი და შემწყალობელი, ეგრეთ სიტკბოებით, სიყუარულით მაკურთხეთ(დოლიძე1970:182).

დავით აღმაშენებელი, როგორც მისი ისტორიკოსი გვაუწყებს, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის "თანააღზრდილია", ის იყო მისი "აღმზრდელიც": "თანააღზრდილი და აღმზრდელი პატრონისა, თანა-გამკაფველი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღვაწლთა მისთა" (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 1955:336).

ნ.ბერძენიშვილი საგანგებოდ სწავლობდა "გაზრდილობის" ფეოდალურ ინსტიტუტს, ფეოდალურ ურთიერთობათა კლასიკური პერიოდის ძეგლების, ძირითადად, "ვეფხისტყაოსნის" და თამარის ისტორიკოსთა ნაწარმოებების მიხედვით, მას გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ყუთლუ-არსლანის აჯანყების მონაწილე დიდგვაროვანნი დაუპირისპირდნენ სასახლეში "მეფის გაზრდილებს", დასაყრდენ ძალას. გაზრდილთა ინსტიტუტი შესანიშნავად არის წარმოდგენილი "ვეფხისტყაოსანში". აქ "გაზრდილი" იხმარება, როგორც ზოგადი, ასევე სოციალური შინაარსითაც, ვასალის მნიშვნელობით (ბერძენიშვილი 1974:86).

"გაზრდილობის ინსტიტუტი" არა მარტო სამეფო კარზე, არამედ დიდ ფეოდალთა სახლშიც უნდა ყოფილიყო. დროის მიხედვით მისი მნიშვნელობა იცვლება. ცენტრალური ხელისუფლების ძლიერების ხანაში ერთგული მოყმე რაინდები იზრდებიან, ხოლო გვიან, მეფის კარის დასუსტების პერიოდში, "აღზრდილ-შეზრდილობის" ინსტიტუტი სწორედ დაშლილობას უწყობს ხელს. თითოეულ უფლისწულს ახლავს "აღზრდილ-შეზრდილთა" მეტნაკლები რაოდენობა, რომლებიც ამ უფლისწულთა სეპარატისტულ მეცადინეობაში არიან და მისი მორჭმა-გამდიდრებისთვის იღწვიან. ეს„აღზრდილ-შეზრდილები" მთელი ფეოდალური ურთიერთობის სიგრძეზე ჩანან და "მოკიდებულის" ინსტიტუტივით დამახასიათებელია საშუალო და გვიანი საუკუნეების ფეოდალური ურთიერთობისა.

"შეზრდილ-გაზრდილობა ფეოდალური ხანის საერთო სწავლების სანერგე იყო. სამეფო კარზე ბატონიშვილებთან ერთად ითვისებდა მომავალი ყმა „ფეოდალური ზრდილობის მოკლე კოდექსს, "ვეფხისტყაოსნის" კულტურას. აქედან ეფინებოდა ეს კულტურა ფეოდალური საზოგადოების ფართო ფენებს, დიდებულ თავადაზნაურებს და მათ ყმებს (ბერძენიშვილი 1974:87).

თამარის პირველი ისტორიკოსი "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", როდესაც დავით სოსლანის აღზრდაზე მოგვითხრობს, აღნიშნავს: "ესე დავით, წელიწადისა მოქცევამდე ესე წაემჯობინა ყოველსა მშვილდოსანსა, ცხენოსანსა, მცურავებსა, მოასპარეზესა, მწიგნობარსა და ყოველსა ნასწავლსა ხელთა სიკეთითაო" (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959:48).

დავით ნარინის თანაზრდილნი იყვნენ ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის შვილი ბეგაი, გურკლელი მახუჯაგისძე, ამირეჯიბი ბეშქენ: "ხოლო ვითარ არღარა იყო

ღონე, წარვიდა ნარინ დავით, თანაწარატანა მეფემან რუსუდან მცირეთ თანაზრდილნი მისნი, ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის შვილი ბეგაი, გურკლელი მახუჯაგისძე, ამირეჯიბი ბეშქენ" (ჟამთააღმწერელი 1959:206).

1440 წლის საბუთით ალექსანდრე დიდი "თანაშეზრდილ-გაზრდილს" გამრეკელ ჯავახიშვილს და მის შვილებს უწყალობებს შემდეგს: "გვიბოძებია და გქონდეთ მოუშლელად და შეძლებით, თქვენ ჩვენისა თანაშეზრდილ-გაზრდილსა, თავდადებით ნამსახურსა ჯავახისშვილსა გამრეკელსა და თქვენთა შვილთა ზაქარიას, კახასა, ზაზასა, სოღასა, შვილთა და მომავალთავეს სახლსა თქვენისათანა განყოფისეული თქვენი მკვიდრი მამული (თაყაიშვილის 1909:15).

ქართლის მეფის ვახტანგ VI 1730 წლის წყალობის წიგნშიც, რომელიც მიცემულია ელიზბარ ორბელიშვილისთვის, სულხან-საბა ორბელიანი გიორგი XI-ის გამზრდელად იხსენიება (სოსელია 1981:209).

გიორგი სააკაძე ბერუკა ჯავახიშვილს „შვილივით გაზრდილად" მოიხსენიებს: „ბატონს დედაჩემს ყოველი კაცი იცნობთ, ფეჯშიშველა შვილთა მუახლე[ე]ბითა მისა მსახურებითა ლეხთ-იმერეთ გარდმოაგდეს. ბერუკა შვილისავით გაზრდილი ჴელიდამ გავუშვი და ქაიხოსრო მოყვარედ დავიჭირე,მერმე გამწირა და ბერუკასა მიუდგა."(დოლიძე 1972:56-57).

ამავე საბუთში მეორეგანაც ვკითხულობთ: „სარჩლა კიდევ ბატონმან: „რომე შუილსავით ბერუკა გავზარდეო(დოლიძე1972:59).

ვფიქრობთ, რომ XVII საუკუნეში დიდ მოურავს უნდა აღეზარდა თავისი ცოლისძმა ზურაბ არაგვის ერისთავი, რომელსაც სამხედრო წრთობა მიაღებინა და "სამამაცო ზნე" ასწავლა, რასაც მოგვითხრობს ბერი ეგნატაშვილი: "რამე-თუ, ესე ზურაბ გაეზარდა მოურავსა, პატარა ყმაწვილი და იყვნენ ერთმანეთისთვის დიდად ერთგულნი და უწყოდნენ, უკეთუ ესენი ერთმანეთს გაეყრებოდნენ, მაშინ წახდებოდა საქმე ამათი, და ამისათვის მორჩილებდნენ ერთმანეთსა"(ბერი ეგნატაშვილი1959:407).

„ზურაბს შევსთვალე: „რაც იცი სულ ჩემი ნასწავლებია,
ოსტატს არა ხამს ჭიდება, ვისაც შეგირდი ხლებია,
როდესაც მე დავიკარგო, გაჩდების, ვით დასაგდებია!
და ორთავე სწადდათ სიკვდილი, აწ მარტო გარდახდებია".
(იოსებ ტფილელი 1939:41) .

როცა მარაბდის ომის შემდეგ ზურაბ არაგვის ერისთავი თავისი შეხედულებისა და პირადი ინტერესების გამო თეიმურაზ მეფის ბანაკში აღმოჩნდა, ეს უწყინა მას მოურავმა. აქ, ჩანს, დარღვეულია ერთგულება და მორჩილება აღმზრდელსა და აღზრდილს შორის: " ხოლო განდიდნა ზურაბ ერისთავი და არღარა უდებდა მოურავსა თავსა, და სიძეც იყო ბატონის თეიმურაზისა, ამისთვისაცა ცდილობდა, იწყინა მოურავმა მისი თავისდაუდებლობა, ამანაც აღარ ახსენა და ამაში შეექმნათ შური და მტერობა" (ბერი ეგნატაშვილი 1959:411).

„ზურაბს ეთქვა: მოყვარეც ხარ, მერმე კარგი ამხანაგი,
ჩვენსა შუა არ ყოფილა წყენა რამე, ერთი დანგი,
მაგრამ ბატონს მივდგომივარ, რაც რომ ძალ მიც მე ვარ მარგი,
და მზის მამას არ ვუშველო, მე რას მეტყვის პირი მანგი“.
(იოსებ ტფილელი 1939:42.)

ვფიქრობთ, რომ ისინი მოიქცნენ ისე, როგორც ორივეს უკარნახა საკუთარმა შეხედულებამ, ნებამ, გონებამ, აზროვნებამ და ინტერესებმა. რაც შეეხება გიორგი სააკაძის აღზრდასა და განათლებას, რაიმე პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გიორგი მაღალი სამოხელეო არის-ტოკრატიისა და მეფის კართან დაახლოვებული ოჯახიდან იყო, მაშინ მასაც ისეთივე აღზრდა უნდა მიეღო, როგორსაც იმდროინდელი ფეოდალური წრის წარმომადგენლები იღებდნენ (ჯამბურია 1964:5).

ვინც კი შეხებია ამ პერიოდის საქართველოს ისტორიას, სულ ერთია გიორგი სააკაძის მომხრე იყო თუ მოწინააღმდეგე, ქართველი თუ უცხოელი (სომეხი არაქელ თავრიზელი, თურქი მუსტაფა ნაიმა, სპარსელი ისქანდერ მუნში, იტალიელი დონ ქრისტეფორო დე კასტელი), ერთხმად აღიარებენ მის სამხედრო ნიჭს, პირად სიმამაცეს, უჩვეულო ფიზიკურ სიძლიერეს (ოთხმეზური 1999:122).

ეს მისი სამხედრო საქმის ცოდნა, საბრძოლო ხელოვნება არაერთხელ გამოჩნდა თუნდაც ტაშისკარის და მარტყოფის ბრძოლებში, ხოლო მარაბდასთან მისი ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობიდან ჩამოცილებამ მარცხი მოუტანა ქართველობას. მარტყოფის და მარაბდის ომის შემდეგ შაჰ-აბას I-ის უძლეველობის იდეას საფუძველი შეერყა, რაც, სწორედ, გიორგი სააკაძის დამსახურებაა. ამას აღნიშნავს კიდეც თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი: “40 წლის განმავლობაში შაჰს ასეთი დიდი ზარალი არ განუცდიაო” (ფეჩევი 1964: 83, 85).

იოსებ თბილელი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ გიორგი სააკაძის მხლებლები მისი “ზრდილნი” იყვნენ, მიუხედავად მათი სოციალური წარმომავლობისა, მათთვის დამახასიათებელი მთავარი თვისება უნდა ყოფილიყო “სამამაცო ზნეთ ცოდნა”:

“ადრე ვიცოდი შეტყობა კარგი კაცისა ცნობანი,
და დაბალ კაცსა შევმატი არ უკვი დიაღ მტრობანი,
ვის რო კარგი რამ შევატყვი კაცობის ჰქონდა ხალისი,
ცხენ იარაღით შევამკი ძველი ქნის ახალი ისი,
დღეს ერთი გამოვაჩინი, მოვკაზმე მერმე ხვალ ისი,
და კაცობისა სწავლას ელტვოდეს ვით ოქრო დავახალისი“.
(იოსებ ტფილელი 1939:48-49).

არჩილ მეფის “საქართველოს ზნეობანში” ფეოდალურ ზნეთა სწავლება მხატვრულად არის წარმოდგენილი. ამავე ნაწარმოებიდან ჩანს, რომ “სამამაცო ზნე” იყო კიდევ “ხრმლის ცემა”, “ლახტის თამაში”, “ბევრგვარ ბრუნება შუბისა” და სხვა:

„აშფაშაქი და ყაბახი,ბუ[რ]თის სროლა,მესეფქობა,
კარზედ ცხენია გაჭენება,ხელ-ძალიან ჯირითობა,
ახლა ესეც ზნედ დაიდვა მოუცდენი მეთოფობა,
და ის უწიცა ვარგებულა ხელ-ფეხი და ქვეითობა.“
(არჩილი 1936:4) .
„ისრის თლა, სწორად გაქლიბვა, სეფქის გაწყობა,
მშვილდის ჩაგდება, ყულაჯი, ქარქაშის კარგა ჩაწყობა,
არც შორი-შორ და არც სულა ახლო ერთმანეთს მიწყობა,
ჩოგნის მოხვრეტა, მობანდეა, სწორის ბურთისა გამოჭრა;
ბურთაობის დროსა ასპარეზს პირმხიარულად გადმოჭრა,
ცხენის მოხტომა უხელოდ, იმის დროს ფიცხლად გადმოჭრა,
და მიპატრობა სახმობის, ამორთმა ხურდის ამოჭრა,
ხრმლის ცემა, ლახტის თამაში, ბევრგან ბრუნება შუბისა,
საცერის წყობა, მათრახის ბილდიგრა რა შეუბისა,
ისარი სხვილი და გრძელი, ხელით არ დადება უბისა,
და ვისაცა არა აქვს, უძრახენ, სხვმან სხვას მიუუბნისა.“
(არჩილი 1936:6).

გვიანდელი ჩანაწერის მიხედვით რაინდული ტურნირი იმართებოდა ქუთაისში სოლომონ II დროსაც. სასახლის მოედანზე, მეფე დაჯდებოდა ცაცხვის ქვეშ, ქვის დიდ სკამზე და უმზერდა, თუ როგორ ვარჯიშობდნენ და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ახალგაზრდა თავად-აზნაურები ჯირითში, ხელშუბის ტყორცნასა და მიზანში თოფის სროლაში. მეფის კარზე თავადების აღზრდა ცენტრალური ხელისუფლების ირგვლივ მათ შემოკრებას და მათ პოლიტიკურ წვრთნასაც ისახავდა მიზნად (სოსელია 1981: 212-213).

სამხედრო საქმის ორგანიზაცია უშუალოდ ასახავს საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ განვითარების დონეს(ჩხატარაიშვილი 1979:6).

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ ყოველ წოდებას სახელმწიფოს წინაშე თავისი სამსახური ჰქონდა სამხედრო ბეგარის სახით, რისთვისაც გარკვეული ქონებრივი სახსარი უნდა ჰქონოდა, რომ თავისი მოვალეობა პირნათლად შეესრულებინა(ჯავახიშვილი 1949:26-27).

ნადირობა უძველესი დროიდანვე სამხედრო საქმესთან იყო დაკავშირებული, მისი მნიშვნელობა გაიზარდა ფეოდალიზმის ეპოქაში. ფეოდალურ ევროპაში ნადირობა ომის საუკეთესო სკოლად ითვლებოდა, რადგან იგი მოლაშქრეებს აჩვევდა სიძნელეთა დაძლევას, უშიშრობას, მოსაზრებულობას, იარაღის ხმარებას. ნადირობის დროს სწავლობდნენ მანევრირების სხვადასხვა სამხედრო ხერხებს (ჩხატარაიშვილი 1979:161).

შუა საუკუნეების ევროპაში “მაღალი ნადირობა” “ფეოდალური ზნეობის”და “ზრდილობის” ერთერთი ელემენტი იყო. იგი განსაკუთრებით რაინდულ წრეს ახასიათებდა. ქართულ საისტორიო წყაროებში მრავლად მოიპოვება ცნობა ნადირობის

შესახებ ფეოდალურ საქართველოში, რომელიც “ზნეობის” და “ზრდილობის” ერთერთი შემადგენელი კომპონენტი იყო. როგორც კი ფეოდალის ვაჟი ცხენზე შეჯდომას შეძლებდა, მას ცხენოსნობას ასწავლიდნენ და სანადიროდ დაჰყავდათ (ჩხატარაიშვილი 1979:166-167).

ქართულ წყაროებში არაერთი კარგი მონადირეა ნახსენები, მათ შორის, ქართლის მეფე ლუარსაბ II(1606-1622) და დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. “ქართლის ცხოვრებაში” გადმოცემულია ცნობა ლუარსაბ მეფის უბადლო ნადირობაზე, როდესაც იგი შაჰ-აბას I (1587-1629) მიიპატიჟა სანადიროდ: “რამე-თუ ესე ლუარსაბი იყო კაცი მშვენიერი და კეკლუცი, ...და არსად გამოსულა ამისთანა მშვენიერი და შემკობილი კაცი, ყოვლისა საღმთო საკაცობოთ ზნეობით გათავებული და უკლები, მაშინ მოინადირეს ყარაია და მოკლა მეფემან ლუარსაბ კარზე ცხრამეტი და რა ნახა ესე შაჰაბაზ უფროსად აღეგზნა გულსა მისსა შური”(ბერი ეგნატაშვილი 1959:395.).

ამის თაობაზე ლუარსაბი გააფრთხილა მისმა დამ, “მე ვიცი შურიანი და ხვანჯიანი კაცი არისო, და ეწყინებაო შენი სიკეთე გულშიაო. პირადად კი ვერაფერს გეტყვისო, მაგრამ ერიდე და ფრთხილად იყავიო, მაშინ ლუარსაბ უთხრა: “აწ რა ვქნა, რა გინდ რომ ავად ვეჩვენო და ხელი შევუწყო, ეს ხომ ვიცი არღარ გამიშვებსო, და ისევ ისე კარგად ვეჩვენები, ისი სჯობსო” (ბერი ეგნატაშვილი 1959:396).

უძველესი ცნობა საქართველოს სამეფოს ნადირობის უწყების შესახებ XII საუკუნის II ნახევრისაა. თამარის დროს იხსენიება ტყისმცველთუხუცესი. სახელმწიფო ნადირობის უწყების ორგანიზაცია კარგადაა ასახული “ხელმწიფის კარის გარიგებაში” (XIV ს-ის I ნახევარი), რომლის მიხედვით სახელმწიფო ნადირობის საგანმგებლო სათავეში დგას კარის მოხელე-მანდატურთუხუცესი. მისი თანამდებობა საპატიოა, ხოლო თვით მოხელეს განსაკუთრებული პრივილეგიები ჰქონია (ჩხატარაიშვილის 1979:172.)

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ ნადირობის ერთიანი სახელმწიფო გარიგება მოშლილა. ერთიანი ლაშქარ-ნადირობის მოშლის გამო, მანდატურთუხუცესის ფუნქციები არისტოკრატიული დროისტარების, ფრინველთ ნადირობის გამგის ბაზიერთუხუცესის ხელში გადავიდა. ცალკეულ სამეფო-სამთავროებში ნადირობის უწყების გამგებელი ბაზიერთუხუცესი გახდა(ჩხატარაიშვილი 1979:174).

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში სახელმწიფო ტყეთა ნაწილი საქართველოში უკვე სამეფო ნაკრძალია, მეფის სანადიროა. (ჩხატარაიშვილი1979: 186).

ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ: “აჯამეთს არს სანადირო მეფეთა, აღვსილი დიდი-მცირეთა საქებელი ფრიად” (ვახუშტი ბატონიშვილი 1973:755).

XVII საუკუნეში ნადირობის რეგალია ჩანს შანშე ქსნის ერისთავისა და ამილახორის მამულის გამიჯვნისას, საგანგებოდ არის აღნიშნული, რომელს სად აქვს ნადირობის უფლება. აქვე ჩანს “დაცული მთაც”, რომლის გარეთაც შეუძლიათ ამ ფეოდალებს ნადირობა. ეს “დაცული მთა”, როგორც ჩანს, მეფის სანადირო ადგილია. (ჩხატარაიშვილი 1979:189).

სანადირო ადგილები და მათი რეგალია თავადებს, ვფიქრობთ, მეფის დარად ჰქონდათ მოწყობილი. თუ როგორ იყო აზნაურებთან ეს საკითხი, გარკვევით არ არის ნაჩვენები. XVII საუკუნეში ქართველ მხედართმთავარს გიორგი სააკაძესაც გააჩნია დიდი სანადირო ტყე სოფელ უგუდეთის მახლობლად (ჯამბურია 1964: 33).

მართალია, სააკაძე ამ დროისათვის სამეფო აზნაურია, მაგრამ მის მიწა-მამულს თუ გადავხედავთ, არაფრით ჩამოუვარდება თავადთა სამფლობელოს(ოთხმეზური 1999:122) (ჯამბურია 1964:28-33).

მისი მამულების ზრდა მიმდინარეობდა მეზობელი სათავადოების ხარჯზე.

ვფიქრობთ, რომ მას სანადირო ადგილების რეგალია ისე ექნებოდა მოწყობილი, როგორც თავადებს.იმ თავადების მენტალობისთვის კი ეს ყოვლად მიუღებელი იყო:

მან ჯარი დაიხვია, არ ეტევის მინდორს, ველად, და თავს არ გვიდებს საპატრონყმოდ წყალობისა არ მადლმხდელად”(იოსებ ტფილელი1939:5.)

საკვლევი პრობლემის ანალიზმა საშუალება მოგვცა, მეტ-ნაკლები სისრულით წარმომეჩინა მენტალობის კვლევის მნიშვნელობა აღორძინების ხანის ქართული პოეზიის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენლის იოსებ თბილელის პოემის „დიდმოურავიანის“ ანალიზის საფუძველზე.

აღორძინების ხანის პოეტის და საზოგადო მოღვაწის, თბილისის მიტროპოლიტ იოსებ თბილელის(სააკაძის) ისტორიული პოემის „დიდმოურავიანის“ და სხვა ქართული წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე, მოცემული გვაქვს იოსებ თბილელის ბიოგრაფიის ერთი დეტალის დაზუსტება და მისი როგორც სასულიერო პირის მენტალური შეხედულებები.

წარმოდგენილ თავში გამოკვლეული გვაქვს ქართული თავადური მენტალობის სხვადასხვა საკითხები: როგორიცაა, სამშობლოსადმი სიყვარული, მეფის ხელისუფლების უზენაესობის აღიარება და მისდამი ერთგულება, პირადი ინტერესების პრიორიტეტულობა, რელიგიის, სწავლა-განათლების და აღზრდის როლის გავლენა ინდივიდის ჩამოყალიბებაში. იოსებ თბილელი თავის პოემაში აყალიბებს ზოგადსაკაცობრიო მაღალზნეობრივ იდეებს, მაგალითების ფონზე პოემაში ნაჩვენებია, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი ზნეობრივად და მორალურად სრულყოფილი, როგორი უნდა იყოს ქრისტიანი ქართველი თავისი მენტალური მსოფლმხედველობით.

ასეთი ჩანს თავადური მენტალობის ზოგადი საკითხი ჩვენ მიერ შესწავლილი საკვლევი პრობლემისა.

დასკვნა

მენტალობის/მენტალიტეტის ანუ ერის ფსიქოლოგიის, ცალკეულ ადამიანთა თუ საზოგადოებრივი ჯგუფების გონებრივი ჩვევების, ტრადიციების, აზროვნების და სულიერი განწყობების შესწავლა უაღრესად აქტუალურია თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებაში.

XVII საუკუნის დასაწყისში საქართველო უკვე აღარ წარმოადგენდა ერთ მთლიან და ძლიერ სახელმწიფოს. ამ პერიოდში საქართველო ეკონომიურად დაქვეითებული და პოლიტიკურად დაქუცმაცებულია, ჯერ მონღოლების ასწლოვანმა ბატონობამ(XIII ს. 30-იანი წწ.-XIV საუკუნის-30-იანი წწ.), მერე თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა საქართველოს, ხოლო XV საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოს ისტორიაში უაღრესად რთული და აწეწილი ხანაა, ერთი მხრივ, ქართველი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს აწარმოებდა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ მეორე მხრივ, ომები წარმოებდა ქვეყნის შიგნით .

XVII საუკუნეში ზოგიერთი მსხვილი ფეოდალის სიძლიერე იქამდე იყო მისული, რომ ცოტაღა აკლდა ქვეყნის მართვის უფლებამდე(მაგ არაგვის ერისთავები). ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური, კულტურული მდგომარეობის შესწავლა სრულყოფილი ვერასოდეს იქნება, თუ არ მოხდა ამ ეპოქის საზოგადოების მენტალობის შესწავლა.

დასავლეთის მედიევისტიკაში ყურადღება ექცევა, როგორც საზოგადოებას, ეკონომიკისა და სოციალური სტრუქტურების კვლევას, ასევე, უპირატესად ადამიანის ფაქტორს, მენტალიტეტს განსაზღვრავენ როგორც განვითარებად სისტემას, რომლის ყველა ელემენტი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, „ანალების სკოლის“ ფუძემდებლის მარკ ბლოკის მიხედვით ისტორია მოწოდებულია მოიცვას ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება მთელი მისი სისრულით. ადამიანური მგრძნობიარობა, სასოწარკვეთა და მრისხანების აფეთქება, განუსჯელი მოქმედება, მოულოდნელი სულიერი გარდატეხანი, რომლებიც საბოლოო ჯამში დიდ გავლენას ახდენენ პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე.

ჩვენი სადოქტორო თემა ,,თავადური მენტალობის საკითხი XVII საუკუნის საქართველოში იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ მიხედვით, სწორედ ამ მიმართულებით კვლევის მცდელობას წარმოადგენს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. საკვლევმა თემამ მოგვცა შემდეგი ძირითადი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა: როგორც შესავალში აღვნიშნეთ, სადოქტორო სადისერტაციო თემის სრულყოფისთვის გამოვიყენეთ არაერთი როგორც ქართული, ასევე, უცხოური წერილობითი წყარო. მათ შორის XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზელის „ისტორიათა წიგნი“, სადაც საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მოცემული ცნობები ქართლისა და კახეთის სამეფოების სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური

მდგომარეობის შესახებ. თუმცა კვლევის პროცესში დაკვირვებისა და ანალიზის შემდეგ გამოვავლინე არაერთი უზუსტობა:

ა) არაქელ თავრიზელის მიხედვით: შაჰ-თამაზმა „თბილისის მეფე დიდ სიმონ-ხანს(საუბარია ქართლის მეფე სიმონ I-ზე 1556-1600 წწ.) მძევლები გამოართვა ასული და ძმა.“1. სიმონის ძმა დავითი (დავით IX- დაუდ-ხანი 1564-1578 წწ.) თვითონ ეახლა შაჰ-თამაზს ყაზვინში 1561 წელს, ერთგულება გამოუცხადა, თავისი სამსახური შესთავაზა და სარწმუნოებაც შეიცვალა, 2. ასულის გამძევლებას ქართველი მემატიანეები ბერი ეგნატაშვილი (XVIIIს.), ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.), ფარსადან გორგისჯანისძე (XVII ს.) არ ადასტურებენ. ცნობას ვხვდებით მხოლოდ არაქელთან, სხვა შემთხვევაში ქართველი ისტორიკოსები არ მალავენ გამძევლების ასეთ ფაქტებს და მათი ცნობა უფრო სარწმუნო ჩანს, ვიდრე არაქელ თავრიზელის.

ბ)კახეთის სამეფო კარზეც მომხდარ ამბებსაც მთელი რიგი უზუსტობებით მოგვითხრობს, რომკახეთის მეფე ალექსანდრე II -ის(1578-1605 წწ.) ვაჟს, გიორგის მოუკლავს თავისი უფროსი ძმა კახეთის მეფე დავითი გიორგი ბატონიშვილს თავისი უფროსი ძმა დავითი არ მოუკლავს, იგი მოულოდნელად ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. ასევე, არაქელ თავრიზელის ცნობით, მეფე ალექსანდრე II თავის უფროს ძეს დავითს ნებით დაუთმო სამეფო ტახტიო, სინამდვილეში დავითმა მიიტაცა სამეფო ხელისუფლება.

გ) არაქელ თავრიზელს არანაირი ცნობა არა აქვს, რომ ალექსანდრე II-ს დავითისა და გიორგის გარდა ჰყავდა კიდევ სხვა შვილები. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს საერთო ჯამში ჰყავდა 6 შვილი: აქედან 5 ვაჟი, ერეკლე, დავითი, გიორგი, კონსტანტინე, როსტომი და ერთი ასული ნესტან-დარეჯანი, რომელიც შემდგომში მიათხოვა სამეგრელოს მთავარს მანუჩარს, მამია დადიანის ძეს.

დ) არაქელ თავრიზელს არავითარი ცნობა არა აქვს ასევე მოცემული თავის „ისტორიათა წიგნში“ ისეთ თემაზე, როგორიც იყო შირვანის პრობლემა.

ე) არაქელთან უზუსტობას ვხედავთ ქეთევან დედოფლის სახელთან მიმართებაში, ის მის სახელს მოიხსენიებს როგორც „მარიამს“ და არა ქეთევანს, საქართველოს მნათობს წმ. ქეთევან ქართველს სახელი „მარიამი“ რომ რქმეოდა, ეს პირველ რიგში უნდა დაფიქსირებულიყო ქეთევან დედოფლის ვაჟის კახეთის მეფის თეიმურაზ I (1605-1648) პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა.“

ასევე არ არის სახელი „მარიამი“ ქართულ წერილობით წყაროებში: ბერი ეგნატაშვილან (XVIIIს.), ვახუშტი ბატონიშვილთან (XVIII), ასევე ფარსადან გორგიჯანისძესთან (XVII ს).

ვ) პირველად არაქელ თავრიზელთან ფიქსირდება ბრალდება იმის შესახებ, რომ თითქოს გიორგი სააკაძემ ურჩია ირანის შაჰს, შაჰ-აბას I-ს (1578-1629) საქართველოს დაპყრობა ზამთარში უფრო გაადვილდებაო და ასევე გაუვალი ტყე რომ ადვილად გადასალახი გამხდარიყო, გ.სააკაძის რჩევით ნაჯახებით და სხვადასხვა იარაღით ტყის გაკაფვა დაიწყესო. არადა ტყის, ხეხილის, ბაღ-ვენახების გაკაფვის მეთოდი სხვა

დამპყრობლებსაც აქვთ მანამდე გამოყენებული, თუნდაც თემურ-ლენგს. ასე რომ შაჰ-აბასს წესით ეს უნდა სცოდნოდა, აქედან გამომდინარე ვასკვნი, რომ მას ამ საკითხსში გიორგი სააკაძის რჩევა არ დასჭირდებოდა.

ამ ცნობამ მოგვიანებით ასახვა ჰპოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში: ბერი ეგნატაშვილთან(XVIIIს.) ვახუშტი ბატონიშვილთან(XVIII ს.).

დასახელებულ ქართველ მემატიანეთა მოსაზრებებიც ტენდენციურია, იმიტომ რომ საქართველოს მიმართ შაჰ-აბას I(1587-1629 წწ.) თავისი ანგარიშები ამოძრავებდა, კერძოდ, კახეთის დამორჩილებით და ამოგდებით იგი მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ირანის სახანოდ გადაქცევას ფიქრობდა. ჯერ ერთი, შაჰ-აბასი არ იყო ის პოლიტიკოსი რომელიც სხვისი ჭკუით ივლიდა, მეორეც მას კარგად ესმოდა, თუ რუსეთი ფეხს მოიკიდებდა საქართველოში, მაშინ ირანი მთელს ამიერკავკასიას დაკარგავდა, ხოლო კახეთის მეფე თეიმურაზ I იმ პოლიტიკას ადგა, რასაც თავის დროზე მისი პაპა ალექსანდრე II (1574-1605 წწ.).

ამრიგად, კახეთის რუსეთთან დაკავშირება აღიზიანებდა ირანის შაჰს და მისი მოქმედებაც ამით იყო განპირობებული ქართული სამეფო-სამთავროების მიმართ და არა გ.სააკაძის რჩევითა და თხოვნით. არაქელ თავრიზელის „ისტორიათა წიგნის“ მიხედვით მოურავი ყოველთვის ასმენდა ლუარსაბს და მისთვის სამაგიერო გადაეხადა სურდაო. რაში გამოიხატა „დასმენა“არცერთი ისტორიკოსი არ განმარტავს ამას, შაჰ-აბასის პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე იგი თავად იყო ბოროტების სათავე და ინსპირატორიც.

ჩვენთვის საინტერესო შეიქნა ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ნაწილი, სადაც მოცემულია: „ცხოვრებანი მეფისა ალექსანდრესი და ძისა მისისა მეფისა კონსტანტინესი...ვიდრე მეფისა როსტომამდე.“ ეს ხანა, როგორც წერენ ძველ კაცთა, სპარსთა ცხოვრების და ქორონიკონთა გუჯართაგან არის გადმოცემული.“ ჩვენი აზრით გამორიცხული არ არის, მათ რომ ჰქონოდათ სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზელის „ისტორიათა წიგნი“ მით უმეტეს რომ მისი ეს წიგნი 1669 წელს დაიბეჭდა ამსტერდამში.

დაშვებული უზუსტობის გამომწვევ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ისიც რომ ნაშრომის შექმნა მოხდა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, არაქელის ნაშრომში საქართველოს შესახებ ამბების თხრობა 1622 წლით სრულდება, ხოლო რაც შეეხება ცნობებს გ.სააკაძის შესახებ მის ნაშრომში, არაქელი ეყრდნობა მოსმენილ ამბებს, რომელიც ზოგ შემთხვევაში სიზუსტით არ გამოირჩევა და ეს შემდეგ დაფიქსირდა ქართველ მემატიანეებთან როგორც ბერი ეგნატაშვილთან, ასევე ვახუშტი ბატონიშვილთან.

მიგვაჩნია, გამორიცხული არაა ისიც, რომ არაქელ თავრიზელის ცნობები იმ წყაროებიდან მომდინარეობდეს, ვისაც ეყრდნობა ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი. დასაშვებად მივიჩნევთ იმასაც, რომ სამივეს ერთი წყარო ჰქონოდა.

ჩვენი საკვლევი თემის „თავადური მენტალობის საკითხი XVII საუკუნის

საქართველოში იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ მიხედვით“ ერთ-ერთ თავში მოცემული გვაქვს საგვარეულოების კვლევის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში. დასმული საკითხის არსი მდგომარეობს შემდეგში: თუ სრულყოფილად არ გვეცოდინება, რა დონეზე იყო საგვარეულების საკითხი განხილული გასულ საუკუნეში და რა მდგომარეობა გვაქვს დღეისათვის, ვერ მივიღებთ სასურველ შედეგს, რომ სრულფასოვნად წარმოვადგინოთ თავადური მენტალობის კლევა, საკითხის ისტორიოგრაფიული ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1912-2019 წლებს. საგვარეულოების ცალკეული საკითხების ანალიზი მოცემულია მკვლევართა სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებში.

სათავადოს რაობას, სიტყვა „თავადის“ მნიშვნელობას და მის დამახასიათებელ რამდენიმე ნიშან-თვისებას პირველად შეეხო ს.კაკაბაძე ნაშრომში

.მეცნიერს სათავადოს წარმოქმნა-წარმოშობა პროგრესად მიაჩნდა.მსგავსი თვალსაზრისი გამოთქვა მოგვიანებით ი.ანთელავამ.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, გვიანი შუა საუკუნეების ფეოდალური ხანის საქართველოს სენიორიების/სათავადოს საკითხი ერთერთი ძირითადი საკვლევი პრობლემა იყო აკად. ნ.ბერძენიშვილის მეცნიერულ-შემოქმედებაში, მანვე მოგვცა სათავადოს მეცნიერული განსაზღვრება.

ნ.ბერძენიშვილის ნარკვევის გამოსვლის შემდეგ მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება საქართველოს ცალკე სათავადოების შესწავლა. აკად. ნ.ბერძენიშვილის კონცეფციას სათავადოს განსაზღვრებასთან დაკავშირებით სრულად იზიარებს დ.გვრიტიშვილი და ნ.ასათიანი.

სათავადოს გაგების ნოდარ ასათიანისგან განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვს მოცემული გ.ჯამბურიას გ.ჯამბურია ნ.ასათიანის მოსაზრებებს არ იზიარებს. ამ საკითხზე მსჯელობა ნაშრომის შესაბამის თავშია წარმოდგენილი. აქ მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ უზუსტობაზე გავამახვილებთ ყურადღებას. კერძოდ. გ.ჯამბურია ნ.ასათიანს მიაწერს ქართლის სათავადოს ზოგად დახასიაათებას და სათავადოს დამახასიათებელი ნიშნების კლასიფიკაციას. თემის ისტორიოგრაფიული საკითხის კვლევისას გამოვლინდა რომ აღნიშნული თვალსაზრისი ეკუთვნის არა ნოდარ ასათიანს, არამედ დ.გვრიტიშვილს.

ჩვენთვის სათავადოს რაობა თავისი კლასიკური გაგებით მისაღებია აკადემიკოს ნ.ბერძენიშვილის კონცეფციის მიხედვით. ამის გათვალისწინებით შევისწავლეთ არაგვის საერისთავო -XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე. ამ ისტორიული მონაკვეთის შესწავლა მოგვიწია ქართული უცხოური წერილობითი წყაროს ანალიზის საფუძველზე. გავითვალისწინეთ ზოგიერთი სამეცნიერო თვალსაზრისი, რამაც მოგვცა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალება როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ასევე მენტალური ხაზითაც.

არაგვის საერისთაოს ახასიათებს ყველა ის სოციალურ-პოლიტიკური თვისება, რასაც ატარებს მისი მეზობელი სათავადოები. მათგან განსხვავებით არაგვის საერისთვო

მიისწრაფვის აშკარად მეტი დამოუკიდებლობისაკენ. მას აქვს პრეტენზია კახეთის რიგ მამულებზე ანუ „საკახეთო მამულებზე," რომელსაც თავისად თვლის და ამის გამო თავისებური დამოკიდებულება აქვს როგორც ქართლის, ასევე კახეთის მეფეებთან. არაგვის საერისთაო, როგორც გარკვეული ტერიტორიული ერთეული, ადრევე არსებობდა და ქართლის საერისთაოში შედიოდა.

XVII საუკუნის დასაწყისისთვის არაგვის საერისთაოს შესახებ ცნობებს გვაწვდიან რუსი ელჩები. მათი ცნობიდან ირკვევა, რომ არაგვის ერისთავი ნუგზარი ამ დროისათვის კახეთის მეფის ყმა არის, მაგრამ თავს საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდა, იმდენად დამოუკიდებელი იყო, რომ თავისი „პატრონის" დაუკითხავად ომს აწარმოებს მეზობელ ჩერქეზ ბატონთან, საგანგებო რწმუნებას და ძღვენს თხოულობს.

როგორც ჩანს, მოსკოვში არაფერი იცოდნენ, რომ კახეთში მისვლამდე საჭირო იყო ერისთავის საგანგებო რწმუნება. ელჩებს არაგვის საერისთაო კახეთის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდათ.

ერისთავი მიზნად ისახავდა, თავისი სამფლობელო როგორც დამოუკიდებელი ერთეული, ელჩების მეშვეობით რუსთა ხელმწიფისთვის ცნობილი გაეხადა. ელჩებმა ჩანს, აუწყეს რუსთ-ხელმწიფეს არაგვის ერისთავის ვინაობა და 1604-1605 წლის ელჩობისას მიხეილ ტატიშჩევმა ანდრია ივანოვმა ნუგზარ ერისთავს ბორის გოდუნოვის სიგელები და მისართმევი მიართვეს. აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ არაგვის ერისთავის ეს ქცევა იყო სწრაფვა მეტი დამოუკიდებლობისაკენ, რაც გამოხატავდა იმდროინდელი ფეოდალური საზოგადოების მენტალიტეტს.

უცხოური წყარო პირდაპირ მიგვითითებს, რომ არაგვის ერისთავების „პატრონი" გახლდა კახთა მეფეები, მაგრამ როდის ხდება მანამდე ქართლის სამეფოში შემავალი არაგვის საერისთავოს კახეთის მეფის ყმობაში გადასვლა, ამის შესახებ ქართული წერილობითი წყაროები პირდაპირ არ გვამცნობენ. ამ წყაროების ანალიზმა მოგვცა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალება: ქართული წერილობითი წყაროების ანალიზმა გვიჩვენა, რომ არაგვის საერისთაოს გადასვლა კახეთის მეფის ყმობაში მოხდა 1569-1574 წლებში, როდესაც ქართლს დაუდ-ხანი განაგებს. არაგვის საერისთაო კახეთის ყმობაში ჩანს ალექსანდრე II გარდაცვალებამდე (1605 წლამდე).შაჰ-აბას I-ის შემოსევების დროს იგი კვლავ ქართლის შემადგენლობაშია.

საკვლევი პრობლემის ანალიზმა საშუალება მოგვცა, მეტ-ნაკლები სისრულით წარმოგვეჩინა მენტალობის კვლევის მნიშვნელობა აღორძინების ხანის ქართული პოეზიის ერთერთი შესანიშნავი წარმომადგენლის, იოსებ თბილელის პოემის „დიდმოურავიანის" ანალიზის საფუძველზე.

იოსებ თბილელი აღორძინების ხანის ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი წარმომადგენელია. მისი პოემა „დიდმოურავიანი" მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს წარმოადგენს მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიული ვითარების გასათვალისწინებლად.

ქართული აზროვნების ისტორიაში იოსებ თბილელი არის „მართლის თქმის"

პრინციპის მომხრე. პოემა „დიდმოურავიანში“ XVII საუკუნის პირველი მესამედის საქართველოს ისტორიის ფონზე მოცემულია გიორგი სააკაძის ცხოვრება-მოღვაწეობის და თითქმის ყველა მომენტი. იოსებ თბილელი არის უაღრესად ერუდირებული პიროვნება, სასულიერო პირი.

მისი ბიოგრაფიის და პოემა „დიდმოურავიანის“ შესწავლით გამოირკვა: ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იოსებ თბილელი არის არჩილის მასწავლებელი (კეკელიძე, ლეონიძე, ფირცხალაიშვილი, გვარამაძე, ს.ლორთქიფანიძე). ვფიქრობთ, რომ იოსებ თბილელის როგორც „მასწავლებლის“ გაგება ვიწრო ხაზით არ შეიძლება. ვთლით , რომ იოსებ თბილელი არჩილის სულიერი მოძღვარიც გახლდათ, არა მარტო არჩილის, არამედ მთელი სამეფო ოჯახისა. თავისთავად სავარაუდებელია, რომ ვახტანგ V შაჰნავაზი (1658-1676) უფლისწულების და მათ შორის არჩილის აღზრდას სულიერების თვალსაზრისით თბილისის მიტროპოლიტს იოსებ სააკაძეს მიანდობდა. იმ იოსებს, რომელიც თავისი მსოფლმხედველობით სამეფო დინასტიის ერთგული იყო და მეფის ერთგული მსახურებისთვისაც დაიღუპა 1688 წელს. იოსებ თბილელი რომ არჩილის სულიერი მოძღვარი უნდა იყოს ამაზე შემდეგი ამონარიდი მიუთითებს: „იოსებ მასწავლა წმინდა საკვირველებათა სავსე წიგნი ესე, სახელით ოდენ მეფისა“. ამ ამონარიდს კეკელიძის გარდა იყენებს რ.ფირცხალაიშვილი, ს.გვარამაძე. სულ სხვა მნიშვნელობით. ჩვენთვის „წმინდა საკვირველებათა სავსე წიგნი“ არ უნდა იყოს სხვა რამ თუ არა წმინდა წერილი (იგვივე წმინდა ოთხთავი ანუ ქართველებისთვის და ყველა მართლმადიდებლისთვის წმინდა წიგნი „სახარება“). მისი სწავლება არჩილისთვის შეეძლო მის მოძღვარ-მასწავლებელს, იოსებ თბილელს, რომელმაც დიდი გავლენა იქონია არჩილის პიროვნების და მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ჩვენი თვალსაზრისით, იოსებ თბილელის ღრმად განსწავლულობაზე უნდა მიუთითებდეს შემდეგი ამონარიდიც, რომელიც ამოვიკითხეთ იოანე ბატონიშვილის კალმასობაში: „იოსებ თბილელი არხიერი, სააკას-ძე ესე იყო საფილოსოფოსთა და წერილთა შინა გამოცდილი, საყვარელი მეფეთა და ერთაგან. ამან შეთხზა სხვადასხვა პიიტიკანი ანუ შაირნი სასმენელად საამონი. ესრეთ განვლო ცხოვრებაჲ თჳსი კეთილად. აქაც ნახსენები „წერილთა შინა გამოცდილი“ სხვა არაფერია თუ არა წმ. წერილი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ იოსებ თბილელი გახლავთ სულიერი მოძღვარი და მასწავლებელი მეფე არჩილისა.

იოსებ თბილელის მოღვაწეობის და მენტალიტეტის განმსაზღვრელია ის, რომ იგი გახლდათ სასულიერო პირი. თავის პოემაში იგი აყალიბებს ზოგადსაკაცობრიო მაღალზნეობრივ იდეებს, მაგალითების ფონზე მთელს პოემაში ნაჩვენებია, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი ზნეობრივად და მორალურად სრულყოფილი, როგორი უნდა იყოს ქრისტიანი ქართველი თავისი მენტალური მსოფლმხედველობით. ეკლესია ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის იყო ბურჯი ერთიანობისა. იოსებ თბილელი როგორც სასულიერო პირი, ჩანს, რომ ბოლომდე იბრძოდა თავისი სიტყვით და საქმით, ამ

ერთიანობისთვის მისთვის მისაღები იყო: „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის მათნი სულნი ზეცას რბიან (რუსთაველი).

თბილელთან კი ვკითხულობთ:

„შენ ყოფილხარ მამაცურად, მოგხდომია გამარჯვება,

ეგრე თქმულა, ზეცასა რბის მეფეთათვის ვინცა კვდება.“

მეფის პატივისცემისა და გაღმერთების წეს-ჩვეულება, რომელიც „ხელმწიფის კარის გარიგებაშია“ მოცემული, შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენდა, ფეოდალური სახელმწიფოების ისტორიას არ ახსოვს მეფე, რომელიც ძლიერებისკენ არ მიისწრაფვოდა. იოსებ თბილელი, სასულიერო პირი, მეფის ერთგულ მსახურებაში ხედავდა საქართველოს ერთიანობის იდეას, ეს ერთიანობა უნდა ყოფილიყო თავადის მენტალობის განმსაზღვრელი, ბატონზე (პატრონზე) გამარჯვება არ იყო მისაღები. მეფე თავადის პატრონია, თავადი კი აზნაურის და ყმა-გლეხის. იოსებ თბილელის იდეალი ადამიანი ასეთია:

„ბრძანება არის ბატონზე ყმასა არ გამარჯვებია,

ბატონი რომე ტყუოდეს ისრივ ყმას დამარცხებია,

პატრონის შებმა არა ხამს, ყმას ხმალი გაუცვილდების,

რაგინდ ყმას ბევრი ჯარი ჰყვეს ცრემლი იმასვე სდინდების“.

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ფეოდალურ საზოგადოებაში მცხოვრებ ადამიანებს თავისთავადი ზნეობრივი მორალი შეუქმნა, შეუდრეკელობა და ერთგულება, სიტყვის შენახვა, მართლის თქმა იყო ის მთავარი ღირსება, რაც ამ ეპოქის ადამიანებს უნდა ჰქონოდა, რაც მოეთხოვებოდა მამაკაცს, მეომარს, სამხედრო არისტოკრატიას საქართველოში.

ქრისტიანული მორალი უნდა ყოფილიყო ყველაფრის განმსაზღვრელი, მაგრამ ვერ ხერხდებოდა ზოგჯერ „პატრონის“ ერთგული სამსახური. მეფის ღვთიური წარმომავლობა ჯერ კიდევ დაფიქსირებულია X საუკუნის ქართულ ჰაგიოგრაფიის ერთერთ თვალსაჩინო საისტორიო წყაროში გიორგი მერჩულის „ცხოვრება და მოქალაქეობა გრიგოლ ხანძთელისა,“ ბაგრატიონთა გვარის ისტორიკოსთან, სუმბატ დავითის ძესთან(XI ს.), დავით აღმაშენებლის ანონიმ ისტორიკოსთან -„ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი“(XI ს.). წმინდა ოთხთავში ვკითხულობთ, რომ: „მონანი ერჩდით ხორციელთა უფალთა თქვენთა შიშით და ძრწოლით სიწროებით გულისა თქვენისთა ვითარცა ქრისტესა და უფალნი ეგრეთვე ჰყოფდით მათდა მიმართ, რათა თქვენი უფალი ცათა შინა არს“. აქ საუბარია იერარქიულად ხორციელი ბატონის და მონის ანუ ყმის ურთიერთდამოკიდებულების, პატივისცემის საკითხთან, ანუ ისე უნდა უყვარდეს ადამიანებს ერთმანეთი, როგორც უფალს უყვარს ადამიანები. ამ შემთხვევაში მეფის ღვთიური წარმომავლობაა ხაზგასმული ამდენად იმსახურებს მორჩილებას, მაგრამ ხორციელი ბატონიც ვალდებული არის ერთგულ ყმას გაუფრთხილდეს. ეს სწავლება ჩანს იოსებ თბილელის „დიდმოურავიანში,“ რასაც თბილელი მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახით გვაძლევს:

პატრონყმობა განა ჩვენგან იცით ზეცით დასახულა,
სოლომონ და დავით ორნივ თვალით მეფედ კვლავ ნახულა,
როგორც ყმისა სამსახური, ყმა პატრონთან შენახულა“
და უბრალოდ ყმის წამხდენი პატრონზედაც მწვე ძრახულა.“

ურთიერთსიყვარულზე, პატივისცემაზე უნდა ყოფილიყო აგებული მეფისა და თავადის ურთიერთდამოკიდებულება. ამას ასწავლიდა ქართველებს და ყველა ქრისტიანს წმ.წიგნი რომელიც გარემოებათა გამო ხშირად უგულვებელყოფილი იყო და ამიტომაც გახლდათ სულიერი კრიზისი საზოგადოების მენტალიტეტში.

ჯალალედინის, მონღოლების, თემურლენგის მრავალწლიანმა სისხლიანმა თარეშმა უაღრესად მძიმე სოციალ-ეკონომიური პირობები შექმნა, ასევე დაირღვა სულიერი კულტურის ჯაჭვიც. ქართველი კაცის მენტალიტეტში ღრმად იყო გამჯდარი ღვთისადმი მადლერიება, რომელიც წირვა-ლოცვით გამოიხატებოდა. უფლის სადიდებელი, კარის ტაძარი ყველა სახის ფეოდალის საცხოვრებელი სახლის ტერიტორიაზე იყო განთავსებული, ეს მოცემულია არაერთგან ი.თბილელის პოემა „დიდმოურავიანში“.

ქართული ეკლესია იყო ბურჯი ეროვნულობისა, ქართველობისა, მაჰმადიანურ იმპერიებთან მებრძოლი ხალხისა, ამიტომ ის მიუღებელი იყო ოსმალეთის და ირანისათვის. ქართველი ისტორიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ XVII საუკუნეში როსტომ-ხანის მმართველობის ხანაში ხდება თავადთა მენტალობის დეგრადირება, ზნეობათა და ზრდილობათა გადაგვარება, ყოველგვარი ცოდვისკენ მიდრეკვა,(ბერი ეგნატაშვილი XVIII ს. (ვახუშტი ბატონიშვილი XVIII). ამის საწინააღმდეგოდ მთელი ზოგადსაკაცობრიო იდეალები ჩამოყალიბებული აქვს იოსებ თბილელს, რომლის განხილვას აქ არ შევუდგებით რადგანაც ეს წარმოდგენილია სადოქტორო ნაშრომის შესაბამის თავში.

ქართველების ერთ ნაწილს, ვახუშტი ბატონიშვილისავე ცნობით, წმ.ზიარების მიღებაც კი სირცხვილად მიაჩნდათ. აქ სახეზეა პირველ რიგში სააზროვნო სისტემის, მენტალიტეტის ცვლა რეგრესისკენ. როგორც ერთი ინდივიდის თუ მთლიანობაში ჯგუფის წევრების ქვეცნობიერი თუ არა ქვეცნობიერი მოქმედებები აისახება ერის სულიერ და კულტურულ თვისებებში.

სოციალურ-პოლიტიკური საკითხები, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ კარგად არის შესწავლილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელსაც გვერდს ვერასოდეს ავუვლით. ჩვენს სადოქტორო ნაშრომში ვეცადეთ წარმოგვედგინა ინდივიდუალური მოქმედებები, რომელიც საბოლოო ჯამში ქმნის საზოგადოების მენტალურ სახეს. ეს არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა, თუმცა მეტად საინტერესო შეიქნა.

აქედან შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთებაც: მაგალითად, ზაალ არაგვის ერისთავის პიროვნების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ჩვენი თვალსაზრისით, ზაალი არის მენტალურად ქართველი. ზაალ არაგვის ერისთავს ვხედავთ ქრისტიანობისთვის მებრძოლ წმინდა

ევდემონ კათოლიკოსის გვერდით, იბრძვის როსტომ-ხანის წინააღმდეგ. ზაალისთვის ქვეცნობიერად მიუღებელი გახდა ხუცესის შეურაცხყოფის ფაქტი, რამაც აღაშფოთა ქართველი თავადი საბოლოოდ და 1660 წელს ბახტრიონის აჯანყების მოსამზადებელი ფინანსური სახსარი, ჩვენი აზრით მას უნდა გაეღო.

ირანისა და ოსმალეთის ბატონობა არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველს აცლიდა ქვეყანას, არამედ ამასთან ერთად მათი მიზანი იყო ქვეყანაში მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრა, რაც ყველაზე მეტად შეუწყობდა ხელს ქართველი ხალხის ასიმილაციას, მენტალიტეტის ცვლას. სამეცნიერო ლიტერატურაში ამის შესანიშნავი მაგალითია სამცხე-საათაბაგოს ისტორია. XVII საუკუნეში როცა საფარ ფაშას(1628-1651) ჯერ კიდევ „გურჯისტანის გამგებელს“ უწოდებდნენ, სწორედ ამ დროიდან იწყება მესხეთის თავადთა გამაჰმადიანება. ფეოდალების გამაჰმადიანება გარდაუვალი იყო. ნაწილი კი ინარჩუნებდა გარკვეულ დრომდე ქრისტიანულ სარწმუნოებას.

ქვეყნისთვის უმძიმეს ხანაში XVII საუკუნეში მამულის გადარჩენის გზის მაჩვენებლად არაერთი ქართველი იქცა თავისი მოწამეობრივი აღსასრულით. მაგ. წმ ქეთევან ქართველი, რომელიც მართლმადიდებელ ქრისტიან ოჯახში დაიბადა. სარწმუნოების დაცვისთვის გააფთრებულ ბრძოლაში უდიდესი როლი მაგალითის ძალას ენიჭებოდა. სამშობლოსთვის, მოყვასისთვის სიკვდილი ქრისტესთვის თავგანწირვას ნიშნავდა. გაცნობიერებული ჰქონდათ რომ, სიკვდილი მოკვდავი ადამიანისთვის გარდაუვალი იყო და ამას არ უნდა შეშინებოდნენ. ამისი შესანიშნავი მაგალითია ბახტრიონის აჯანყების გმირები: კახეთის სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ისინი ქრისტესთვის სიკვდილს ეძიებენ, ესეც ურყევი მენტალობის ნიშანია. ეს საკმაოდ კარგად არის ასახული ბერი ეგნატაშვილის „ახალ ქართლის ცხოვრებაში“

სადოქტორო სადისერტაციო თემაში გვერედი ვერ ავუარეთ ისეთ საკითხს როგორიც იყო „აღზრდილ-შეზრდილთა“ ინსტიტუცია, რომელიც გვხვდება ფეოდალურ საქართველოს საზოგადოების საერო თუ სასულიერო პირების თითქმის ყველა სტრუქტურაში. სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების გარკვეულ თავისებურ ფორმას წარმოადგენდა ფეოდალურ საქართველოში „სამეფოსა პალატასა შინა თანაზრდილობა ანუ აღზრდა სახლსა სამეფოსა შინა.“რომელიც ერთგვარი მსაზღვრელია მენტალობის. ეს საკმაოდ კარგად ჩანს ქართულ წერილობით წყაროებში, მათ შორის იურიდიული სამართლის ძეგლებში.

„გაზრდილ-შეზრდილობის“ ინსტიტუცია არა მარტო მეფის კარზე, არამედ იყო ფეოდალების, თავადების კარზეც. მისი შინაარსი იცვლება დრო და ჟამის მიხედვით. ერთიანი სამეფოს ძლიერების ხანაში ერთგული ყმა-რაინდები იზრდებიან. სამეფო ხელისუფლების დასუსტების ხანაში, პირიქით, აღზრდილ-შეზრდილნი სწორედ ქვეყნის დაშლილობას უწყობს ხელს.

სამეფო კარზე ბატონიშვილებთან ერთად ითვისებდა მომავალი ყმა-რაინდი ფეოდალური ზრდილობის კოდექსს. სწავლობდა „სამამაცო ზნეს.“შემდგომ ეს

სწავლება მოიცავდა საზოგადოების ფართო ფენებს, დიდებულ თავადაზნაურებს და მათ ყმებს. იოსებ თბილელი აღნიშნავს,რომ გიორგი სააკაძის მხლებლები მიუხედავად სოციალური წარმომავლობისა, მისი „ზრდილნი“ იყვნენ სამამაცო ზნეთა ცოდნაში.“

ქართული სამართლის ძეგლის მიხედვით გიორგი სააკაძე ბერუკა ჯავახიშვილს „შვილივით გაზრდილად“ მოიხსენიებს. ბერი ეგნატაშვილთან ვხვდებით ცნობას, რომ გიორგი სააკაძემ აღზარდა თავისი ცოლისძმა ზურაბი, რომელსაც ჩვენი აზრით ასწავლა „სამამაცო ზნენი“, რასაც ადასტურებს შემდეგი ამონარიდი იოსებ თბილელის პოემიდან:

„ზურაბს შევსთვალე, რაც იცი, სულ ჩემი ნასწავლებია,

ოსტატს არა ხამს ჭიდება, ვისაც შეგირდი ხლებია“.

იოსებ თბილელთან და ბერი ეგნატაშვილთან კარგად ჩანს ამ ორი პიროვნების სულიერი მდგომარეობა, განწყობა და განცდები, რომელიც ინდივიდუალური მენტალიტეტის მაჩვენებელია. მარაბდის ომის შემდეგ ინტერესთა სხვაობამ მათი გზები საბოლოოდ გაჰყარა. ორივე წყარო(დიდმოურავიანი, ბერი ეგნატაშვილი)თითქმის ერთნაირად მოგვითხრობს ამ ამბავს (მოცემული გვაქვს კვლევის შესაბამის თავში). ორივე პიროვნება ამ შემთხვევაში მოიქცა ისე, როგორც უკარნახა პიროვნულმა ნებელობამ, ინტერესმა და აზროვნებამ.

სამხედრო საქმის ორგანიზაცია უშუალოდ ასახავს საზოგადოების სოციალ-ეკონომიურ მხარეს, მენტალობის განვითარების დონეს. როგორი განათლება ჰქონდა დიდ მოურავს, ამაზე პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გიორგი მაღალი სამოხელეო არისტოკრატიის და მეფის სამოხელეო ოჯახიდან იყო, თავისთავად ცხადია, მას ისეთივე განათლება უნდა მიეღო როგორსაც ფეოდალური წრის წარმომადგენლები ღებულობდნენ. მისი სამხედრო ხელოვნება და სამხედრო საქმის ცოდნა არაერთხელ გამოჩნდა, თუნდაც, ტაშისკარში, მარტყოფში. მარაბდის ომის საერთო ხელმძღვანელობიდან ჩამოცილებამ მარცხი მოუტანა ქართველობას. მისი დამსახურებაა, რომ შაჰ-აბას პირველის უძლეველობის იდეას საფუძველი შეერყა.

სამხედრო საქმის განუყოფელი ნაწილი იყო ნადირობა, რომელიც ფეოდალიზმის ეპოქაში როგორც ფეოდალურ ევროპაში, ასევე საქართველოში ომის განუყოფელ ნაწილად იყო მიჩნეული. მენტალურად „ფეოდალური ზნეობისა და ზრდილობის“ ერთ-ერთი ელემენტად რაინდული წრისთვის იყო მახასითებელი ეს ნიშან-თვისება.

ქართულ წერილობით წყაროებში არაერთი კარგი მონადირეა ნახსენები, მათ შორისაა გიორგი სააკაძე. სანადირო ადგილების რეგალია (ამ შემთხვევაში მოწყობა)თავადებს, ჩვენ აზრით, მეფის მსგავსად ჰქონდათ, ხოლო თუ როგორ იყო ეს საკითხი აზნაურებთან, გარკვევით არც აქ არის ნაჩვენები, მაგრამ დაკვირვებამ და შესწავლილი მასალის ანალიზმა მიმიყვანა შემდეგ დასკვნამდე : XVII საუკუნეში გიორგი სააკაძეს სანადირო ადგილების რეგალია ექნებოდა თავადების მსგავსად. თავადებისთვის ეს კიდევ ერთი მიუღებელი ფაქტი აღმოჩნდა.თბილელის მიხედვით: ,,მან ჯარი დაიხვია, არ ეტევის მინდორს ველად, თავს არ გვიდებს საპატრონყმოდ,

წყალობისა არ მადლმხდელად“

ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ საჭიროა სხვა ხელშემწყობ პირობებთან ერთად ჰუმანიტარულ მეცნიერებების სპეციალისტთა, როგორც ისტორიკოსთა, ასევე ლიტერატორთა დარგის მკვლევრების ერთობლივი ჯგუფების ამ მიმართულებით მომზადება. ამასთანავე, ამ ამოცანის გადაჭრა, აგრეთვე, შეუძლებლად მიმაჩნია ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური სამეცნიერო სკოლების დახმარების გარეშე. მენტალობის საკითხის კვლევა მარტოდენ ისტორიკოსის პრეროგატივა არ არის, არამედ ზემოთ ჩამოთვლილი სამეცნიერო დარგები თუ სკოლები, მჭიდრო კავშირში უნდა იყვნენ საისტორიო მეცნიერებასთან.

ასევე, საჭიროდ ვთვლით ქართული ენიდან დასავლეთ ევროპის ენებზე და დასავლეთ ევროპულ ენებიდან ქართულ ენაზე მაღალი ხარისხით განხორციელდეს მენტალობის საკითხთან დაკავშირებული თეორიული, წყაროთმცოდნეობითი თუ ისტორიოგრაფიული ნაშრომების თარგმნა.

ვინაიდან, საკითხის კვლევა პირველ მცდელობას წარმოადგენს, ნაშრომი მეგზურობას გაუწევს მომავალში უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს და საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

წყაროები:

1. არჩილი 1936: არჩილი. საქართველოს ზნეობანი, არჩილიანი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძის და ნ.ბერძენიშვილის რედ, ტ,I, თბ, 1936.

2. არჩილი 1937: არჩილი. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, არჩილიანი, თხზულებათა სრული კრებული, ალ.ბარამიძის და ნ.ბერძენიშვილის რედ, ტ, II, თბ,1937.

3. არჩილი 1989: არჩილი. ქართული მწერლობა, წიგნი,VI, თბ, 1989.

4. ახალი აღთქმაჲ 1963: ახალი აღთქმაჲ. დაიბეჭდა უწმინდესის და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ეფრემ II ლოცვა-კურთხევით, თბ, 1963.

5. ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: ბასილი ეზოსმოძღვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ, II, 1959.

6. Белокуров 1889: Белокуров С. Сношеня России с Кавказом, М. 1889.

7. ბერი ეგნატაშვილი 1959: ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება ტექსტი პირველი, დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ,II, თბ, 1959.

8. გიორგი მერჩულე 1986: გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ,ლექსიკონი და გამოკვლევები დაურთეს ზ.სარჯველაძემ, კ.დანელიამ, ე.გიუნაშვილმა, თბ, 1986.

9. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 1955: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ, I, თბ, 1955.

10.ვახუშტი ბატონიშვილი 1973: ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ, IV, 1973.

11. Даврижец 1973: Даврижец А . Книга истории Перевод из с армянского Л.А. Халрарян. 1973.

12. დოლიძე 1970: დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, ტ,III, თბ,1970.

13. დოლიძე 1972: დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, ტ, IV,თბ, 1972.

14. თავრიზელი 1974: თავრიზელი ა. ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, ჰშესავალი და კომენტარები კ.კუციასი, თბ, 1974.

15. თამარაშვილი 1902: თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა

შორის, თბ, 1902.

16. თაყაიშვილი 1909: თაყაიშვილი ე. საქართველოს სიძველენი, ტ II, თბ, 1909.

17.იბრაჰიმ ფეჩევი 1964: იბრაჰიმ ფეჩევი. ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ ტექსტიდა შენიშვნები დაურთო ს.ჯიქიამ. 1964.

18. იოანე ბატონიშვილი 1948: იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, კ.კეკელიძის და ალბარამიძის რედ, თბ, 1948.

19.იოსებ ტფილელი 1939: იოსებ ტფილლი. დიდმოურავიანი გ.ლეონიძის რედაქციით, თბ, 1939.

20.ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1941: ისტორიანი და აზამანი შარავანდედთანი. კ.კეკელიძის გამოცემა, თბ,1941.

21.ისტორიანი და აზმანი 1959: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება, ტ, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს.ყაუხჩიშვილის მიერ.თბ, 1959.

22. ისქანდერ მუნში 1981: ისქანდერ მუნში. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება სპარსულ ტექსტს გამოკვლევა ქართული თარგმანი შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა,თბ, 1981

23.მოჰამედ თაჰერი 1954: მოჰამედ თაჰერი. ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, თარგმნა და გამოსცა ვლ.ფუთურიძემ, მსკი, ნაკვ, 30,თბ, 1954.

24.ჟამთააღმწერელი 1959: ჟამთააღმწერელი, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ, თბ, 1959.

25.სუმბატ დავითის ძე 1990: სუმბატ დავითის ძე. ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო გ.არახამიამ 1990

26.ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია 1926: ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია ს.კაბაძის გამოცემა.1926.

27.ფსალმუნი და ლოცვანი 2016: ფსალმუნი და ლოცვანი. სრული კრებული, დაიბეჭდა შემოქმედელი მიტოპლიტი იოსების ლოცვა-კურთხევით, თბ, 2016.

28.შოშიაშვილი 1980 : შოშიაშვილი ნ. ქართული წარწერების კორპუსი, თბ, 1980.

29.შოშიაშვილი 1984: შოშიაშვილი ნ. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს ნ.შოშიაშვილმა, თ.ენუქიძემ ვ. სილოგავამ, წ, I, თბ,1984.

30.ხახანაშვილი 1891: ხახანაშვილი ალ. გუჯრები, თბ, 1891. .

31.ხელმწიფის კარის გარიგება 1920: ხელმწიფის კარის გარიგება, ე.თაყაიშვილის გამოცემა, თბ,1920

32.ხელმწიფის კარის გარიგება: ხელმწიფის კარის გარიგება, ქართული სამართლის

ძეგლები, ივ.სურგულაძის რედ, თბ,1970.

33.ჯუანშერი 1955: ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით,ს.ყაუხჩივილის ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრებაცხ ტ, I,თბ, 1955.

ლიტერატურა:

34.ანდღულაძე 1976: ანდღულაძე ნ. თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ,1976.

35.ანთელავა 1980: ანთელავა ი. XI-XIV სს.სოციალურ–პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ, 1980.

36.ანთელავა 1990: ანთელავა ი. ლევან II დადიანი, თბ,1990

37.ასათიანი 1957: ასათიანი ნ.საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საითხისათვის XVI-XVIII საუკუნეების კახეთის სამეფოში, თსუ შრომები ტ, 77, თბ, 1957.

38.ასათიანი 1983: ასათიანი ნ. გზა გამოხსნა-აღდგომისაკენ, საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან ტრაქტატამდე, თბ,1983.

39.ასათიანი 1999: ასათიანი ნ.საქართველოს ისტორია, თბ, 1999.

40.ასათიანი 2008: ასათიანი ნ. ჯამბურია გ. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (XIII-XVIII), ტ, II, თბ, 2008.

41.ბახტაძე: 2005 ბახტაძე მ. არაგვის ერისთა ქრონოლოგია (XVI-XVII) საუკუნეები, თბ, 2005.

42.ბახტაძე 2006: ბახტაძე მ. სურამელთა საგვარეულო სახლი, თბ.2006.

43.ბახტაძე 2008 **ა** : ბახტაძე მ. კახეთ-ჰერეთის ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან(XII-XIII საუკუნეები), თბ. 2008.

44.ბახტაძე 2008 **ბ :** ბახტაძე მ. დასავლეთ საქართველოს ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან(XI-XIII საუკუნეები), თბ. 2008.

45. ბახტაძე 2008 **გ:** ბახტაძე მ. ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია XI-XV საუკუნეებში, თბ, 2008.

46.Бердзенишвили 1938: Бердзенишвили Н. Очерк из истории феодлъних отношении в Грузии, TF,1938.

47.ბერძენიშვილი 1948: ბერძენიშვილი ნ. ჯავახიშვილი ივ. ჯანაშია ს. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს-ის დამდეგამდე, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისთვის, თბ, 1948.

48.ბერძენიშვილი 1964: ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, 1964. 49.ბერძენიშვილი 1965:ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები წიგნი, II, თბ, 1965.

50.ბერძენიშვილი 1966: ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი, III, თბ, 1966.

51.ბერძენიშვილი 1958: ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს-ის დასასრულამდე. დამხმარე სახელმძღვანელო, თბ, 1958.

51.ბერძენიშვილი 1974: ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ,VII,1974.

52.ბერძენიშვილი 1960: ბერძენიშვილი დ. ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კრებული. თბ, 1960.

53.ბლოკი 2014: ბლოკი მ. ისტორიის აპოლოგია, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, თბ, 2014.

54.ბოშიშვილი 2012: ბოშიშვილი ალ. ქვემო ქართლის მცირე სათავადოები სადოქტორო დისერტაცია წარდგენილი ისტორიის დოქტორის აკად. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ, 2012.

55.გაბაშვილი 1959: გაბაშვილი ვ. ქართული ფეოდალური წყობილება XVII საუკუნეში, თბ,1959.

56.გვარამაძე 2014: გვარამაძე ს. არჩილ მეფის შემოქმედებითი მხატვრული სამყარო სადოქტორო დისერტაცია წარდგენილი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ, 2014.

57.გვასალია 1997: გვასალია ჯ. შიდა ქართლი და ოსური საკითხი, თბ,1997.

58.გვრიტიშვილი 1955: გვრიტიშვილიდ. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან(ქართლის სათავადოები), თბ,1955.

59.გოგოლაძე 1976: გოგოლაძე დ. სათავადოს საკითხი ნ.ბერძენიშვილის შრომებში. კრებ. ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის მიეძღვნა აკად.ნ. ბერძენიშვილის დაბადების მე-80 წლისთავს, თბ,1976.

60.გოგოლაძე 2012: გოგოლაძე თ. აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორია XVI-XVII სს. სადოქტორო დისერტაცია წარდგენილი ისტორიის დოქტორის აკად.ხარისხის მოსაპოვებლად, თბ, 2012.

61.დუმბაძე 1957: დუმბაძე მ. დასავლეთ საქართველო XIX ს-ის პირველ ნახევარში,

თბ,1957.

62.ვაჩნაძე 1998: ვაჩნაძე ნ. სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი(V-X სს.), თბ,1998.

63.თაბუაშვილი 2009: თაბუაშვილი აპ. საყაფლანიშვილო XVIIII საუკუნის II ნახევარში. კრებ.ისტორიანი მიეძღვნა აკად. რ.მეტრეველის 70-ე წელს, თბ, 2009.

64.ითონიშვილი 1986: ითონიშვილი ვ. არაგვის ხეობა, თბ,1986.

65 ინგოროყვა 1963: ინგოროყვა პ. თხზულებათა კრებული, თბ,1963.

66.იოსელიანი 1851: იოსელიანი პლ. დიდიმოურავიანის გამოცემის წინასიტყვაობა, თბ,1851.

67.იოსელიანი 1973: იოსელიანი პლ. დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება. თარგმანი რუსულიდან გ. თარხნიშვილისა,თბ,1973.

68.Какабадзе 1912: Какабадзе С. Черти феодального строя и крестьянского повиностив в Грузии в конце средниих веков, TF,1912.

69.კაკაბაძე 1913 **ა** : კაკაბაძე ს. ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი, თბ, 1913.

70.კაკაბაძე 1913 **ბ :** კაკაბაძე თმოგველთა გვარის ისტორიისთვის, თბ,1913.

71.კაკაბაძე 1914 : კაკაბაძე ს. თორელთა გვარეულობის შესახებ წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისთვის წიგნი,I თბ, 1914

72.კაკაბაძე 1927: კაკაბაძე ს. ვეფხისტყაოსნის გამოცემის შესავალი, თბ, 1927.

73.კაციტაძე 1960: კაციტაძე ფარსადან გორგისჯანიძის თხზულებების და ქართლის ცხოვრების გაგრძელებათა XVI-XVII საუკუნის წყაროები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ-მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, N 2, თბ, 1960.

74.კეკელიძე 1924 : კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ,II,თბ,1924.

75.კეკელიძე 1952: კეკელიძე კ.ძველი ქართული მეწრლობის ისტორა, ტ,II, თბ,1952.

76.კეკელიძე 1981: კეკელიძე კ.ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ,II,თბ,1981.

77.Кикодзе 1952:Кикодзе М.Из Истории феодальной сениории /Саамилахвро \ XVI-XVIIвв\, TF,1952.

78.ლაბაძე 2006: ლაბაძე რ.ცოდვა და შიში შუა საუკუნეებში ქართული მენტალური მოდელის ორი ასპექტი, თბ, 2006.

79.ლომსაძე 1975: ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი XVIII ს-ის შუა წლებიდან XIX ს-ის შუა წლებამდე,თბ,1975.

80.ლორთქიფანიძე 1966 : ლორთქიფანიძე მ. ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოსობის შესახებ, კრებული კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ, 1966.

81.ლორთქიფანიძე 2016 : ლორთქიფანიძე ს. მმართველის ქრისტიანული იდეალი და

მეფეთა სახეები არჩილის შემოქმედებაში. სადოქტორო დისერტაცია წარდგენილი ფილოლოგიის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბათუმი, 2014.

82.მარუაშვილი 2006: მარუაშვილი ა. მარუშიანთა ფეოდალური სახლის ისტორია, დისერტაცია წარმდგენილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ, 2006.

83.მამისთვალაშვილი 1966: მამისთვალაშვილი ე. ამილახვრები, თბ, 1966.

84.მეტრეველი 1990: მეტრეველი რ. კლიოს მფარველობის ქვეშ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე N4 ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.თბ, 1990.

85.მეტრეველი 2009: მეტრეველი რ. მცირე განსჯა ჟაკ ლე გოფის წიგნის „წარმოსახვითის შუასაუკუნეობრივი სამყარო“ წაკითხვის შემდეგ, კრებ. საისტორიო ნარკვევები, თბ,2009.

86.მუსხელიშვილი 1940: მუსხელიშვილი ლ. თორელთა გენალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XIIს-ის წარწერებთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფოს მუზეუმის მოამბე, X-B, თბ,1940.

87.მჭედლიშილი 2019: მჭედლიშვილი გ. ქავთარიშვილების ფეოდალური საგვარეულო. სამეცნიერო კრებ. მეისტორიე მიძღვნილი გიორგი(გელა)საითიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი, თბ, 2019.

88.ნინიძე 1986: ნინიძე დ. ერთი ეპიზოდი ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიიდან- „გოჩაშვილნი“ ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები ,თბ, 1986.

89.ნინიძე 1992: ნინიძე დ. პროვინციის მეფეთა ინსტიტუტის წარმოშობისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემის მაცნე, N3 ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ, 1992.

90.ნინიძე 1995: ნინიძე დ. პროვინციის მეფეები, XIV-XV სს. თბ, 1995.

91.ნინიძე 1997: ნინიძე დ. მუხრანბატონები, თბ, 1997.

92.ნინიძე 2004: ნინიძე დ.ბაგრატიონთტა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია, XIII-XVIII სს. თბ,2004.

93.ოთხმეზური 1999: ოთხმეზური გ. შიდა ქართლის მცირე სათავადოები, XV-XVII სს. სადოქტორო დისერტაცია წარდგენილი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ, 1999.

94.პატარიძე 2008: პატარიძე ლ. მეფობის იდეა ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში. კრებ. საქართველოს შუა საუკუნეების საკითხები, ივ.ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ, IX, თბ, 2008.

95.სამუშიაია 2018: სამუშია ჯ. ბაგრატ III, თბ, 2018.

96.სოსელია 1944: არგვეთის სათავადოების ისტორიიდან ანალები, ტ, I,თბ, 1944.

97.სოსელია 1947:სოსელია ო. წერეთლიანთ სათავადოს ისტორიიდან ანალები, ტ, I, თბ, 1947.

98.სოსელია 1966: სოსელია ო.ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან,თბ, 1966.

99.სოსელია 1973: სოსელია ო. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, წიგნი I, თბ, 1973.

100.სოსელია 1981: სოსელია ო. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, წიგნი II, თბ, 1981.

101.სოსელია 1990: სოსელია ო. ნარკვევები ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიიდან, წიგნი,III, თბ, 1990.

102.სოსიაშვილი 2005: სოსიაშვილი გ.სამაჩაბლოს ისტორია, თბ,2005.

103.სოსიაშვილი 2008: სოსიაშვილი გ. საქართველოს წარჩინებულთა გვარის ისტორიიდან, თბ, 2008.

104.Такаишвили 1901: Такаишвили Е. Хроника эристовского акафиста, TF, 1901.

105.Ткемаладзе 1904: Ткемаладзе М. Тифлсский сионски кафедраьны соборь, TF, 1904.

106.ფურცელაძე 1911: ფურცელაძე ა. ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, თბ,1911.

107.ფირცხალაიშვილი1978:ფირცხალაიშვილი რ. იოსებ თბილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბ,1978.

108.ქიქოძე 1963: ქიქოძე მ. ქართლის სათავადოს ისტორიიდან XV-XVIII სს./ საამილახვრო, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, ნაკვეთი 35, თბ,1963.

109. ჩხატარაიშვილი 1979: ჩხატარაიშვილი ქ. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან, თბ, 1979.

110.ცაიშვილი 1974: ცაიშვილი ს. შოთა რუსთაველი-დავით გურამიშვილი, თბ,1974.

111.ცისკარიშვილი 1959: ცისკარიშვილი ვ. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ, 1959.

112.შოთა რუსთაველი 1974:შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, ნ.ნათაძის რედ.1974.

113.შოშიაშვილი 1966: შოშიაშვილი ნ. თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია, კრებ. შოთა რუსთველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, ეძღვნება შოთა რუსთაველის 800 წლისთავს, თბ,1966.

114.ჭაია 2013: ჭაია ზ. ქვემო ქართლის სათავადოების ისტორია, 2018.

115.ჭიჭინაძე 1888: ჭიჭინაძე ზ.ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში, თბ, 1888.

116.ხახანაშვილი1904: ხახანაშვილი ა. ქართულისიტყვიერების ისტორია, თბ,1904.

117.ხიდურელი 1986: ხიდურელი ზ. ფეოდალური მიწისმფლობელობა XV-XVII სს.აღმოსავლეთ საქართველოში, თბ,1986.

118.ჯავახიშვილი 1928: ჯავახიშვილი ივ. ზოგადი მოძღვრება ადამიანის ბუნებასა და კანონმდებლობაზე–ქართული სამართლის ისტორია წ, I, თბ, 1928.

119.ჯავახიშვილი 1949: ჯავახიშვილი ივ.საქართველოს ისტორია XI-XIVსს, თბ,1949.

120.ჯავახიშვილი 1953: ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, წიგნი, მე-5, თბ,1953.

121.ჯავახიშვილი 1977 ა: ჯავახიშვილი ივ. შესავალი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIIIს.ს.), თხზულებანი თორმეტ ტომად, მ.ლორთქიფანიძის რედაქციით, ტ, VIII,თბ, 1977.

122.ჯავახიშვილი 1977 ბ : ჯავახიშვილი ივ. ფარსადან გორგისჯანისძე, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, ძველი ქართული საიატორ მწერლობა (V-XVIII ს.ს.), თხზუოლებები თორმეტ ტომად, მ.ლორთქიფანიძის რედაქციით, ტ, VIII, თბ, 1977.

123. ჯავახიშვილი 1977 გ : ჯავახიშვილი ივ. ბატონიშვილი ვახუშტი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.) თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ, VIII, თბ, 1977.

124.ჯამბურია 1955: ჯამბურია გ. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები), თბ, 1955.

125.ჯამბურია 1964: ჯამბურია გ. გიორგი სააკაძე, თბ,1964

126.ჯამბურია 1973: ჯამბურია გ. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVII სს. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ,IV, თბ,1973.

127.ჯამბურია 2007:ჯამბურია გ.სათავადოთა საკითხისათვის კრბ. ქართული ფეოდალიზმის საკითები, თბ, 2007.

128.ჯანაშია 1952 ა : ჯანაშია ს. ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ, შრომები ტ, II.თბ,1952.

129. ჯანაშია1952 ბ : ჯანაშია ს.ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, თბ, 1952.

130 .ჯანაშია 2002: ჯანაშია ც. არაგვის საერისთაო XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე კრებ. საისტორიო შტუდიები, ივ ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომებ, ტ, V,თბ, 2002.

131. ჯანაშია 2011: ჯანაშია ც. რელიგიის საკითხი თავადურ მენტალობაში, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) სტუდენტთა მე-2

სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ, 2011.

132.ჯანაშია 2013:ჯანაშია ც. აღზრდის ზოგიერთი საკითხი XVII საუკუნის საქართველოში (ი.თბილელის დიდმოურავიანის მიხედვით),საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე N1. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ, 2013.

133.ჯანაშია 2016: ჯანაშია ც. რამდენიმე შენიშვნა არაქელ თავრიზელის ცნობებთან დაკავშირებით, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტ,VI, თბ,2016.

134.ჯაფარიძე 1999: მთავარეპისკოპოსი ჯაფარიძე ა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ტ,III, თბ, 1999.

პერიოდული პრესის მასალა

135.გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა “, 1998, N,16, 21 იანვარი.